

114
1940



მნამთში

4

ა ბ გ დ ე ვ

თბილისი
1940

საქართველოს
საბჭოთაო
კულტურის
მინისტროს
ბიბლიოთეკა

მნათობი



სრულიად საქართველოს საბჭოთა მჭრელების
კავშირის ყოველთვიური სალიტერატურო,
სასკოლო და საზოგადოებრივ-საპოლიტიკო
ქურონალი

წელიწადი მთავრდება

105343
3630

4

19 აპრილი 40
საბჭოთაობი

40

საქართველოს
საბჭოთაობის
კავშირის
ბიბლიოთეკა

სარედაქციო კოლეგია:

ასათიანი ლევან,
გომიჯიშვილი ალექსანდრე,
კალაძე კარლო,
ლორთქიფანიძე კონსტანტინე,
მუჯაშვილი ალიო (პ/მზ. რედაქტორი),
მოსაშვილი ილო,
მუთათელი ალექსანდრე.



ვლადიმერ ილიას-ქა ლენინი

(მოკლე ბიოგრაფია)

ვლადიმერ ილიას-ქე ლენინი დაიბადა 1870 წლის 22 (ძველი სტილით 10) აპრილს ქ. სიმბირსკში, აწინდელ ქ. ულიანოვსკში.

ლენინის მამა ილია ნიკოლოზის-ქე ულიანოვი იმ დროს სიმბირსკის გუბერნიის სახალხო სკოლების ინსპექტორი იყო, ხოლო მანამდე მრავალი წლის განმავლობაში ფიზიკისა და მათემატიკის მასწავლებლად იყო ნიჟნინოვგოროდსა და პენზაში.

1879 წელს, როცა ლენინი 9 წლისა იყო, იგი შევიდა სიმბირსკის გიმნაზიაში, სადაც იმ დროს უკვე სწავლობდა მისი ძმა ალექსანდრე.

ალექსანდრე ულიანოვი გიმნაზიის დამთავრების შემდეგ პეტერბურგს გაემგზავრა უნივერსიტეტში შესასწავლად. აქ იგი შევიდა ნაროდოვოლცების ორგანიზაციაში და მონაწილეობდა მეფე ალექსანდრე III-ის მოკვლის მომზადებაში. 1887 წ. 13 მარტს (1 მარტს ძველი სტილით) ალექსანდრე ულიანოვი თავის ამზანაგებთან ერთად დააპატიმრეს, ხოლო 1887 წ. 20 მაისს (8 მაისს ძველი სტილით) სიკვდილით დასაჯეს.

ძმის სიკვდილით დასჯის ამბავი რომ გაიგო, ლენინმა სთქვა: „არა, ჩვენ ამ გზით არ წავალთ, ჩვენ სხვა გზით წავალთ“. ეს გზა ლენინმა კპოვა კარლ მარქსისა და მისი თანამებრძოლის ფრიდრიხ ენგელსის რევოლუციურ მოძღვრებაში. მარქსისა და ენგელსის თხზულებანი ლენინისათვის ნიადაგსაზმარებელ წიგნებად იქცნენ. ლენინი მარქსისტი გახდა.

ლენინმა, რომელიც საუცხოოდ სწავლობდა, 1887 წელს დაამთავრა სიმბირსკის გიმნაზია ოქროს მედლით, რის შემდეგ იგი შევიდა ყაზანის უნივერსიტეტში.

17 წლის ქაბუკმა ვლადიმერ ილიას-ქემ ყაზანის უნივერსიტეტში ყოფნის პირველ წელშივე მიიღო პირველი „საბრძოლო ნათლობა“: 1887 წ. 17 დეკემბერს იგი დააპატიმრეს სტუდენტთა რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეობისათვის, როგორც სტუდენტთა კრების ერთერთი ორგანიზატორი და აქტიური მონაწილე, და გადასახლეს სოფელ კოკუშკინოში, ყაზანიდან 40 ვერსის დაშორებით. აქ იგი პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ ცხოვრობდა. კოკუშკინოში ყოფნისას ლენინი ბევრს კითხულობდა და ავსებდა თავის განათლებას.

ლენინს მხოლოდ 1888 წლის შემოდგომაზე დართეს ნება დაბრუნებულიყო ყაზანს, სადაც გადასახლდნენ მისი მშობლები, მაგრამ უნივერსიტეტში დაბრუნების ნება მას არ მისცეს.

ყაზანში ლენინი აქტიურ მონაწილეობას იღებს ფედოსეევის მიერ შექმნილი მარქსისტული წრის მუშაობაში. სწორედ ამ დროს იწყებს ლენინი მარქსის, — „კაპიტალის“ სერიოზულად შესწავლას.

1889 წლის დამლევს ლენინი ოჯახითურთ სამარას გადავიდა, სადაც მახ მოაწყო მარქსისტული წრე. უკვე ამ წლებში ლენინი აცვიფრებდა ყველას მარქსიზმის ცოდნით. იგი სწავლობდა აგრეთვე რუსეთის რევოლუციური მოძრაობის ისტორიას და განსაკუთრებული ყურადღებით სწავლობდა გლეხთა საკითხს. გლეხთა საკითხის ცოდნა დაეხმარა ლენინს ნაროდნიკების წინააღმდეგ ბრძოლაში.

ლენინმა გადასწყვიტა დაემთავრებინა უნივერსიტეტი და იწყო გამოცდებისათვის მზადება. 1891 წელს ლენინმა პეტერბურგის უნივერსიტეტთან ჩააბარა გამოცდა იურიდიული ფაკულტეტის დამთავრებაზე და მიიღო 1-ლი ხარისხის დიპლომი.

1893 წლის სექტემბერში ლენინი კვლავ ჩავიდა პეტერბურგს და სწრაფად გაეცნო ამხანაგებს, რომლებიც, როგორც მარქსისტები, რევოლუციურ მუშაობას ეწეოდნენ. ლენინის გარშემო თავს იყრიან რევოლუციური მუშაობის ყველაზე გაბედული და აქტიური მონაწილენი.

ლენინის პირველმავე გამოსვლებმა უძლიერესი შთაბეჭდილება მოახდინეს პეტერბურგის მარქსისტული წრეების მონაწილეებზე. მუშათა კლასის გამარჯვების ღრმა, ურყევემა რწმენამ და თვალსაჩინო ორგანიზატორულმა ნიჭმა ლენინი პეტერბურგის მარქსისტების ცნობილ ხელმძღვანელად აქციეს.

პეტერბურგში ლენინის ჩასვლიდან იწყება მისი მუშაობა პირველი პარტიული ორგანიზაციის — პეტერბურგის „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირის“ შესაქმნელად. პეტერბურგის „ბრძოლის კავშირი“ ჩანასახი იყო მარქსისტული რევოლუციური პარტიისა, რომელიც მუშათა მოძრაობას ეყრდნობა. კავშირი მუშებს წვრთნიდა პოლიტიკურად, ეკონომიური მოთხოვნებისათვის ბრძოლას უკავშირებდა ცარიზმის წინააღმდეგ პოლიტიკურ ბრძოლას. პეტერბურგის „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირმა“, რომელსაც ლენინი ხელმძღვანელობდა, წარმატებით იწყო მუშათა მოძრაობასთან სოციალიზმის შეერთების განხორციელება.

მარქსისტული სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია რუსეთში შეიქმნა და გაიზარდა პირველ რიგში ნაროდნიკობასთან, როგორც მარქსიზმის უბოროტეს მტერთან ბრძოლაში.

1894 წელს პეტერბურგში ლენინმა დასწერა შესანიშნავი წიგნი „რანი არიან ხალხის მეგობრები“ და როგორ ამოიბენ ისინი სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ?“. ამ წიგნში ლენინმა ბოლომდე ამხილა ნაროდნიკები, ის „მატყურა მეგობრები“ ხალხისა, რომლებიც საქმით ხალხის წინააღმდეგ ილაშქრებდნენ, ამხილა მათ შეხედულებათა მანევობა და მცდარობა. ლენინმა ცხადპყო, რომ ხალხის ნამდვილი მეგობრები, რომელთაც სურთ კაპიტალისტური და მემამულური ჩაგვრის მოსპობა, ცარიზმის მოსპობა, არიან არა ნაროდნიკები, არამედ მარქსისტები.

ლენინმა წიგნში „რანი არიან ხალხის მეგობრები“ განსაზღვრა მუშათა კლასის, როგორც საზოგადოების მოწინავე ძალის, როლი და პირველად წამოაყენა აზრი მუშებისა და გლეხების რევოლუციური კავშირის შექმნის შე-

სახებ მუშათა კლასის ხელმძღვანელობით. ეს კავშირი უნდა გამბედალიყო ცარიზმის, მემამულეთა და ბურჟუაზიის დამხობის მთავარი იარაღი. ლენინმა თავის წიგნში დასახა რუსეთის მარქსისტების ძირითადი ამოცანები და დაწინაურეს ყოვლისა, ის ამოცანა, რომ დაქსაქსული წრეებისაგან მოწყობილიყო ერთიანი სოციალისტური მუშათა პარტია.

მარქსიზმი თანდათან ფართოდ ვრცელდებოდა რუსეთში იგი თანდათან მოედო სტუდენტობას, ინტელიგენციის ნაწილს. მარქსიზმის მიტმასნება იწყეს თანამგზავრებმა, ეგრეთწოდებულმა „ლეგალურმა მარქსისტებმა“.

ბურჟუაზიული ინტელიგენტები მარქსისტული ტანსაცმლით იმოსებოდნენ. ისინი თავიანთ სტატიებს აქვეყნებდნენ ლეგალურ, ე. ი. მეფის მთავრობის მიერ ნებადართულ ჟურნალ-გაზეთებში. ისინი ცდილობდნენ მუშათა მოძრაობა დაექვემდებარებინათ ბურჟუაზიის ინტერესებისათვის.

მარქსიზმის მოძღვრებას ისინი აცლიდნენ უაღრესად მთავარს — მოძღვრებას პროლეტარული რევოლუციის შესახებ, პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ. ფრიად ცნობილი „ლეგალური მარქსისტი“ პეტრე სტრუვე ქებას ასხამდა ბურჟუაზიის და რევოლუციური ბრძოლის ნაცვლად მოუწოდებდა: „ჩვენი უკულტურობა აღვიაროთ და სასწავლად კაპიტალიზმთან მივიდეთ“. პ. სტრუვეს წინააღმდეგ ლენინმა 1894 წელს დასწერა წიგნი „ნაროდნიკობის ეკონომიური შინაარსი და მისი კრიტიკა ბ-ნ სტრუვეს წიგნში (მარქსიზმის ანარეკლი ბურჟუაზიულ ლიტერატურაში)“. ლენინი ლეგალურ მარქსისტებს უწოდებდა პროლეტარიატზე ბურჟუაზიული გავლენის გამტარებლებს.

ლენინმა მოაწყო მუშების რამდენიმე რევოლუციური წრე და თვითონ მეცადინეობდა მუშებთან, იყო მათი მასწავლებელი. მაგრამ ამასთან ერთად თვითონ ლენინიც სწავლობდა მუშებისაგან: დაწვრილებით ტყობილობდა მათგან, თუ როგორ ცხოვრობენ ისინი, როგორ მუშაობენ, უფრო მეტად რა ავიწროებთ მათ ფაბრიკებში, ქარხნებში. უფრო მეტად რა აღელვებთ მათ ამჟამად. ამ საუბრებისა და მუშათა საკითხის შესწავლის საფუძველზე ლენინი სწერდა ფურცლებს, რომლებიც განუმარტავდნენ მუშებს, თუ როგორ უნდა ებრძოლნათ მეპატრონეებთან.

1895 წლის აპრილის დამლევს ლენინი საზღვარგარეთ გაემგზავრა. შვეიცარიაში იგი გაეცნო „შრომის განთავისუფლების“ ჯგუფის წევრებს — პლენანოვს, აქსელროდსა და სხვებს. საზღვარგარეთვე გაეცნო მაშინდელი დროის სოციალისტური მოძრაობის ცნობილ მოღვაწეებს — პოლ ლაფარჯს და ვილჰელმ ლიბკნეხტს, გერმანელი სოციალ-დემოკრატების ცნობილ ხელმძღვანელს.

საზღვარგარეთიდან დაბრუნებისას ლენინმა მოიარა მთელი რიგი ქალაქები — ვილნო, მოსკოვი, ორენბოგო-ზუევო და სხვები. იგი გაეცნო მუშა-სოციალ-დემოკრატებსა და შეუდგა მუშაობას, რათა ცალკეული ორგანიზაციები მუშათა ერთიან პარტიად გაეერთიანებინა. 1895 წლის დეკემბერში ლენინი დააპატიმრეს „ბრძოლის კავშირში“ შეშავალ სხვა ამხანაგებთან ერთად.

მაგრამ ლენინი საპყრობილეშიც არ სწყვეტდა მუშაობას მუშათა მოძრაობისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად. იგი ადგენს სოციალ-დემოკრატიული პარტიის პროგრამის პროექტს (პროექტი დაწერილი იყო რძით სამედიცინო წიგნის სტრიქონებს შუა), სწერს ბროშურას „გაფიცვების შესახებ“ და ფურ-

ცელს. ლენინისათვის საპრობილეში მიჰქონდათ წიგნები, ^{ქაბიტალიზმის განვითარება რუსეთში} იგი იჯდა დილიდან ღამემდე და ამზადებდა დიდ წიგნს — „ქაბიტალიზმის განვითარება რუსეთში“. 1897 წლის თებერვალში ლენინი სამი წლით გადაასახლეს აღმოსავლეთ ციმბირში, მინუსინსკის მაზრაში. იქ, სოფელ შუშენსკოეში, ლენინმა სამი წელიწადი გაატარა.

ამ დროს ამიერკავკასიის მუშებს შორის დაიწყო თავისი მოღვაწეობა ლენინის მომავალმა თანამებრძოლმა და პარტიის ბელადმა — ამხანაგმა სტალინმა, რომელიც ლენინზე თითქმის ათი წლით უფრო ახალგაზრდა იყო.

1898 წლის მაისში სოფელ შუშენსკოეს ჩავიდა თავისი დედითურთ ნადეჟდა კონსტანტინეს-ასული კრუჰსკაია. იგიც დააბატონეს „ბრძოლის კავშირის“ საქმეზე და ციმბირს გადაასახლეს.

ლენინი გადასახლებაში ყოფნისას კვლავ ჩაუჯდა წიგნს „ქაბიტალიზმის განვითარება რუსეთში“, რომლის წერა მან საპრობილეში დაიწყო. ლენინმა ამ წიგნით დაამთავრა ნაროდნიკობის იდეური განადგურება, წინასწარ გასკვირბა მუშათა კლასის ბრძოლის და გამარჯვების გზა და დასახა რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის ამოცანები. აქვე, ციმბირში, ლენინმა დაამთავრა მასობრივი წიგნიც — „ახალი საფაბრიკო კანონი“. ეს წიგნაკი დაბეჭდილი იქნა საზღვარგარეთ „შრომის განთავისუფლების“ ჯგუფის მიერ. აქვე ლენინმა დასწერა ცნობილი ბროშურაც „რუსეთის სოციალ-დემოკრატების ამოცანები“, რომელმაც იმ ხანებში მტკიცე მიმართულება მისცა მარქსისტების მუშაობას რუსეთში. გადასახლებაში ყოფნის დროს ლენინმა დასწერა აგრეთვე ჩვენი პარტიის პროგრამის პროექტი.

1899 წელს რუსეთში გამოვიდა „ეკონომისტების“ ჯგუფის მიმართვა. ეს იყო სრული უარისთქმა მარქსიზმზე, უარისთქმა მუშათა კლასის დამოუკიდებელი რევოლუციური პარტიის შექმნაზე, უარისთქმა მუშათა კლასის დამოუკიდებელ პოლიტიკურ მოთხოვნებზე. მიიღო რა თავისი მეგობრების საშუალებით რუსი „ეკონომისტების“ თპორტუნისტული მიმართვა გადასახლებაში ყოფნის დროს, ლენინმა თავი მოუყარა გადასახლებულ მარქსისტებს და მათთან ერთად შეადგინა მკაცრი მამხილებელი პროტესტი, რომელიც ცნობილია „17 სოციალ-დემოკრატის პროტესტის“ სახელწოდებით. პროტესტს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მარქსისტული აზროვნებისა და მარქსისტული პარტიის განვითარების საქმეში.

შემდეგ დაწერილ სტატიაში „უკუხვლითი მიმართულება რუსეთის სოციალ-დემოკრატიაში“ ლენინმა აღნიშნა, რომ „ეკონომისტების“ სახით მოგვევლინენ საერთაშორისო თპორტუნისმის რუსი მიმდევრები, ე.ი. ბურჟუაზიის ხელშემწყობნი.

როცა ლენინი ჯერ კიდევ გადასახლებაში იყო, პრესაში ლეგალურად დაიბეჭდა მისი წიგნი „ქაბიტალიზმის განვითარება რუსეთში“. ლენინის ამ მეცნიერულმა ნაშრომმა დაამთავრა ნაროდნიკობის იდეური განადგურება.

1900 წლის 10 თებერვალს გათავდა ვლადიმერ ილიას-ძის გადასახლების ვადა, ხოლო 11 თებერვალს იგი უკვე გამოემგზავრა შუშენსკოედან. უფაში, მოსკოეში, პეტერბურგში ყოფნის შემდეგ ლენინი გაემგზავრა პსკოვს, სადაც იგი შეხვდა მარქსისტებს და მათთან ერთად განიხილა რევოლუციური გაზეთის „სკრის“ გამოცემის გეგმა, რაც მან ჯერ კიდევ გადასახლებაში ყოფნის

დროს შეადგინა. ლენინი ამ დროს აწყობს თათბირს ათობით ამხანაგებთან და მოსამზადებელ საორგანიზაციო მუშაობას ეწევა. ლენინს მიაჩნდა, რომ მთელი რევოლუციური რუსეთისათვის მარქსისტული მუშათა უმჯობესი შექმნას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს — იგი ხელს შეუწყობს „მარქსისტულ“ და ჯგუფების რევოლუციური მუშაობის გაერთიანებას. ასეთი გაზეთის გამოცემა უმჯობესი იყო საზღვარგარეთ, ხოლო იქიდან არალეგალურად შემოტანა და გავრცელება რუსეთში.

ამის შემდეგ ლენინი საზღვარგარეთ გაემგზავრა, რათა განეხორციელებინა თავისი იდეა საერთო-რუსული გაზეთის შექმნისა.

ლენინმა თავისი მუშაობა საზღვარგარეთ გაზეთ „ისკრის“ ორგანიზაციით, ბექდეთა და გავრცელებით დაიწყო. ლენინური „ისკრიდან“ მალე დიადი რევოლუციური ხანძარი გაჩაღდა.

ლენინის სახელი უმოკლეს დროში გადაიქცა ერთიანი პროლეტარული პარტიის შექმნისათვის ბრძოლის დროშად. „ისკრის“ გამოსვლით დაიწყო დაქუცმაცებულ ჯგუფებისა და წრეებისაგან მუშათა ერთიანი პარტიის ნამდვილად შექმნის პერიოდი.

თავისი შეხედულებანი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იქნას აგებული მუშათა კლასის მებრძოლი პარტია, რევოლუციური მარქსისტული პარტია, ლენინმა ჩამოაყალიბა შესანიშნავ წიგნში „რა ვაკეთოთ?“.

„წიგნის „რა ვაკეთოთ?“ ისტორიული მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ ლენინმა თავის ამ განთქმულ წიგნში:

1) მარქსისტული აზროვნების ისტორიაში პირველმა გააშიშვლა ფესვებამდე ოპორტუნისტების იდეური სათავეები, გვიჩვენა, რომ ისინი უწინარეს ყოვლისა მდგომარეობენ ქედის მოხრაში მუშათა მოძრაობის სტიქიურობის წინაშე და მუშათა მოძრაობაში სოციალისტური შეგნების როლის დამცირებაში;

2) მალლა აიყვანა მნიშვნელობა თეორიისა, შეგნებულობისა, პარტიისა, როგორც სტიქიური მუშათა მოძრაობის გამარეგოლუციურებელი და ხელმძღვანელი ძალისა;

3) ბრწყინვალედ დაასაბუთა ძირითადი მარქსისტული დებულება, რომელიც ამბობს, რომ მარქსისტული პარტია არის მუშათა მოძრაობის შვერთება სოციალიზმთან;

4) მოგვცა მარქსისტული პარტიის იდეოლოგიურ საფუძველთა გენიალური დამუშავება“ (საქ. კ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი, გვ. 46).

ლენინის მოწაფეები ჰქმნიდნენ რევოლუციურ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებს რუსეთში. ლენინურ-ისკრული ორგანიზაციის ფუძემდებელი ამიერკავკასიაში იყო ამხანაგი სტალინი ლ. კეცხოველთან და ს. წულუკიძესთან ერთად. სტალინის უშუალო დახმარებით ლადო კეცხოველმა ბაქოში 1901 წელს მოაწყო არალეგალური სტამბა, რომელშიც სწარმოებდა გაზეთ „ისკრის“ ცალკე ნომრების გადაბეჭდვაც. ამ არალეგალურ სტამბაში იბეჭდებოდა ლენინურ-ისკრული გაზეთი „ბრძოლა“, რომელიც სტალინისა და კეცხოველის ხელმძღვანელობით გამოდიოდა.

ლენინური „ისკრის“ მომხრენი იმ დროს ისკრელებად იწოდებოდნენ; ბოლშევიკებად ისინი იწოდებიან მხოლოდ 1903 წლიდან, პარტიის II ყრი-

ლობის დროიდან, სადაც ლენინმა გააჩაღა ბრძოლა ოპორტუნისტების პროლეტარიატის დიქტატურის, პარტიის წესდების საკითხებზე, ნაციონალურ საკითხზე.

ლენინმა დიდი ძალ-ღონე მოახმარა იმას, რომ უზრუნველყო ^{საქართველოში} გამარჯვება ყრილობაზე. ლენინისა და მტკიცე ისკრელების წინააღმდეგ, რომლებიც მხარს უჭერდნენ ლენინს, უღარესად გააფთრებულ ბრძოლას აწარმოებდნენ მერყევი ისკრელები მარტოვის მეთაურობით, აქსელროდი, აგრეთვე ტროცკი და ყრილობის მთელი ოპორტუნისტული ნაწილი.

პროგრამის განხილვის დროს ოპორტუნისტები გამოდიოდნენ იმის წინააღმდეგ, რომ რსდმპ პროგრამაში შეტანილი ყოფილიყო პუნქტი პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ, მოთხოვნები გლეზობის საკითხზე, ილაშქრებდნენ ერების თვითგამორკვევის უფლების წინააღმდეგ. ლენინმა ყველა ამ გამოლაშქრებას გამანადგურებელი ლახვარი ჩასცა. ყრილობამ მიიღო „ისკრის“ მიერ წარმოდგენილი პროგრამა, რომელიც მუშათა კლასის რევოლუციური პროგრამა იყო.

მაგრამ ლენინს ოპორტუნისტების წინააღმდეგ განსაკუთრებით გააფთრებული ბრძოლის გაწევა დასჭირდა პარტიის წესდების საკითხზე. ყველა მკვეთრი უთანხმოებანი გაიშალა წესდების პირველი პარაგრაფის გამო — პარტიის წევრობის ფორმულირების გამო. უნდა იყოს პარტია ორგანიზაციული მთელი, თუ რაღაც უსახო, ჩამოუყალიბებელი — ასეთი იყო საკითხის არსი, რომლის გარშემო გაჩაღდა ბრძოლა ყრილობაზე. თუ მტკიცე ისკრელებისაგან მერყევი ისკრელების ჩამოშორებამ, მათმა კავშირმა ცენტრთან და მათთან აშკარა ოპორტუნისტების შეერთებამ საშუალება მისცეს მარტოვს გადაეძლია პარტიის წევრობის საკითხის გადაწყვეტის დროს, სამაგიეროდ პარტიის ცენტრალურ დაწესებულებათა საკითხზე თავისი კენჭისყრით ყრილობამ განამტკიცა მარტოვის მომხრეთა დამარცხება და ლენინის მომხრეთა გამარჯვება. „ამ მომენტიდან ლენინის მომხრეებს, რომლებმაც ყრილობაზე არჩევნების დროს ხმების უმრავლესობა მიიღეს, უწოდეს ბოლშევიკები, ხოლო ლენინის მოწინააღმდეგეებს, რომლებმაც ხმების უმცირესობა მიიღეს, უწოდეს მენშევიკები“ (საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი, გვ. 53).

II ყრილობა ვერ აღმოჩნდა სათანადო სიმაღლეზე ორგანიზაციული საკითხების დარგში. მენშევიკები ჯერ კიდევ არ იყვნენ იზოლირებულნი პარტიაში, არ იყვნენ მხილებულნი მუშათა კლასის წინაშე. ეს ამოცანა ყრილობის მიერ არც კი ყოფილა დასმული პარტიის წინაშე. აი რატომ იყო, რომ II ყრილობის შემდეგ ლენინმა უღარესად მწვევე ბრძოლა გააჩაღა მენშევიკების წინააღმდეგ, რომლებსაც მხარი დაუჭირა საერთაშორისო ოპორტუნისტებმა.

ოპორტუნისტების წინააღმდეგ ბრძოლაში ლენინმა დასწერა სახელგანთქმული წიგნი „ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან“, რომელშიც დაამუშავა ბოლშევიკური პარტიის ორგანიზაციული საფუძვლები.

„ამ წიგნის მნიშვნელობა უწინარეს ყოვლისა იმაში მდგომარეობს, რომ მან დაიკვა პარტიულობა წრეობანის წინააღმდეგ და პარტია დეზორგანიზატორების წინააღმდეგ, გაანადგურა მენშევიკური ოპორტუნისტული ორგანიზაციულ საკითხებში და ჩაუყარა ორგანიზაციული საფუძვლები ბოლშევიკურ პარტიას.“

მაგრამ ამით არ ამოიწურება ამ წიგნის მნიშვნელობა. მისი ისტორიული მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ მასში ლენინმა მერქსუნიცისტო-რიაში პირველმა შეიმუშავა მოძღვრება პარტიკულიზმის პროლეტარიატის ხელმძღვანელ ორგანიზაციაზე, როგორც პროლეტარიატის ხელში ძირითად იარაღზე, ურომლისოდაც შეუძლებელია გამარჯვება პროლეტარული დიქტატურისათვის ბრძოლაში“. (საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი, გვ. 62). ასეთ მებრძოლ მუშათა პარტიას ჰქმნიდა ლენინი სწორედ მაშინ, როცა რუსეთს ფართოდ მოედო მუშათა და გლეხთა მოძრაობა.

1904 წელს რუსეთ-იაპონიის ომი დაიწყო. მეფეს უნდოდა ომით ჩაეხშო რევოლუცია. მან საწინააღმდეგო შედეგს მიაღწია. რუსეთ-იაპონიის ომმა რევოლუცია დააჩქარა. რუსეთ-იაპონიის ომის დროს მენშევიკები ობორონცობის პოზიციაზე დაეშენნ, ლენინისა და ბოლშევიკების აზრით კი ომში ცარიზმის დამარცხებას შედეგად მოჰყვებოდა ცარიზმის დასუსტება და რევოლუციის გაძლიერება. ასეც მოხდა.

ლენინი იმ დროს ემიგრანტი იყო და შვეიცარიაში იმყოფებოდა. პეტერბურგში 1905 წლის 9 იანვარს მომხდარი სისხლისღვრის შესახებ პირველი ცნობების მიღებისთანავე ლენინმა სთქვა: ეს არის რევოლუციის დასაწყისი რუსეთში.

დაწყებული რევოლუცია უდიდეს პასუხისმგებლობას აკისრებდა სოციალ-დემოკრატიულ პარტიას. საჭირო იყო თავისი ძალების ორგანიზება, შეთანხმება ბრძოლის ფორმებისა და მეთოდების შესახებ. იმ დროს გაზეთი „ისკრა“, აგრეთვე პარტიის საბჭო მენშევიკებმა ჩაიგდეს ხელში, ხოლო პარტიის ცენტრალური კომიტეტი II ყრილობაზე არჩეული მერყევ. არასწორ ხაზს ატარებდა. და თუ ლენინი ჯერ კიდევ რევოლუციამდე მოითხოვდა III ყრილობის მოწვევას, მით უფრო დაეინებით წამოაყენა მან ეს მოთხოვნა ახლა. ყრილობის რაც შეიძლება მალე მოწვევის მოთხოვნას მხარს უჭერდა პარტიული ორგანიზაციების უმრავლესობა რუსეთში. ყრილობისათვის მომზადების საქმეში განსაკუთრებით დიდი მუშაობა შეასრულეს კავკასიელმა ბოლშევიკებმა აშხანავ სტალინის მეთაურობით.

1905 წლის აპრილს ლონდონში მოწვეულ იქნა რსდმპ III ყრილობა. ეს იყო პირველი მარტოოდენ ბოლშევიკური ყრილობა. მენშევიკებმა უარი განაცხადეს მოსულიყვნენ III ყრილობაზე. იმ დროს, როცა ლონდონში ყრილობა მიმდინარეობდა, მათ ენევაში თავიანთი მენშევიკური კონფერენცია მოაწყეს.

„ორი ყრილობა — ორი პარტია“, ასე განსაზღვრა მდგომარეობა ლენინმა.

III ყრილობა შეიკრიბა რევოლუციის ვითარებაში. მთელს რუსეთში მიმდინარეობდა გაფიცვები, აჯანყება. ყრილობაზე საჭირო იყო ძირითადი საკითხის გადაჭრა: როგორი უნდა იყოს პროლეტარიატის ხაზი რევოლუციაში, როგორ უნდა იქნას უზრუნველყოფილი მუშების გამარჯვება რევოლუციაში. ხოლო ამისთვის საჭირო იყო რევოლუციის ხასიათისა და რევოლუციაში სხვადასხვა კლასის როლის სწორად განსაზღვრა.

მალე III ყრილობის შემდეგ, 1905 წლის ივლისში, ლენინმა დასწერა წიგნი „სოციალ-დემოკრატიის ორი ტაქტიკა დემოკრატიულ რევოლუციაში“, სა-

დაც გააქრტიკა მენშევიკების ტაქტიკა და გენიალურად დასაბუთა ბოლშევიკური ტაქტიკა.

ბოლშევიკების ძირითადი ტაქტიკური დებულება იმაში მდგომარეობდა, რომ რუსეთში ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის ბელადი და ხელმძღვანელი შეიძლება და კიდევაც უნდა იყოს პროლეტარიატი. პროლეტარიატი რევოლუციის ბელადი იქნება, თუ მიიმხრობს თავის მოკავშირეს — გლეხობას.

ეს იყო ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში ტაქტიკის, ბურჟუაზიულ და სოციალისტურ რევოლუციის შორის თანაფარდობის საკითხებში მარქსისტული პარტიის ახალი მიზანდასახულობა, ეს იყო ლენინის მოძღვრება ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციად გადაზრდის შესახებ.

9 იანვრის შემდეგ მთელს რუსეთში ფართოდ გაჩაღდა მუშათა მოძრაობა. მუშათა გაფიცებმა მთელი რუსეთი შეარყია. ქალაქის შემდეგ სოფელიც ამოძრავდა. გამათავისუფლებელი მოძრაობა გაჩაღდა აგრეთვე ჩაგრულ ეროვნებათა შორის — პოლონელებს, უკრაინელებს, ქართველებს, თათრებს, ებრაელებსა და სხვა ეროვნებათა შორის.

1905 წლის ივნისს აჯანყებამ იფეთქა ჯავშნოსან „პოტიომკინზე“. მეფის ფლოტის მეზღვაურთა ამ აჯანყებაში ლენინი ხედავდა „ახალ და დიდ ნაბიჯს თვითმპყრობელობის წინააღმდეგ რევოლუციური მოძრაობის განვითარებაში“. *) ლენინი სულ უფროდაუფრო დაკინებით აყენებს შეიარაღებული აჯანყების მომზადების, დროებითი რევოლუციური მთავრობის შექმნის საკითხს.

1905 წლის შემოდგომაზე რევოლუციური მოძრაობა მთელს რუსეთს მოედო. იგი უდიდესი ძალით იზრდებოდა.

1905 წლის 30 (17) ოქტომბერს გამოქვეყნდა მეფის მანიფესტი, სადაც რევოლუციური მოძრაობის ზრდით დაშინებული მეფე სიტყვით დაპირებას იძლეოდა, რომ ხალხს სამოქალაქო თავისუფლების „ურყევ“ საფუძვლებს მისცემდა, საკანონმდებლო სათათბიროს მოწვევას ჰპირდებოდა.

ოქტომბრის ქარიშხლიან დღეებში, ბრძოლის ცეცხლში მუშათა მასების რევოლუციურმა შემოქმედებამ შექქმნა ახალი მძლავრი იარაღი — საბჭოები. საბჭოებს უდიდესი გავლენა ჰქონდათ, განსაკუთრებით პეტერბურგსა და მოსკოვში.

ნოემბრის დამდეგს ლენინი ენევიდან გაემგზავრა შვეციაში, სტოკჰოლმში, ხოლო იქიდან ფინეთში, ჰელსინგფორსში, საზღვრის მახლობლად დასახლდა და ხშირად ფარულად ჩამოდიოდა პეტერბურგში. ნოემბრის დამდეგიდან ლენინი ენერჯიულ და უშუალო მონაწილეობას იღებს ჩვენი პარტიის პეტერბურგის კომიტეტისა და სხვა კომიტეტების მუშაობაში. იგი გამოდის კრებებზე; მასთან გამუდმებით ჩამოდიან სხვა ქალაქებიდან ამხანაგები, რათა მიიღონ რჩევა, თუ როგორ აწარმოონ ბრძოლა.

ბოლშევიკებმა ისარგებლეს იმით, რომ ოქტომბრის გაფიცვისა და 17 ოქტომბრის მანიფესტის შემდეგ, უწინდელთან შედარებით, უფრო თავისუფა-

*) ლენინი, თხზ. ტ. VII, გვ. 379. რუს. გამოცემა.

ლი წესები დამყარდა და იწყეს პეტერბურგში ლეგალური ბოლშევიკური გაზეთის „ნოვიაია ჟიზნის“ გამოცემა. ლენინმა დასწერა მთელი რეკლამები, რომლებიც მიუთითებდნენ, თუ როგორ უნდა მომზადებულენი დასახლებულნი იყვნენ მასე, რომ ცარიზმის შეიარაღებული დამხობისათვის. 1905 წლის დეკემბერში ლენინი და ნადეჟდა კონსტანტინეს ასული კრუპსკაია უკვე თვით პეტერბურგში დასახლდნენ. მაგრამ ეს ძალიან საშიშარი იყო, და ამხანაგებმა ლენინი დაითანხმეს ფინეთში გადასვლაზე.

1905 წლის დეკემბერს ფინეთში, ტამპერფორსში, შეიკრიბა ბოლშევიკების კონფერენცია. ამ კონფერენციაზე პირველად შეხვდნენ ერთმანეთს პირადად ლენინი და სტალინი.

მანამდე მათ ერთმანეთთან კავშირი დამყარებული ჰქონდათ წერილებით. იგონებდა რა უფრო გვიან ტამპერფორსის კონფერენციაზე ლენინთან თავის პირველ შეხვედრას, ამხანაგი სტალინი სწერდა:

„შესანიშნავი იყო ამ კონფერენციაზე ლენინის მიერ წარმოთქმული ორი სიტყვა: მიმდინარე მომენტზე და აგრარულ საკითხზე. სამწუხაროდ, ისინი არ შენახულან. ეს იყო აღზნებული სიტყვები, რომლებმაც მთელი კონფერენცია უდიდეს ალტაცებაში მოიყვანა.

დარწმუნების არაჩვეულებრივი ძალა, არგუმენტაციის უბრალოება და გარკვეულობა, მოკლე და ყველასათვის გასაგები ფრაზები, არავითარი პრანკვა-გრება, არავითარი თავბრუდამხვევი ექსტები და ეფექტიანი ფრაზები, რომლების მიზანია შთაბეჭდილების მოხდენა, — ყოველივე ეს ხელსაყრელად ასხვავებდა ლენინის სიტყვებს ჩვეულებრივი საპარლამენტო ორატორების სიტყვებისაგან.

მაგრამ მაშინ მე მომზიბლა ლენინის სიტყვების არა ამ მხარემ. მე მომზიბლა ლენინის სიტყვებში ლოგიკის იმ უძლეველმა ძალამ, რომელიც ცოტა მშრალად, მაგრამ სამაგიეროდ საფუძვლიანად იპყრობს აუდიტორიას, თანდათან აღაზნებს მას და შემდეგ ტყვედ მიჰყავს ყველა, როგორც იტყვიან, მთლიანად“.

მოსკოვში უკვე შეიარაღებული აჯანყება დაიწყო. ლენინის რჩევით კონფერენციამ დაჩქარებით დაამთავრა თავისი მუშაობა და დელეგატების უმრავლესობა ადგილზე წავიდ-წამოვიდა, რათა აჯანყებაში აქტიური მონაწილეობა მიეღო.

აჯანყება მაშინ არამარტო მოსკოვში იყო, არამედ იგი მოედო სხვა ქალაქებს, ბალტიისპირა მხარეს, პოლონიეს, საქართველოს, კიშინიუსს. მეფის მთავრობამ დასუსტებული ვესტედიციები გაჰყავნა აჯანყებულ რაიონებში და ცეცხლითა და სისხლით აჭრებდა აჯანყებას.

შეიარაღებული აჯანყების ჩახშობის შემდეგ რევოლუციური მოძრაობა უცბად არ ჩამქრალა. რევოლუცია ჯერ კიდევ არ დამთავრებულა. მასებს უკან დახვევა არა სურდათ, მასები ბრძოლისაკენ მიიწვედნენ. ლენინი და სტალინი მოუწოდებდნენ მათ, ძალები მოეკრიფათ ახალი რევოლუციისათვის.

უფრო წარმატებით რომ ებრძოდნათ, მუშები მოითხოვდნენ პროლეტარიატის პარტიის ერთიანობას, გაერთიანებას. ბოლშევიკები მუშების ამ მოთხოვნას მხარს უჭერდნენ და მენშევიკებს შესთავაზეს გამაერთიანებელი ყრილობის მოწვევა. მუშათა მასების ზეგავლენით მენშევიკები იძულებული გახ-

დნენ დათანხმებულნიყვნენ. მოწვეულ იქნა პარტიის გაერთიანებული კრილო-ბები: 1906 წელს — სტოკჰოლმის IV და 1907 წელს — ლონდონის V კრი-ლობა.

მენშევიკებთან გაერთიანება ლენინს შესაძლებლად მიაჩნდა მხოლოდ ბოლშევიკურ გადაწყვეტილებათა საფუძველზე.

ლენინის მებრძოლ ხელმძღვანელობას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვე-ნი პარტიის შენარჩუნებისათვის რევოლუციის დამარცხების შემდეგ უაღრე-სად მძიმე წლებში.

პარტიამ გარდაჰქმნა თავისი ტაქტიკა, მუშაობის ახალ პირობებში მოქმე-დების თავისი ხაზი, რათა რევოლუციის ახალ აღმავლობას დალოდებოდა და გაემარჯვნა. ბოლშევიკები დაუღალავად იკრფდნენ ძალას რევოლუციური მოძრაობის ახალი აღმავლობისათვის.

მენშევიკები ამ დროს მზად იყვნენ დაეთმოთ ბურჟუაზიისათვის და შე-გუებოდნენ მეფის რეჟიმს, მათ იმის ქადაგებაც კი იწყეს, რომ საჭიროა ჩვენი პარტიის ფარული (არალეგალური), ორგანიზაციის მოსაშობა, ლიკვიდირებაო. ამისათვის მათ უწოდეს ლიკვიდატორები, „სტოლიპინის მუშური პარტია“.

ტროცკი, ისე როგორც ყველა ლიკვიდატორი, წინააღმდეგი იყო არალე-გალური პარტიისა და სოციალ-დემოკრატიის რევოლუციური ღონისძიებისა.

იგი ცდილობდა დაეფარა ლიკვიდატორობა ფრაზებით ბოლშევიკებისა და მენშევიკების „შერიგებისა“ და „გაერთიანების“ შესახებ. ლენინმა ტროცკის უწოდა „იუდეუშკა“, იგი ამბობდა, ტროცკიზმი ლიკვიდატორობის უცუდესი სახეაო. ტროცკიზმს ასეთსავე მკაცრ შეფასებას აძლევდა ამხანაგი სტალინი სოლვიჩევოვსკში გადასახლების დროს ლენინისათვის გაგზავნილ თავის წე-რილში.

ლენინმა გადაწყვეტი ბრძოლა გააჩაღა მენშევიკ-ლიკვიდატორების წინა-აღმდეგ, ჩვენი მებრძოლი პარტიის შენარჩუნებისათვის. საჭირო ხდებოდა მუ-შაობა ჩვენი პარტიის უსასტიკესი პოლიციური დევნის ვითარებაში. ბევრნი, მათ შორის ლენინიც, იძულებული გახდნენ კვლავ საზღვარგარეთ წასული-ყვნენ.

ლონდონის ყრილობის შემდეგ ლენინი ერთხელ კიდევ დაბრუნდა ფინეთ-ში. ამ დროს ბოლშევიკების ნაწილმა ვერ გაიგო ქვეყნის შეცვლილი ვითარე-ბის პირობებში ცარიზმთან ბრძოლის ახალ გზებზე შემობრუნების საჭიროება. ისინი განავრძობდნენ ლაპარაკს შეიარაღებული აჯანყებისათვის მზადებაზე, მოითხოვდნენ, რათა ბოლშევიკებს სახელმწიფო სათათბიროსათვის ბოიკოტი გამოეცხადებინათ. ხოლო როცა სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატები არ-ჩეულ იქნენ, ბოიკოტის მომხრეთა ნაწილი მოითხოვდა სათათბიროდან ამ დე-პუტატების უკან გაწვევას. ამისათვის მათ „ოტზოვისტები“ უწოდეს, ისინი მოითხოვდნენ ჩვენი ამხანაგების გამოწვევას პროვესიული კავშირებიდან და სხვა ამჟამად მოქმედი ორგანიზაციებიდანაც კი. ლენინმა მათ „პირშებრუნე-ბული ლიკვიდატორები“ უწოდა.

რეაქციის მძიმე წლებში, რევოლუციის დამარცხების ოპოზიციურ მიმდი-ნარეობათა დაშლისა და პარტიას ჩამოშორებულ ინტელიგენტების რევიზიო-ნისტულ გამოლაშქრებათა გაძლიერების ვითარებაში, ბოლშევიკებს არ დაუხ-რიათ პარტიული დროშა, მათ შეინარჩუნეს ერთგულება პარტიის მარქსისტუ-

ლი პროგრამისადმი და მოიგერიეს მარქსისტული თეორიის „კრიტიკოსთა“ იერიშები. ლენინმა დაიცვა პარტია და მისი რევოლუციური პრინციპები მარქსიზმის მტრების თავდასხმებისაგან.

შენიშვნა

ლენინის შესანიშნავი წიგნი „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“, რომელიც 1909 წელს გამოვიდა, აჯამებდა ყოველივე მნიშვნელოვანსა და არსებითს, რაც მეცნიერებამ მოიპოვა მარქსისა და ენგელსის გარდაცვალების შემდეგ. ეს წიგნი წარმოადგენდა აგრეთვე მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიული საფუძვლების დაკვას.

1909 წლის ზაფხულში ლენინის დაქინებითი მოთხოვნით ბოლშევიკების რიგებიდან გაძევებულ იქნენ „პირშებრუნებული ლიკვიდატორები“ — „ოტ-ზოვისტები“, ლეთის მშენებლები“ და ყველა სხვა იდეალისტები—მარქსიზმის მტრები. ლენინი აგრეთვე უღმობელად ამხილებდა შემარიგებლებს—ტროცკის აგენტებს: ზინოვიევის, კამენევის, რიკოვისა და სხვებს, რომლებსაც უნდოდათ ბოლშევიკები ლიკვიდატორებში აერიათ.

ლენინი იძულებული იყო 1907 წლის დამლევს კვლავ წასულიყო საზღვარგარეთ (ჯერ სტოკჰოლმს — შვეციაში, შემდეგ ბერლინს — გერმანიაში, მერე ენევეს — შვეიცარიაში). გაზეთ „პროლეტარში“. რომელიც მაშინ ჩვენი პარტიის ცენტრალური ორგანო იყო, იგი დღითი-დღე აწარმოებდა ბრძოლას მუშათა მოძრაობის ამ მტრებთან და ამ მძიმე დროს ეხმარებოდა მუშათა კლასს გამოენახა ბრძოლის სწორი ხაზი. ლენინმა პარიზის მიდამოებში (დაბა ლონ-ჩიუშოში) მოაწყო (1911 წელს) პარტიული სკოლა, სადაც ჩადიოდნენ ჩვენი ამხანაგები რუსეთიდან, მოწინავე მუშები, რომლებიც ფარულად ვადადიოდნენ საზღვარს, რათა ლენინის ხელმძღვანელობით რევოლუციური მუშაობისათვის მომზადებულიყვნენ.

ამ უძნელეს პერიოდში ლენინი პარტიის ძალთა შემკრები იყო. მან შექმნა ბლოკი პლეხანოვთან, რომელიც იმ პერიოდში მხარს უჭერდა არალეგალური პარტიული ორგანიზაციის შენარჩუნებას და ებრძოდა ლიკვიდატორებს.

1912 წლის იანვარში საზღვარგარეთ, პრაღაში, მოწვეულ იქნა სრულიად-რუსეთის პარტიული კონფერენცია. საჭირო იყო პარტიის ბოლომდე გაწმენდა ლიკვიდატორებისაგან. საჭირო იყო მენშევიკებთან და „ემმარცხენე“ ლიკვიდატორებთან კავშირის ფაქტიურად გაწყვეტა ბოლომდე მიგვეყვანა და ჩამოყვალისებულყოფით ცალკე პარტიად — ახალი ტიპის პარტიად, რომელიც განსხვავდებოდა დასავლეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიებისაგან, თავისუფალი იქნებოდა ოპორტუნისტებისაგან და რომელსაც ექნებოდა უნარი გასძლიოდა პროლეტარიატს ზელისუფლებისათვის საბრძოლველად. ეს ამოცანა შეასრულა პრაღის კონფერენციამ. პრაღის კონფერენციაზე 1912 წლის იანვარში არჩეულ იქნა პარტიის ცენტრალური კომიტეტი, რომელშიც შევიდნენ ამხანაგები ლენინი, სტალინი, სვერდლოვი, ორჯონიკიძე, კალინინი, სპანდარიანი და სხვა ბოლშევიკები.

ამ დროს რუსეთში ნათლად დაისახა რევოლუციური მოძრაობის ახალი აღმავლობა, რევოლუციური ტალღის ახალი აზვირთება.

ბოლშევიკებმა შესძლეს დაეწყოთ თავისი მუშური გაზეთის — ჯერ „ზევ-ზდის“, ხოლო შემდეგ „პრავედის“ აშკარად გამოცემა პეტერბურგში.

„პრავდაში“ ბეკრსა სწერდა ამხანაგი სტალინი, რომელიც მისი ერთერთი რედაქტორი და ორგანიზატორი იყო. „პრავდის“ რედაქციის მდივნად იყო ამხანაგი შოლოტოვი.

ლენინი სახელმწიფო სათათბიროში ხელმძღვანელობდა, როგორც პარტიის ბელადი, ჩვენს გაზეთებს, აძლევდა მათ მიმართულებას, ხდიდა მათ მსოფლიოში ყველაზე უფრო მეტბოლო პროლეტარიატის პარტიის საბრძოლო იარაღად.

ლენინი აგრეთვე ხელმძღვანელობდა მუშათა დეპუტატების გამოსვლებს სახელმწიფო სათათბიროში. იგი, ისე როგორც სტალინი, მუდამ სწერდა მათთვის წერილებს, აძლევდა რჩევა-დარიგებას, თუ როგორ მოქცეულიყვნენ, რა საკითხები აღეძრათ სახელმწიფო სათათბიროში განსახილველად.

იმ დროს, როდესაც ლენინი და ბოლშევიკთა მთელი პარტია აგროვებდნენ, რაზმადნენ პროლეტარიატის მთელ მეტბოლო ძალებს, ტროცკიმ 1912 წელს მოაწყო ეგრეთწოდებული „ავვისტოს ბლოკი“ ბოლშევიკებთან საბრძოლველად. ამ კავშირში შევიდნენ ბოლშევიზმისადმი მტრულად განწყობილი ყველა სოციალ-დემოკრატიული მიმდინარეობანი და ჯგუფები. ტროცკი ეხმარებოდა მენშევიკებს მათს ბრძოლაში პროლეტარული პარტიის წინააღმდეგ, ეწეოდა წვრილმან ინტრიგებს, კინკლაობას, ცილსა სწამებდა ბოლშევიკებს. ლენინს უხდებოდა გააფთრებული ბრძოლა ტროცკისთან, რომელსაც იგი „იუდეუშკას“, „ბალალაიკის“ უწოდებდა მისი ორგულობისათვის, მისი უშინაარსო ლაქლაქისათვის. ტროცკის ყოველგვარი ცდა შეეკაწინებინა ანტიპარტიულ ელემენტთა ბლოკი მაშინაც სრული მარცხით დამთავრდა. ბოლშევიკებმა ლენინის ხელმძღვანელობით გაიმარჯვეს და თან გაიყოლიეს მუშათა კლასი.

1912 წლის 17 (4) აპრილს ციმბირის შორეულ ტაიგაში, ლენინს ოქროს საბადოებში, გაფიცვის დროს მეფის ქანდარმთა ოფიცრის ბრძანებით მოკლულ და დაჭრილ იქნა 500-ზე მეტი მუშა. ლენინს ამბები გადაიქცა მთელს ჩვენს ქვეყანაში ფართო მასობრივი რევოლუციური მოძრაობის დასაწყისად.

სახელმწიფო სათათბიროში ბოლშევიკმა დეპუტატებმა გაბედულად დააყენეს ლენინს საბადოებში ცარიზმის მიერ ჩადენილი ბოროტმოქმედების საკითხი.

ამ დროს (1912 წლის ზაფხულში) ლენინი იმისათვის, რომ რუსეთის საზღვართან ახლოს ყოფილიყო და საშუალება ჰქონოდა უფრო ხშირად გაეხილა კავშირი რუსეთში მომუშავე ამხანაგებთან, კრაკოვში დასახლდა. აქ მან თითქმის მთელი წელიწადი იცხოვრა.

ახლა ლენინს საშუალება მიეცა თითქმის ყოველდღე გამოსულიყო სტატიებით „პრავდაში“ და ჟურნალ „პროსვეშჩენიეში“. უბრალო, გასაგები ენით, უბრალო, გულწრფელი სიტყვებით ლენინი განმარტავდა რევოლუციური ამბების აზრს და გვიჩვენებდა ბრძოლის ნამდვილ გზას.

ლენინი და სტალინი ითვალისწინებდნენ იმ უდიდეს მნიშვნელობას, რაც ნაციონალურ საკითხს ექნებოდა პროლეტარული რევოლუციის პერიოდში, ამუშავებდნენ ამ საკითხს როგორც პროლეტარიატის დიქტატურის საერთო საკითხის ნაწილს. ლენინმა დასწერა ორი დიდი ნაშრომი: „ერთა თვითგამორკვევის უფლების შესახებ“ და „კრიტიკული შენიშვნები ნაციონალურ საკი-

თხზე“. ამავე დროს (1913 წელს) ამხანაგმა სტალინმა დასწერა და ბოლშევიკურ ჟურნალ „პროსვეშჩენიეში“ გამოაქვეყნა დიდი ნაშრომი „მხარეების და ნაციონალური საკითხი“, რომელსაც ლენინი ძალიან უსიყვარულად აფასებდა.

მასობრივი გაფიცვები, რაც 1912 წელს ლენინს მუშათა დახვერტის შემდეგ დაიწყო და რაც თითქმის მთელ რუსეთს შოედო, არ სწყდებოდა თვით 1914 წლის იმპერიალისტური ომის გამოცხადებამდე.

მუშათა კლასი შეტევაზე გადავიდა.

ამ ქნელი მდგომარეობიდან ცარიზმმა დროებითი გამოსვლა პპოვა იმპერიალისტურ ომში, რაც 1914 წლის აგვისტოში დაიწყო.

ამ დროს ლენინი ცხოვრობდა სოფელ პორონინოში, ავსტრია-უნგრეთში. ვლადიმერ ილიას-ძე დააბატიმრეს და სატუსალოში ჩასვეს. ნადეედა კონსტანტინეს-ასულ კრუპსკაიას და ზოგიერთი სოციალისტის მეცადინეობის შემდეგ ლენინი გაათავისუფლეს და იგი შვეიცარიაში გადავიდა, რათა განევრძო თავისი რევოლუციური მუშაობა ომის წინააღმდეგ.

ერთადერთი პარტია, რომელმაც მთელი დაუნდობლობით გამოამყლენა დაწყებული ომის იმპერიალისტური ხასიათი, აღმოჩნდა ლენინის მიერ გამობრძმედილი ბოლშევიკური პარტია. დაიწყო თუ არა ომი, ბოლშევიკების პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გამოუშვა მიმართვა ყველა მუშისადმი, გლეხისადმი, ყველა მშრომელისადმი, სადაც აღნიშნავდა: რუსეთის მშრომელთა მასებისათვის „ყველაზე ნაკლები ბოროტება იქნებოდა დამარცხება მეფის მონარქიისა, ყველაზე რეაქციული და ბარბაროსული მთავრობისა, რომელიც სწავრავს ევროპისა და აზიის მეტწილ ერებსა და მეტწილ მასებს მოსახლეობისას“. ბოლშევიკებმა ლენინის მეთაურობით იცოდნენ, რომ ეს დამარცხება რევოლუციას გამოიწვევდა. ბოლშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტი რუსეთში გამოვიდა მოწოდებით: „ძირს ომი!“, „ომი ომს!“, „გაუშვარჯოს რევოლუციას!“.


შვეიცარიიდან ლენინი რუსეთში ჰგზავნის თავის თეზისებს ომის შესახებ. ამასთანავე იგი იწყებს ბრძოლას ობორონცებთან, რომელნიც იმის მოხრენი იყენენ, რომ თვითულ ცალკე ქვეყანაში თავიანთ ბურჟუაზიას დახმარებოდნენ ომის წარმოებაში. ასეთი ობორონცები აღმოჩნდნენ მენშევიკები პლუხანოვის მეთაურობით.

ლენინი ხედავდა, რომ II ინტერნაციონალი როგორც რევოლუციური ორგანიზაცია მუშათა კლასისა მოკვდა და ამიტომ 1914 წლის ნოემბერში ლენინმა ძირითად ამოცანად დააყენა — ახალი, III ინტერნაციონალის, კომუნისტური ინტერნაციონალის შექმნა. იმპერიალისტური ომის დროს ლენინმა შესძლო შეეკრიბა ყველა ქვეყანაში ისეთი ადამიანები, რომელთაც უნარი ჰქონდათ აეშენებინათ მუშათა კლასის ახალი რევოლუციური ორგანიზაცია.

1915 წლის სექტემბერში ლენინი დაბრუნდა შვეიცარიიდან. იმპერიალისტური ომის შემდეგ მისი მუშაობა „მთაბა“ № 47-48-ს უკავშირდება.

10543 3630

საქართველოს მემორიალი
საქართველოს მემორიალი
საქართველოს მემორიალი



რიბა იმ სოციალისტთა პირველი თათბირი, რომლებიც ომის წინააღმდეგ ილაშქრებდნენ; ამ თათბირში ლენინმა აქტიური მონაწილეობა მიიღო. 1916 წლის აგვისტოში ლენინმა მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა ქვეყნების სოციალისტების თათბირში, რომელიც მოწვეული იყო კინტალში (შვეიცარია). ომის დროს ლენინმა დასწერა ერთერთი თავისი შესანიშნავი წიგნი — „იმპერიალიზმი როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია“. ამ წიგნში ლენინმა, მოგვცა რა ბრწყინვალე ანალიზი იმპერიალიზმისა, როგორც კაპიტალიზმის განვითარების უკანასკნელი სტადიისა, დაგვანახვა, რომ კაპიტალიზმის არათანაბარი განვითარების შედეგად ზდება იმპერიალისტური ომები, რომლებიც ასუსტებენ კაპიტალიზმს და შესაძლებელს ჰხდიან გაწყვეტილ იქნას იმპერიალიზმის ჯაჭვი ერთ რგოლში, სადაც იგი ყველაზე სუსტი აღმოჩნდება. ამხანაგმა ლენინმა ჯერ კიდევ 1915 წელს დაწერილ ნაშრომებში დაამტკიცა სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობა თავდაპირველად ერთს ან რამდენიმე ცალკეულ ქვეყანაში. ეს იყო სოციალისტური რევოლუციის ახალი დამთავრებული თეორია.

1917 წლის 16 აპრილს — რუსეთის თებერვლის რევოლუციიდან ორ თვეზე ნაკლები ხნის გასვლის შემდეგ — ლენინი ემიგრაციიდან დაბრუნდა. პეტერბურგში, ფინეთის ვაგზალზე ბოლშევიკური პარტიის ბელადის შესახებ ვედრად შეიკრიბნენ მუშების, ჯარისკაცებისა და მატროსების დიდძალი მასები. ვაგზალზე ჯავშნოსანიდან ლენინმა წარმოსთქვა თავისი შესანიშნავი სიტყვა და გამოვიდა საბრძოლო მოწოდებით: „გაუმარჯოს მსოფლიო სოციალისტურ რევოლუციას!“

პეტროგრადს ჩამოსვლის მეორე დღესვე, 17 (4) აპრილს, ლენინი გამოვიდა მუშათა და ჯარისკაცთა დემუტატების საბჭოების სრულიად რუსეთის კონფერენციის წევრების, ბოლშევიკთა თათბირზე, მერმე კი განიმეორა მოხსენების თეზისები კრებაზე, სადაც, ბოლშევიკების გარდა, მენშევიკებიც ესწრებოდნენ. ეს იყო ლენინის შესანიშნავი აპრილის თეზისები. ლენინის აპრილის თეზისები სახადენენ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციიდან სოციალისტურ რევოლუციაში გადასვლისათვის პარტიის ბრძოლის გენიალურ გეგმას. ლენინის თეზისების წინააღმდეგ გამოდიოდნენ გამცემლები კამენევი, რიკოვი და სხვები, რომლებიც კულში მისჩანჩალებდნენ ბურჟუაზიას, მხარს უჭერდნენ კაპიტალიზმის შენარჩუნებას. ბოლშევიკები დაირაზმნენ ლენინის გარშემო, მიიღეს მისი თეზისები, როგორც მოქმედების საბრძოლო პროგრამა. მილიონობით მუშებმა, ჯარისკაცებმა და გლეხებმა იწყეს ბოლშევიკების მხარეზე გადასვლა.

პეტროგრადში ასიათასობით მუშათა და ჯარისკაცთა იენის-ივლისის გამოსვლებმა (1917 წელს) ცხადპყვეს, რომ ლენინის ლოზუნგებს, ჩვენი პარტიის ლოზუნგებს გამოეხმაურნენ უფართოესი მასები. „მთელი ძალაუფლე-

ბა საბჭოებს!“, „ძირს კაპიტალისტი მინისტრები!“, ეს ლოზუნგები იყო წარწერილი ყველა დროშაზე.



დროებითმა მთავრობამ მენშევიკებისა და ესერების მხარდაჭერით და გადაეცა უაღრესად საზოგადოებრივი ნაბიჯი: დაეპატიმრებინა ლენინი და ბოლშევიკთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის სხვა წევრები. ბევრი ამხანაგი დაეპატიმრეს, მათ შორის ცენტრალური კომიტეტის წევრებიც.

ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო ამხანაგ სტალინის წინადადება იმის შესახებ, რომ ლენინი არ გამოცხადებულყო კონტრევოლუციური ბურჟუაზიის სამსჯავროში. ლენინი დამალეს რაზლივის სადგურის ახლოს, პეტროგრადის მახლობლად.

იმალემა რა კარავში, ლენინი სწერს ბროშურას „შეინარჩუნებენ თუ არა ბოლშევიკები სახელმწიფო ძალაუფლებას?“, რომელშიც დაწერილებით სახავეს ჩვენი პარტიის ძირითად ამოცანებს აჯანყების ხელმძღვანელობის საქმეში და პროლეტარული სახელმწიფოს პირველ ნაბიჯებს ძალაუფლების დაპყრობის შემდეგ.

დროებითი მთავრობის მადებრების მიერ დევნილ ვლადიმერ ილიასძეს არ შეეძლო დასწრებოდა პარტიის VI ყრილობას, რომელიც 1917 წლის ივლისის დამლევს — აგვისტოს დამდეგს შესდგა; მაგრამ იგი არალეგალურ მდგომარეობაში მყოფი ხელმძღვანელობდა მას თავისი თანამებრძოლების — სტალინის, სვერდლოვის, მოლოტოვის, ორჯონიკიძის მეშვეობით.

ყრილობაზე ამხანაგი სტალინი თავის მოხსენებაში აღნიშნავდა, რომ რევოლუცია თავისი ხასიათის მიხედვით ხდება სოციალისტური, რომ აღარ არსებობს რევოლუციის მშვიდობიანი განვითარების შესაძლებლობა, ხელისუფლება უნდა ავიღოთ ძალით, დავამხოთ დროებითი მთავრობა. პარტიის მეექვსე ყრილობამ წარმართა პარტია შეიარაღებული აჯანყებისაკენ, სოციალისტური რევოლუციისაკენ. ყრილობამ ერთსულოვნად უარჰყო პრეობრაჟენსკის და ბუხარინის ტროცკისტული მტკიცება რუსეთში პროლეტარული რევოლუციის შეუძლებლობის შესახებ. ამხანაგმა სტალინმა თავის გამოსვლაში სთქვა:

„გამჭირვებული არ არის შესაძლებლობა, რომ სახელდობრ რუსეთი იქნება სოციალიზმისაკენ გზის გამკაფავი ქვეყანა... საჭიროა უკუვადოთ დრო-მოკმული წარმოდგენა იმის შესახებ, რომ მხოლოდ ევროპას შეუძლია მიგვითითოს გზა. არსებობს მარქსიზმი დოგმატური და მარქსიზმი შემოქმედებითი. მე ვდგევარ უკანასკნელის ნიადაგზე“. (რსდმპ (ბ) VI ყრილობის ოქმები, გვ. 233-234).

კონტრევოლუციური დროებითი მთავრობა და თეთრგვარდიელები გაძლიერებით დაეძებნენ ლენინს. ლენინი რომ გამხეტებელი თეთრგვარდიელებისაგან გადაერჩინათ, გადასწყდა გადაეყვანათ იგი ფინეთში. ვლადიმერ

ილიას-ძე ჰელსინგფორსში დაბინავდა. აქ იგი ამთავრებს თავის დიდ ნაშრომს „სახელმწიფო და რევოლუცია“. რევოლუციური ამბებზე, ელენისებური სისწრაფით ვითარდება. ლენინი ჰელსინგფორსიდან გადადის ჰანკოში, რათა უფრო ახლოს იყოს პეტროგრადთან.

16-20 ოქტომბერს ლენინმა ცენტრალურ კომიტეტს, მოსკოვისა და პეტროგრადის კომიტეტებს და პიტერისა და მოსკოვის საბჭოების წევრ ბოლშევიკებს დაუგზავნა წერილი, რომლითაც მოუწოდებდა დაუყოვნებლივ აეღოთ ხელისუფლება.

20(7) ოქტომბერს ლენინი გადმოდის პეტროგრადში და 23(10) ოქტომბერს ცენტრალური კომიტეტი ლენინის წინადადებით იღებს გადაწყვეტილებას შეიარაღებული აჯანყების შესახებ. გამცემელი ზინოვიევი და კამენევი ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილების წინააღმდეგ გამოდიან. ისინი მოლაღატურად უმხელენ კონტრრევოლუციურ ბურჟუაზიას ცენტრალური კომიტეტის საიდუმლო დადგენილებას შეიარაღებული აჯანყების შესახებ, უმხელენ შტერს აჯანყების გეგმასა და ვადებს. ლენინმა ცენტრალური კომიტეტისათვის გაგზავნილი სპეციალური წერილით პირდაპირ მოითხოვა კონტრრევოლუციის ამ საზიზღარი თანამონაწილეების გარიცხვა პარტიიდან. ლენინი და სტალინი გადაპირით გამოდიან ტროცკის გამცემლობის წინააღმდეგ, ტროცკისა, რომელიც უარყოფდა აჯანყების სამხედრო-ტექნიკურ მომზადებას და რომელმაც ბურჟუაზიას წამოუყრანტალა შეიარაღებული აჯანყების თარიღი.

6 ნოემბერს ლენინი კვლავ სწერს წერილს ცენტრალური კომიტეტის წევრებს და მოითხოვს დაუყოვნებლივ შეიარაღებულ გამოსვლას.

6 ნოემბერს ღამით ლენინი ისე ჩაცმული, რომ იგი ვერავის ეცნო, მოვიდა სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის შტაბში სმოლნში, და იქ ამხანაგ სტალინთან ერთად მაშინვე შეუდგა დაწყებული აჯანყების უშუალო საბრძოლო ხელმძღვანელობას. ბოლშევიკებმა 6 ნოემბერს ღამით (25 ოქტემბერს) სწრაფად დაიკავეს ყველა მნიშვნელოვანი პუნქტი პეტროგრადში: ტელეგრაფი, ტელეფონი, პეტრე-პავლეს ციხე, ზამთრის სასახლე, სადაც დააპატიმრეს დროებითი მთავრობა და გაანადგურეს იუნკრები. ამხანაგები ლენინი და სტალინი სმოლნიდან ხელმძღვანელობდნენ შეიარაღებულ აჯანყებას.

7 ნოემბერს გამოქვეყნდა ლენინის მიერ დაწერილი მიმართვა რუსეთის ყველა მოქალაქისადმი, რომლითაც პეტროგრადის საბჭოს სამხედრო-რევოლუციური კომიტეტი იუწყებოდა, რომ „დროებითი მთავრობა დამნობილია. სახელმწიფო ძალა-უფლება გადავიდა პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს ორგანოს — სამხედრო რევოლუციური კომიტეტის ხელში, რომელიც სათავეში უდგას პეტროგრადის პროლეტარიატსა და გარნიზონს“. (ლენინი ტომი XXII გვ. I).

მ ნოემბერს საბჭოების II ყრილობამ ლენინის წინადადებით, მიიღო დეკრეტი ზავის შესახებ და დეკრეტი მიწის შესახებ, რომლებიც დადგინებული იყო გაუქმებულია მემამულური მიწის საკუთრება ყოველგვარი გამოსყიდვის გარეშე.

ღამით მიღებულ იქნა დადგენილება მუშურ-გლეხური მთავრობის — სახალხო კომისართა საბჭოს შექმნის შესახებ. სახკომსაბჭოს სათავეში ჩაუდგა ვ. ი. ლენინი. ეროვნებათა საქმეების სახალხო კომისრად არჩულ იქნა ი. ბ. სტალინი.

ამ მომენტიდან დაიწყო რუსეთის ახალი ისტორია, პროლეტარული მთავრობის ახალი ისტორია, მსოფლიო სოციალისტური რევოლუციის ისტორია. ბოლშევიკების წინააღმდეგ ამხედრდა მთელი ძველი მსოფლიო.

ამიტომ ბოლშევიკებს, რომელნიც ძალა-უფლებას სათავეში ჩაუდგნენ, პირველი მომენტიდანვე როგორც სამეურნეო, ისე სამხედრო ხასიათის დიდი სიძნელეები გადაეღობა წინ. ვებერთელა ქვეყნის მართვა-გამგებლობისათვის თავის გართმევა ძნელი იყო აგრეთვე იმიტომ, რომ საჭირო იყო მთელი ძველი სახელმწიფო აპარატის, მთელი ძველი სახელმწიფო მანქანის დამსხვრევა. საბჭოთა ხელისუფლება თანდათანობით ახორციელებდა ღონისძიებებს, რომელთა საშუალებით მეურნეობის გამგებლობა მუშათა კლასის ხელში გადადიოდა.

ამავე დროს საჭირო იყო ჩვენი ქვეყნის თავდაცვის გაძლიერებაც. პროლეტარული დიქტატურის აპარატის, სახელმწიფოს მმართვეა-გამგებლობის ახალი აპარატის, ახალი სახელმწიფო მანქანის შექმნას, სოციალისტური მეურნეობის მოწყობას და წითელი არმიის შექმნას ხელმძღვანელობდა ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი.

ლენინი ხელმძღვანელობდა ჩვენს სახელოვან მებრძოლ პარტიას; ეყრდნობოდა რა რევოლუციისადმი ერთგული მუშებისა და გლეხების დახმარებას, მან მოაწყო მუშათა და გლეხთა პირველი სახელმწიფო.

ჩვენი ქვეყანა შეუდგა სოციალისტური მეურნეობის შენებას და წარმატებით იცავდა თავს მრავალრიცხოვანი, ტექნიკურად გაცილებით უფრო ძლიერი მტრებისაგან. მტრები ყველგან წამოჰყოფდნენ ხოლმე თავს. ომი ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული. ლენინის აზრით საჭირო იყო ზავის დადება, თუნდაც მძიმე ზავისა, ოღონდ კი ხელფეხი გახსნილი გვექონოდა, ოღონდ კი თავიდან მოგვეშორებინა ომი და შესვენება მიგველო.

ყველა კონტრრევოლუციონერი, დაწყებული მენშევიკებით და ესერვებით და გათავებული ყველაზე აშკარა თეთრგვარდიელებით, გააფთრებულ აგიტაციას ეწეოდნენ ზავის ხელმოწერის წინააღმდეგ. მათი ხაზი აშკარა იყო: მათ ჰსურდათ ჩაეშალნათ საზავო მოლაპარაკება, პროვოკაციულად გამოეწვიათ გერმანელების შემოტევა, რათა გერმანელი იმპერიალისტების შემწეობით მოეპოათ საბჭოთა ხელისუფლება.

ამ შეხებულ საქმეში მათი მოკავშირეები აღმოჩნდნენ მოღვაწეობის უფრო და მისი დამკვეთი ბუხარინი, რომელიც რადეკთან და პიატაგორასთან ერთად სათავეში უდგა პარტიისადმი მტრულად განწყობილ ჯგუფს, რომელიც თავის თავს შენიღების მიზნით „მემარცხენე კომუნისტთა“ ჯგუფს უწოდებდა.

1918 წლის 10 თებერვალს საზავო მოლაპარაკება ბრესტ-ლიტოვსკში შესწყდა. მიუხედავად იმისა, რომ ლენინი და სტალინი დაეინებით მოითხოვდნენ ზაეზე ხელის მოწერას, ტროცკიმ, რომელიც საბჭოთა დელეგაციის თავმჯდომარე იყო, გამცემლურად დაარღვია ბოლშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირდაპირი დირექტივები.

„23 თებერვალს ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინა გერმანელთა სარდლობის პირობების მიღება და საზავო ხელშეკრულებაზე ხელისმოწერა. ტროცკისა და ბუხარინის გამცემლობა საბჭოთა რესპუბლიკას ძვირად დაუჯდა“. (საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი გვ. 264).

1918 წლის 6 მარტს მოწვეულ იქნა პარტიის VII ყრილობა. ყრილობამ მიიღო ლენინის რეზოლუცია ზავის დაუყოვნებლივ დადების შესახებ.

ლენინისა და მთელი ჩვენი პარტიის რკინისებურ ნებისყოფით შექმნილი იქნა გმირული წითელი არმია. მისი ორგანიზატორები იყვნენ ლენინი, სტალინი, ვოროშილოვი, ფრუნზე. წითელმა არმიამ გაანადგურა მტრები. ამას ხელი შეუწყო აგრეთვე იმან, რომ უცხოეთის არმიებში ჩვენს წინააღმდეგ გამოგზავნილი მუშები და გლეხები ჩვენ გვეხმარებოდნენ.

მაგრამ ეს გამარჯვება ერთბაშად როდი მოვიპოვეთ. მხოლოდ 1919 წელს საბჭოთა ჯარმა, რომელიც ხელმძღვანელობდა ამხანაგ სტალინის მიერ შემუშავებული გეგმით, გაანადგურა ურალზე კოლჩაკი და განდევნა იგი აღმოსავლეთისაკენ, ირკუტსკამდე, სადაც კოლჩაკი ტყვედ ჩაიგდეს და დახვრიტეს. გაცილებით უფრო გვიან ბოლშევიკებმა აღმოსავლეთიდან გარეკეს იაპონიის ჯარი; გაანადგურეს დუტოვიც, კრასნოვიც, პეტლიურაც, კულაკი ბანდიტი მანროც. წითელმა არმიამ, რომელიც სტალინის გეგმით ხელმძღვანელობდა, ამხანაგ სტალინის უშუალო წინამძღოლობით გაანადგურა დენიკინი და იუდენიჩი. განდევნეთ იმპერიალისტები ჩრდილოეთიდანაც და დასავლეთიდანაც — ყოველი მხრიდან. ჩვენი უკანასკნელი ბრძოლა იყო პოლონეთის ფრონტზე და ბარონ ვრანგელის წინააღმდეგ ყირიმში. წითელმა არმიამ ბარონ ვრანგელიც გაანადგურა. ასე იქნა განადგურებული ანტანტის იმპერიალისტთა სამი ლაშქრობა.

საბჭოთა ხელისუფლების მოსისხლე მტრები — მემამულეები, კაპიტალისტები და კულაკები, ესერებისა და მენშევიკების წერილობით-რეალური პარტიები, რომლებიც კაპიტალისტებს, მემამულეებსა და კულაკებს ეხმარებოდნენ, აწყობდნენ გეგმებს, თუ როგორ მოესპოთ საბჭოთა ხელისუფლება, როგორ მოესპოთ ლენინი. და აი ესერებმა გადასწყვიტეს — მოჰკლან ლენინი.



როგორც ეს „მემარჯვენე-ტროცკისტული ცენტრის“ პროცესის მახალე-ბიდან სჩანს, ამ საშინელი, ვერაგული აქტის ჩადენას ესეუფლებმა ჩვენი ბუბარინთან და ტროცკისთან შეთანხმებით.

1918 წლის 30 აგვისტოს ლენინი გამოდიოდა მიტინგზე ზამოსკვორჩიეს რაიონში ყოფ. მიხელსონის ქარხანაში (ამჟამად ილიჩის სახელობის ქარხანა). მქუხარე ტაშის გრიალში ჩამოვიდა ლენინი ტრიბუნიდან. როდესაც ლენინი მუშებს გამოემშვიდობა და ავტომობილში ჩაჯდომას აპირებდა, ესერმა ქალმა კაპლანმა მას ოთხი ტყვია ესროლა.

ლენინი მძიმედ დაიჭრა. მთელი ქვეყანა დაძაბულად ადევნებდა თვალს ლენინის ავადმყოფობის მიმდინარეობას. ლენინს რკინისებური ჯანმრთელობა რომ არ ჰქონოდა, იგი ვერ გადაიტანდა მძიმე ჭრილობას.

რა სასიხარულო იყო მთელი ჩვენი ქვეყნისათვის პირველი ცნობა ლენინის გამოჯანმრთელების შესახებ. ლენინი კვლავ ჩვენთან არის, ჩვენ გავიმარჯვებთ!

ლენინის უდიდეს დამსახურებას წარმოადგენს მის მიერ III კომუნისტური ინტერნაციონალის შექმნა. კომუნისტური ინტერნაციონალის შექმნაში ლენინს ეხმარებოდნენ თავისი ამხანაგები ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტიდან, მას ამ საქმეში ეხმარებოდნენ პროლეტარიატის ერთგული რევოლუციონერები სხვადასხვა ქვეყნებში, მას ეხმარებოდა მთელი ჩვენი პარტია.

ლენინი საფუძველს უყრიდა III ინტერნაციონალს სოციალ-შოვინისტებთან ვადამწყვეტ ბრძოლაში. ლენინი, აერთიანებდა რა ინტერნაციონალისტებს, აკრიტიკებდა II ინტერნაციონალის მემარცხენეთა არათანმიმდევრულობას, მათს ნახევრადმენშევიკურ შეცდომებს, უბიძგებდა მემარცხენებს ოპორტუნისტებისაგან ვათიშვისაგან.

კომუნისტური ინტერნაციონალის I ყრილობა (კონგრესი) მოწვეული იყო მოსკოვში 1919 წლის მარტში. 6 მარტს ლენინი გამოვიდა სიტყვით კომუნისტური ინტერნაციონალის დაარსების შესახებ.

ლენინის მიერ დაარსებული კომუნისტური ინტერნაციონალი უდიდეს ძალად გადაიქცა ლენინის სიცოცხლეში, იგი კიდევ უფრო მრისხანე ძალად გაიზარდა ლენინის გარდაცვალების შემდეგ.

დამთავრდა სამოქალაქო ომი. საბჭოთა ქვეყანამ იწყო მშვიდობიანი სამეურნეო მშენებლობის რელსებზე გადასვლა. სიძნელეები ძალიან დიდი იყო ოთხი წლის იმპერიალისტური ომისა და ინტერვენციასთან სამი წლის ომის შედეგად სახალხო მეურნეობა დანგრეული იყო.

სამოქალაქო ომის ქირცეცხლში გამოიბრძმედა მუშათა და გლეხთა კავშირი. სამხედრო კომუნიზმმა უზრუნველყო გამარჯვება სამოქალაქო ომში. მაგრამ ომი დამთავრდა და სამხედრო კომუნიზმის პოლიტიკა აღარ შეესაბამებოდა საბჭოთა ხალხის ამოცანებს. საჭირო იყო ბრძოლის გზის შეცვლა.

სამხედრო კომუნიზმი იმის ცდა იყო, რომ იერიშით აგველო კაპიტალისტური ელემენტების სიმაგრე ქალაქსა და სოფელში. ლენინმა მსოფლიოთა, რომ „იერიშიდან“ „ალყაზე“ უნდა გადავიდეთო. ლენინმა წინადადება მოგვცა გაგვეუქმებინა სასურსათო გაწერა და დაგვეწესებინა სასურსათო გადასახადი, ნება დაგვეერთო პურითა და სხვა პროდუქტებით თავისუფალი ვაჭრობისათვის, უკეთ მოგვეწყო ვაჭრობა, გარდაგვექმნა კოოპერაცია.

„ლენინი სთვლიდა, რომ საქონელ-ბრუნვის ერთგვარი თავისუფლება გააძლიერებს გლეხის სამეურნეო დაინტერესებას, გაადიდებს მისი შრომის ნაყოფიერებას და გამოიწვევს სოფლის მეურნეობის სწრაფ აღმავლობას, რომ ამ საფუძველზე აღდგენილი იქნება სახელმწიფო მრეწველობა და განიდევნება კერძო კაპიტალი, რომ ძალებისა და სახსრების დაგროვებით შეიძლება მძლავრი ინდუსტრიის — სოციალიზმის ეკონომიური საფუძვლის — შექმნა და შემდეგ გადამწყვეტ შეტევაზე გადასვლა, რათა მოსაზობილ იქნას კაპიტალიზმის ნაშთები ჩვენს ქვეყანაში“. (საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი, გვ. 311).

ჩვენი ქვეყნის ცხოვრებისათვის ამ პასუხსავე მომენტში ანტიპარტიულმა ჯგუფებმა ტროცკის მეთაურობით კვლავ დაიწყეს ბრძოლა პარტიის წინააღმდეგ.

1921 წლის მარტში პარტიის X ყრილობამ მთლიანად მიიღო ლენინის წინადადება ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე გადასვლის შესახებ. მთელმა პარტიამ, მთელმა ჩვენმა ქვეყანამ დაუპირეს მხარი ლენინს და იწყეს მის მიერ წამოყენებული ახალი ეკონომიური პოლიტიკის გატარება.

სულ რაღაც ერთმა წელმა განვლო, ხოლო ჩვენს ქვეყანაში მდგომარეობა იმდენად გაუმჯობესდა, რომ ლენინს 1922 წელს შეეძლო განეცხადებინა, უკან დახევა დამთავრდა, ჩვენ ვიწყებთ ახალ შეტევასო. ახალი შეტევა სწარმოებდა კაპიტალიზმის მთელი ნაშთების წინააღმდეგ, კულაკობის წინააღმდეგ მეურნეობის სრული სოციალისტური გარდაქმნისათვის. ომით დანგრეული მეურნეობის აღდგენა არ შეიძლებოდა ძველ საფუძველზე, საჭირო იყო ახალი საძირკველი შეგვექმნა მთელი ჩვენი ეკონომიკისათვის. ეს საძირკველი იყო ახალი ტექნიკა, რომელიც უნდა აგვეშენებინა. შემუშავებულ იქნა ელექტროფიკაციის პირველი ათწლიანი გეგმა — მთელს ჩვენს ქვეყანაში მძლავრი ელექტროსადგურების აშენების გეგმა იმისათვის, რომ მიგვეცა ქვეყნისათვის ელექტრონის სინათლე, იაფი მამოძრავებელი ძალა, იაფი სითბო. ლენინის სამეურნეო გეგმის განუყრელ ნაწილს შეადგენს სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია, როგორც კოოპერაციის უმაღლესი ფორმა.

„კოოპერაციაში საერთოდ, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციაში განსაკუთრებით, ლენინი ხედავდა წერილი ერთპიროვნული მეურნეობიდან მსხვილ ამხანაგურ საწარმოო გაერთიანებებზე — კოლმეურნეობებზე გადასვლის გზას,

მისაწვდომსა და გასაგებს გლახთა მილიონებისათვის. ლენინი მიუთითებდა, რომ სოფლის მეურნეობის განვითარება ჩვენს ქვეყანაში უნდა შევიდეს კოლპერაციის მეშვეობით სოციალისტურ მშენებლობაში გლახთა ჩაბმის გზით სოფლის მეურნეობაში კოლექტივიზმის საფუძვლების თანდათანობით დაწერვის გზით, ჯერ გასაღების დარგში, ხოლო შემდეგ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების დარგში. ლენინი მიუთითებდა, რომ პროლეტარიატის დიქტატურისა და გლახობასთან მუშათა კლასის კავშირის დროს იმ დროს, როდესაც პროლეტარიატისათვის უზრუნველყოფილია ხელმძღვანელობა გლახობის მიმართ, სოციალისტური მრეწველობის არსებობის დროს, — სწორად ორგანიზებული საწარმოო კოოპერაცია, რომელიც გლახობის მილიონებს მოიცავს, — წარმოადგენს იმ საშუალებას, რომლის დახმარებითაც შესაძლებელია ჩვენს ქვეყანაში სრული სოციალისტური საზოგადოების აშენება“ (საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი, გვ. 317-318).

თავის მოხსენებაში სოფლად მუშაობის შესახებ პარტიის VIII ყრილობაზე 1919 წლის მარტში ლენინი ამბობდა: „ჩვენ რომ შეგვეძლოს მიეცეთ ხელ 100 ათასი პირველხარისხოვანი ტრაქტორი, მოვამარაგოთ ისინი ბენზინით, მოვამარაგოთ ისინი მემანქანეებით (თქვენ მშვენიერად იცით, რომ ჯერ-ჯერობით ეს ფანტაზიაა), მაშინ საშუალო გლახი იტყოდა: „მე მხარს ვუჭერ კომუნისს“ (ე. ი. კომუნისმსა*) — ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით პარტიამ სინამდვილედ აქცია ლენინის ოცნება. არა ასე, არამედ ხუთასი ათასი პირველხარისხოვანი ტრაქტორი, ორასი ათასი ავტომობილი და თითქმის ამდენივე კომბაინი და სხვა რთული სასოფლო-სამეურნეო მანქანები მუშაობს ახლა სოციალისტურ მინდვრებზე. გლახურ მეურნეობათა 90 პროცენტზე მეტი კოლექტივიზებულია. მთლიანი კოლექტივიზაციის საფუძველზე პარტიამ და საბჭოთა ხელისუფლებამ მოახდინეს ქვეყნის უკანასკნელი კაპიტალისტური კლასის — კულაკობის ლიკვიდაცია. ეს იყო უდიდესი რევოლუცია, გადატრიალება, რომელიც თავისი შედეგებით 1917 წლის ოქტომბრის გადატრიალებას უდრის.

ლენინი იყო ყველა ხალხის მეგობარი. მეფის რუსეთი ხალხთა საპატიმრო იყო, იქ არსებობდა უთანასწორობა, მრავალი ეროვნების ჩაგვრა.

ლენინი მთელს თავის სიცოცხლეში იბრძოდა იმისათვის, რომ შეეერთებინა სხვადასხვა ეროვნების, ყველა ეროვნების მუშათა კლასი და მშრომელები ერთ საერთო კავშირად.

ლენინი ხშირად იგონებდა პროლეტარიატის უდიდესი წარმომადგენლების, ჩვენი მასწავლებლების მარქსისა და ენგელსის სიტყვებს, რომ „არ შეიძლება თავისუფალი იყოს ის ხალხი, რომელიც სხვა ხალხებს სჩაგრავეს“.

*) ლენინი, ტ. XXIV, გვ. 170. რუს. გამოცემა.

საბჭოთა სახელმწიფოში, ყველა ეროვნებას მიეცა შესაძლებლობა რომ აშენოს თავისი თავისუფალი ცხოვრება. ამ მუშაობაში ლენინს დიდი დახმარება გაუწია ამხანაგმა სტალინმა, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში ეროვნებათა საქმეების სახალხო კომისარი იყო და ბევრი რამ გააკეთა სსრ კავშირის ხალხთა დიადი მეგობრობის შესაქმნელად.

უდიდესი მუშაობა, რასაც ლენინი ეწეოდა, გაჭირვება, რომელიც მან არალეგალური მუშაობის დროს გადაიტანა, დაპატიმრება, გადასახლება, მძიმე ჭრილობა, რომელიც მან 1918 წლის 30 აგვისტოს მიიღო, დაძაბული მუშაობა ასუსტებდა მის ძალას.

1922 წლის მაისიდან ე. ი. ლენინი ავად გახდა. ავადმყოფობა დროებითი შენელების შემდეგ კვლავ ვითარდებოდა. 1924 წლის 21 იანვარს 6 საათსა და 50 წუთზე ლენინი გარდაიცვალა.

1924 წლის 23 იანვარი ლენინის უკანასკნელი გზა იყო გორკიდან მოსკოვს. საბჭოების მთელი დიადი ქვეყანა, დედამიწის მთელი მშრომელი კაცობრიობა ჰგლოვებდა.

ლენინი გარდაიცვალა, მაგრამ მისი საქმე სიცოცხლობს მთელი მსოფლიოს მშრომელთა მილიონების გულში, ლენინის საქმე სიცოცხლობს საბჭოთა ხალხის გამარჯვებებში, მსოფლიოს პირველი მუშათა და გლეხთა სოციალისტური სახელმწიფოს უდიდეს მიღწევებში.

ლენინის სამგლოვიარო დღეებში სსრ კავშირის საბჭოების მეორე ყრილობაზე ამხანაგმა სტალინმა პარტიის სახელით დასდო დიადი ფიცი შეასრულოს ლენინის ანდერძი.

და ყველამ იცოდა: ის, რაც სტალინმა სთქვა, სთქვა მთელი ხალხის სახელით. ის, რაც სტალინმა სთქვა, შესრულებულ იქნება.

ლენინის დროშა ამხანაგ სტალინის მტკიცე ხელშია, სტალინისა, რომელიც ლენინთან ერთად მთელი სიცოცხლის განმავლობაში იბრძოდა კომუნისტებისათვის.

ამხანაგმა სტალინმა განავითარა და შეაესო ლენინის მოძღვრება იმის შესახებ, რომ შესაძლებელია სოციალიზმი აშენდეს ერთი ცალკე აღებული ქვეყნის პირობებში, თეორიულად და პრაქტიკულად დაამუშავა სოციალისტური საზოგადოების აშენების მთელი გეგმა.

ლენინის საქმის დიადი განმგრძობის — ამხანაგ სტალინის გენიალური ხელმძღვანელობით ჩვენმა პარტიამ, საბჭოთა ხალხმა განახორციელა ეს გეგმა — ააშენა სოციალიზმი. ლენინის გზით, ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით საბჭოების ქვეყანა მიდის კომუნისზმის სრული და საბოლოო გამარჯვებისაკენ.



ალიო მახაზვილი

ვლადიმერ მაიაკოვსკი¹⁾

10 წლის წინათ, 1930 წლის 14 აპრილს, სრულიად მოულოდნელმა და უაზრო სიკვდილმა მოსწყვიტა ჩვენს ქვეყანას რევოლუციის უდიდესი პოეტისა და ადამიანის ვლადიმერ მაიაკოვსკის მგზნებარე სიცოცხლე. მაგრამ ვლადიმერ მაიაკოვსკი როდი ეკუთვნის იმ პოეტების რიცხვს, რომელთა ფიზიკურ სიკვდილთან ერთად კვდება მათი შემოქმედებითი სიცოცხლაც. პირიქით, რაც დრო გადის, მით უფრო მეტის სისრულით და სიმალლით დგება ჩვენს წინაშე მაიაკოვსკის ფიგურა. ეს ბუნებრივია, ვინაიდან მაიაკოვსკი იყო ხალხის პოეტი, მისი გულის მესაიდუმლე. ხალხმაც უკვდავეყო თავისი მომღერალი.

მაიაკოვსკი თავის დროის ნამდვილი შვილია. ჭეშმარიტი პოეტია ის, ვინც თავისი დროის აზრსა და მისწრაფებას გამოსატყვევებს. „აუცილებელ პირობათა შორის, რომლებიც ჭეშმარიტ პოეტს ახასიათებენ, უეჭველად უნდა იყოს თანადროულობა; პოეტი უფრო მეტად, ვიდრე სხვა ვინმე, უნდა იყოს თავისი დროის შვილი“, — ამბობს გასული საუკუნის დიდი რუსი მოაზროვნე ბესარიონ ბელინსკი. აკაკი წერეთელი პოეტს „გარემოების საყვირს“ უწოდებდა. მართლაც: ყოველი დიდი მწერალი თავისი დროის აზრისა და გრძნობების მფლობელია. თანადროულობას მოკლებული პოეზია უსიცოცხლოა, უფერული, ვინაიდან სიცოცხლე მხოლოდ აწმყაშია. მასში არის მოცემული ცხოვრების სამი საწყისის — წარსულისა, აწმყოსი და მყობადის ისტორიული მთლიანობა. და რომ უმღერო ამ აწმყოს მალალ-პოეტური და გულმართალი ხმით, ამისთვის დიდი ნიჭი და გამბედაობაა საჭირო. ორივე ამ თვისებით უხვად იყო დაჯილდოებული ვლადიმერ მაიაკოვსკი.

თუ ნეკრასოვი რეაქტიური რუსეთის „დარდისა და შურისძიების“ პოეტი იყო, თუ აკაკი დამონებული სამშობლოს „პროტესტისა და იმედის“ მომღერალი იყო, ვლადიმერ მაიაკოვსკი სოციალისტური ეპოქის „სიხარულისა და სიცოცხლის“ მოღაღადეა. ამ მხრივ ამ სამ პოეტს შორის მშობლიური, ნათესა-

¹⁾ შესავალი სიტყვა წარმოთქმული ვ. მაიაკოვსკის გარდაცვალების 10 წლისთავისადმი მიძღვნილ საღამოზე, აწ. 14 აპრილს, რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში.

ური კავშირია. მართლაც: ჩვენს მღვდელმთავრე ეპოქას შეჰფეროდნენ მღვდელმთავრის ძღვევამოსილი ხმა. მაიაკოვსკის პოეზიის სტილი და ფორმა უმეტესწილად რევოლუციის სტილი და ფორმაა. როგორც ნეკრასოვმა და ავაკიმ, როგორც ბერანემ და ჰაინემ საფრანგეთსა და გერმანიაში, ისე მაიაკოვსკიმ დაამკვიდრა მოქალაქობრივი მოტივი პოეზიაში.

მაიაკოვსკი იყო პირველი, რომელმაც გაარღვია ბურჟუაზიულ-სიმბოლისტური კარჩაკეტილობა პოეზიაში და ამ უკანასკნელს ფართოდ გაუხსნა გზა მილიონებისაყენ, მასებისაყენ, ხალხებისაყენ. მაიაკოვსკის მგრგვინავე და გამბედავი ხმა კამერული პოეზიის წყველიადში როდი ეტყევა. იგი ელვასავით ეღება დედამიწის თვალუწვდენელ სივრცესა და სიმალღებებს, იგი ცხოვრების ყოველ კუთხეში იჭრება, როგორც განახლების ქარიშხალი.

პირველი რევოლუციური აღტყინება მაიაკოვსკიმ იგრძნო საქართველოში. კავკასიის გმირულმა ბრძოლებმა დიდი გამარჯვოლუციურებელი გავლენა მოახდინეს ახალგაზრდა პოეტზე. იგი შეგნებულად ებმება 1905 წლის რევოლუციურ დემონსტრაციებში, რის გამოც პოეტმა სამჯერ იგემა ციხის წყველიადი. 1908 წელს მაიაკოვსკი ბოლშევიკური პარტიის წევრი ხდება. იმპერიალისტური ომისა და ხალხთა ხოცვის წლებში ახალგაზრდა მაიაკოვსკი აშკარად დგება ცარიზმის დამარცხების მხარეზე, იგი ხმას იმალღებს იმპერიალისტური ბარბაროსობის წინააღმდეგ და წინასწარმეტყველობს სოციალისტურ რევოლუციას:

„ეკლის გვირგვინოსან რევოლუციის
დაიგუგუნებს თექვსმეტი წელი“

(ამბობს პოეტი ერთ ერთ ადრინდელ ლექსში).

რევოლუცია, რომლის დაწყების ვადას მაიაკოვსკიმ ერთი წლით გაუსწრო, გაგებულია როგორც კაცობრიობის განმათავისუფლებელი, გამაჯანსაღებელი მოვლენა.

მაიაკოვსკის ლექსები და პოემები გაედუნთილია მკაცრი სიმღვლილით, დაუზოგველი სარკაზმით დრომოქმული ცხოვრების ზნეჩვეულებათა მიმართ. მისი ლექსების ცენტრალურ ფიგურას წარმოადგენს ადამიანი—ძლიერი, უშიშარი, ამაყი ადამიანი შობილი რევოლუციის ქარიშხალში. მას სწამს ამ ადამიანის გამარჯვება ძველ ქვეყანაზე — სოციალიზმის დამყარებისათვის, სადაც მაიაკოვსკის ენით რომ ვსთქვათ, არ იქნება ბატონობა ადამიანისა ადამიანზე, სადაც არ იბატონებს ფული, რომელიც ოქროსათათებიანი მიკრობივით ხრავს ადამიანის სულსა და გონებას.

ბურჟუაზიული ლიტერატურის ქაობის გარემოცვაში უხდებოდა მაიაკოვსკის ცხოვრება და მოღვაწეობა. სიმბოლიზმი, ფუტურისმი, აკმეიზმი, იმპრესიონიზმი და სხვა მრავალი იზმი, — აი ის ლიტერატურული გარემოცვა, რომ-

ლის გასარღვევადაც აღმართა მაიაკოვსკიმ თავისი ბასრი კალამი. ამ ცხოვრების წარმომადგენლები უკიეინებდნენ მას „წმინდა ხელოვნების“ დაქვეითებას, თითქოს ის თავის ნიქს ყოველდღიურ თემებზე აწერილმანტრებს მკაცრამ, სწორედ ამ პატარა და დიდი თემების ორგანიული მთლიანობა აძლევდა მაიაკოვსკის შემოქმედებას ცოცხალ ძალასა და ელვარებას. მაიაკოვსკის კარგად ესმოდა, რომ პატარა და დიდი საქმეების დიალექტიკური მთლიანობაა მხოლოდ ცხოვრების შინაარსი, მისი წინწამწევი ძალა. მაიაკოვსკი სასტიკად ებრძოდა ფორმალიზმს, ნატურალიზმს, უიდეო პოეზიას. იგი დაუზოგავად ამასხარავებდა „რითმების მისტიურ ქსელში“ გახვეულ პოეტებს, რომლებიც, ფორმალური დილექტანტობით თავებრუდახვეულები, როდი ხედავდნენ ცხოვრების სინამდვილეს.

მაიაკოვსკი ამ მხრივ სრულებით ახალი ლირიკის შემქნელია საბჭოთა კავშირის პოეზიაში. მისი ლირიკა როდი ჰგავს სინამდვილის ვიწრო, პრიმიტიულ ანარეკლს, მისი ლირიკა ჩვენი სოციალისტური სინამდვილის ღრმა, რეალისტური მსოფლმეგრძნობაა. დიდმა ოქტომბრის რევოლუციამ მეტი გასაქანი მისცა პოეტის შემოქმედებას. ამავე სიყვარულით და გულმართალი ხმით ამუშავებს იგი სოციალისტური მშენებლობის აქტუალურ თემებს. მისი ყოველი ლექსი სოციალიზმის მშენებლობის ჯარისკაცია. ყოველი ლექსის თემას მაიაკოვსკი უკავშირებს მომავალი სოციალისტური ცხოვრების საკითხებს, კაცობრიობის ბედნიერების ამოცანებს, საბჭოთა პატრიოტიზმის უკვდავ იდეას, სოციალისტური სამშობლოს თავდაცვითი უნარიანობის განმტკიცებას. თავისი ლექსების ყოველ წიგნს იგი უფრთხილდება, როგორც ბოლშევიკურ პარტიზლეთს. საბჭოთა კავშირში სოციალიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლა, ბრძოლა რევოლუციის მტრების წინააღმდეგ.—აი მთავარი თემა ვლადიმერ მაიაკოვსკის შემოქმედებისა სამოქალაქო ომების დამთავრებისა და მშვიდობიანი, სოციალისტური მშენებლობის წლებში. იგი სწერს მთელ რიგს ლექსებსა და პოემებს ამ თემებზე. ასეთია „ამხანაგ ნეტეს“, „საბჭოთა პასპორტი“, პოემები „კარგია“, „ვლადიმერ ილიასძე ლენინი“ და მრავალი სხვა. პოემაში „ლენინ“ ვლადიმერ მაიაკოვსკიმ სცადა, განსაცვიფრებელი მხატვრული ფერებით მოეცა რევოლუციის გენიის ვლადიმერ ილიასძე ლენინის უკვდავი სახე. აქ ლენინის ცხოვრება და მოღვაწეობა დაკავშირებულია დიდი რუსი ხალხის ცხოვრებასა და მოძრაობასთან, სახელოვანი ბოლშევიკური პარტიის გმირულ ბრძოლებთან:

„ჩვენი პარტია და ლენინი ტყუპნი არიან,
ვის ამჯობინებს ისტორია
სიმართლის მწენი?
ჩვენ ვამბობთ ლენინ
და ვგულისხმობთ მუდამ პარტიას
ვამბობთ პარტია
და ვგულისხმობთ — ლენინი ჩვენი!“

პოემაში „150 მილიონი“ გამოხატულია რუსეთის 150 მილიონიანი ხალხის ბრძოლა რევოლუციისათვის, სოციალიზმისათვის. თუმცა ვერაა გაგებულნი კლასთა დიფერენციაციის საკითხი, როდესაც რევოლუციისა და სოციალიზმის მოქმედ ძალად მაშინ მთლიანად წარმოდგენილია მთელი მოსახლეობა, მაგრამ აქ პირველ ყოვლისა პოეტის კოსმიურ გაქანებასთან გვაქვს საქმე.

ჩვენ ვიცით: საბჭოთა კავშირის ხალხთა სოციალისტური ეკონომიკისა და სულიერი ცხოვრების აღორძინების გვერდით რა ფსიქოლოგიური უარყოფითი დაწოლა მოახდინა „ნებმა“ საზოგადოების ზოგ ფენაზე. სწორედ სოციალისტური ადამიანის დაპირისპირებას „ნების“ პერიოდში ამოტივტივებულ ობიექტულურ-ბურჟუაზიული ყოფისა და განწყობილების წინააღმდეგ—მიუძღვნა მიაკოვსკიმ მთელი რიგი თავისი ლექსები და პოემები: „Прозаседавшинся“ („კრებებში ყელამდი ჩაფლულნი“), „ამის შესახებ“. ლექსი „Прозаседавшинся“ ძალიან მოსწონდა ვლადიმერ ილიას-ძე ლენინს. ამ ლექსში სუსხიანი სარკაზმისა და იუმორის ფორმაში გამათრახებულია მრავალკრებებიანობით გატაცება ზოგიერთი პარტიული და საბჭოთა მუშაკებისა და დაწესებულებებისა, რომლებიც, ათასგვარ კრებებში ყელამდე ჩაფლულნი, რეალურ მუშაობას ვერ ასდიან.

მიაკოვსკის ყოველი ლექსი გასაგებია მილიონებისათვის. მიაკოვსკის კარგად ესმოდა, რომ ორგანიულად განცდილი რევოლუციური დამოკიდებულება სამყაროსადმი მოითხოვს შესაფერ ფორმას, სადასა და ხალხისათვის გასაგებ ენას. უბრალოდ და გასაგებად წერა კი უდიდეს მხატვრულ გემოვნებას, მალაზარისხოვან პოეტურ კულტურას მოითხოვს. ამ მიმე წინააღმდეგობის გზით მიიღწია მიაკოვსკიმ შემოქმედების მწვერვალებს. ამიტომ ვახდა იგი ჩვენი დროის სახალხო მომღერალი. მიაკოვსკი თავისი დროის გრძნობებისა და განწყობილებების ასახვასთან ერთად წინასწარ სჭვრეტდა და ჰქმნიდა ბოლშევიკურ განწყობილებებს კომუნიზმისათვის ბრძოლის მიმართულებით. იგი იყო ქეშმარიტი პოეტიც და მოქალაქეც. იშვიათია პოეტი, რომელშიაც ასე ორგანიულად ყოფილიყოს მოცემული პოეტისა და მოქალაქის მთლიანობა. მიაკოვსკი არა მარტო სოციალიზმის მომღერალია, არამედ მისი აქტიური თანამებრძოლიც არის.

მიაკოვსკის ახალგაზრდობის წლები მჭიდროდ არის დაკავშირებული საქართველოსთან, ქართველ ხალხთან. იგი ქუთაისელი მოსწავლე იყო. თავის ლექსებში არა ერთხელ იხსენიებს საქართველოს, ქართველ ხალხს, თავის სამშობლო სოფელ ბაღდადს. ბაღდადის ცის ლურჯი და ფართო თვალებით სჭვრეტს იგი სამყაროს. ბაღდადის ბუნების რომანტიული შთაგონება მოსჩანს

მრავალ მის ლექსში. პოეტს საქართველო მეორე სამშობლოდ მიაჩნია. მას საქართველო უყვარს, როგორც დიდი რუსეთი:

„როგორც კი დავადგი ფეხი კავკასიას,
მყისვე მომაგონდა, რომ მე ქართველი ვარ“, —

ქართული
ხელნაწილი

ამბობს პოეტი ერთ-ერთ თავის ლექსში. პოეტი გრძნობდა, რომ ის დიდ დავალეზული იყო მშობლიური ბაღდათის ფართო ცის მიმართ: „თქვენი ვალი მაქვს ბაღდადის ცანო“, — ამბობს იგი. მისმა სამშობლომ, ბაღდადმა პოეტს ეს დავალეზა ერთი ორად აუნაზღაურა. დღეს მთელი ბაღდადის რაიონი ვლადიმერ მაიაკოვსკის სახელს ატარებს.

მაიაკოვსკიმ საკმაოდ იცოდა ქართული ენა. იცოდა ზეპირად ზოგიერთი ქართული ხალხური ლექსი და ანდაზა. არ შეიძლებოდა ამას თავისებური კვალი არ დაესვა პოეტის შემოქმედებაზე. ამიტომ არის, რომ მაიაკოვსკის შემოქმედებაში საგრძნობლად მოსჩანს ცნობიერების პირველი საწყისის—საქართველოს ბუნების, ქართული ხალხური პოეზიის თავისებურება. საერთოდ: ყოველი დიდი შემოქმედების ნაწარმოებთა სოციალურ არსს საფუძვლად უდევს ბუნება. საქართველოს მრავალფეროვანი ბუნების ფონი უსათუოდ უდევს მაიაკოვსკის შემოქმედებას. „მე პოეტი ვარ. ამით ვარ საინტერესო. ამაზე ვწერ. ჩემს სიყვარულზე თუ აზარტობაზე და აგრეთვე კავკასიის ბუნების სიმშვენიერზე, — ოღონდ თუ ის სიტყვად ჩამოიქნა“, — ამბობს მაიაკოვსკი ავტობიოგრაფიაში. მის ლექსთა წყობასა, აღნაგობასა და ტემპერამენტში აშკარად მოსჩანს ქართული ენის გავლენა.

ტრადიცია ქართული და რუსული მწერლობის ორგანიული ურთიერთობისა მოდის შორიდან—ბუშკინიდან, ლერმონტოვიდან, გორკიდან. მაიაკოვსკი უყვარს ქართველ ხალხსაც. მაიაკოვსკის ლექსებისა და პოემების უმრავლესობა თარგმნილია ქართულად. მაიაკოვსკის პოეზიამ დიდი გავლენა მოახდინა საბჭოთა კავშირის ხალხთა პოეზიაზე. ქართულ საბჭოთა პოეზიაშიც უსათუოდ მოისმის მაიაკოვსკის ვრცელი და მაღალი ხმა. „მაიაკოვსკი იყო და არის უნიჭიერესი პოეტი საბჭოთა ეპოქისა, უგულვებელყოფა მისი შემოქმედებისა და ხსოვნისა დანაშაულია“, — ასეთს დახასიათებას აძლევს მას ხალხთა ბელადი ამხანაგი სტალინი.

„დე, გენიოსებს მიჰყვებოდეს ქვრივების კრებად

დიდი სახელი, დაიფაროს თალბებით გზები.

შენ მოკვდი, ლექსო, ვით მოლაშქრე ომში რომ კვდება,

როგორც კვდებოდენ მტრის სანგრებთან უცნობი ძმები!

ჩირად არ მიღირს მარმარილოს კრიალა ლორწი,
 მე და საბელი — გავსწორდებით, ჩვენ ხომ ძმები
 და მომავალში საამაყო ჩვენთვის ძეგლია
 სოციალიზმი, ნაშენები საერთო ბრძოლით!”



მართლაც: დიდი საკაცობრიო იდეებისათვის მებრძოლ ადამიანთა ხსოვნას უკვდავყოფს მხოლოდ სოციალიზმი, რომლის გამარჯვებისათვის იბრძოდნენ და დღესაც იბრძვიან შაიკოვსკის ლექსებით.

3. მანიაკოვსკი.

რადინგის ციხის ბალადა

ბალადისა
და
ბალადების
შესახებ.

არც ახალია ბალადის წყობა,
მაგრამ თუ სიტყვამ იავადმყოფა,
თუ სიტყვამ შესძლო ტკივილის თბრობა,
მაშინ ახლდება ბალადის წყობა.
ლუბიანსკის გასასვლელი. ¹⁾
ვოდოპიანი. ²⁾

აი

ეს ხედი.

აი

ეს ფონი.

ის.

ლოგინში წევს,
ოქროს თმიანი.

ეს.

მაგიდაზე დევს ტელეფონი.
„ის“ და „ეს“ არი ბალადა ჩემი.
ვერ გაგაოცებთ სიახლით,
ვერა.

მხოლოდ ის არი

აქ საშინელი,

რომ „ის“ ჩემია

და „ეს“ კი მე ვარ.

სად არის ციხე?

შობა არი.

ხმები ირბევა...

სახლის ფანჯრები ჩანს უმესერო
ეს თქვენ არ გეხებათ.

ვამბობ ციხეა —



მაგიდა.

მაგიდაზე დევს ნამჯის ღერო.

შევეზე ოდნავ —

ტანს ბურძღლი მომდვა

და მილი

ხელთ გამივარდა.

ფაბრიკის ღერბისა,

ისრები ელვისა

ტელეფონს უვლიან მარდად.

ხმა

ნამძინარეც მეზობლისა

განაოცარი:

რა დროს,

საიდან მოგვევლინა

გოჭი ცოცხალი?!

მშურვალეებიდან აპარატი

მთლად თეთრი გახდა,

უკვე წვისაგან

ზანგალაკი

წივის ღამეში.

ის ავად არი.

იგი წევს ახლა.

არ დაგვიანდე!

გასწი!

გაეშვი!

ტანში დამირბენს

მე ელვა სწრაფად.

აკვამლულ ხორციტ

წევას უძლებ ურჩი.

მილიონ ვოლტის მომკუმშა ძაბვამ.

ტელეფონის ხვარტს

დავაყრდენ ტუჩი.

ნახვრეტებს ბურღავს

სახლში

ნომერი,

მან მიასნიცკის

გადახნა

ვაკე.

კაბელის

გლეჯით,

დაუდგრომელი

კაბელზე
გაეშვა
ნომერი.



ჰქრის
 როგორც ტყვია ასულისაკენ.
 გაოგნებულებო ასულის თვალი —
 უქმის წინ
 ორს როგორ შესცვლი...
 ლამფის
 კვლავ აენთო
 წითელი ალი,
 დარეკა
 და ჩაქრა ცეცხლი.
 უცებ ლამფებში
 აგიჟებდნენ
 სხივები მარდი,
 და ტელეფონის
 მთელი ქსელი
 ათრთოლდა ერთობ...
 67 — 10 *
 ვთხოვე შემაერთოთ.
 წყნარ ვოდოპიანს
 მოსახვევში
 მსურს უთხრა რამე....
 საჩქაროდ,
 თორემ თუ დაგვიანდა,
 ცაში აგისერის
 ელექტრონი
 შობის წინ ღამეს,
 მთელად,
 ამ შენი
 ტელეფონის სადღურთანად.
 იყო მიასნიცკიზე
 ერთი მკვიდრი ძველი.
 ამის შემდეგ იცოცხლა
 კიდევ ასი წელი.
 სულ ამ ას წელს
 იგონებდა ბაბუა.
 ერთის თხრობით
 ბავშვები გააბრუა.
 ეს იყო შაბათს...
 ზეალ მოდის კვირა და...
 ლორს შეეხვდი...
 მინდა, რომ იაფად დამჩქეს...
 უცებ თავში დამკრა...
 მიწა დაყირავდა...

ერბი... ცეცხლი გაუჩნდა

ფეხის გულს,



იქვობენ ბავშვები:

იქნებ არ გახსოვს.

მიწის ძერა?

ზამთარში?

ფოსტამბის ახლოს?

ტილეფონი
წვილას
შიფვარდა.

აღწევს ჯადოქრობით

ხმა ზონრის ბოლომდე,

მოიხსნა მილაკის ელვარე ძაბრი,

ზანგალაკთ ხმაურით

სიზუმეს რომ არბევს,

აღმოხდა ტელეფონს

ელრიალი მძაფრი.

ხმა აწივლებული,

ხმა აფლერებული,

კელლებს ეხეთქება,

განგრევას ცდილობს.

კელლებს ასხლეტილი,

ათას ევენებივით

სკამებს ქვეშ,

ტახტის ქვეშ

ზტის სასაცილოდ.

ხან დიდი ზარივით

ურტყამდა სხვენიდან

იატაკს,

და ისევ.

მედურ ბურთის ფერად,

იატაკს დარტყმული

სხვენს მიასკდებოდა

და დაბლა ცვიოდა

ზანგალაკთ ელვარად.

ლუმელის ფოტროებს,

შინებს

ანიშნებდა,

მედურ ტელეფონისთვის

მიეცათ ბანი.

ტარი უბრუნავდა

ოთახს — სარიჩხინოს,

ესია ტელეფონს

ზანგალაკთ ხმანი.



ძილისაგან,

წერტილებს რომ უგავს თვალებზე

უელავს
 ლოყები ცხელი,
 ჭალი მზარეული
 სეკუნდანტი. წამოდგა მთქნარებით
 და მოდის
 ბუზღუნით,
 ხველით.

ის
 დასველებული ვაშლია
 ნამიდან.

შუბლს ღარავს
 ფიჭრები მშვიდი.
 ვლადიმ ვლადიმისძე?
 რა სთქვით...?

ჰო, რა ვინდათ?..

და ფოსტლის ფლატუნით მიდის.
 სეკუნდანტივით მიდის,
 ზომავს ნაბიჯებს იგი.

უკვე შორს არი...
 ოდნავ ისმის ნაბიჯი ნელი.
 მთელი სამყარო გადაიწევეს
 სივრცეებს იქით,

მხოლოდ
 აქ მილით
 მე მიმიზნებს შეუცნობელი.

უცებ გაშეშდნენ
 ყველა სხდომის მომხსენებელნი.

• ველარ შეიძღეს
 ერთხელ აწვდილ ხელების დახრა,
 და როგორც იყვნენ,
 იმ გვარადვე.
 პირდაღებულნი,

ჭვეანის
 გასხივონება.

ჩვენსკენ,
 ამ შობას
 შობებიდან
 უცქერენ ახლა.
 ცხოვრების ყველა წერილმანები
 მათ განუცდიათ,

მათი სახლია
 საქმიანი დღის სატალახო.
 თითქო თავისთავს
 ჩემში ხედვენ,
 თითქო უცდიან,
 რომ სიყვარულის სასიკვდილო
 დუელი ნახონ.
 გაგქვაებულა საყვირების
 გვრგვინა და ქარი.
 შედგა ხმაური,
 ნაბიჯის და
 ბორბლის გამრხევი.
 მხოლოდ დუელის ველია და
 დრო-დოსტაქარი,
 სიკვდილის მომჩენ
 უნაპირო
 თეთრი სახვევით.
 აი მოსკოვი,
 მოსკოვს იქით
 დადუმდა ველი.
 ზღვები —
 მაღალი მწვერვალები
 ზღვის გადაღმიდან.
 თითქო დურბინდშია
 სამყარო მთელი,
 ვეება დურბინდში
 (მეორე მხრიდან).
 დაბლა
 ჰორიზონტი
 განირთბა გაშლით.....
 მაგრად ვაგებაწრულვარ.
 რით გავიხარებ;
 ო, ერთი მხარეა —
 მე ჩემს ოთახში.
 შენ კი შენს ოთახში —
 მეორე მხარე.
 და ჩვენ შორის კი,
 სიზმრადაც არ ვიცი,
 რალაც
 თეთრ ელვარად
 და მედიდურად,
 თითქო სამყაროში
 გაწვა მიასნიციკი,



როგორც სპილოს ძელის მინიატურა.
სიცხადე.
უნათლეს სიცხადით ვეწამე.
სულ წვრილი კაბელი
მიასნიცკის ახლავს.

ის
დიდ ხელოვნებით
დაქნილი ბეწვია,
და ყოველივე
. ამ წვრილ ბეწვზე
ჰკიდია ახლა.

ერთი!
მიღს მომართვენ.
ნულარ გაქვს იმედი.

ღუღი.

ორი!
სად შეჩერდა?
გაუჩნდეს ფორი...
ოდნავაც არ ღელავს,
დადის დამძიმებით
მუდარით მონისლულ
ჩემს თვალთა შორის.
მინდა ზანტ დედაკაცს შევესძახო:
რას გვერჩი...

პრანჭიავ!
დამიდექ დანტესის დარად...
რა შხამის იქნება,
რამხელაც,
კაბელში

ღე გამოაბტუნე
შენ ტყვია,
ჩქარა!..

და აი,.....
ტყვიაზე შებ საშინელებით,
რაც იქ.
მსახურისგან
დანთქმულ კურდღელივით,
დიდ გველის მუცელში
დანთქმულ კურდღელივით
ებედავ, რომ
კაბელში მოძვრება სიტყვა.



სიტყვა,

ძველის ძველ იმ სიტყვებზე საშიში, საქართველო
საქართველოს

ჯერ კაცნი

ეშვით იმონებდნ

დედლის მშვენებას.

იკვით მქარდავი,

წვრილ ზონარში

ჩემსკენ მოცოცავს,

ვით ტროვლოდიტურ დროის

ერთი საშინელება.

არ შეიძლება.

ასე არი.

სად ნახე ვითომ,

ვინმე გამძვრალა ტელეფონში

ახლა

ან წინათ?

არც არაერთარ ტროვლოდიტის დრუნჩია,

თვითონ

ვარ ტელეფონში,

ასარკებულ რკინაში ებრწყინავ.

მოდის და სწერე

მისთვის ცაკში ცირკულარები...

ერფურტის წესებს შეუდარე

ამისი წესი....

თვის პირველ დარდში,

მშენებარებით,

საშიშ ბრტყალებით,

მოიკაწრება,

მთლად შეშლილი მოფოფხავს მხეცი.

რა შეიძლება

მშვენეირია!

კაცს

დაემართოს.

შეამოწმეთ, ძმებო,

მგოსანი,

ზაფხულს

გასტროლზე

პარიზისკენ შორს მიმავალი,

თანამშრომელი „იზვესტიის“,

სახელ-მოსილი,

სკამს უფხაქუნებს

საცვეთიდან გამოწვდილ ბრტყალით.

ღრჯოლების ღრტყენით

უცებ სახე მივიღე დათვის,

ჯერ კიდევ გუშინ

ვისაც კაცად მალიარებდნენ.



ვარ ბანჯგვლიანი.
 დაშეკიდა მატყლად ხალაფი, ^{ქართული}
 ისევ იქითკენ? ^{ენის ცენტრი}
 კვლავ ტელეფონს ჩაეღრიალებდე?
 ჩემებთან წავალ,
 გადათეება. ^{სადაც ზღვაა და ყინულებით!}
 მართლა დათვივით
 სასიკვდილოდ რომ ბრაზობს მაშინ,
 ტელეფონისკენ,
 დუშმანისკენ
 მივიწვევ მკერდით,
 გული კი
 უფრო იძირება
 მილაკის რქაში.
 დიან ლელენი სპილენძისა
 წითლად ანთილნი.
 ალოკე სისხლი და ღრიალი
 შენ სიბნელეში.
 არ გამიგია, —
 ქვითინებენ თუ არა დათენი,
 თუ ქვითინებენ,
 უსათუოდ ამნაირ ხენეშით.
 ღმუიან წრფელად,
 სწორედ ასე,
 ბნელ ხეობაში,
 და ღმუილია,
 ვით ხეობა გაგრძელებული.
 უთუოდ ასე ემართება
 მათ დათევურ ბალშინს,
 ღრენს,
 კედელს იქით
 ამ ტირილით გაღვიძებული.
 ჰო, ასე დათევებს შეუძლიათ:
 თათზე შემდგარნი,
 ნიჩგნ-აწეულნი
 იყონ ცისკენ
 გაქვავებულად.
 გაღრიალებენ,
 გაღმუვლებენ სივრცეებს,
 შემდეგ
 დაწევიან და
 ოცი ბრწყალით
 გაწრავენ ბუნაგს.

მოსწყდა ფურცელი.

ზეავი თუა.



ქართული

დადის ფაქტობრივად

შაშხანის კობი

იკეპებსო,

მოელის მხდალი.....

მხოლოდ მას ტანჯავს

ამნაირი ფიქრი დათეური,

რომ მობურვია

ერემლიანი ბალნებით

თვალი.

საწოლი. რკინებზე

ქველ აბრეშუმის

აგდია საბანი,

დონდლო

და ჩუმი.

ოთახი,
რომელსაც
წყალი
გასდის.

მოვიდა კანკალი

და რკინებს ეცა.

შხეფები არხევენ

საწოლის ზეწარს.

ფებს მლოკავს სიცივით

ზეირთების ენა.

აქ წყალი რათ არის?

რათ?

ამოდენა....

მე თვითონ დავღვარე

მტირალამ

ტბორი.

ამდენ ერემლს ვინ დაღვრის?

არ არის სწორი.

აბაზანაა ეშმაკისა. კარადის უკან,

სავარძელის ქვეშ,

მაგიდის ქვეშ

წყალი შევიდა.

წყალი ჩემოდანს .სავარძელზე

შეეხო უკვე.

აჰა,

გაცურდა ჩემოდანი

მყის სარკმელიდან.

ბუბარი... ნამწვი....

თვით დავაგდე.

ჩაეპრო ნამწვი?

ჩაღდება.

ვერთხები

და ჩაქრობას აღარ ვაპირებ

რისი ბუხარი!..

აქ ბუხარი სად არი?

გასწვრივ...

ვერსი,

ვერსს იქით —

კოცონები ანთებს ნაპირებს.

წყალმა წალკა ყველაფერი,

კომბოსტოს სუნიც,

სამზარეულოს რომ სდიოდა

მსუყე

და ტკბილი...

მდინარე...

შორი ნაპირები...

უდაბნო სრული...

როგორ ჰქრის ქარი ლადოგიდან

და ზურგში ჰკივის...

მიდის მდინარე.

ვებერთელა მდინარე გაშლით.

ჰყინავს.

მდინარე აციმციმდა.

ვარ შუა წყალში.

თეთრ დათვად

ყინულზე შეეფოროთხდი,

გავეშვი.

მიცურავს ყინული,

ეს ჩემი ბაღიში.

გარბიან ნაპირნი.

თვალმა ვერ გალია...

ყინულის ბაღიშზე ვგდებარ.

ლადოგის ქარია.

რა ჩქარი წყალია.

და მიქრის ბაღიში

ტივად.

შაერთოლებს.

მიცურავ ყინულის

ბაღიშით.

ვერ ამოურეცხავს

წყალს ერთი გრძნობა:

არ ვიცი,

მომელის

საწოლის რკალებ ქვეშ



თუ რომელიღაც ხიდ ქვეშ გაძვრომა.
 ვართ მე და ქარი ერთხელ,
 ამგვარადვე...
 ეს წყალი....
 ეს არა,
 სხვა იყო,
 სხვა ფერი.
 სხვა წყალი კი არა,
 ეს იყო...
 ეღვაწარ და,
 ირგვლივ კაშკაშია.
 მახსოვს ყველაფერი.
 იზრდება ფიჭვი.
 ვიცი დამიმონებს...
 უკან!
 არ გაუშვებს ტივს უკან ტალღა.
 თანდათან ვხედავ და
 სულ ნათლად ვიკონებ...
 უთუოდ შემხედება
 ის...
 აგერ...
 ახლა.
 კაცი შეიღწის რეცხავენ ზეირთნი მდინარისა
 გადაღმინან. ფოლადის სვეტებს.
 რომ მიბჯენია ორივე ფერდში
 საშიში,
 დიდი
 დედა-ქალაქს და ჩემგან შექმნილ სასოწარკვეთას...
 გადაწოლილა ას სართულა
 ბურჯებზე ხიდი.
 იგი ლავევარდზე ახატულა
 ხელთუქმნელ თაღად,
 წყალში
 ფოლადის ფეერიად
 დგას უქრობელი.
 კისერმოგვრებით ვიცჭირები
 მაღლა,
 სულ მაღლა,



ქართული
ნაციონალური
ბიბლიოთეკა

აგერ...
 ის...
 ხილის მოაჯირზე
 ჩანს მიყრდნობილი.
 ნევევ,
 შემინდე!
 წინ მიმათრევს...
 არ მამატია.
 ო, შემობრალე!
 არ მიცოდებს მე სრბოლა მკაცრი.
 იქ,
 იქ
 შეხედეთ,
 სად ცის ფონი წითლად ანთია,
 ის:.....
 ჩემი ხელით მიჯაჭვული კაცია,
 კაცი.
 დგას.
 გაუშლია გაჩეჩილი თმები
 რამხელა...
 ყურებს თათები დავაჭირე.
 ამაოდ ვსრესავ.
 სქელი თათები გამიხვრიტა
 იმ ხმის მახვილმა:
 მესმის ჩემივ ხმა,
 საკუთარი ჩემი ხმა. მესმა...
 საკუთარი ხმა,
 ჩემივე ხმა
 მთბოვს,
 შევედრება:
 — ვლადიმერ!
 შესდექ!
 ნუ დამაგდებ!..
 ნუ გამიმეტებ!..
 რატომ შენ მაშინ
 გადმოვარდნის არ მომეც ნება,
 რომ სიმალიდან დავსკდომოდი
 გულით ამ სვეტებს?!
 ამ წყალს ჩავეუბრებ —
 შვიდი წელი მე დავითვალე.
 სტრიქონთ ბაგირით
 მიეჯაჭვულვარ
 მოაჯირს ასე.

შეიდი წელია,
 არ მაშორებს მდინარე თვალებს,
 როდის მეშველოს?!
 ვინ იფიქრებს
 ჩემს გამოხსნაზე?
 იმ პატარა ჯგუფს
 იქნებ უკვე
 შენ მიეტმასნე.
 სკამ?
 იკონები?
 დაგიშვია სიმსუქნით ფაშვი...
 შენ განგიზრახავს —
 ნეფოფინდე
 ყვიჩილის მსგავსად
 მყუდრო,
 ბედნიერ მათ ოჯახში,
 მათ ცხოვრებაში.
 არც გაიფიქრო...
 ამ სიტყვებზე ხელს დაბლა დახრის.
 ზიდ ქვეშ
 სიღრმეში
 დამანათებს მუქარით თვალებს:
 — სად გამეჭკვევი,
 აქ მოსულხარ ჩემ დაძახილით.
 გიბოენი.
 გტანჯავ —
 ქანცს გაგიწყვეტ
 და გაათავებ!
 ნესმის გრიალი...
 იქ ქალაქში
 ბოზა მოვიდა.
 მერე? ამცნე, რომ მინახულონ.
 თან განაჩენი
 აუცილებლად წამოიღე
 აღმასკომიდან,
 რომ ჩამომერთვას,
 შემეცვალოს წამება ჩემი.
 სანამდე ნევის ამ სიღრმეში,
 ამ ნევის მზარეს
 არ მოვა მხსნელი სიყვარული,
 დღეს ჩემგან შორი,
 შენც იწანწალე,
 შენ არაეინ არ შეგიყვარებს.



უსვი თათები!

დადექ ბალიშო!

თათებით ვხოპაე —

დაპატარავდა შორი ხიდი.

მე მიმათრევდა,

უკვე შორსა ვარ,

ხიდზე გადმომდგარ ჩემს ლანდიდან —

მაგრამ მისი ხმის მქუხარება

და მის მუქარას რომ გავასწრო,

შენ განიზრახე

სიყვარულს შეცვლი?

იგი ჩუხჩუხი,

გემახსოვრება

ვეყვირი —

ვერასდროს დასძლევ —

ო მიეშველეთ!

იქ, ნევის ხიდზე,

ნევაზე დგას

ადამიანი!

ო მამაბუნა დავით გაჩეჩილაძე

ჩაილუბე სახლის ქვებს შორის

ჩემი სწრაფვა აღმოჩნდა ფუქი:

არ ივარგეს ნიჩბად თათებმა.

ნევა კი ურჩი

მიმათრევდა

შორს,

ერთი დღის სავალზე გაგზნდი

ერთი დღე გაქრა.

მე მომდევს გზაში,

გავშალე აფრა.

დაგვიწყნოდა ნევის კაშკაში?

ვერ შეცვალო იმისი ლანდიც...

რომ ისმის „კაცში“¹⁾

კუბოს ფიტრამდის.

ვინ სძლიოს ეს წუხილი უშველებელი.

ქუხს გრიგალი მაღალ-ხმიანი.

მიეშველეთ!

მიეშველენით!

ადამიანი!

ო მამაბუნა დავით გაჩეჩილაძე

¹⁾ ლუბინსკის გასასვლელი — მოსკოვშია. იქ ცხოვრობდა მაიაკოვსკი.
²⁾ ეოდოპიანის შესახვევი — მოსკოვშია, მიანინცის მახლობლად, სადაც 1923 წ. ცხოვრობდნენ ლ. ი. და ო. მ. ბრიკი.
³⁾ 67 — 10 — ლ. ი. და ო. მ. ბრიკის ტელეფონის ნომერი.
⁴⁾ ბალშინი — მაიაკოვსკის მეზობელი ლუბინსკზე.
⁵⁾ იგულისხმება მისივე პოემა „კაცი“.

ქაი ქაი ჩიოდა

1.

მომწყინდა უმოწყალოთა
და გულში სევდა ჩაეშვა,
როს შავი შავი ჰგალობდა
საგურამოში კაეშანს.
მაგრამ გუგული იძახდა,
ხალხი ყანაში ხარობდა
და მზე მოწყენას მიძრახდა,
რადგან სიციცხლეს მწყალობდა.
მთა-ბარს ბარაქა სდიოდა.
ვიდექ მოწყენით მარტო მე
და შავი შავი ჩიოდა:
„ნუ მომკლავ, ცოცხლად დამტოვე!“

2.

მზე ცას შეწოდა მოწმენდილს,
ქართლს: ლამისყანის საბანი,
ტყე, ალუბალი ბიწმენდის
წვიმის წვეთებით ნაბანი.
შორს გაშლილიყო ხეობა,
ხარბი ბიბინი ჭალისა,
მაგონდებოდა ღრეობა,
ცეკვა მცხეთელი ქალისა.
არაგვი სავსე კალმახით
მთიდან მოჭქუხდა ლაღადა,
მთა, ილაღის ბაღახი
ნიაგმა ააღაღადა.
აღტაცებული გუნება,
გრძნობა ითხოვდა განდობას
და ჩემს მაგიერ ბუნებას
შაშვმა გასძახა მადლობა.



გეოგონზე

ამაღლებულა ცათამდე
ძველი ციხე და ტაძარი,
ქვეყნის დაღუპვის ვაღამდე
აოხრებული ხანძარით.

მყინვარი მზეზე ჰღვრვოდა
ქედების განაპირაო,
ცაში არწივი ჰყიოდა,
შვენიოდა ლალი ირაო.

ირგელივ მთებია-დევები,
ნეტავ მუღამყამს მაჩვენა
ჩაფანგებული ქედები
ქვეყნის პირველად გაჩენა.

სდუმს ზედაზენი საამო,
სალი ქვითყირის კამარა,
ნელა ჩამოდის საღამო
შავ ანაფორის ამარა.

მოდის უჩინო ლაშქარი —
ნისლთა დუმილი სათოფე,
მაგრამ მოვსძებნე საღარი
ციხის ქონჯურზე სანდო მე.

გმირის დაბადება

მოდის რიჟრავი ვარვარა, წყნარი,
ქრება ვარსკვლავი ერთი მისხალი
და ეს მდინარე ისე მრისხანებს,
ადიდებული პირთამდე მტკვარი, —
თითქო ვარსკვლავებს აღარ შეჰფერით
დახანძრებული ხელის შეხებით
გვამცნონ გრიგალი და ქარიშხალი.
მაგრამ გაისმა უცხო ელერანი,
უსმენდა ციხე ცამდე ქებული.
მერმე გაფრინდა მძაფრი მერანი
ჯენიის ხელით დაოკებული.

მთაში ქუხილმა განვლო მედგარმა,
 ელვამ უკუნი გამოაშუქა,
 როცა ჩასძახა კლდეებს მხედარმა
 და კლდემ პრომეთეს ცეცხლი აჩუქა.
 შიგ ამოავლო მყისვე მახვილი,
 გადაიარა მთა, დარიალი,
 არ შორდებოდა გმირის ძახილი
 და არწივების ფრთების შრიალი.



ქართული
 ენციკლოპედია

დამნა შენგელაია

ცისკაიი

რომანი *)

10.

მეორე დღეს ვანო ალიონიდანვე ჯარასავით ტრიალებდა. გული სიბარულით ერთ ადგილას არ უდგებოდა. საცაა კარებს გულნარაც შემოაღებდა და თავის მაშაიებს წასაღებად მოაკითხავდა.

თითქმის ორი წელიწადი სრულდებოდა, რაც იმათ ერთ მეორესათვის ხმა არ გაუციათ და ახლა, მის მოლოდინში, სავაჭროდ მოსულ ხალხსაც დიდი თავაზიანობით ხედებოდა, დანაკვეთს ხალისიანად ასინჯებდა.

ოსტატიც იქვე დაბალ სკამზე იჯდა და ნაშეგირდალას მარიფათით ტკბებოდა.

ახალგაზდა ბიჭი გრძნობდა ოსტატის კმაყოფილებას. უხაროდა და ცდილობდა კიდევ უფრო ეამებინა მისთვის.

მისგან მორგებულსა და ყაიდაში მოსულ ნივთს შიოც ამოწმებდა და გულდაჯერებულად, რომ ნამუშევარს წუნი არ დაედებოდა, მუშტარს სიამოვნებით ლოცავდა:

— მშვიდობაში!

ვაჭრობა დილიდანვე კარგი ფეხით დაიწყო და სიფთაც იმთავითვე კარგი დაჰყვათ. მუშტარი მუშტარზე მოდიოდა და არც ოსტატსა და არც მის ნაშეგირდალს წუთის მოცალეობა არა ჰქონდათ.

გულნარას მოთვალული მაშაიები თაროზე ისე ისხდნენ, თითქოს ხალხისა ეშინიათ და ფანჯარაში გადახტომასა და გაფრენას ლამობენო.

ნაშუადღევს მუშტარიც მოილია და, მათ წასაღებად რომ არავენ არ მოაკითხა, ოსტატმა გადასწვეცა ისევე თვითონ მიერთვია შინ ნაშეგირდალის ხელით. განზრახვის სისრულეში მოყვანა რომ დააპირა, კარიც გაიღო და სახელოსნოში ბეჩარას სახლობა თავისა ჭაღით შემოვიდა.

*) დასასრული. იხ. „მნათობი“ № 3.

გოგოს შემოსვლაზე ორივე ოსტატი, მოხუცი და ახალგაზრდა წყობაშია გამოიკვალა. ისე ტლანქად აღარ ლაპარაკობდნენ, დატკბენ და ისე იტკბოდნენ, თითქოს ის შარშანდელი ახტაჯანა გოგო კი არა, ერთი დიდი ვინმე ბარონი ან სოვდაგრის ქალი ყოფილიყოს.

მალე უფროს ოსტატსა და უსტაბაშის სახლობას ერთორთის კითხვა-მოკითხვაში საუბარი ტკბილად გაუფრქვლდათ ხან ამ მთისას ლაპარაკობდნენ, ხან იმ მთისას და ახალგაზრდები სულ მიავიწყდათ.

იატაკზე ჩაჩოქილი ვანო თავის გულის მურაზს ლამაზ მაშაიებს ფეხზე მოსარგებლად აცმევდა და თან ხელები უკანალებდა.

გულნარას მაშინვე გადაედო მისი მელღვარება და მიხვედრილი კმაყოფილებით კვიმატიანად ილიმებოდა. მეორე ფეხიც მონდობილად რომ გაუწოდა, წათამამებულმა ბიჭმა თავი ველარ დაიჭირა და ნედლ ტაროებზეთ ღონიერსა და მოქნილ წვივებს კოჭებიდან ხელი ხარბი წადიერებით შეაპარა. გულნარამ ერთი მწყურალად შეუბღვირა, მაგრამ იმ სატიალე ბიჭმა ქვემოდან ისეთი მომუდარე თვალებით ამოჰხედა, რომ ქვა გასკდებოდა მისი სიბრალულით. ისიც მოღბა, სახე ერთბაშად გაუბრწყინდა და შეუქუნა თვალები ისეთი მადლიერებით ჩააშუქა, რომ მით უთხრა ყველაფერი, უთხრა, რომ, თუ იმისი არ იქნება, უწინამც დღე გაჰქრობია, თავი ცოცხალი არ უნდა. უთხრა, რომ მათ შორის ჩამოვარდნილი სამღურავე მხოლოდ შარი იყო და იმან ნამდვილად მიიჩნია, რომ აქამომდე ამაოდ იტანჯებოდნენ და გულდაგულ მოსულ სიყვარულსაც ამაოდ ემალებოდნენ.

ვანოს ტკბილმა ქრუანტელმა ტანში ქრკოლით დაურბინა. მიხვდა, რომ ამიერიდან გულნარა მისი იყო და ბედნიერებით აღსავსე, ისე როგორც ახალგაზნა ცოლს, ხელით კიდევ უფრო გაბედულად აელამუნა. სატრფო გაეუჩნდა, სიწითლე რომ დაეფარა, თავი დაბლა დახარა. მოღურებულ ყელზე ურჩად ჩამოცურებული მაჯის სიმსხო ოთხა დაღალი ისედაც დაბნედილ ვაჟაკს, თუმცა გრილი იყო, ხელებზე მაინც ცეცხლივით დააცვივდა. შემკრთალმა ქალმა თმა მაშინვე აიკრიფა და თავის მოუთმენარი გაჭრევით ისევ უკან გადაყარა.

ოსტატი და უსტაბაშის სახლობა ისე იყვნენ გართულნი, რომ არაფერი არ შეუმჩნევიათ.

არც ვანოსა და იმის გულის მურაზს ეცალათ იმათთვის.

სიყვარულით ბედნიერებს აფანცქალებული გული ყელში მობჯენოდათ, მაგრამ, როცა ბიჭმა საზღვარს გადააცილა, გულნარამ ფეხი უკმაყოფილოდ შეატაკა.

ვანო წამოდგა.

ერთი ღრმად ამოიხენუნა და ნაზ მუშტარს გვერდიდან გახედა.

იმისი შამის ნაკერი ფეხსაცმელი და ზედ მისგან სალუქად ასხმული ღილები ქალს ფეხზე ისე შნოიანად ასხდნენ, თითქოს ის ამ მაშაიებით დაბადებულებიყოს.

გულნარამ დაეშვებული თვალებით ისევ მადლიერად გულიმა და ბაასში გართულ დედას თინიანად მიმართა:

— აბა, დედი, ერთი შეხე! — ყელი მისკენ შნოიანად მოიღერა და იკლიკანტურად მოქცეულ ლამაზ ფეხებზე აღმაცერად დაიხედა.

ქალის სიტყვებს ოსტატმაც ყურადღება მიაქცია. ფეხზე ასხმულ სამოსს რომ დახედა, ნახელავი კიდევ უფრო მოეწონა და თავისთავად ამოიხილა.

— ყაიდაშია, მშვიდობაში!

— იშ, რა ლამაზია, ჯა. — დააწია ოსტატს სიტყვა უსტატაშის ჯალამბაც და ახლა თავისი ქალი მეორე მხარეს ხელდახელ, მაგრამ ტლინქად შეაბრუნა. — ხო არ გაწუხებს, შვილო?

— არა, დედი! — სიტყვა მღელღავების დასაფარავად გულნარამ, მაგრამ გრძნობა სულ მაინც ვერ დამალა და ეანოსაკენ მადლიერი თვალები მწველად ვაპარა.

დედამ თვალი შეასწრო მის საქციელს.

— წამო შინა! — ენთო ერთბაშად ბეჩარას სახლობა. — ეხლავე შინ წამო მეთქი! — აპილილდა გაანჩხლებული და ქალი კინწის კვრით წინ გაივლო.

— ეს რა ამბებში ხარ, შე დღეგასაქრობო, შენა, ჰა? — არა სცხრებოდა ქუჩაშიც და გაბუტულად თავდახრილ გოგოს უკან ტუსტუსით მისდევდა. — მოგკლავ, შე დღეგასაქრობო, სიცოცხლეს გაგიქრობ, შე არდასარჩენო შენა!

სახტად დარჩენილმა ოსტატმა ნაშეგირდალს ერთი გამომცდელი თვალეზით ახედა. უცქირა უცქირა, მაგრამ თქმით მაინც არა უთხრა რა.

11.

ოთარ დარაშვილი კარგა ხანია რაც ციმბირიდან ჩამოვიდა, მაგრამ თავის ძველ თანამოაზრეებთან კავშირი მაინც არ აღუდგენია. პირიქით, თითქოს ერიდებოდა კიდევ მათთან ურთიერთობას. ამ რამდენიმე წელიწადში ისე გამოცვლილიყო, ძველებური ხალისიც ისე დაეკარგა, რომ თავი ყველასთან ერთნაირად აღარ ეჭირა. ძველ ნაცნობ-მეგობრებსაც განზე გაუდგა, ახალი გაიჩინა და სულ იმას ცდილობდა, რომ მოსწავლე ახალგაზრდობასა და ქარხნის მუშებს მკიდროდ დაახლოვებოდა, — სახლის კარი მათთვის მუდამ ღია ჰქონდა.

მისი ამგვარი საქციელი წინანდელ ამხანაგებში დიდ გაკვირვებას იწვევდა, მაგრამ ვერ გაეგოთ რა დაემართა და აი, ახლა საყველიეროდ მასთან თავი ერთად მოიყარეს.

ოთარმა წინდაწინვე გაითვალისწინა, რომ ამ შეხვედრას ვიწრო ხასიათი არ ექნებოდა და საუბარზე განზრახ ქარხნის მუშებიც დაისწრო. ისინი კედლის გასწვრივ მორიდებულად ისხდნენ, მუშაობით დაბებერავებულ-დაღვარქნილი ხელები მუხლის თავებზე მოუხერხებლად ჩამოეწყოთ და რატომღაც შეყოვნებულ რკინიგზის მუშებს ელოდნენ. ყველაზე მეტად მათგან მაინც ზურია გამოირჩეოდა. ეს სიცოცხლით საცხე ვაკეკაცი ადელხანოვთან სულ რამდენიმე წლის მუშაობით ისე გამხდარიყო და ტანითაც ისე აწოწილიყო, რომ დაბალ ჰერს კინალამ თავი არ აარტყა.

ის გიგო ხანდამაშვილს მოჰყვა თან. ხმის ამოუღებლად თავისთვის მართა დაჯდა და შეე თვალთა დიდრონ გუგებს აქეთ-იქით თანაგრძნობის გამო-მწვევი სევდით აელვარებდა. ხანდახან ხველა აუტყვებოდა, ხველა ღრმა და ამოხლერილი, ახველებდა ისე, თითქოს მკერდ ქვეშ ფილტვები ეფლითებოდა, ახველებდა და თან ირგვლივ ბოდიშინანდ იცქირებოდა.

ოთარ დარაშვილი განსაკუთრებული თანაგრძნობითა და სიბრალტლით ეპყრობოდა მას, რადგან ისიც იმასავით ფილტვებ-დაცხრილულებად განწირული ქლექისაგან.

ვანო ოსტატის გვერდით იჯდა, მაგრამ შემოსული მამა დაინახა თუ არა, მაშინვე იმას მიაშურა. ოთარის ძველი ნაამხანაგარნიც აქვე იყვნენ და, ამგვარ სტუმრებთან ერთად ყოფნას უჩვევნი, აწურვით ისხდნენ. ერთის შეხედვითვე ეტყობოდათ, რომ ისინი თავის მარაქაში არ გრძნობდნენ თავსა. უკვირდით, რას უცდიდნენ, ან კამათს რათ არ იწყებდნენ ამდენ ხანს, მაგრამ, როცა რკინიგზის მუშებიც მოვიდნენ, მიხვდნენ, თუ რისთვისაც აყოვნებდნენ აქამდე.

ახლად მოსულთ თურმე ძველი უბნის ვიწრო და მიხვეულ-მოხვეულ ქუჩებში გზა არეოდათ. ეკვი რომ არ გამოეწვიათ, ამ სახლის ადგილმდებარეობა ვერავისთვის ვერ გამოეკითხათ და ამდენ ბორიალში ამიტომაც დაპვეიანებოდათ. მათ განსაკუთრებული სიცოცხლე და ხალისი შეიტანეს შეკრებილებში. იცინოდნენ, ოხუნჯობდნენ, მაგრამ კამათი დაიწყო თუ არა, მაშინვე სმენად იქცნენ.

ბაასი ჯერ წყნარად ვაიბა, თითქოს უხალისოდაც, მაგრამ მოსაუბრენი მალე ისე გაერთნენ, რომ ხმას ნელნელა აუწიეს და დავაც თანდათან ხურდებოდა.

ყველაზე მეტად ისა ცხარობდა, ქართლიდან ჩამოსული ის გრძელთმიანი სერთუკოსანი. ვანომ მაშინვე იცნო იგი. ეს კაცი ის ტეტიათა მოტრფიალე იყო, ფირუზას სარდაფში მის ოსტატს რომ წამოექომაგა და დედალ სოლომანას ჯოხით შეუტია.

ოთარი მას ყურადღებას არ აქცევდა და დიდის ვატაცებით იცავდა მუშათა კლასის უპირატესობას რევოლუციისაში.

მალე სიტყვა ტერორის მნიშვნელობის გამოც ჩამოვარდა, რომლის საჭიროებასაც ის ტეტიათა მოტრფიალე გაწიწმატებით იცავდა, მაგრამ გაგულიანებულმა ოთარმა არ დააცალა, სიტყვა მაშინვე პირში გამოაბრთვა და მოკამათეს ისეთი გამწარებით შეუტია, თითქოს ეს საგანი მისი ყოფნა-არყოფნის საკითხი ყოფილიყოს.

— აი, ეგ თქვენი პრაქტიკაც იმ თქვენი მცდარი თეორიიდან გამომდინარეობს. თქვენ აღმერთებთ პიროვნებას, ცხოვრების ქვაკუთხედად მხოლოდ ის მიგაჩნიათ და ამუჩად ივდებთ ხალხს. ზიზლით ბრბოს ეძახით მაშინ, როდესაც თვით ეგ თქვენი პიროვნებაც უაღრესად სოციალური პროდუქტია.

სერთუკიანმა გადაწეულ პიჯაკს შიგნით ფილეტის ილღიებში ცერები გაიყარა და ზედ დაყრდნობილი ხელის ოთხი თავისუფალი თითი მკერდზე დაიწყო. შუა ოთახში ოდნავ ფეხგაშლით იდგა და მოკამათეს ზემოდან ქედმაღლურად დასცქეროდა. უსმენდა და თან გესლინად იღიმებოდა, რამაც ოთარი უფრო გააბრაზა და მოწინააღმდეგეს მთელის ძალით დაესხა თავსა:

— მაგრამ თქვენ მხოლოდ ეს შეცდომა როდი იკმარეთ, ზედ ისიც დაუმატეთ, რომ გლახობასა და ამქარს უცქერით, ისე როგორც ერთ მთლიან რამეს და ის კი ვაეიწყებდათ, რომ ისინი იშლებიან, პროლეტარებად და ბურჟუებად იყოფიან მაშინ, როდესაც პროლეტარიატი, როგორც კლასი, დღითიდღე იზრდება, ჯანღონით ივსება. მალე, სულ მალე, თამიცი დაქარავს და მო-

მეველ ვადამწყვეტ ბრძოლაში გლეხობას ის გაუძღვება წინ დაბრუნდეს. აი, ამიტომ არის მიუღებელი ეგ თქვენი ტერორი, მიუღებელია ეგ მეთეველი იგი საკმაო თავზარს ვერა სცემს მოწინააღმდეგეს და რევოლუციურ მოქმედებაში კი არევე-ღარევა შეიქვს. ჩვენ მასობრივი ტერორის, აჯანყების სახელით უარე-ყოფთ ერთპიროვნულ ტერორს! — დაბოლოვა ხმის აწევით ოთარმა თავისი სიტყვა და იქვე მრგვალ მაგიდაზე დადგმულ წყლით სავსე ჭიქას ისე დაეწა-ფა, თითქოს მთელ გულის ჯავრს იმაზე ყრილობდა. რომ დასცალა, ცარიელი ჭიქა კი არ დადგა, დაარტყა ლამბაქზე და მოდავისაკენ უკმეზად შებრუნდა.

ეტყობოდა, სათქმელი კიდევა ჰქონდა, მაგრამ მეტი არ შეეძლო. მღვლე-არებამ სუნთქვა გაუძნელა და შესასვენებლად იქვე მოწყვეტით ჩაჯდა.

ისინი, ვინც ოთარს წინადაც სცნობდნენ, გაციებებს მოდიოდნენ მისი ამ სიტყვებით.

მას ოდესღაც აქაური „ანარქისტ-სეკობოდნიკების“ მეთაურს, ვერაინ ვერ სცნობდა.

ამ რამდენიმე წელიწადში ძირ-ფესვიანად შეცვლილიყვნენ მისი შეხედუ-ლებანი, მაგრამ ოთარი ისე იყო გაცეცხლებული, რომ მათი გაციება არად ჩაუვლია, მაინც არა სცხრებოდა და მღვლეარებისაგან აკანკალებული ხელით საკინძე სახელდახელოდ შეიხსნა. მერე სიცხისაგან გამოფონილი ოფლი კი-სერზე ცხვირსახოციით შეიწმინდა, დაოსებული დაჯდა და ისე განაგრძო:

— თქვენ არ გინდათ შეიგნოთ, რომ თვითმპყრობელობისათვის გათვით-ცნობიერებული პროლეტარიატი და მისი მოკავშირე გლეხობა უფრო ზარ-დამცემ და გამანადგურებელ იარაღს წარმოადგენს. არც ის გინდათ იცოდეთ, რომ სწორედ ამიტომ ჰკარგავს ელფერს მისი მძლევეამოსილი მსვლელობის წინაშე ეგ თქვენი რალაც დამბაჩა და ყუმბარა. ყოველ კლასს, — აუწია ხმას და ისევ წამოღდა, — ყოველ საზოგადოებრივ ფენას თავისი საკუთარი იდეა, საკუთარი ქეშმარიტება და სამართალი აქვს. სოციალიზმი პროლეტარიატის იდეაა და, ამიტომ, გამარჯვებაც მის მხარეზეა! — მოსწყვიტა ისე გულმხურ-ვალედ, რომ ყველა მიხვდა, — ამბობდა იმას, რაც ამდენ წამებასა და სიმარ-ტოვეში უფიქრია, წაუკითხავს და განუცლია.

12.

კამათმა გვიანობამდე გასტანა. ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, რომ სერთუ-კიანი გარეთ გაგულისებული გაიჭრა და თან ის რამდენიმე უბადრუკი თანა-მგრძნობიც გაჰყვა.

დაეა დასრულდა.

მუშები აიშალნენ.

კმაყოფილნი, გამარჯვებით აგზნებულნი, შინ წასასვლელად გაემზადნენ, მაგრამ, სანამ სულ გაიკრიფებოდნენ, ზურია მწუთით ოთარი კუთხეში გაი-მარტოხელა და სიტყვა რალაც საკითხის გამო ჩუმად ჩამოუტდო:

— კარგი, ძალიან კარგი! — უბასუხებდა ის ხალისიანად და ყველას გა-საგონად. — მოვალ, უეჭველად მოვალ. ოღონდ ყველაფერი დიდი საიდუმლო-ებით უნდა მოეწყოს, აი, არც იმათ უნდა იცოდნენ არაფერი, იმ გრძელთმე-ბიანებმა, ეხლა რომ კულამოძუებულნი წავიდნენ, — სთქვა დამკინავი ლიმი-ლით და ცოტა ხნის ყოყმანის შემდეგ დაუმატა: — ხო იცით, სიფრთხილეს

თავი არ ასტკივია... გაფრთხილებთ, — იმათ არ აპყვეთ. ისინი თქვენ, მუშებს, უკან გეწევიან და ისეთ ბოროტებას გიწოდებენ, რომელიც უნდა მინდა მათონ. ისე გიკცქერიან, როგორც ამქრის ხელოსნებს... ამქრის საწარმოში ხელოსანთა ქი ძალზე პრამიტიულია და ისევე ჩამორჩენილი, როგორც მისი შეგნება და ის სახელმწიფოებრივი წყობა, რომელმაც ის წარმოშვა. აი, მამაჩემის სახელოსნო თურმე ალა-მაჰმად-ხანის დროსაც ისევე მდგარა, როგორც ეხლა... ზო ზედავთ, როგორ იშლებიან ისინი, პროლეტარდებიან. მათი ნაწილი მდგომარეობით უკვე პროლეტარულიცაა, მაგრამ პროლეტარული შეგნება ჯერ არა აქვთ. სასიკვდილოდ განწირულ სახელოსნოს ისევე ეტანებიან, ხსნას წარსულში ეძებენ... ეს არაფერია, მალე თავის მდგომარეობას ისინიც შეიგნებენ, რადგან მდგომარეობა ჰქმნის შეგნებასა, მაგრამ ეს დიდი საკითხია და მტკივნეულიც. მოდიოთ, შემდგომი შეხვედრისას ამის გამო ვისაუბროთ! — და ამ სიტყვებით კარებში გასასვლელად შექუჩებულ მუშებს სათითაოდ ამხანაგური გულმხურვალებითა და თავაზიანი ღიმილით გამოეთხოვა.

მარტო დარჩა.

ხელები კეფაზე შემოიწყო და დაფიქრებულმა თავი უკან ისე გადასწია, რომ თვალებთან ერთად იდაყვებიც მალა ალაპყრო.

უკან გადახეწილი ჰერს მიჩერებული ისე იდგა, თითქოს ოცნებობდა. მერე ხელები მოუთმენრად მოიშმუშნა და ჩქარი ნაბიჯით საწერ მაგიდაზე მდებარე ვადაშლილ წიგნს მიაშურა, მაგრამ კითხვა ვერ შესძლო.

ოთახში საღამოს ბინდ-ბუნდი ისე შეპარვით დათალხულიყო, რომ ასოებს ველარ არჩევდა.

წუთით დაფაცურდა, უნდოდა მეორე ოთახიდან ლამა შემოეტანა, მაგრამ დაეზარა.

ფიქრებმა კვლავ წაიღეს და, სკამთან ვარაუდით მისული, მოწყვეტით ჩაეშვა.

— ბიჭო, როდის აქეთ უღალატე იმ შენ ამხანაგებსა? — მოესმა გულჩახვეულად.

თავი მარტო ეგონა და ამ ხმაზე ტანში უსიამოვნოდ გააერგოლა. დაბალი, განიერ ბეჭებში მოხრილი ჯმუხი მოხუცი ნელი, უხმო ნაბიჯით შეიღოს ისე მკიდროდ მიუახლოვდა, რომ თითქმის თავს წაადგა.

ოთარისთვის ისე მოულოდნელი იყო ეს შეურაცხყოფელი სიტყვები, რომ უფროსის წინაშე წამოდგომაც დაავიწყდა.

შიომ შეიღოს თვალებში რისხვით ჩახედა და ტლულ, ხმის აუწყევლად ბრძანა:

— ადე!

ოთარი ფეხზე შეგირდვით მორჩილად წამოიჭრა, წელში შეგირდვითვე თავაზიანად გაიმართა და თავისი უდიერობისა და მშობლის სიტლანქის გამო გული მხოლოდ ახლა მოუვიდა, მაგრამ არა უთქვამს რა, უკან მორიდებით დაიწია. მამა მაინც არა სცხრებოდა. ნელა, მაგრამ მტკიცე ნაბიჯით მისკენ კუსტად მიიწევა. ოთარი ჯიუტად მიჩერებულ თვალებს ბინდში კარგად ვერ ამჩნევდა, მაგრამ მაინც მწველად განიცდიდა და თავი უხერხულად იგრძნო.

— როდის უღალატე მეტი, ბიჭო, იმ შენ ამხანაგებსა? — გაიმეორა მოხუცმა იმავე კილოთი.

— მე არაგისთვის არ მილაღატნია! — მოუჭრა სიტყვა ოთარმა შეცხებდ
და, კედელს აკრულმა, მკეხებდევ განაგრძო: — მე მხოლოდ თვეებში ამგებულა,
მამაჩემო, თვალები და ბევრ რამეს სხვანაირად ვხედავ.

ეს სიტყვები ისეთი რწმენითა და უკმეზობით იყო ნათქვამი, რომ მოხუცი
უცებ მოტყდა, ხმა არ ამოუღია.

თავი მხრებში ჩაუვარდა და მით ბეჭებში კიდევ უფრო განიერი და ოთხ-
კუთხი გამოჩნდა.

— მაშ ეგრე, ვიღუებით რალა? ვკედებით რალა? ფრთა გვაქვს და ვერა
ფერინავთ, ხელები გვაქვს და სამუშაო არა...

ხმა აუთრთოლდა.

ოთარს გული სიბრალუღით შეეკუმშა, მაგრამ პასუხი მაინც არ გასცა.

შიო ისე იყო, თითქოს ზავს ეტანებოდა, ეს ზავსი მისი დასნეულებული,
ილაგვაწყვეტილი შვილი იყო. იმისი იმედით არსებობდა, უნდოდა ამდენი
ხნის ოცნებითა და სასოებით ნალოლიავენს ერთი რამ, სულ მცირე რამ, —
სანუგეშო სიტყვა მაინც ეთქვა, ის კი არას ამბობდა. პირიქით, დაღუპვას
უქადა.

ერთხანს სიჩუმე ჩამოვარდა, მაგრამ ეს დუმილი ისევ შიომ დაარღვია:

— ბანაშვიდს გვიხდი, განა? შაბაშ, ამქარო, განა?

დაღვრემილმა თავი მწუხარედ ჩაჰკიდა და მწუხარედვე განაგრძო:

— მაშ იმიტომ გასწავლე, რალა? იმიტომ ჩვეჯექ ვალეებში... იმიტომ გამე-
ყიდა წოდორული მამული... იმიტომ მელუებება მამა-პაპური სახელოსნო... იმი-
ტომ შეგწირე ჩემი ყმაწვილკაცობა, რომ ეგეთი შემრჩენოდი ხელში, რალა? —
და ხმას უფრო აუწია: — ბიჭო, შე უღმერთოვ, შენა! გელოდი, გელოდი... და
რისთვის მერმე, რისთვისა? — ამოიოხრა და ბნელში არა სჩანდა, მაგრამ, მგო-
ნი, უხმოდ სტიროდა.

ოთარი კედელს ისე აეტმანსა, რომ დაკიდებულსა ჰგავდა.

არ იცოდა, რა ეთქვა, ან რით ენუგეშებინა ამ დღეში ჩავარდნილი მშო-
ბელი.

— შვილო! შვილო! — დაიკენესა მომუდარე ხმით მოხუცმა. უნდოდა კი-
დევ ეთქვა რალაც, მაგრამ ხელი თავმიშვებულად ჩაიჭნია და ოთხად მოღუნუ-
ლი მეორე ოთახში ლასლასით გავიდა.

მალე დედამ ანთებული ლამპაც ოხვრით შემოიტანა, მაგიდაზე საჩქაროდ
დადგა და საჩქაროდვე გავიდა.

13.

შიო თავის ოთახში განიერ ტახტზე თავჩალუნული იჯდა. თვალდათვალ
ხედავდა, რომ ცხოვრება ხელში წყალივით ეპარებოდა.

ეგონა ვალეებისაგან სული მოიბრუნა და ეს ოხერი ჩარხი ისევ უკულმა და-
ტრიალდა.

ბეჩარას ცდაც ამო გამოდგა, ველარც იმისმა მოციქულობამ გასჭრა. ვარ-
თანოვს გულნარას მამაიები რომ ენახა, გაცეცხლებულიყო, — რატომ ჩემ ჯა-
ლაბს არ უფეშქაშაო და სასამართლოს ქალაღი ზედ კარზე მიაყენა.

აი, საცაა ქონებასაც აუწერდნენ, იმ თავისი საამაყო სახელოსნოზედაც
ხელი უნდა აეღო, გუდანაბადი აეკრა და გარეთ გასულიყო.

ბეჩარა და გიგო ხანდამაშვილი მაშინვე ჯარასავით დატრიალდნენ, მაგრამ გაკერპებული კაცი ვერაფრით ვერ დაითათბირეს.

— არ შემოძლიან, — ჭირვეულობდა გაჭირვებული ვეჯელე. — მე ვარ და არ შემოძლიან! გინდ ეგრე მოსკერ, გინდ იგრე! მებრალემა, სიყმის მზემ, მიელ მენანება, რომ ეგეთი უქნარა და სათოკე შვილი გამოუტეიდა... მე მრე რა ოსტატია და, ოქროს ხელეზიანს ტყუილად კი არ ეძახიან! მეც რა ექნა, ან რა ძალა მაქვს? ერთი საწყალი კაცი ვარ და ეს ოხერი ჩემი თავი მეც მენანება. თქვენ იგრე ამბობთ რაღა, — იმას უშველეთ და შენ დაილუპეო. აარა, ძმავე, ვერ გიყაბულეობთ. რო სესხულობდა, ხო კარგი იყო? მე მრე ცხენზე შეჯდა და ღმერთი დაავიწყდა. ეხლა ჩამოხტა და ცხენიც დაავიწყდა, განა? არა, ძმავე, ამტელი მომითმენია, მეტი ძალა არა მაქვს.

იმათაც რა ექნათ, როცა არა გაუვიდათ რა, ადგნენ და ჩამოეხსნენ.

საწყალი კაცი იმდენ ეახშს იხდიდა, რომ თავის ბევრად აღმატებოდა, მაგრამ რა ექნა? ეს კანონი იმნაირად იყო მოჭრილი, რომ ვალში ვერაფრით ამოვიდა.

— ი დუქანი რო მართლა აგვიწერონ, რა წყალში გადავარდეთ? — წუწუნებდა დარდით გამშრალი კეკე.

— ეეჰ, ეხლა ჭიანჭური ნუ გახდები, და! — ჩამოართვა სიტყვა სახლობას ოსტატმა თავის სიცოცხლეში პირველადვე უხეშად. — ხო ხედავ, რომ თავს იჭით ძალა არა მაქვს! მე სიღარიბე როდი მაშინებს, აი, იმისი მეშინია, იმისი! — სთქვა გამბოროტებით და თითო შვილის ოთახის კარებს მიაშვირა. — მეგონა, მეკლარს დამიტირებდა და ცოცხალსა მტირის! მეგონა ყავარჯენად ამომიდგებოდა და, ეეჰ! ბადრიჯანს ფრთა არა ჰქონდა და თავი მერცხალი ეგონა. სჩანს, მეც ერთი კლტი ბადრიჯანი გყოფილვარ და თავი მერცხალი მგონებია.

კეკეს ცრემლები წასკდა და ტახტზე პირქვე დაემხო.

შიომ უცქირა სახლობას, უცქირა, უნდოდა სანუგეშოდ იმედიანი რამ სიტყვა ეთქვა, მაგრამ პირში ენა ვერ მოუბრუნდა.

ის კი თავის ოთახში ფიჭრებაშლილი, დაღონებული იჯდა. არ იცოდა, თუ რა შავ დღეში იმყოფებოდნენ მისი მშობლები. ან საიდან ეტოლინებოდა, როცა მას, როგორც ავადმყოფს, თავის გასაჭირისას არას ეუბნებოდნენ.

14.

პეტერბურგის საპატიმროს საკანში მუდამ ბნელოდა.

გათენებას მხოლოდ იმით ატყობდა, სულის შემხუთავ მყრალ „პარაშას“ გარეთ რომ გაიტანდნენ.

ორი მძიმე და აუტანელი თვე გაატარა მან იქ სიმარტოვეში და ამ ორი თვის განმავლობაში მუდამ ბნელოდა. ხანდახან ეჩვენებოდა, რომ ის კაცი კი არა, პატიმარი ნომერი ორასოცდაოთხედმეტია, და აი, კაცი № 237 დაავიწყდათ, ან გამორჩათ სათვალავში და, ვინ იცის, როდის გაახსენდებათ ან მოაკითხავენ ოდესმე ამ სამარეში?

ღერუფენებში ქება ეფინა და ყველგან ნესტის, ნაფთალინისა და ღამის კასრის შემხუთავი სუნი იდგა. ჟანდარმები მავნე სულელებით უჩუმრად დადიოდნენ და ეს, დეზები კი არა, სიჩუმე იყო, ცივად რომ წყარუნობდა.

თურმე ოკეანეთა ბათილ სიღრმეებშიც ასეთივე უკუნეთა და ამის გამო იქაურ ფაუნას თვალთა გუგა უზარმაზარი და გარეთ გამოზრდილი აქვს. ახლა, აღბათ, ისიც ამ ფაუნის ერთ-ერთი ტიპის სახეობას თუ წარმოადგენს და ეს ღამეც ჯამია ყველა იმ ღამეებისა, რომელიც ქვეყნის დასაბამიდან აქამომდე დაღამებულა და მომავალში კიდევ დაღამდება.

ხანდახან პატიმრის ყვირილი თუ გაისმოდა, ყვირილი იმდენად განწირული, თითქოს ვიღაც იღუპებოდა. მის გაგონებაზე ოთარს თავის ქალა უცივდებოდა და თვითონვე გრძობდა, როგორ უთეთრდებოდა ოდესღაც უხვად აშლილი და ახლა პირწმინდად გაკრეჭილი თმის ძირები.

ამგვარ მგომარეობაში ყვირილიც მოქნარებასავით ვადამდები ყოფილა, — გული ბოღმითა და უიმედობით ყელამდე რომ აევსებოდა, ისიც ღრიალებდა, მაგრამ ყველაზე საშინელი ის იყო, რომ ამ ღრიალში რაღაც სიამეს და სიტყბოს განიცდიდა.

— დედა! დედი-ილო-ო! — ბლაოდა ღამეში ჩატოვებულ ბავშვივით გულგახეთქილი და თავისსავე ხმას ყურს თვითონვე უგდებდა.

— Эй, тyрок, чeго там оpешь! — უტვედნენ მცველები, მაგრამ ყვირლის ეინზე მოსული პატიმარი უფრო მეტის ხმით ღრიალებდა და მისი შეშლილი ხარზარი გამოძახილის გამოძახილებად შხვოდა გვირაბივით ნესტიან დერეფნებში.

— ხალხნოო! ადამიანებოო! ხა-ხა-ხა!

მოუქნელი „პარაშა“ კარებს მიანარცხა და სალტე-ტკეჩებად დაშლილი კასრი ძირს გრიალით დეარდა.

ხმას მაინც არავინ სცემდა. ეტყობოდა, გიჟი ნებას მიუშვებს.

ყველაზე საზარელი მაინც ის პატიმარი იყო, სადღაც საკანში ძალღივით რომ ყმუოდა და ეს ყმუილი გულის შემადონებლად გაისმოდა სამარისებურ დღმომღში.

მას შემდეგ ვერ იტანს იგი ძალღის ყმუილს და მის გაგონებაზე ტანში ცივი ბუსუსებით ერთვილება, მას შემდეგ ვერ იტანს იგი ღამეს, — თავი იქა პკონია და ვერ იძინებს.

და, აი, ერთ დღეს როგორღაც გაახსენდათ კაცი № 237 და ციხის კანცელარიისაკენ გაიგდეს.

ბნელით მოცულ დერეფნის ბოლოში სანთელი ყვითელ ლაქასავით იბუტებოდა. პატიმარი № 237 მხრებში აიწურა და გაქანდა სინათლისაკენ... არც ახსოვს, როგორ მოხდა, არც ის იცის, ვინ, — იქნებ მითიურმა ხარონმა? — კარი ფართოდ გააღო და ოთარს მოეჩვენა, რომ უსასრულობამდე გაგანიერებული თვალთა გუგა გახიეს შუაზე... განიეთებული სინათლე კვამლივით მწველად მოხვდა სახეში და, რომ გამოერკვა, ვიღაც მუნდირში გამოწყობილი ხის კაცი განაჩენს უკითხავდა.

პატიმარი № 237 ციმბირს სამი წლით გადაასახლეს.

იქ, პეტერბურგში, მას ჩამოართვეს დიდებული წიგნი დიდებული მოხუცისა, რომელიც უმცირეს უჯრედში სჭვრეტდა კანონს მსოფლიოსას, — კაბიტალისტური სამყარო სავეს იყო წინააღმდეგობებით...



საყველიეროდ ქალაქში დიდი კრივეები იმართებოდა. წლეულს ამ აღათის მოხდა არ იქნებოდა, რადგან მთავრობამ სისტემატად აკრძალა, მაგრამ თბილისის მოქალაქენი თავისას მიინც არ იშლიდნენ და ამ დღეებისათვის დიდს ამბით ემზადებოდნენ.

გოგო-ბიჭებს ეზოებში საქანელები გადმოეკიდათ და მთელ დღეს ზედ სიცილ-კისკისით, ჟრიაბულით ქანაობდნენ.

ფუჩჩიანათ ნორჩ „ყვილის“ მალე ხანი დაჰკრავდა, ზამთარი ყვეილს დააზრობდა, მაგრამ ის ბიბიურშიც არ იყო. თავის ნათქვამმა და ჯიუტმა ყველა მაქანკლები ერთბაშად ჩამოითხოვა და შინ გაუთხოვრად იჯდა.

ორი წელიწადი, რაც ვანოსთან გაბუტული იყო, ორი წელიწადი ებრძოდა თავის თავს და, რომ ვერას ახერხებდა, უფრო შესჯავრდა იგი, მისი ხსენებაც არ უნდოდა. და, ამ ორი წლის განმავლობაში სიძულილ ქვეშ ნამალაევმა, თითქოს ჩამქრალმა გრძნობამ „ამ კვირია“ ისევ იფეთქა და კვლავ ავიზღიზნა.

ბეჩარას სახლობამ მისი უტიფარი ქცევის ამბავი მაშინვე ქმარს მიუტანა, მაგრამ ბეჩარას არა უთქვამს-რა. რახან ქმრად არავინ ისურვა, იმედი ჰქონდა დაკარგული. ახლა ეს ამბავი კიდევაც უხაროდა, მაგრამ საქმე პირისპირ რომ მივიდა, ერთბაშად მოიწყინა, რადგან სათუთად ნალოლიავეები ერთადერთი შეილის შელევა ეძნელებოდა.

ამდენი დაყოვნება მაინც არ იქნებოდა, მართლა და მართლა, ისიც მოხუცდა, ცას ხომ სამუდამოდ არ გამოეყვრებოდა, — დღეს არა, ზეალ მისთვის პატრონი უნდა მიეჩინა.

საოჯახო საქმეებზედაც ვგრერივად აღარა რჯიდნენ, — ეშინოდათ ხელისა და პირის კანი არ გააფუჭებოდა.

ისიც საგარეოდ ჩაცმული მთელი დღეები ბანზე იჯდა მოწყენილი და კევის ღეჭვითა და უსაქმობით თავგაბეზრებული თავის უკვე დაბერებულ ხატაურას თინიანად ეალერსებოდა. ახლა ფეხთ ვანოს ნახელავი ლამაზად ასხმული მაშაიები ეცვა, წარამარა ზედ დასცქეროდა, დასცქეროდა და ტკბილი ნატვრით იღიმებოდა. იმ სატიალე ბიჭის მომუდარე და გრძნობით აღსავსე თვალეები სულ თან დასდევდნენ და თხელ წინდებს, იმ დღეს რომ ეცვა, ვერ ელგოდა, არ იხდიდა, რადგან ზედ მისი უხერხულად აფათურებული, მორთოლვარე ხელები ელანდებოდა, ენატრებოდა.

ეს სატიალე სიყვარული ხორბალივით ყოფილა. ჯერ მაგარი, მწელად გასაკვენტი, მაგრამ უფუფნა წვიმა მოხედება თუ არა, ერთ დღეში აფუვდება, კვირტს მაშინვე გაუშვებს.

გულნარაც ასე იყო, — გრძნობები ერთბაშად აეშალა და ერთ ადგილას ვერ ისვენებდა.

მართალია, ბეჩარას დედალი ზოხობი მალე უნდა გაფრენილიყო, თავისი პატრონი უნდა გასჩენოდა, მაგრამ ჯერ მაინც ბალლი იყო და სიყვარულით სავსე ნორჩი გული მაინც ბალღურად უცემდა.

ბოლოს ველარ მოითმინა, კატა იქით გააგდო და ისიც პატარეებში გაერია. — ჯაან, ჯაან, გულნარჯან! — გაჰკიოდნენ გახარებული ეზოს ბაღლები და ქალს ხელის კვრით მალდა რომ ისროდნენ, ცად აქნეულს დარბეული ნიავი კაბას განიერად უფრიალებდა, მძიმე ნაწნავეები სახეში შოლტივით უტლაშუ-

ნებდა. მაშაიებში ამოსხმული კობტა ფეხებიც წვივს ზემოთ უჩანდა და უხაროდა... უხაროდა, და, ვინ იცის, რა აწივლებდა ასეთი ტკბილი ხმით, — ამდენი ხნის ნაწამები და ნალოლიავეები სიყვარული, სიცოცხლე, თუ უნდა ვთქვათ, ახალგაზრდობა?

მალა აქნულმა მხოლოდ ახლა გაიხედა ღობის ზემოთ. ქუჩაში, ვანოს მოპკრა თვალი. კედელს მიყრდნობილი ისეთი ხარბი მუდარებით მოჩერებოდა, რომ თოკს ხელი კინალამ უშვა.

თავბრუდასხმულმა, ზევით აქნულმა, ერთი ისე შეჰკისკისა, რომ მით ყოველივე უთხრა. უთხრა, რომ უყვარს, რომ იმისია, მაგრამ თავისი თავის თვითონვე შერცხვა და, საქანელიდან გადმომხტარი, ცრემლმორეული შინ შევარდა.

ბალები იდგნენ. სახტად დარჩენილნი, გაოცებული თვალებით ერთუტრის წესკეროდნენ.

16.

იმ ქუჩაზე, სადაც ყველიერის კრივები იმართებოდა, დედაკაცები ბანებსა და აივნებს ალიონიდანვე ჰგვიდნენ, წესრიგში მოჰყავდათ, რადგან ზედ საღამოთი აუარებელი ზალხი მოიყრიდა თავს სეირის საცქერლად.

მოდავე უბანთა მიჯნა სიონის ტაძართან იღო.

ზემოელებს თავიანთი მეტოქენი აბანოებამდე უნდა ჩაერეკათ, ხოლო ქვემოელებს ანჩისბატამდე.

რომელი მხარეც აჯობებდა, იმ წელიწადს გამარჯვებულს იცნებოდა. ამიტომაც იყო, რომ ახლა ზემოელები ასე უფოთავდნენ, რადგან ამდენი ხანია იბრძვიან, წელზე ფეხს იდგამენ, მაგრამ იმ ოხერა დნგრას გადამკიდე ერთხელ რაა, ერთხელ ვერ გაუმარჯვიათ.

ყველაზე მეტად მაინც ფუჭჩაანთ ბეჩარა უფოთავდა. მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, რათაც არ უნდა დასჯდომოდა, წლებანდელ კრივეში როგორმე გამოეთიშა ის იმათი მდევი. ამ მიზნით წინა დღეს ავლაბარში აირბინა, იქ ოსანა მკითხავს ერთი მაგარი ჯადო ვაკეთებინა და მებაღეს ნამალავად ბანიდან ბუხარში ჩაუვლო, მაგრამ იმ სატილვე კაცზე აღარც ჯადო სჭრიდა და აღარც ჯახრულოხანა.

ახლა დაკა-დაკა დაწყებულს არ იყო, რომ ხმა დაირხა, — ოქრომქედელთა უსტაბაშმა ახალი ფალაენები ჩამოიყვანა და დიდად იმუჭრებოა. ყველაზე უფრო ჩამოყვანილთა შორის გორელ ხორველა ბიქს აქებდნენ, მაგრამ დნგრა აინუშშიაც არ ავდებდა მათ მუჭარას, კრივისათვის არა სცხელოდა. ჯერ ბიძის უბედურება უკლავდა გულსა და ახლა ზედ იმის შვილის, ოთარის, ამბავიც დაერთო. ვინ იცის იქნებ, სამშობლოს ჰაერმა დასცადა, უკურნებელმა სენმა ერთბაშად მოსკელა და ღვიძლ ძმასავით შეზრდილი დეიდაშვილი ლოგინად ჩაავდო. ისიც წუთით არ შორდებოდა მის სარეცელს, თითქმის სულ იქ იყო. ახლა ისე მოუთავა სენმა ხელი, რომ დნგრა მის ტანჯვას ვერ უძლებდა, თავის ბაღში ბაბაყულივით მარტო ჩაემწყვდა, ხან სტიროდა, ხან მოსთქვამდა და ასეთ დღეში აბა რა ეკრივებოდა!

უმისოდ კი წლებანდელი გამარჯვება ქვემოელთათვის საეკვო იყო.

შეფიქრიანებულებმა კრწანისში საჩქაროდ კაცები აფრინეს. ეხვეწებოდნენ, ემუდარებოდნენ, მაგრამ გაქირზე დამდგარ ვაჟკაცს მათგან ვინმეს მოსმენაც არ უნდოდა.

— რა გინდათ, ჩამოშესენით! — ბუზღუნებდა მებაღე უკმაყოფილოდ. — რო ვეომო, ვის ვეომო? ქონდრის კაცებს? ეეჰ, ერთი ძალა ნუ წაიღეთ, დაა! ხო ხედავთ, რომ ძმასავით შეზრდილი დეიდაშვილი მიკვდება! — და ერთბაშად გაცეცხლებული აყვირდა: — მე ვარ და არ მოვდივარ, მე ვარ და არ მოვდივარ! წადით ეხლა და, სადაც გინდათ, იქ მიჩიულეთ. წადით, აქედან დაიკარგეთ!

იმთავ რა ძალა ჰქონდათ, ადგნენ და ჩამოესხნენ.

ზემოელეგბსაც ეს უნდოდათ.

სიხარულით ფეხზე აღარ იდგნენ. მაგრამ ყველაზე მეტად მაინც ფურჩხანთ ბერარა ზეიმობდა:

— ხო გუუზნებოდით, გასკრის მეთქი? ხო გუუზნებოდით? აჰა, გასკრა თუ არა? ხო გასკრა, ხო გასკრა იმ ბებრუცუნას ჯადომა? აჰაი, იმას კი ვენაცვალე იმ შემწვარი ვაშლივით ჩაბრანქულ ყელში, აჰაა! ოლოლო თქვენ საქმესა, ოლოლო! — გააკვიროდა ხმამალა და თავის ბანზე ოინბაზურად ახტუნებული ოინბაზურივე სიტყვებით ისედაც დაჯავრიანებულ მეტოქეებს გულს უხეთქავდა.

17.

აპრილის ტკბილი საღამო იყო.

ხეღ დიდმარხვის ორშაბათიც გათენდებოდა და აქლემზე უკულმა შესმული პირგამურული ყვინი პოსლიკა კინკრიხოზე წამოსკუპებული შაქრის ქალაქის ჯამბაზური წაპიანი ქუდითა და შამფურზე წამოცმული ხახვის თავით უზნებს ჩამოივლიდა, ხარკს მოჰკრეფდა, ქალაქს დაარბევდა და მის ირგვლივ შემოხვეული ამაღა — ბერიკები და პამპულები მცხოვრებთ ჟრიაშულით, ყიყინით აიკლებდნენ.

რამდენიმე წლის წინათ ქეჩა-იოვანეს წესად დაედო და მოქალაქენიც ამ წესს დღესაც მისდევდნენ: ნაყენობებს მოქიფენი თავთავიანთ ფსონს ჩამოვიდოდნენ და ამ ფულით ვინმე საწყალი ხელოსნის ოზლად დარჩენილ გაუთხოვარ ქალს მზითეს გაუმზადებდნენ.

ახლაც ისე, როგორც ყოველთვის, ერთბაშად აივსო ხალხით ქუჩა, ბანები, აივნები, ხოლო ხეებს ბავშვები ჩიტებივით შეეფინენ.

მთავრობის ბრძანებას, რომ კრივი არ იქნებოდა, არარვინ აინუნში არ აგდებდა.

ბერარას თავისი ფალანგები შინ ჰყავდა დამალული და, აქამდე რომ აღარ გამოჩნდნენ, ქვემოელეგბმა ის დარხებული ხმები ჰორად მიიჩინეს და მოწინააღმდეგეებს სიცილი დააყარეს. ბოლოს, თავს იმდენად გაუვიდათ, რომ გამარჯვებას წინდაწინვე ზეიმობდნენ, მაგრამ უსტაბაში ბაიბურშიც არ იყო, მათ ქირღვას არად აგდებდა.

— დაიცათ, შვილოსან, დაიცათ! ჯერ სადა ხართ, ფონი გასაველსაო! — ტკბილად იმუქრებოდა და თან უღვაშებში ჩუმჩუმად იცინოდა.

აი, ხალხიც მილაგდა, ქუჩა საასპარეზოდ დაიცალა და, საცაა, გადამწვეტი ომი უნდა დაწყებულიყო, რომ ამ დროს კრივის თავში არღანმა ტუში დასცხო და კუსპარა უსტაბაშის ბანზე ხუთი რჩეული ბიჭი ერთბაშად ამოლაგდა.

— ჯაან, ქვემოელემო, ჯაან! — დასძახა მასპინძელმა და თან მხიარულად აყაყანებულ სტუმრებს სველ-სველი ხელადებით ღვინოს ჩასაპანდურად აწოდებდა.

ერქინულში

ქვემოელემს მათ დანახვაზე ფერი ეცვალათ და ამბავი მსაჩინვედ დასწრას მიუტანეს. სხვა გზა არ იყო, იცოდა, სანამ არ დასთანხმდებოდა, არ ჩამოესხნებოდნენ და მებაღეც ადგა, ხელდახელ ჩოხა ჩაიკვა, ქული დაიხურა და იქვე ახურში დაბმულ ვირებს ნაღვლიანად, მეზობელთა გასაგონა, მიუბრუნდა:

— ეე, ოხრებო, მე მივიღივარ და თქვენ აქ ეყარებით! ხედავთ, ბედი შეძახის! მეც რა ძალა მაქვს, უნდა წავიდე! ხედავთ, რომ ოხრაზეშის თესლივითა ვარ, — მინდა დავიღუპო და ვერ ვიღუპები! ხედავთ, ეს ღმერთადლი ვაზაფხულიც კარს მოგვდგომია! თუ დავიღუპე, სულ სხვა ყაიდაზე მოვალ, ორ კვირაში მწვანედ ავბიზინდები და, ეე, მართლა ოხრაზეში არ გეგონოთ, არ გადამძოვოთ! — ამ სიტყვებით სახლი მწუხარედ გაიკეტა და ხალხში გავიდა.

შუა ქუჩაში ამაყად გაიარა და ფუჩქაანთ ბანის პირდაპირ, ლობის ძირას, ქვაზე ბაბაყულივით მარტო დაჯდა. ხალხში ყოფნამ ოთარის ჯაერი ნელნელა გაუქარვა. იჯდა თავისთვის, თან უცნობი ფალანგების ქეიფს თვალყურს ქურდულად ადევნებდა და თან თავისთვის ბურტყუნებდა:

— ჰაა, მაჯობებთ? ვერა, სიყმის მზემ! რო ვერ მაჯობოთ? ოლონდ, თქვენი ბიჭობით მაჯობეთ, აი! ჩემი ნებით არას დაგიტომობთ და, თუ მაჯობოთ, ილალი იყოს თქვენზე! ვახ, შე საწყალო ჩემო თავო, რა ცეცხლში ხარ! გაჯობონ, — გინდა, აჯობო, — გინდა, ესეც მაზალოა, რაღა!

ბანზე გულნარაც გამოჩნდა და, ზემოდან ცისკარით რომ გადმოანათა, გაეკაცმა ოხერას ერთიორად უმატა:

— გულნარ, ეგ შენი შუქი ერთი მეც მომაყარე, ბნელი გამინათე... გულნარ, მემრე რა, რომ ერთი საწყალო მებაღე ვარ, მიწის მონა, მიწის მუშაკი! მემრე რა, რომ ბაღლი მახსოვხარ! სიყვარულმა ხო ხარისხი და ხანი არ იცის, შე ხანდალეულო, შენა! გოგოვ, გოგნი-გოგონი-გოგონი! ცოდო ვარ, შე დღევასაწყალებელო, აფსუსი ვარ! — მაგრამ მისი გულის ტკივილი არავის არ ესმოდა, ან ვის ეცალა იმისთვის, როცა ყველა კრივის დაწყების მოლოდინში იყო.

ბეჩარამ თვალი მოჰკრა თუ არა დნგრას, ელდა ეცა. ერდოზე გადმომდგარი ცეცხლმოკიდებულებით აყვირდა:

— შენ აქ რამ მოგიყვანა, შე კერპის ნახატო, შენა? უუ, შე დღევასაქრობო, შენა! ენახოთ, ერთი დღესაც ენახოთ, რა კაციცა ხარ! და, თუ დღესაც გვემე, თუ დღესაც გვაჯობე, მაშინ მოკვდეს ფუჩქაანთ ბიჭი ბეჩარა... ჩემი ცოდო შენ სულზე იყოს შე სულძაღლო, შენა!

მებაღე თავისთვის არხეინად იჯდა და დაზაფრული კაცის ღვარძლიან ყაყანს არად აგდებდა.

— გოგოვ, გოგნი-გოგონი-გოგონი, გოგოვ! — ბუბუნებდა თავისთვის და ასე ეგონა, რომ მისი, ფუჩქაანთ ბანზე ამომხდარი ცისკრის ოთხივ დალალი ჯაერით გახურებულ გულში გამოსხივებული ოთხი მადლივით გრილად ეშვებოდა.

18.

უცებ ქვემოელემმა ერთი ვიღაც წრიბა გამოახტუნეს. ბიჭმა შუა ქუჩაში მამლაყინწურად გაიარა და თან მუშტების ქნევით სასაცილოდ ჩხაოდა:

— ზემოელემო, გამოდი! — და კრივი დაიწყო.

პატარეებს მოზრდილიც წაეხმარნენ, მოზრდილთ დიდებიც ჩაჭყენენ. მალე დიდი კრივი გაჩაღდა და მუშტების ბაგა-ბუგმა, ოხერა-გრაილმა იქაურობა სულ დააყრუა.

დაჰკა! დაჰკა! — იყო ყიჟინი, ღრიანცელი.

— მიდი, გენაცვა, მიდი-იპ!

— დუბე-დუბე!

— ქომაგი! ქომაგი!

მოჩხუბართ სულ ახალნი და ახალნი ემატებოდნენ.

უბნის განთქმული ბაბამი მოკრივენი, აქამდე ჯართი კაცებივით ბანებზე უქმად რომ ისხდნენ და წერილფეხობის ძიძგილსა და ღრიანცელს არხეინად გასცქეროდნენ, ახლა შეიშმუშნენ, ბრძოლის ეშხზე ნელნელა მოდიოდნენ.

მალე ქუჩაში ტევა აღარ იყო.

ყველაფერი აირია.

ვილაც კენესოდა, ვილაცა ცხენივით ჭიხვინებდა და იქ, ზედახორად შემდგარ ხალხში, ხარფუხელი მკალავი ლეკუა ლეკურ ყაიდაზე, რალაცას ყურის წამლებად ქუიოდა.

ზემოდან გადმომდგარ ბეჩარას ხელები საფრთხობელასავით გაეშალა, თან დიაცური ხმით ამაზრხენად ქუიოდა და თან თავის ფალავნებს ორომტრიალში რიგრივად უშვებდა.

არღანი ჭიკყინებდა, ზურნა იქაურობას აყრუებდა.

— მიდიით! მიდიით! — აქეზებდნენ მოკრივეებს მაყურებელნი.

— ჯაან-ჯაან!

— დაჰკა-ა! დაჰკაა! — გუფუნებდა დნგრაც და ამ დაგა-დუგში ისიცნელნელა მოდიოდა ეინზე.

კრივი სულ უფროდაუფრო ზურდებოდა.

ბევრი მიწაზე გორავდა, ბევრიც თავ-პირდასისხლიანებული ასპარეზს სტოვებდა. ვისაც ფეხზე დგომა არ შეეძლო, მაყურებლებს თრევით გამოჰქონდათ და ქუჩის პირზე დედაკაცების საპატრონოდ ჰყრიდნენ.

აი, ზემოელებმა სძლიეს ქვემოელებს და მიჯნას ოდნავ გადააშორეს. ცოტაც და ქვემოუბანი ველარ შესძლებდა გამკლავებას.

ყველაზე ორჭოფ მდგომარეობაში ისინი იყვნენ, რომელნიც აქამდე ქვემოუბანში ცხოვრობდნენ, მაგრამ წლეულს ზემოთ გადასახლდნენ და ახლა ამათთან ერთად თავიანთი ძველი მეზობლებისა და თანამებრძოლების წინააღმდეგ უნდა ეჩხუბათ. რომ სცემდნენ მათზე უჩვევი ხელი აღარ ემორჩილებოდათ და ახლა თავისი ნამეზობლარნი შავ დღეში რომ დაინახეს, გული ისევ ძველებურად აღჩქროლდათ. ძველი ყინი კვლავ აღეძრათ და ჩხუბშიც ისე გაერთნენ, რომ თვითონაც არ იცოდნენ, როგორ უღალატეს ახალ მეზობლებს, — ბრძოლა ქვემოუბნიდან დაიწყეს.

ერთი ამგვარი მოღალატეთაგანი თედო ჯავარაშვილიც იყო. მას მხოლოდ დღეს გაეგო, რომ ის სალუქი მაწაიები, იმ ღამეს დარაანთ სახელოსნოში რომ ნახა, ვანოს თურშე გულნარასთვის ემზადებინა და სულ იმის სინანულში იყო:

— იიპ, რატომ არ ვიცოდი, რატომ არ ვიცოდი, მე ბეჩავემ, ჰა! — და ახლა ქვემოუბნელებთან ვერაგულად გადასული ამ გახარებულ ბრძოლაში იმას ეძებ-

და, იმ თავის მეტოქეს, რომ ამ არეულობით ესარგებლა, თავი საცუროთ გაეხეთქა და მით ის თავისი ძველი ანგარიშებიც ერთბაშად გაეთავებინა.

— მოლაღატენო! გამყიდველებო! — აყაყანდნენ გატყუებულნი და მოწინააღმდეგეს უფრო გამწარებით შეუტიეს, მაგრამ არა გამოდიოდა რა, რადგან ციხე შიგნიდან იყო გატეხილი.

ყველაზე მეტად მაინც ბეჩარა შფოთავდა:

— დაიცათ, შვილოსან, დაიცათ! — იმუქრებოდა გაანჩხლებული და თან უღვაშებს ნიშნის მოგებით იგრებდა. — ხო ეგრე? ხო გვიღალატეთ? მაშ ეს უღვაშები ძირში მომპარსეთ, თუ არ განანოთ! დაიცათ, დაიცათ! მგონი, იგეთ დღეში ჩაგყაროთ, იგეთში, რომა, ჰა!

ქვემოელებს მოლაღატეთა წყალობით ჩარხი ისევ წალმა შეუტრიალდათ. გულმოცემულნი მოპირდაპირეს მძლავრად მიაწვნენ, მაგრამ მეტოქენი არც ეგრე იოლად უთმობდნენ მოპოვებულ გამარჯვებას. ახალ მეზობელთა ვერაგობამ კიდევ უფრო გააკაპასა ისინი და მოქიშპეებს ისეთი გამწარებით შეუტიეს, რომ ოდნავ უკან დაწეულნი ისევ მიჯნის ქვემოთ ჩაივინდნენ, მაგრამ გამარჯვების დიდხანს შენარჩუნება მაინც ვერ შესძლეს, რადგან ჩხუბში ქვემოელთა განთქმული ფალავანი ცხრაფეხანთ გოლაც ჩამოვიდა.

ეს ბიჭი ხელობით კალატოზი იყო. ტანად მალალი, ხმელხმელი და მუშტებიც აგურებივით ხმელი და გამანადგურებელნი ჰქონდა. ბუჩქად გადმოფენილ წარბებს ქვემოდან მუდამ მწყურალად იცქირებოდა, მაგრამ გულით ტკბილი იყო და ყველასთვის საყვარელი. ახლა მაუღის ჩოხის სახელოები იდაყვებამდე დაემკლავებინა, განიერი შარვლის ტოტები შალის თეთრ წინდებში ჩაეტანებინა, ფეხთ ხარაზული უქუსლო ჩუსტები ჩაეცვა და ისეთი გამწარებით იბრძოდა, რომ ირგვლივ ფეხზე არავის აღარ აყენებდა. მერე შუა ქუჩაში ერთი ისე უხეიროდ გაიბოტა, რომ ხალხის დენა შეატბორა და ზედაბორად ამდგარი მოკრივენი ისე აირიენენ, რომ ძალღი პატრონს ვერა სცნობდა. ამით წაქეზებული ქვემოურნი ისევ მიეძალნენ ზემოელებს, მაგრამ არც ისინი ისბდნენ გულზე ხელდაკრეფილნი. გოლას გამოჩენაზე მათაც თავიანთი ახოვანი მედროგე ვიფიხიბაკა ჩამოუშვეს, რომელმაც მედგრად მოწოდოლი ქვემოურები სულ პანტაქუნტით მიჰყარა აქეთ-იქით. აი, ცხრაფეხანთ გოლასაც მიუახლოვდა და ხელი იმასაც ჰკადრა. მეორედაც რომ უპირებდა მუშტის შემართვას, კალატოზმა გარტყმა ეგრე არ უნდაო, — ერთი ისეთი ალიყური ააფარა სახეში, რომ მედროგეს თვალი დაუბნელდა, მიწაზე ზღართანი მოადინა.

— აა!

— უუ! — დასცეს ყიყინა ქვემოელებმა და ზედ მოწყვეტებული მოწინააღმდეგენი ისევ უკან მირეკეს.

ბეჩარამ ეს რომ დაინახა, სულ გაგიჟდა, გამწარებული ყვირილით, ჩხავილით იქაურობა დააყრა:

— მოიტათ! მოიტათ!

და ამ ღრიალზე ეზოდან სულ ახალ-ახალი სველ-სველი ხელადები ამოდიოდა და, თავის ფალავნებს ღვინოს პირში ძალისძალად რომ ასხამდა, ხან ავიწინებდა, ხან ემუქრებოდა და ხან უცებ დამტკბარი, მინაზებული ხმით გულის დამლევად ემუდარებოდა:

— მიშველეთ! მიშველეთ, თქვენი ჰირომეთ! მიშველეთ, თქვენი მამაძალე-
ბო თქვენა, თორემ შეგკამთ, შეგსანსლავთ! უუ, თქვენ კი გენცველეთ! იქმავ
მარჯვენაში, აჰაა!

დნგრა ნელნელა მოდიოდა ბრძოლის ეშხზე და ახლა იქ, ლობის ძირას, კი
აღარ იჯდა, ზემოთ აცოცებულყო, ომს იქიდან დასცქეროდა და თან ონაე-
რულად იზმორებოდა.

— გამიშვით! გამიშვით! — ბურტყუნებდა ცინისაგან ქრეოლაატანილი ისე,
თითქოს ვინმე იტერდა და ჩხუბში არ უშვებდა.

— ოთარ, სადა ხარ? სადა ხარ, შე უღმერთოვ, შენა? რა დროს წო-
ლაა, არა ხედავ, რეები ხდება? ხალხში გამო, ბიჭო, ხალხში გამო და ერთი
იმისი ძალაც ნახე, და! აფსუსს, რა ბიჭი ფუტკლები, ვაიმე, ვაიმე! — სწიოდა წუ-
წუნებდა, მაგრამ მისი ბურტყუნის მოსმენის თავი არავის არა ჰქონდა. ბრძო-
ლა ისე ვახურდა, ხალხი ისე აირია, რომ გუგუნე ცად აღიოდა.

— დაჰკათ! დაჰკათ! — ღრიალებდა ცხრაფეხაანთ გოლა დანჯღრეული
ხმით და თან ზედ მოსეულ ამაყ ბიჭებს მიწაზე თივასავით აფენდა.

ბეჩარა მიხვდა, — სანამ ეს, ცხრაფეხა კი არა, ცხრამკლავა ბიჭი არ მიიბე-
გებოდა, მანამ იმისი უბნის გახარება არ იქნებოდა და იქვე მდგომ მთაწმინ-
დელ კომშუას აუჯაჯღანდა:

— რას უდგებხარ მანდა? რას უდგებხარ, მეთქი?

კომშუასაც ბევრი აღარ დაუყოვნებია.

— აჰაი, ტა-ტა-ტა! — დასკვივლა ლაღად და შუა ბრძოლაში გადაეშვა.
მას კუკიელი ვირიციხონაანთ ბიჭებიც მიჰყვნენ, ხოლო მოგვიანებით გადასული
ბაყალი გომფუა ზედახორად ამდგარ ხალხში ისე ტრიალებდა, როგორც კამეჩი
მორევეში. ზედ მოწვეტებულთ აქეთ-იქით წიწილებივით ფანტავდა, ბღღვინავ-
და, მაგრამ მაინც არა გამოდიოდა—რა, გულმოცემულ ქვემოელებს ძერაც ვერ
უხვეს.

ნახევარ საათზე მეტი იქნებოდა, რაც ისინი გააფთრებით იბრძოდნენ და
ბედის პინა არც იქით იხრებოდა და არც აქეთ. კრივი ვადგა და ერთი მეორეს
ადგილიდან ფეხს ვერ აცვლევინებდნენ. ამ არეულობასა და გნიასში თედომ
თვალი შეასწრო ვანოს. გახარებული მაშინვე მისკენ გაქანდა, მაგრამ პასუხად
ერთი ისეთი დააკერეს სახეში, რომ რეტდასხმული კედელს მიეყუდა...

მიიხედ-მოიხედა, — ვანო აღარა სჩანდა, ის ისევ შუა კრივში შეცურებულყო-
ყო. ბრაზით სახემოღრეციკლმა ერთი უწმაწულად შეიგინა და მაშინვე ფუჩე-
ჩაანთ ბანს ახედა. ის მისი გულის მომკვლელი თავისი ახალი მაშაიებით მალ-
ლიდან ამაყად გადმომდგარიყო და ნაცემს გამჭირდავი ღიმილით დასცქეროდა.

— უუუ, მაშ მე კაცი არ ვიყო, ულვაშები მომპარსე, თუ შენ არ გაგაუბე-
დურე! — დაისისინა და შერცხვენილი, თავლაფდასხმული ლასლასით დედაკა-
ცებში გაერია, ბრძოლის ველი ლაჩრულად დასტოვა.

ზემოელებს კლდის მწვრველი ჭარაფ-ქონდალაც ჩაშველებოდა.

ახოვანი და ტანმკერივი ამ ზღვასაავით ამობოქრებულ ხალხში გემივით
ცურავდა და თან მარჯვენა და მარცხნივ ხან მუშტებსა და ხან ალიყურებს
ატლავუნებდა.

ახლა კი ველარაფერი შეაჩერებდა იმის უბნელთა წინსვლას, რადგან მათი
მოწინააღმდეგე ცხრაფეხაანთ გოლა ამდენი ბრძოლით ისე დაიღალა, რომ

აღარც მკლავი და აღარც გული ნებას არა ჰყვებოდა. ჭვემოელეებში თავიანთ ფალავანს დაქანცულობა შეამჩნიეს თუ არა, მაშინვე აყვირდნენ:

— ჭომავი! ჭომავი!

ჭომავნიც გაიღწენ. ილაჯგაცილილ ვაჟკაცს მაშინვე გვერდში ამოუდგნენ, მაგრამ გვიანლა იყო. ზემოელეების შედგარ შემოტევას ველარ დაუდგნენ და დამარცხდებოდნენ კიდევ, რომ ამ დროს მათ ტანმკვრივი ბოშ-ოპანეზა არ ჩამოშველებოდა.

ბოშ-ოპანეზა სანდომიანი და ლამაზი ვაჟკაცი იყო, ხასიათითაც წყნარი და მშვიდობიანი, მაგრამ, გული რომ მოუვიდოდა, გაუტანელი იყო, და დაუზოგავი. ზემოელთა თავხედობით გაბრაზებული კრივეში ქარიშხალივით შეიჭრა და, როგორც ალაღმა წიწილები, ყველა ისე დაირეკა. მას მუდამ მხიარული ღორკოლაც ჩაეშველა, რომელიც ხან ღორივით ღრუტუნებდა, ხან გოკვივით ჭყვიროდა და თან ხელებით, თავით, წიხლებით კრივობდა. მაგრამ წასულ საქმეს მაინც არაფერი არ შველოდა. ერთხელ დაძრული ჭვემოელეების შეჩერება მნელი გახდა. ფეხი რომ ვერსად მოიკიდეს, სულ აირ-დაირივნენ.

ბეჩარა ხომ სიხარულით ფეხზე არ იდგა და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, გაჰყვიროდა:

— აა, მიდიო! ააა, დაჰკათ! ჰკა მავათ! დაჰკათ, ბიჭებო, დაჰკათ და ტომბახი ჩემზე იყოს!

ჭვემოელეების საქმე ცუდათ იყო. ისე გამწარდნენ, რომ ერთი მათგანი ლობეზე არხეინად მჯდარ დნგრას გიეივით მივიარდა და განწირულის ხმით აუყვირა:

— რას უზიხარ მანდა, შე მამაობრის შვილო, შენა? ხო ხედავ, რა დღეში ვართ!

დნგრას ყურადღება არ მიუქცევია მისთვის, ლობეზე ისევ არხეინად იჯდა და ჩხუბს თვალ-ყურს წყნარად ადევნებდა. მას თავისი დარდი ჰქონდა, — ბეჩარას ფალავანის ჩამოსვლას ელოდა და, რომ აღარავინ ჩამოდიოდა, მოთმინებას ჰკარგავდა. ბოლოს ამდენიც ველარ შესძლო და:

— აააი, მოვდივარ! დნგრა მოვდივარ, დნგრაი და, თუ ბიჭები ხართ, მანდ დამიდექით! — დაიღრიალა და ლობიდან ვადამბტარი შიგ შუა კრივეში გაჩნდა.

— ხაბარდა! ხაბარდა! წინ არ დამიდგეთ, წინა, თორემ ატევიჩი არა ვარ, აი! ეე, თქვენც, ქონდრის კაცებო, აბა უკან მომყეთ! — ბრდღვინავდა გახელეებული და ლელიანში გაქანებული ტახივით ლეწდა, თელავდა ყველაფერს. მისი დაგა-დღეგი, სილები ტაკუნნი, ბლულილი და კბილთა ღრქენა მაყურებლებსა და მოკრივეებსაც ტანში ჟრუანტელსა ჰგვრიდა. ზედ მოტევებულს შიშით ნება-უნებლივთ გზას უთმობდნენ და ერთ წუთში კრივის ბედი სულ შეტრიალდა.

ჭვემოელეებს იმედი კვლავ მიეცათ, ერთბაშად იხულებეს და მოპირდაპირეს ისევ მიაწენენ.

— ხაბარდა! ზემოელეებო, ხაბარდა! მაზოლზე ფეხი არ დამადგათ, მაზოლზე, თორემ მეტკინება, აი! — ოხუნჯობდა დნგრა და წინ ვერაფერი უდგებოდა, ზემოელთა ფალავნები ნიაღვრით გატაცებული ტივის მორებივით აქეთ-იქით მიჰყარ-მოჰყარა.

ბანებზე და ხეებზე ასული ბალღები ცივი ხმით გაჰკიოდნენ:

- მიდი, გენაცვა!
- ამან აჯობა!
- დნგრასთან ვინ მოვა!

ნათქვამია, კარგი მოკრივე სულ ბოლოს ჩამოდისო, ბეჩარას ის გორელი ფალავანიც ეგრე მოიქცა და სულ ბოლოს ჩამოვიდა. ქვემოელებს პირისპირ შეეჯახა თუ არა, მუშტები უროებივით აამუშავა.

— მიდი, მიდი! — წიოდა დიაცური ხმით აწიკვინებული ბეჩარა და იმდენი იყვირა, იმდენი იჩხავლა, რომ ბოლოს ხმა სულ ჩაუწყდა.

ხორველამ კრივი ნელა დაიწყო, არა ცხარობდა და ჯანსა და ღონეს გამოზოგვილად ხარჯავდა. მერე თანდათან შეხურდა და, რამდენი მეტად უტევდნენ, იმდენად უფრო და უფრო ეინზე მიდიოდა, ღონე და მისწვარება ერთიორად ემატებოდა. ქვემოელებმა მაშინვე იცნეს უსტაბაშის ფალავანი და ზედ მიაწყდნენ, მაგრამ მას არად ჩაუტვია იმათი იერიში, თითქოს ისიც ამას ელოდა. ერთი წელში ლალად გაიშალა და მკლავები ნავის ნიჩბებივით განივრად მოიქნია. ეს შემოქმედული ხალხი ერთის მოსმით ჯერ ერთაბაშად მოხვეტილი წყალივით აღრია, მერე მორევის შუაგულში შეიჭრა და თვალეში ხარბად ააცეცა. დნგრას ეძებდა, მისი შეხვედრა სწყუროდა და, თვალი მოჰკრა თუ არა, მაშინვე იმისკენ გაეშურა.

მეხალე შედგა და თვალგაბრწყინებული უცდიდა დოსტორივ წამოსულ ვაქაქს, სიხარულით გასცქეროდა, როგორ მოაპობდა ხალხსა და, რა უყოთ, რომ მტერი იყო, ალტაცებისაგან თავი მაინც ვერ შეიკავა:

— უუპ, გენაცვა! უუპ, შენი ჰირიშე! მოდი! მოდი! — აქეზებდა მეტოქეს.

ქვემოელებმა თავიანთი ფალავანი უმოქმედოდ რომ დაინახეს, მუშტები წაუშინეს, მაგრამ დნგრა არად ავდებდა მათ ბაგა-ბუგს. იდგა, გაცეცებისაგან მხრებს იშმუშნიდა და თავისი მოწინააღმდეგის ვაქაქაობითა და ლაზათით გულახდილად სტკებოდა. ერთი პირობა ისიც შეტოვდა, უნდოდა შესახვედრად წასულიყო, მაგრამ შედგა.

„ცოდოა! რათ გაფიქუქო!“ — გაიფიქრა და ზედ მოსულ ზემოელებს, კი არ შეუტია, დაუტატანა:

— ა-ადეთ, თქვე ჭითაბაღლებო, თქვენა! — და ერთი შემოტრიალებით ყველა ქათმებივით შემოიღალა ირგვლივ.

ძაან ერიდებოდა, ენანებოდა მისი ბიჭობა, მაგრამ, როცა მან თავისი არ დაიშალა და მისკენ მაინც გულდაგულ მოდიოდა, რა ეჭნა, ადგა, ისიც მისკენ გაემართა.

— მოდი-ი! მოდი-ი, აქა ვარ! — ყვიროდა ვახარებული და ამ ზღვა ხალხში განიერი მკლავურით მიცურავდა.

რომ შეიყარნენ, ისე შედგნენ, თითქოს თვალთ ზომავენ ერთერთსო. დნგრამ წუთით ისარგებლა და მშურად გასძახა:

— ბიჭო, რას გადამეკიდე? ცოდო ხარ, მომშორდი მეთქი!

— გამეცალე და მოგშორდები! — იყო პასუხი და სიტყვის დასრულებაც ვერ მოასწრო, რომ მეხალემ თავისი ტოტყი მუშტი კუნძივით მოუქნია. ხორველა წელში შოლტივით გაიზნიქა, დარტყმა მარჯვედ აიციინა და მერე უცებ



გამართულმა სახეში ერთი ისეთი შკვახედ ჩასცხო, რომ დნგრას თვალი დაუბნელდა.

— ეე, მჯობნი რალა!—ეს ლა მოასწრო და, მეორე მუშტუკისმსხვლა, აზრი დაჰკარგა...

19.

— აა! უუ! — აგრიალდნენ ზემოელები და ხუთი წლის გამარჯვებით განებიერებული მოწინააღმდეგენი ხუთ წუთში სტვენით, ყიყინით მიჯნამდე ჩარეკეს. არლანი აქიკუინდა, ზურნამაც საზეიმო ტუში დასცხო და ისედაც არეული ხალხი უფრო აირია.

ბაღლები სიხარულით ხტოდნენ, ფეხებში თავგებივით დაძვრებოდნენ, — ჭყიოდნენ, ჟიოდნენ, ყურთა სმენა აღარ იყო.

ფუჩჩიანთ ბეჩარა ხომ სულმთლად ვაგივდა.

— ვაჯობვეთ! ვაჯობვეთ! ვაჯობვეთ! — ჩხაოდა ეს მართლაც კუსპარა და დალეული კაცი და ამ ხუთ წუთში ხუთი გოჯით მაინც გაიზარდა. თან აქეთიქით ციბრუტყივით ტრიალებდა და, ვინც იცის, მერამდენედ კითხულობდა: — ხო ვაგიმარჯვეთ, ჰა? ხო ვაჯობვეთ, ჰა? ი, დნგრაც ხო კარგა ლაზათიანად მიუბეგვეთ, ჰა? მა რა ეგონათ! ეგრე იცის ბეჩარამა, მაშა! — ამბობდა ნიშნის მოგებით და მერე ისევ ყელგამოჭრილივით ღრიალებდა: — ვაჯობვეთ! ვაჯობვეთ! ვაჯობვეთ!

მისი მნახველნი სიცილს ველარ იჭერდნენ, მაგრამ ის ყურადღებას არავის არ აქცევდა. გამარჯვებით ისე იყო თავბრუდასხმული, რომ არაფერი ამ ჭვეყნისა არ ესმოდა. ხან სულელივით იცინოდა, ხან უაზროდ რალაცას ჭყლოპინებდა ხან ბაღლივით ერთ ადგილას სასაცილოდ ხტოდა.

გიგო ხანდამაშვილმა უტკირა მეგობარს, უტკირა, ბოლოს ველარ მოითმინა და ისიც აყვირდა:

— კარგი ერთი, ბეჩარ, გული ნუ გამიხეთქე, დაა! გეყო რალა, თორემ გიცქერ და გიყი მგონიხარ, გიცქერ და შიშით აღარა ვარ! დაწყნარდი, ბეჩარ, დამშვიდდი! მართლა და მართლა, ეგრეც არ იქნება, დაა!

ამას კვერი სხეებმაც დაუჯრეს, მაგრამ ის მაინც გიყივით იცინოდა, გამხდარ ბარძაყებზე ხელებს გამეტებით იცემდა და თან დანის პირივით მიწვრილებულ თვალთავან ბედნიერების ცრემლები ღაპა-ღუპით სდიოდა. ვინც ხელში მოხვდებოდა, არ ეშვებოდა, ყველას განურჩევლად ლოწნიდა და რალაც აბდაუბდას ისე უთავბოლოდ ტიტინებდა, რომ მეზობლები ხუმრობავაშვებით შეფიქრიანდნენ, — დავთრები მართლა არ აერიოსო. ბოლოს იქამდეც მივიდა, რომ ტუტუც ალექსანდრესაც გადაეხვია, მაგრამ იცნო თუ არა, ერთი „ფუიო“, დაიძახა და ხელის კერით იქით მიავლო.

ხორველა ხომ კინალამ ცოცხლად შესჭამა.

საწყალს კრივში არ დასდგომია ის დღე, ამან რომ აქ დააყენა. კისერზე ჭვასავით ჩამოეკიდა და ჰკოცნა, ლოწნა, ლოწნა, ჰკოცნა. მერე უეცრად მოსწყუდა და, მომალლო ადგილზე შემდგარმა, აზიმიზიმებულ ხალხს ხელების ქნევით გადასძახა:

— სმენა! ეე, სმენა იყოს, ვაგონება!

ამ ორმოტრიალში მისი სიტყვები არავის არ გაუგონია, მაგრამ ხელის ქნევაზე მიხედნენ, რომ რალაცის თქმა უნდოდა.

— ძმებო! საყვარლებო! — დაიძახა, ოდნავი სიყუჩე რომ ჩამოვარდა. — ჩვენო უზნელებო, ხო ნახეთ, რა დღეში ვიყავით? — და პასუხი თავის ქნევით თვითონვე გასცა: — პაპ-პაპ-პაპ! ხო ნახეთ, რა აღამამაღმანობა იყო? ჰონდა, ვინც ამ შავ დღეში გვალაატობდა, რის ღირსია?

ძმები, საყვარლები ერთბაშად ვერ მიხედნენ რას ეკითხებოდა მათ უსტაბაში.

ბეჩარას გული მოუვიდა.

— ეე, თქვენ გეკითხებიან, მოლაღატებს რა ვუყოთ?

— იოლით შევეკრათ, იოლით! — მიხედნენ ისინი და ერთბაშად აგრიალდნენ: — წყალს ნუ დავალევიებთ, ნურც წამალს მივცემთ! ახლოს ნუ გავიკარებთ, ნურც ხელს გავუწვდით! — მაგრამ ოჭრომქედლების უსტაბაშმა მათი სიტყვა შორს დაიჭირა და ხელები ცივი უარით აასაესავე.

— აარა, გულის საყვარელნო! აარა, გულის მურაზნო! იოლი არა! იოლი რა ბედენა! ეე, ბემურაზებო, იოლდაშებო, იციოთ, რაა? მოდი, ბუხრები დავუნგრიოთ, რომ იმათი ბოლი ჩვენ უბანში არ ამოდიოდეს! მოდი, ცეცხლი ჩავუქროთ,, კერა გავუციოთ, რომ იმათი კომლი ჩვენ კომლთან ერთად არ იხროლდებოდეს და თვალებს არა გვწვამდეს. ნურც იმათი ძალი იყუფებს ჩვენს ქუჩაში, ნურც იმათი მამალი იყიფლებს ამ ჩვენ უბანში! დღეის იქით ჩვენ შორის დიდი ძვირი, დიდ შუხტალი ჩავარდნილა და ერთხელ გატეხილი გული ვის გამთელებია, რომ ჩვენ გაგვიმთელდეს? ჰა, ყარდაშებო, რას იტყვიოთ, დაუნგრიოთ?

— ბაშუსტა, ბეჩარჯანი! — დავუნგრიოთ! ბუხრები დავუქციოთ, კერა გავუციოთ! — იყო პასუხი და ეს ამოდენა ხალხი ერთბაშად მოლაღატე შეკომურთა ბანებს ჯგუფ-ჯგუფად შეესია.

დამნაშავენი, სასჯელის მოხდის დროს უფრო მეტ ზიფათს რომ არ გადაპყროდნენ, იქაურობას მაშინვე გაეცალნენ და ისევ ძველ უბანს მიაშურეს, თავი ცოტა ხნით იქ შეაფარეს. მათი დარბეული დედაკაცები კი აქ გაკაპასებულნი წიოდნენ, ბეჩარასა და იმის დამქაშებს ქოქოლას აყრიდნენ, მაგრამ ყურადღებას ვინ აქცევდა, ბუხრებსა და ბუხრის თავებს მაინც მზიარული ყიფინით ანგრევდნენ. თან ერთი მეორეს ოინბაზურად ელაზლანდარებოდნენ და ირგვლივ სულ ბღღეირსა და კორიანტელს აყენებდნენ.

ვანოც მარაქაში გაერია. გამქვარტლულ ალიზს ბანიდან ძირს რომ ჰყრიდა, თან ხალისიანად გაპყვიროდა:

— იქით მომეცალეთ, ეე, არავის მოგზვდეთ! — და, აგურის გაღმოდებას რომ აპირებდა, ხელები გაუშეშდა.

— პოლიცია! პოლიცია! — აყვირდა და ხალხი წუთით შედგა.

მიიხედეს, — ქუჩის ბოლოში ის პოსლიკა აღექსანდრე ბოქაული თავისი ჩაფრებით მოდიოდა.

აღექსანდრემ მთავრობის განკარგულებისამებრ კრივის დაშლა თავის დროზე ვერ გაბედა და ბრაზით გულს ასკდებოდა. ახლა, წრეს რომ გადასცდნენ და ერთიმეორეს რბევა დაუწყეს, მეტის მოთმენა აღარ იქნებოდა, მაგრამ ბეჩარა რის ბეჩარა იქნებოდა, რომ ერთი თავისებური ოინი აქაც არ მოეწყო.

ჩაფრებს თვალი მოჰკრა თუ არა, მაშინვე ყელგამოჭრილივით აღრიალდა:



— ალექსანდრე დაიკით! ალექსანდრე არ გაეუშოთ!

ხალხი გაშტერდა, — ერთი პირობა ვერ მიხედნენ, რუმელს ალექსანდრეს გულისხმობდა მათი მეზობლები, ბოჭაულსა თუ იმ ტუტუცსა და ჩიტირეკიას.

— ჩიტირეკია ალექსანდრე არსად გაუშვათ, ჩიტირეკია ალექსანდრე! — ყვიროდა ბეჩარა და გახარებულმა ხალხმა ერთბაშად იხუვლა, სულელი ალექსანდრე მაშინვე შეპკრა.

ფუჩქიანთ ბეჩარა ფიცხლავ მივარდა შეპყრობილ სულელს და, ტანზე კონკებს რომ ახედა, თან სულ მოუთქმელად გაჰყვიროდა:

— მომეხმარეთ! ეე, გაატიტვლეთ! ჩქარა, ჩქარა, თორემ მოგვისწრებენ და დავილუპებით!

რამდენიმე მარჯვე ბიჭი სულელს მაშინვე სიცილით შემოხვდია და ერთ წუთში გაატიტვლეს.

საწყალმა ალექსანდრემ, რაც თავში მწყერები ჰყავდა, შიშით სულ ერთბაშად დააფრინა. ყვიროდა, ღრიალებდა და მის შესაკრავად შემოხვეულ ხალხს ნებით არ ემორჩილებოდა. ფხარკალებდა და თან შავი ცრემლით ტიროდა. სანამ ეცემა, ადვილი იყო მისი გამაგრება, რომ გააშიშვლეს, ძალზე გაკირდა, ხელში თევზივით სხლტებოდა.

მის დანახვაზე დედაკაცებმა ერთი შეპკივლეს:

— უი! უი! უი! — და თვალებზე ხელაფარებულნი წითკობით, სიცილით სახლებში დაიმაღლნენ.

ბალები ამ ამბავზე სიხარულით მალაყს გადადიოდნენ და თან ყურის წამლებად გაჰკიოდნენ:

— ალექსანდრე, აა! აურიე, ალექსანდრე!

— ვაიმე! ვაიმე! — ბლაოდა ტუტუცი ალექსანდრე და თან სიცივით ტან-ალურჯებული საცოდავად ძიგძიგებდა. — ვაიმე, დედი-ი, შენი საწყალი ალექსანდრე რა დღეში გყამს! — მაგრამ ბეჩარამ ხელში ვერცხლის მანეთიანი შეაჩქა, თან თავის ჩოხასაც დაჰპირდა და ისიც არც ისე სულელი გამოდგა, — ენა მაშინვე მუცელში ჩაიგდო.

— აბა, ვანოჯან, მიშველე! — ვასძახა აფუსფუსებულმა ბეჩარამ ახლა თავის ნაშეგარდალს. — ერთი შენებურად მხრებზე კოხტა პაგონები დაახატე! იგეთი, აი, იმ პოსლიკას რომ აკერია და დანარჩენი მემრე მე ვიცი!

ვანომაც უსტაბაშს თხოვნა აღარ გაამეორებინა და, სანამ სიცივით ატანოდა სულელს ბუხრის მკვარტლით ტიტველ მხრებზე აველატებს უხატავდა, ბეჩარამ თავის წითელ ბლდადს ყური გრძლად ჩამოაძხია და წინ, უადგილო ადგილას, სწორედ ისეთი ბანტი გამოუნასკვა, როგორიც ბოჭაულს ებნია მკერდზე.

ოთხად მოძუძგული სულელი ირგვლივ შემოხვეულთ საცოდავად შესტიროდა და ისე ემუდარებოდა:

— უუუ, ცოდო ვა-არ! უუუ, საწყალი ვა-არ! — მაგრამ, საქმეს რომ მორჩნენ და წინ დაიხედა, თვალებზე ცრემლი ერთბაშად შეაშრა.

— ჰიი, მეც პრიპტაეი ვარ განა! — სიხარულით აჰყლოპინდა და მერე თითის ქნევით სწორედ ისე, როგორც მისმა სეხნია ბოჭაულმა იცოდა ხოლმე, აყვირდა:

— ციცი, ხმა გაიკმინდეთ, ხმა ჩაიწყვიტეთ, თორემ ეხლავე დაგიჭირათ, ციცი! ხეში ჩაგალობთ! — მაგრამ ხალხი ხმის ჩაგდების მაგიერ, უფრო ხეში შევიდა, ახარხარდა.

დაყოვნების დროც აღარ იყო, უსტაბაშმა ახლად გამოიმცხვარ ბოქაულს ზემი არ დააცალა, იქვე ერთი მალალი ნუშის ხე იდგა, ხელდახელ იმაზე ააცოცა და თან ასძახა:

— ე, ჭკუის კოლოფო, კარგა ვამიგონე! აი, ჩვენ ყველანი „ძიირს“ რომ დაგიძახებთ, მართლა კი არ ჩამოხვიდე, გაჯიუტდი და კიდეც უფრო მალა აღი, აი! სანამ მე არ გითხრა, არ ჩამოხვიდე, გაიგე?

— გავიგე, ბეჩარ, კარგად გავიგე!

— ჰოდა, თუ ჭკვიანად იქნები, ამ ჩოხას მაშინ ჩაგაცმევ! მე გავიხდი და შენ ჩაგაცმევ! — და მერე ხალხს მიუბრუნდა: — აბა, განი, განი, ბიკებო! ვისაც შეგიძლიათ, თავს უშველეთ! — და ამ სიტყვებით თავის ბანს მიაშურა.

ხალხმაც იმას მიბაძა, — ბანები, აივნები ხალხით აივსო და იქიდან გასცქეროდნენ ხეზე თრითინასავით აცოცებულს მენდალ-პაგონებით მორთულ სულელ ალექსანდრეს. ხოლო მისი სეხნია ბოქაული ხის ძირას შემდგარიყო და, ძალლივით აყეფებულნი, ხან უყვიროდა, ხან ემუდარებოდა, მაგრამ სულელზე არც ერთი არა სჭრიდა.

— ეხლავე ძიირს ჩამო, შე რაზბონიკო, შენა! ძიირს ჩამო, მეთქი! — ღრიალებდა გაანჩხლებული ხელისუფალი.

სულელი ხეზე არხეინად იჯდა, ბოქაულის ყეფას არად აგდებდა და სიცივით ამიგძიგებული ზემოდან სასაცილოდ ეკითხებოდა:

— სეხნი, ჩამოვიდე? ვერა, სეხნი, ვერ ჩამოვალ! აი, ტრაქნიკები გარეკე და მაშინ ჩამოვალ.

ხალხი ამ მოთხოვნაზე უფრო ახარხარდა რამაც ბოქაული კიდეც უფრო გაანჩხლა. ყვიროდა, ილანძღებოდა, მაგრამ ვინ იყო გამგონი, — სულელს რა ჭკუა მოეთხოვებოდა.

ჩაფრები ცოფიანებით აქეთ-იქით დარბოდნენ და ქუჩაში დარჩენილ ხალხს შინ მათრახის შხელით ერეკებოდნენ.

— დაიშალენით! დაიშალენით!

და ამ არეულობაში, ყვირილში, ხარხარში უეცრად ვიღაცამ დიაცურად, ყურის წამლებად დაიკვიცლა:

— ალექსანდრე ძიირს!

ხალხი შეკრთა, წუთით სამარისებური დუმილი ჩამოვარდა და ამ დუმილში ახლა მეორე მხრიდან მოისმა:

— ალექსანდრე ძიირს!

— ალექსანდრე იმპერატორი ძიირს! — გაისმა და ქუჩაში უცებ სამარისებური დუმილი ჩამოვარდა.

ჩაფრები მაშინვე იქით გაქანდნენ, მაგრამ ახლა სულ სხვა მხრიდან დაიძახეს:

— ტუტუცი ალექსანდრე, ძიირს!

— ააა! უუუ! — ყველა ერთხმად აყაყანდა, მაგრამ სულელი ძიირს ჩამოსვლის მაგიერ უფროდაუფრო მალა მიცოცავდა.

— ალექსანდრე ძიირს!



— ალექსანდრე ძიირს! ძიირს სულელი ალექსანდრე!
და, ვინ იცის, რომელ ალექსანდრეს გულისხმობდნენ ისინი? ალექსანდრე ზე რომ კატასავით აცოცებულყო და იქიდან ტუტუტურად აღმართდა, რას, ქუჩაში აქეთ-იქით მათრახის ქნევით გიცივით რომ დაჰქროდა, თუ იმას, ყველაზე დიდ ალექსანდრეს, მზრძანებლის სკიპტრით ხელში ოქროს ტახტზე რომ იჯდა და, სანამ ძიირს ძალით არ ჩამოიღებდნენ, ნებით არ ჩამოვიდოდა.

ბოქაული სულ გადაირია.

ან მთელი ხალხი უნდა დაეპატიმრებინა, ან უნდა ჩამოხსნოდა.

მიხვდა, რომ სამსახური დაკარგა, ცოლ-შვილი გაუუბედურდა, რადგან კრივი იმთავითვე ვერ დაშალა და ახლა ეს ამბავიც დატრიალდა.

სასოწარკვეთილებისაგან კინალამ ატირდა და, თავგასულთ უარესი რამ რომ არ აეტებათ, ადგა და გაცლა ამჯობინა.

მხოლოდ ის თავისი სულელი ორეული ჩამოათრევინა ძიირს ჩაფრებსა და, ბანტითა და პაგონებით დამშვენებული საპოლიციო ნაწილში კინწისკვრით რომ გაგზავნა, რამდენიმე კაცით დარჩანთ ბინისაკენ გაემართა.

გადასწყვიტა, იმისთვის მოეხვია თავზე ეს ბრალი, დაეპატიმრებინა და მით ამ უბედურებისაგან თავი როგორმე ეხსნა.

20.

დნგრა ისევ შუა ქუჩაში ეგდო. ეგდო და არა დგებოდა, არც შორიდან მოღწეულ ხალხის გნისას აქცევდა ყურადღებას.

თავის სადარდეღში ისე წასულიყო, რომ თავს მალა არ იღებდა.

— აჰ, შე ოხერო ჩემო თავო, ესეც საწადელი აგისრულდა. ზო გცემეს, ზო გაჯობეს? არც ეხლა დასცბრები? ეხლა? მახლას! — სთქვა ნაღვლიანად და თავი ისე ჩაჰკიდა, თითქოს კისერზე ტყვიის ზოდი ეკიდა. უცებ გულში სინანულისა და შურის გრძნობამ ერთად გაუარა და თავის თავზე გაბრაზებული აღრიალდა: — მა რა გინდა, შე ოხერო? აჯობებ — დარღობ, გაჯობეს — ნანობ!

წამოდგა, ქუჩის პირამდე დაბეგვილი წელი ძლივს მიათრია, მაგრამ ეს ვერანა თავი ისე ჰქონდა დანჯღრეული, რომ მეტი ვერ შესძლო და, კი არ დაჯდა მიწაზე, ისევ დაეგდო.

მზე ჩასულიყო და ქუჩებს ხშირი ბინდი ჩარსავივით წამოჰფენოდა.

შორიდან ის მხიარული სიცილ-ყაყანი ისევ მოისმოდა.

— იცინიან! — წაიბურტყუნა მწუხარედ და იდაყვით მიწას მიეყრდნო.

ხმაური თანდათან ახლოვდებოდა და მალე ქუჩის ბოლოში მოხვავებული ხალხის გრიალი გაისმა.

დღევანდელი დღით კმაყოფილ ზემოელებს თავიანთი მასახელებელი ფალავანი სიმღერით, ყიყინით შინ მიჰყავდათ.

წინ ზორველა მიდიოდა, გვერდით ბეჩარა მისდევდა და სულ წინ პატარა ბიჭები სტვენით, მალაყით მიუძლოდნენ.

— ზორველ, შე უღმერთოვ, შენა, ზორველ! — დააყრუა ქუჩა ვილაცას განწირულმა ყვირილმა.

ხალხმა გახედა, — დნგრა იყო, ხელებს ქარის წისქვილავით მოიქნევდა და ისე მორბოდა მათკენ.

— მოიტა ხელი! ხელი მოიტა! უუ, შენი სიყმის ჭირიმე! შენი! — დაიღრიალა და თავის მჯობნს ბარივით განიერი ხელი ლალად გაუწოდა. ^{მარტო მხოლოდ} გორელმა მებაღეს ხელი ჩამოართვა და მტერ-მოყვარენს ^{ერთი მხოლოდ} გადაეჭდნენ. დნგრამ მალე მოსწყდა თავის მტოქეს, უკან დაიწია და ახლა იქიდან აზომ-ჩაზომა თავით ფეხებამდე, ისევ მივიდა, მხარზე ხელი ძმურად დაპკრა და ბაღლივით მიამიტად შეეხვეწა:

— ჩემთან წამო, წამო, ერთად დრო ვატაროთ!

ბეჩარამ უცქირა ვაჟაკს, უცქირა და ალტაცებისაგან თავისთავად ამოხდა:

— ბიჭო, მართლა ვაჟაკი ყოფილხარ, ვანა! მარტო ღონე რა ბედენაა! ღონე კამეჩას აქეს, მაგრამ ვაჟაკი კი არა ჰქვინა! ჩემმა მზემ, ეხლა კიდევ უფრო მომწონხარ! შენ წამო ჩემთან!

დნგრამ თავი განზედ დაიჭირა.

ერთხანს იდგა, იდგა.

ყელში ქავილი იგრძნო.

შეეშინდა აქ არ აეტირდეთ და უცებ ჩამოშორდა.

დამარცხებული ფალანის ამ მდგომარეობამ ვანოს გულში თანავგრძნობა გამოიწვია და უკან დაედევნა.

დნგრამ ადევნებულის ფეხის ხმაზე შემობრუნდა.

ვანო შედგა.

— რა გინდა, ბიჭო, რას ვადამეკიდე? — შეეკითხა კუშტად ახალგაზრდას.

— არა ხედავ, რა ცეცხლშიც ჩავარდნილვარ?

— მა რაგინდა? — შეეკითხა ვანო, რამე რომ ეთქვა მხოლოდ იმიტომ.

— რა მინდა? — უპასუხა კითხვითვე დნგრამ. — რა უნდა მინდოდეს? მე ვინა ვარ, რამეც რომ მინდოდეს. ვიხრჩვები, ბიჭო, ვიხრჩვები ამ უკულმა ვაჟედ ილ ქვეყანაში! — კი არა სთქვა, დაიკვნესა, მერე თავი მხრებში ჩაიტანა და შინისაკენ ძუნძულით გაიქცა.

ვანომ თვალი გააყოლა. მერე ერთი ღრმად ამოიხენეშა და ოსტატის სახლისაკენ გაემართა.

აივანს მიახლოებულნიც არ იყო, რომ შედგა.

მის გაკვირვებას საზღვარი არა ჰქონდა, როცა მძიმედ ავადმყოფი ოსტატის შვილი კარებში გამოსული დაინახა და სახლიდან ქალის განწირული კივილი მოესმა.

დასუსტებული, სიცხისაგან სახელეწილი ოთარი, რომ არ წაქცეულიყო, კედელს მთვრალივით ეტანებოდა. თან ალგესანდრე ბოქაული თავისი ქოფაკებით ამაყად მოპყებოდა. ერთი მისი მხლებელთაგანი ისე გათავებულა, რომ პატრიმარს მუჯღლუგუნიც წაპკრა.

ოთარმა ვანრისხებულნი, სიცხით ანთებული, დიდრონი თვალებით მოხედა შეურაცხყოფელს, სიმწარით გაელიმა და ზიზღით დაიძახა:

— ჯალათო!

ალბათ, წაიქცეოდა კიდევაც, რომ ამ დროს მამა არ შეშველებოდა.

კარებში ჩაკეცილი დედა ხელებს ასაესავებდა და, კი არ მოსთქვამდა, ხავოდა საცოდავად. ადგომა უნდოდა და თავს დატეხილი უბედურებისაგან მოწყვეტილი წელი ზემოთ ვერ აპქონდა. ბოლოს თავს სძლია, ფეხზე შესლილივით წამოიჭრა და ვაებით, გოდებით შეილისაკენ ხელგაშვერილი გაქანდა.

— ჩემი ხარ, ჩემი ხარ! სად მიდიხარ! არ გაგიშვებ! ისევ მართმევენ, ისევ მართმევენ შენ თავსა! — და ისედაც ნიათგაცლილსა და უღონო შეიღს კისერზე ქეასავით ჩამოეკიდა, არ უშვებდა, გზას უღობავდა. — ერაზო! შენც — ქან შე-მარჩინეთ! — ყვიროდა სასოწარკვეთილებისაგან ჩაწყვეტილ მშობელს. — შენც მარჩინეთ! ნუ მომიკლავთ, ნუ მისპობთ უკანასკნელ ნუგეშსა! — მაგრამ მის მუდარას ყურადღება არაეინ არ მიაჭკია.

ოთარი დედას ტკბილად უყვავებდა, ამშვიდებდა, მაგრამ გამწარებულ ქალს არაფრის გაგონება არ უნდოდა. შეიღს ხელიდან გაუსხლტა და ბოქაულს სახეში ქორივით შეაფრინდა, მაგრამ მან ქალი ხელის კვრით იქით მიაგდო და ფეხქვეშ გაგადებულ უბედურ დედისათვის არც დაუხედნია, ზედ ისე გადაა-ლაჯა. ფიცრის კბეებზე ჩექმების ბრაბა-ბრუბით დაეშენენ.

ძირს რომ ჩავიდნენ, ოსტატმა შუა ეზოში გაშტერებულ ნაშევგირდალს ატირებელი თვალებით მოხედა და სასოება წართმეული შეეკითხა:

— ხედავ, ბიჭო, ხედავ? — მეტი არა უთქვამს რა, ისე ჩაიარა და თავისი ერთად-ერთი შვილი ილიაში შედგომით ჩაატარა.

ვანო ისევ ისე იღვა და ამ ამბის მაყურებელს ერთბაშად შერცხვა. შერცხვა, — როცა ირგვლივ ამდენი უბედურება ტრიალებს, ყველას ცეცხლი უკიდება, ის რაღაც ლამაზსა და ზიზია ნივთებს აკეთებს, ვითომც საქმეშია და იმითი ლამოზს ამ უბადრუკი ცხოვრების დამშვენებას. ლოთივით არის და ცხოვრებას ოცნებაში ემალება. მთელი თავისი ცხოვრების მიზნები, სწრაფვანი, გატაცებანი, ერთბაშად რაღაც სულელურ, უნიადავო ოცნებად მოეჩვენა. იმის მაგიერ, რომ ცხოვრებაში გაერკვეს და იმისი აეანჩავანი გაიგოს, შეიღ-ვეზირიანებსა და ჩარ-დავრიშინებს კითხულობს. იმის მაგიერ, რომ იბრძოდეს, უსამართლობის წინააღმდეგ ხმას იღებდეს, დამჯდარა და მაღალ ოსტატობასა და ხელოვნებაზე ფიქრობს. ირგვლივ სისხლი იღვრება, ცრემლები, მუშები ბრძოლისათვის ემზადებიან, გაფიცვები, მთავრობის საწინააღმდეგო გამოსვლები, — ის კი თავის ხელობის ვიწრო ნაქუტში ჯერ გამოუჩვენებ წიწილასავით ჩაშუკვდელულა და უხარია. რა უხარია, კაცმა რომ სთქვას? გატაცებულა, — რა იტაცებს? ალბათ, თავისი კურტანი თუ უხარია! გადასწყვიტა, დღესვე ამ წუთსავე გეზი იცვალოს, მამისა და მისი დოსტების კვალს გაჰყვეს, ქარხანაში მუშად წავიდეს. გადასწყვიტა, ახლავე მოიყვანოს სისრულეში ეს წადილი, დროის გადაუღებლად, რადგან იცოდა, რომ სახელოსნოში თუ შევილიდა, ისევ აღეძვებოდა ის ძველი ვნებები, ისევ დაიქსელებოდა და მერე თავს ვეღარ აიშვებდა. ხელი მტკიცედ ჩაიჭნია და, ქუჩაში რომ გავიდა, სახელოსნოს გზას განზრახ გვერდი აუქცია. ისე შეეშინდა თავისი თავისა, რომ იქითაც არ გაუხედავს, შეეშინდა, გულმა ისევ იქით არ გამწიოსო, და ამდენი ხნით, წლობით, მიტოვებულ მამის სახლს მიაშურა.

21.

ესლა აკლდა ისედაც გაუბედურებულსა და გაპარტახებულ შიოს. უკანასკნელი ნუგეში, ერთადერთი იმედი, შეიღის შემდეგ, ვანო იყო და, აჰა, ისიც ხელიდან გამოეცალა. რკინისგზის მთავარ სახელოსნოში ზეინკლად წავიდა.

ბევრს ემუდარა, ეხვეწა, რომ დაბრუნებულყო, მაგრამ არა გაუვიდარა. სახელოსნოსი და მთელი თავის ქონების ანდერძად დატოვებასაც დაჰპირდა,

მაგრამ გაქირზე გამდგარი ბიჭი მაინც ვერაფრით რომ ვერ მოსთვია, სისიქარ-კვეთილებისაგან ამოხდა:

— მაშ ვათავდა რალა! — და ხელი უიმედოდ ჩაიქნია, თავი ^{ნაქვედნული} ~~შეუქრეფტა~~ ^{ნაქვედნული} ~~შეუქრეფტა~~ ქიდა. — მაშ ეგრე რალა! შაბაშ, შაბაშ! — და უცებ გული მოუვიდა: — შეძრე სად არი, ბიჭო, ის შენი დილის ცისკარი, რათ არ თენდება? სად არი მეთქი ის შენი დილის რიფრათი, ქარხნებიდან რომ უნდა ამოხდეს? — შეეკითხა და მხრებში ორივე ხელი ღონივრად ჩაავლო. უნდოდა შეენჯღრია, მაგრამ არ შეანჯღრია, ხელები ისევ მოწყვეტით დაჰყარა.

იმ ღამით შინ არ ასულა.

თავის დაობლებულ სახელოსნოში ჩაიკეტა და დიდხანს, დიდხანს ბაბაყულივით მარტო იჯდა.

ხელი: მშრომელის: მიწდების:

ხოლო: შრომილი: მის: ჰშთების:

გესლიანად გაიცინა თუ დაიგმინა, კაცი ვერ გაიგებდა.

ყველაფერი ერთბაშად ვათავდა, ყველაფერი ერთად დაკარგა.

ამდენი გაქვიერება, ბრძოლა იმიტომ გადაიტანა, რომ ასე მარტოხელად უნუგეშოდ დარჩენილიყო.

სიმწარისაგან ბოღმა ყელში ისე მოებჯინა, რომ თავს ვეღარ მოერია და გააფთრებულმა დაზგას წიხლი ჰკრა, იქით გადააყირავა. ჩაქუჩები, სიმქაშები, მაცაშები, ქლიბები, ყალიბები და ათასი ხარახურა იატაკზე რახრახით მოეფინა.

ყირაზე დამდგარ დაზგასა და იარაღს ბრაზით აქშენილმა ზიზლით დაჰხედა და ერთი საზარლად გადახარხარა. ნადირივით აღმუვლებული ფეხზე წამოიჭრა და სკამი თან აიტაცა. ერთი პირობა შედგა, აშეთებული თვალები შეშშივივით საზარლად ააცეცა. მერე სკამი მოიქნია და ისეთი გამწარებით დაუწყო ლეწვა ყველაფერს, თითქოს ეს სახელოსნო, ეს იარაღი და ქონება იმისი კი არა, მტრისა ყოფილიყოს.

— ააჰ, ეგრე! ააჰ, ეგრე! — ხენეშოდა სიმწარისაგან სახე-მოქცეული და ირგვლივ სულ გრიალი, მტვერი და კორიანტელი ააყენა. მოქნეული სკამი უცაბედად კედელზე უსიცოცხლოდ მბეუტავ ღამპასაც მოხვდა, მაგრამ იღბალზე ძირს ჩავარდნამდე ჩაქრა და დაბნელდა.

ოსტატი შედგა, სკამს ხელი უშვა.

ევონა, თვალით დაუბნელდა, მაგრამ მიხვდა თუ არა, რომ ირგვლივ დაბნელდა, ნაბიჯი წადგა. ფეხქვეშ ბორჯომის ბოთლი უშნოდ გაუგორდა და ძირს ზღართან მოადინა.

არც შეცდილა, რომ ამდგარიყო.

თითქოს თავის ტანჯვა-წამებაში ტკბობასაც ჰპოვებდა, და უცებ მიხვდა, რომ მართლა ილუპება. კი არ მიხვდა, დაინახა, რომ დაილუპა და ხსნა არსით არის. შეშინებულმა, ზარდაცემულმა ხელები აგურის იატაკს წყალწოდებულებით ისე მოუფათურა, თითქოს თავისი სიცოცხლის ხელსაჭიდს ეძებსო. რომ ვერ იპოვა, გულის გამგვირავად დაიბღავა:

— მიშველეთ!

თავისმათვე ხმამ თვითონვე გამოარკვია. თავისი დამაბუნებისა თვითონვე შერცხვა. კარებს ყური მიუგდო, არსად ჩამი-ჩუმი არ ისმოდა.

კმაყოფილი, რომ მისი სასოწარკვეთილი ძახილი არაეის არ გაუგონია, წამოეყრდნო და ხელში კბილის სახეხის თუნუქის ყუთში გამხვდებულად ჯერ ჩამოუსხმელი ნივთის ყალიბი მოხვდა. ხარბად ჩაბლუჯა და ცხელმა მსჭმას სასოებით ჩაიკრა, თითქოს ხსნას იმისგან მოვლისო. ისე მაგრა ჩაიხუტა, რომ ხელში ისიც თავისი განწირულ ცხოვრებასავით შემოეფშენა და დანაყილი ნახშირი, აგური და ქვიშა ვულზე მტვრად დააცვივდა.

— შეენ? შეენ? — იკითხა ხრიალით და ცარიელი ყუთი იქით გადააგდო. ისეე ჩაემზო და ხელეში თაეჩარგული ბავშვივით ატირდა.

ტიროდა ტლანქად, ტიროდა მამაკაცური ულაზათობითა და მოუხერხებლობით. ტიროდა უცრემლოდ და ეს ტირილი ნადირის ზმუილს უფრო ჰგავდა. სახელოსნოში ისე ბნელოდა, რომ თვალთან მიტანილ თითს ვერ ამჩნევდა.

— გათავდა? — შეეკითხა ბნელს და ბნელის მაგიერ თვითონვე გასცა პასუხი:

— გათავდა! — და ხმას ერთბაშად აუწია: — მაშ კარგი, ძალიან კარგი — და ნამტირალევი ბავშვივით ასლოკინებულმა ჯიბეზე ხელი საჩქაროდ მოიფათურა. ეძებდა, დიდხანს ეძებდა, როგორც იყო, იპოვა. ასანთს გაჰკრა და უკუნეთში ანთებული ალით გამოწვეული მისი ჩრდილი კედელს შავბედით ლანდად აეკრა. ირგვლივ შემოჯარულ ბნელში ასანთის ალი წითელ ლაქასავით სჩანდა. ქვიშა-ნახშირით პირმოპურული ოსტატი შავი ლანდივით იდგა და აგზნებული, შეშლილი თვალეებით სინანულით დასცქეროდა თავის ნამოქმედარს. ყველაფერი დაღწეული იყო, — იმედები, ცხოვრება.

ხელი უსასოოდ ჩაიქნია და დაოსებული საბერველზე ჩამოჯდა. საბერველი მისი სიმძიმის ქვეშ ნელა დაიწია და ისე ღრმად ამოიჭმინა, თითქოს იმანაც ჯაერით ამოიხზრაო.

შიომ დახედა.

— შეენ? შეენ? — სხვა არა უთქვამს რა.

იქვე, ძირს დაღწეული ლამა ვგდო და ნავთი ვრცლად მოღვრილიყო. ასანთის ნამწვი ხელიდან გაეარდა და აღმაც იფეთქა.

სამი დეჟი



პირიმზე, ჩემი ქერათმიანი,
ხან შორეული, ხან ახლობელი,
ჩემს სულში დაჰქრის, როგორც ნიაფი,
ტურფა აპრილის მახარობელი.

ჩემი, ნაზი და თავაზიანი,
ჩემი პატარა ირმისთვალემა,
ხან მოფრინდება ფრთხილი შრიალით,
ხან ისევე-ისე მიიმალემა.

მან ჩემი ლექსი მინანქრიანი
ლალი ოცნებით მოაგარაყა,
იგი ისეთი ლამაზი არი,
რომ ქვეყანაზე ტოლი არა ჰყავს.



ჩემგან შორი და მიუწვდომელი
სულში შრიალებს შენი სახელი,
შენ ვზას მინათებ, როგორც ცთომილი
ბედნიერ გზებზე თვალემახელილს.

თურმე, ამაოდ როდი გეძებდი
გულში ანთებულ იღუმალ გზნებით:
შორს იყავ — გრძნობებს მისაკეცვლადი,
მოხველ — და მყობადს გაუხსენ გზები.

მაშ, გამინათე, ჩემო ცთომილო,
ბედნიერ გზებზე თვალემახელილს,
ჩემგან შორი და მიუწვდომელი
სულში შრიალებს შენი სახელი.



• •
შენთან ვიყავი, ფიფქმა მათოვა,
რას არ ვფიქრობდი, რა არ ვიღონე!
ახლა, მე, როცა მარტოდ-მარტო ვარ,
მარტო შენს სახელს თუ მოვიგონებ.

შენს ლამაზ ღიმილს რად ვეზიარე,
ან ჩემს ნუგეშად რისთვის გიცანი,
ან შენთან რისთვის შემოვიარე,
ან ამ ოცნებას რა აქვს მიზანი!?

არ უყვარს ნისლი ჩემს გატაცებას,
მაშ, ჩემი გული რად იბურება?!—
ამას ვფიქრობ და აქ ვინ მაცნობოს
მანდ ჩემი ფიქრი თუ გვეურება?!

გრიგოლ ცეცხლაძე

სიკეთის ქვეყნი

1894 წელს ეს ჭა გაეკეთე მე ამა-
კო ნიკოლოზის ძე სალუქვაძემ, საკუ-
თარი ჩემი ხარჯით, სასიამოვნოდ ქა-
ლაქისა და სოფლისა, ღმერთმა შეგარ-
გოს ეინც მიირთვა.

გთხოვთ ლამაზად მოეპურათ
(წარწერა ქაზე ქ. მახარაძეში).

ჩამოვისვენე, წყალი დაველიე
და ძველ წარწერას მივაპყარ თვალი,—
ორმოცდახუთ წელს გადაუვლია
გადარჩენილა სიკეთის კვალი.

მე წარმომიდგა კეთილი კაცი,
რომ უყვარს ხალხი მართალი გულით,
უყვარს ქვეყანა ჩვენი წარმტაცი,—
ხარობს, ნეტარებს ამ სიყვარულით.

მე არ მინახავს მისი სურათი,
მაგრამ ოცნება მიხატავს ასე:
სუფთად, ლამაზად ჩაცმული დადის,
თავაზიანი უყვარს ბაასი.

კითხულობს იგი ჟურნალ-გაზეთებს
კნობისმოყვარე, მკვირცხლი ვონების...
და უფიქრია:

— „ქას გაეკეთებ,
რომ გავხდე ღირსი მეც მოგონების!...“

ან... იქნებ იყო პატივმოყვარე,
სურდა სახელი რომ მოეხვეჭა—
სხვა ვერაფერი ვერ მოაგვარა
და გაეკეთა დაბოლოს ეს ჭა.

და თავმომწონედ ფიქრობდა გულში:
ეს ჩემს მოშურნეს არ მოასვენებს,
ვინც კი გაიარს ჭასთან ზაფხულში,
მადლობას მეტყვის, ჭებით მახსენებს...

მინაწერი

რაც უნდა იყოს — პოეტის თვალი,
როცა შენიშნავს მიმჭრალ წარწერას,
თუნდ ღვინო შესვას, თუნდ ცივი წყალი,
მაინც წარსულზე იწყებს სიმღერას.

ქანგარი

ერთი სიმღერა მრისხანე ხანის შერა გჟურგჟუს ღამარცხეპისა¹⁾

(შალმუხუბრი ეპოსი)

თვალუწვედენი ოკეანე, წოდებული ბუმბათ, —
აწყდებოდა ჩრდილოეთით ზეცის მაღალ ვუმბათს!
იყო მხარე უტურფესი დიდის ტიბეტისა,
საამური ზღვათა ლელვის და თორმეტი მთისა!
იყო ვრცელი ხეობები, სარბიელი წყალთა, —
ზღვისპირამდე თეთრი მთების დაფენილი კალთა.
იყო ქვეყნის განთიადი, აენთო და ჩაჭრა,
მაგრამ ნაცვლად აღმობრწყინდა დიდებული ჯანგრა...
მან ააგო სამყოფელი და სასახლე თვისი,
მზეებივით ანათებდენ სარკმელები დღისით,
იყო შუქით მოქსოვილი, ვით ფასკუნჯის ბუდე,
ლომის კბილით დაჭედილი შეუვალი ზღუდე.
ბალის მესრად გაუთლიათ თეთრი სპილოს ძვალი,
ზედ ციმციმებს რვა ათასი იავუნდის თვალი.
ჩინური ზე გაუჩარხავთ ბალის მაღალ კარად,
ამშვენებენ ჩუქურთმები თვალის გასაზარად.
აღისფერად შეუღებავთ, ფერით მოსაწონით,
ელვარებენ გაოზილნი უშობელთა ქონით.
კარის ყველა საკეტავი, კარის ყველა ღილი
მარტოოდენ ოჭრო-ვერცხლით იყო მოჭედილი.
და სასახლეს სვეტად ედგა რვა ათასი ძელქვა,
კაცის ფიქრით მიუწვდომელს, მასაც ბუმბა ერქვა.
ხშრად ესხა მარგალიტი სვეტებს და გუმბათს,
იყო ცაში ატყორცილი წოდებული ბუმბათ.
მუდამ ერთად იღებოდა რვა ათასი კარი —
რვა ათასი ქანდაკება სჩანდა კართან მღვარი,

¹⁾ ებეჭდავთ შემოკლებით ყალმუხუბრი ეპოსის „ჯანგარი“-ს ერთ სიმღერას.



რვა ათასი ქანდაკება სახელოვან ჯანგარის, სახე ხალხთა სიხარულის, დამთურგენელი ჩაგერის. სჩანდა იქვე რჩეულთაგან თორმეტივე შვილი და ლომკაცი გმირი ზონგორ, ხეზე ამოჭრილი, დაეხატათ ელვარ ხმლებზე, დაწაფებულ ხელით თითქოს წამით შეჩერებულთ ისევ ბრძოლა ელით. აქ აღბეჭდა საუკუნოდ მათი სახე ერმა, რომ აწ ევლარ გაიხაროს დამარცხებულ მტერმა. რომ ზღვასავით ვერ დააშროს ხალხის გულის ღელვა, — მტერს გაჰგმირავს მათი ხმლების დახატული ელვა... სასახლიდან ჩრდილოეთით ასი მთა და ველი ხალხის ასი მილიონით ღმერთმა ჯანგარს მისცა — სახელოვან ბოგდიხანის სახელმწიფო ვრცელი ცის კიდემდეც კი აღწევდა, არ ყოფნიდა მიწა. მდინარეებს სვამდნენ მთები, წვიმის წყალზე შეტად, გაჩენილნი უდაბნოში ბოგდიხანის ბედად... აქ ცხოვრობდნენ უკვდავების გაუხრწნელის გულით ყველა იყო ბედნიერი მარად გაზაფხულით. შეხაროდნენ გმირთა-გმირნი ყვავილოვან მხარეს, — ზამთრის ყინვას არ იცნობდნენ და სუსხიან ქარებს... იდგა შუქი განთიადის და ხალისი დილის, წამითაც არ გადივლიდა ცად ღრუბელის ჩრდილი. მოსალხენად ბიბინებდა მწვეანე მოლი ბარად და შესტრფოდნენ მზიურ მხარეს, ვით უკვდავნი მარად. თუ იკითხავთ, ვინ განაგებს ამ ბრწყინვალე მხარეს, ყველა ერთის ალტაცებით პასუხს მოგახარებს: — ეს ქვეყანა დიდებული მხოლოდ მისი არი, ვინც დაღეწა სამი წლისამ სამი ციხის კარი; ოთხი წლისამ გადასტება ორმოც დროშის ტარი, ოთხი ციხე იავარკყო კლდეზე გადმომდგარი; საკუთარის ხელით მოსრნა უთვალავი ჯარი და ქვეყანა დიდებული მხოლოდ მისი არი!.. ჯერ ფაფარიც არ უჩანდა მონაევარდე მერანს, რომ ებრძოდა მთელი ქვეყნის მტარვალსა და კერანს. მარტოდ-მარტომ გააჩალა უდაბნოში კერა და არავის არ ესმოდა მისი გულისძგერა. ნათელი დღე არ ეხილა ჯერ ამ ქვეყნის მმართველს, მარტოდ-მარტო ნაევარდობდა ვით არწივის მართვე. ქარიშხალთან მოქიდავე მტკიცე, როგორც ძელქვა, ის ობოლი ბიჭი იყო და ჯანგარი ერქვა. სადაც ფეთქავს ოკეანის უწმინდესი ტალღა, — ჭალარა მთებს შემორტყმია თორმეტი ზღვის ალყა, გადასტქერის ოქროს კოშკი ქარიშხალთან ომებს და ბურჯები ეყრდნობიან გაქვეავებულ ლომებს.



მაღალ ქონგურს ვარსკვლავივით შვენი ნატერის თვალი,
 და ალისფერ სარკმელეების ჩაუქრობი ალი.
 გულის თრთოლვით განთიადიც ეუბნება სალამს, **განგაზი**
 რა შეარბევს ნიავექარი მის ამართულ ალამს.
 თუ იკითხავთ, ვინ განაგებს ამ ბრწყინვალე მზარეს,
 ყველა ერთის ალტაცებით პასუხს მოგახარებს:
 — ვისაც მუდამ ხელთ უპყრია დროშა ფრთავაშლილი,
 და ვინც ამბობს, მთელს სამყაროს ვფლობ უზუნგის შვილი.
 ვინც აქ ობლად აღიზარდა და ჯანგარი ჰქვიან,
 დედამიწის პირისაგან მტერი აღუგვია,
 იგი არის მბრძანებელი მთელი ბუმბის მზარის,
 სადაც ზღვათა მიმოქცევა დღეში სამჯერ არის.
 ტალღას მოაქვს ნატერისთვალი და სილაზე ისერის,
 მნახველს ნატერა უსრულდება, ვაებიდან იხსნის.
 ტალღას მოაქვს სალამოთი ოქრო-ვერცხლის ქვიშა.
 ყველა ზდება ბედნიერი მისი დანახვისას.
 შუადლით კი დამწუხრდება ოკეანე ბუმბის,
 უსაზღვროა ნაპირები მისი გაშლილ უბის!
 როცა მისი ერთი ტალღა შემართული მორბის,
 სამი დღე ვერ გადაუფრენს თვითონ შავი ორბიც.
 მხოლოდ არწივს გააჩნია ელვის ძალა ფრთაში,
 ცხრაას მთას რომ გადაივლის ფრთების ერთი გაშლით.
 ისიც, ბუმბის ოკეანეს ვიდრე გადუვლიდეს,
 გზაში სამჯერ გამოსჩეკავს თავის ბარტყებს კიდევ.
 ცნობილია შვიდი ათას უცხო ხანის მიერ,—
 ოკეანეს აკუთვნებენ მხოლოდ ჯანგარს ძლიერს.
 ყოველ ღამით შეშფოთებულთ ესიზმრებათ იგი
 ცხრა ათასი მინდორ-ველის და ტალღების იქით...
 მხოლოდ ბუმბის მთა დასცქერის უსასრულო მანძილს,
 მზის ჩასვლისას მთა მაღალი ჰგავს ჭალარა არწივს.
 მზის ბრწყინვალე ამოსვლისას, ვით ბებერი ლომი,
 ზის ცისპირად ფაფარვაშლით ნადირობის მდომი.
 ცნობილია შვიდი ათას უცხო ხანის მიერ,—
 ბუმბის მთასაც აკუთვნებენ მხოლოდ ჯანგარს ძლიერს.
 ამობრწყინდა გაზაფხული ნათელი და წრფელი,
 შიკშირგს ცხენი შეუკაზმავს კვლავ საილენძის ფერი.
 ჯანგარ-ხანთან მზიარული მიდის, მიიჩქარის,
 რომ პირველმა მიულოცოს შუქი „თეთრი მთვარის“.
 მასთან ერთად მიიმღერის მთელი მისი ჯარი,—
 „თეთრი მთვარის“ დღეობაა გაზაფხულის დარი.
 ალტან-ცეჯიმ რომ გაიგო მათი წასვლა ხანთან,
 ალისფერი ურა ცხენით ისიც გამოქანდა.
 თანვე ახლავს მხნე სიმღერით მთელი მისი ჯარი,
 უნდათ ჯანგარს მიულოცონ შუქი „თეთრი მთვარის“,



სურთ ახარონ გაზაფხული თამაშით და მღერით. ისწრაფიან, და ცას სწვდება მათი ფეხთა მტვერი. მათ თან მიჰყვა დანარჩენი ოცდაათი გმირი, ჯარიც მიჰყვა, გაზაფხულის ტალღებით ხშირი. მოჭრილებით უნდათ ნახვა დიდის ბოგდიხანის. და წამოდგნენ მეფეები სამოცდაათ მხარის... უთვალავი, როგორც ქვიშა, ჩქარი, როგორც ქარი, იჩქარიან და შეიძრა ბუმბის მთა და ბარი... სულ დაჰფარეს იონხორის განიერი ქედი, მდინარეთა ხეობები ოცდაათზე მეტი. მხნე სიმღერით გამოცხადდა თავის ბოგდიხანთან — კიდევ ასი მილიონი, მილიონის გარდა. რჩეულები მარჯვენა მხრის და მარცხენა მხარის — ჰკითხულობენ: ვინ აკლია მათ მღერას და ხალისს? „თეთრი მთვარის“ დღეობაზე როგორ მოხდა, როგორ, რომ ვერ ვხედავ სახელგანთქმულს მხნე ალისფერ ხონგორს? ამ დროს ვერცხლის ტახტზე მჯდარი თვითონ ხონგორხანი ბუმბის მხარეს გადასცქერის თავის ელვის თვალით. სთქვა: — ოცდაათ ვეფხვმა უკვე მოიყარა თავი ბოგდიხანთან, რომ იხილონ მთვარის სანახავი.. მაშ მომგვარე, მეჯინიბეე, ჩემი ლურჯა ცხენი, — სთქვა ხონგორმა და ველისკენ გაიწოდა ხელი. ახალგაზრდა მეჯინიბეს ღელვით გული უცემს, — წელდაბალი ბედაური აირჩია უცებ. და შეჰკაზმა იგი უმაღ ყალმუხურის წესით, ველებისკენ გაეშურა ქარზე უსწრაფესი... თან ქამანდი წარიტაცა თავის მარჯვე ხელით, თავის ორთავ მკლავის სისხო, შარა-გზაზე გრძელი. მთა ხარათის ხეობაში ძახილით და სტვენით შემოკრიბა რვა ათასი მხოლოდ ლურჯა ცხენი. მეჯინიბე უკეთესზე უკეთეს ცხენს ეძებს, — ტალღებით გადაივლის ცხენთა ჯოგი ქედებს. მღელვარ ზღვამდე ჩამოლალა რვა ათასი ცხენი, შუადლისას დაილაღნენ კიხენით და რბენით... მდინარეში ჩადგნენ ჩუმად, რომ დალიონ წყალი, რომ დაიკბონ მთებზე რბენით დანთებული ალი. იმათ შორის დვას ხანგაის მშვენიერი ლურჯა, მკერდ-ამართულს ორივე ყური აცქვეტილი უჩანს. ზღვას გასცქერის ლურჯა ცხენი გარინდებულ თვალთ, გული ერჩის შეშფოთებულს თავის მომავალით. ახალგაზრდა მეჯინიბე ქალწულივით თეთრი, თვალთ არჩევს, რომელია მათში ერთად-ერთი. დაინახა და ბედაურს ოცდაათჯერ დაჰკრა, — წელდაბალი ბედაური ერთ ნაბტომით გაჰკრა.



უცებ დაფშვნილ მთებზე დარჩა ტორთა ნაბერწყალი,
 აიშალა ცხენთა ჯოგი და აიძვრა წყალი.
 ახალგაზრდა მეჯინიბე, ქალწულივით თეთრი,
 თვალით არჩევს, რომელია დღეს ქამანდის ხევილი.
 ხელთ ქამანდი დაიძვლა, ეპარება მუნჯად —
 ჯოგში ყურებ-აცქვეტილი სიანს ხანგაის ლურჯა...
 ალბად, იგრძნო, რა ელოდა, შეკრთა გამბედავი,
 მედიდურად ამართული ძირს დახარა თავი,
 და მუხლ-მალალ ბედაურებს ქვეშ გაუსხლტა სწრაფად,
 ფაფარ-გაშლით და ქიხვინით გადაახტა დაბალბ.
 რვა მდინარე გადიფრინა, რვაჯერ მეტი მთები —
 მიწას ფეხს არ აკარებდა, თითქოს ჰქონდა ფრთები.
 მეჯინიბეს ბედაურიც ელვასავით მალი
 დაედგენა და გააღდა მთებზე ცეცხლის ალი...
 გადიარა მინდორ-ველი და მდინარე ზანდა,
 გადახედა მეჯინიბემ, ვალმა ლურჯა სჩანდა.
 მარჯვე მკლავით გადისროლა შორს ქამანდი ისე,
 რომ რეასჯერ მოებვია ლურჯა ცხენის კისერს.
 ცაში აჰყვა ლურჯა მაინც თავის რეას ნახტომს,
 ნეჯინიბემ როგორ უნდა შეაჩეროს მარტომ!
 და ქამანდი ძაფად იქცა, თვალითაც კი არ სჩანს,
 კაცის ძარღვის სისხო ვახდა, დახვეული მაჯას.
 ლურჯა უკვე გადაშორდა დიდ ხანგაის ნაპრალს,
 გადიარა ორწოხები, ვაგონილი ზღაპრად.
 მეჯინიბემ ჯერ ქამანდი გამოსწია შოლოდ
 და ბრინჯაოს უნაგირზე დაამაგრა ბოლო.
 მერე უცებ ძირს ვადმოხტა, ქამანდს ნელა გაჰყვა —
 ჯამბაზივით გადავიდა კლდეებიდან ვალმა.
 ამ დროს მისი ბედაური, მისი ერთად-ერთი
 ზანდის პირას კლდეებს იყო მიბუჯენილი შეკრდით.
 ქამანდი კი გადაიქცა აბრეშუმის ძაფად.
 მაგრამ ვაჩნდა მეჯინიბე ლურჯა ცხენთან სწრაფად.
 ფიცხელ ქედზე გადაუსვა შოალურსე ხელი,
 დამორჩილდა მედგარ ვაგაკს შმაგი ლურჯა ცხენი.
 და შენელდა აზნებული მისი გულის ცეცხლი, —
 თავს აღვირი გადააცვეს, მოქედლილი ვერცხლით,
 ჩუმად ოქროს ლავამს აწვდის ახალგაზრდა გმირი —
 მოეწონა, და ლავამი ჩამოართვა კბილით.
 შეეფერა ვერცხლისფერი მის ქალარა ფაფარს, —
 მედიდურად გადახედა ლურჯამ ისევ მთა-ბარს.
 ანათებდა მარგალიტი მისი სამკერდულის, —
 ტორი დაჰქრს დედამიწას, გაუნათდა გული.

მთარგმნელი კარლო კალაძე.

მეჯინიბემ ლურჯა ცხენი წაიყვანა ჩქარა,
 მეპატრონის სასახლისკენ — დიდი ზონგრის კარად.
 ლურჯა ხედავს, რომ არ უნდათ ოდნავ ხანის დასწ
 ზონგრის კარზე მოემზადენ იმის შესაკახმად.
 გავაზე რომ დააფინეს მას საოფლე ვერცხლის,
 ლურჯამ ისე იუცხოვა, ვით შეხება ცეცხლის —
 შვიდათასჯერ მალა აბტა, სწრაფი, როგორც ქარი;
 თოქალთოც რომ დააფარეს, ბაირალის დარი,
 აცახცახდა ისე, თითქოს შეეყარა ქირი.
 როგორც გრდემლი, ზედ დაადგეს ლურჯას უნაგირი.
 ბალიშიც რომ დაუმატეს და საქუცე მოსდევს,
 მაშინ, თითქოს ლურჯას ტანი მოშანთეს და მოსწვეს,
 შვიდათასჯერ გაშმაგებით მალა აბტა კვალად.
 მერე კიდევ მას ქარშაკი შემოაყრეს რკალად
 და შენასკვეს ყველა მისი ოცდაბუთი ენა.
 ამის შემდეგ ლურჯას შეხვდა უფრო მეტი წყენა —
 სამოცდაექვს — ფურცლიანი მტკიცე მოსართავი
 მოუქირეს იმის მუცელს ძალოვანის მკლავით,
 მოუქირეს ისე მაგრად, იმნაირის ღონით,
 რომ ღვედებქვეშ დანაოქდა მისი თეთრი ქონი,
 გაუყეთეს სამკერდული ყვითლად მოჭვდილი,
 და ბეჭებზე შეუბნიეს სამოცდაცხრა ღილი.
 აღვირით მას თავს უქერდა უნაგირის ტახტა.
 მერე ლურჯა ათამაშდა აჭეთიჭით გაბტა
 აწ კი უნდა მოიკახმოს, ძლიერი და მარდი,
 თავად ზონგრი, ფურწითული, ვით გაშლილი ვარდი.
 პერანგს იცვამს — უქნობელა ბალახსა ჰგავს ფერით,
 ახალუხად კანჯრის ტყავი ჰქონდა შენაკერი.
 კაბა, მზრებზე რომ დაშვენდა გმირს ყოველგან ქებულს,
 ფერით რკინას წააგავდა თეთრად გაბურებულს.
 ყოველივე ამის ზემოთ მან ქამარი გრძელი
 შემოირტყა და შეიკრა ვაეკაცური წელი.
 ეს ქამარი ელვარებდა თხელ ზარნიშის ჩენით,
 ფასად ედო სამოცდაცხრა ხუთწლიანი ცხენი.
 მან ფეხები წყვილის ჩექმით წყვილად დაიმშვენა,
 ჰქონდა ქუსლებს დადებული ტყავის ასრვა ფენა.
 შეტრიალდა ქუსლებზე და ძირს დადრიკა ქედი,
 დაიხურა მუზარადი ვერცხლით შენაკედი,
 სიმტკიცით და გამძლეობით იგი გრდემლსა ჰგვანდა.
 შემოსვლის დროს მიეშველა იმას ზულა ზანდან —
 დედოფალი, თვით აილვით ბუმბა ხანის ქალი.
 იგი შევირცხლად ტრიალებდა, თამამი და მალი,
 ზონგრის ირგვლივ და ზომავდა ყოველივეს თვლით.
 მიამაგრა მენჯზე, საესე სასიკეთო ძალით,



აბრეშუმის ხელმანდილი, რომლის თითო ნაყში
 გავიდოდა გასაცელებლად თითო ლამაზ სახლში.
 ამის შემდეგ ხელთ აიღო მან მათრახი დიდი
 და ტარს მისას მოუჭირა თავის ხუთი თითი.
 ოცდაათი ხარის ტყავი იყო შოლტის გული,
 გულსა ჰქონდა გარეშემო კიდევ შემოკრული
 სამოცდაცხრა ხარის ტყავი, სრული სიგრძე — განით,
 ხუთიათას კორსლებიან თასმისებურ კანით;
 ამ მათრახსა რიგრიგობით, დიდი ძალის ჩენით,
 ხელს უქერდნენ ხუთიათას მძლე ვაეკაცთა ძენი.
 თანაც იყო ჩამოწული ეს მათრახი გრძელი
 ისეთ სახით, როგორც ზურგი შხამიანი გველის;
 სამი თითის სიფართოსა ჰქონდა ზოლი წვრილი,
 შეკრული და შებნეული ბევრი ვერცხლის ღილით.
 ტარად ჰქონდა დაგებული სანდალის ხე დიდი,
 ცალკეულად ველზე მდგარი, ტყისგან განარბიდი,
 მოჭრის შემდეგ რომ დასჭირდა ოთხმოცი თვე ხმობა.
 შოლტი იყო მშვენიერი ტარის შესამკობად,
 მაგრამ სულაც არა სჩანდა ტარის ნაკლებობა.
 უშველებელს ამ მათრახსა ხონჯრი ჰკიდებს ხელსა
 და მერე ფეხს გადაადგამს მაგარ საძირკველსა.
 შეკრთა ლურჯა, ოცნებას რომ ეძლეოდა წყნარად,
 და ბრინჯაოს უზანგი მას მიაგება ჩქარა.
 მაშინავე როგორც უზანგს მიეკარა ფეხი,
 შეტორტმანდა მძლავრი ცხენი გრძელი კისრის გრეხით,
 ზევით აბტა, ტანი თვისი ცამდის აიტანა,
 მხედარი ცხრა მილიონჯერ მაღლა შეაქანა.
 მაგრამ ხონჯრი შეჩვეული ზედ მოექცა ჩქარა
 და მარჯვენა ფეხი უზანგს უკებ გაუყარა,
 იმგვარად, რომ არ დაუძრავს ერთი ხმა თუ ჩქამი.
 გაემართა და იარა დღისითა და ღამით.
 მან აღვირი მარჯვენისაკენ წამოზიდა წყნარად
 და ერთ მაღალ მშვენიერ კოშკს მარჯვენით მოუარა;
 ამისშემდეგ გაეშურა ის მარჯვენა მხარით;
 ვით ამაღა საკუთარი, თან მისდევდა ჯარი —
 სამი ათასი ვაეკაცი — ყველა ნაჭებარი.
 ყოველ მათგანს სცილდებოდა ზონჯრი მთელის მხარით.
 ხოლო ლურჯა ღონიერი, ლომის შესადარი,
 მიიწევდა წინ, მიჰქროდა ისე, როგორც ქარი,
 რომ არცერთი ცხენთაგანი არ ჰყოლოდა გვერდით, —
 სამი ათას ცხენს გასცილდა ლომისებურ მკერდით;
 სადავეს წინ მიზიდავდა ისე გულმოსულად,
 რომ ღვედები ღამის იყო დაეწყვიტა სრულად.
 მდინარე ზუს ნაპირს ჩაჰყენენ დაბლა, თითქოს ფრენით.



მაშინ ხონგრმა სულ მიუშვა თეთრი სადავენი.
 ჰკრა მათრაბი იმდენჯერ, რომ დათვლა იყო ძნელი,
 ახტა ლურჯა და ღრუბელი საწვიმარი, ბნელი
 გაარღვია და სისწრაფით განვლო გზები გრძელი.
 ბრძანებელის, ბოლოს, კოშკთან გარეშემო მსხდარი
 დაინახა ვაეკაცები, ვეფხებისა დარი;
 რიცხვი მათი, იმ ვეფხების, იქნებოდა, მგონი,
 სამოცდაათიათასჯერ ათი მილიონი.
 საუბრობდნენ, ცას გასცქერდნენ გაკვირვებულ მშერთი;
 სთქვეს: „გამოჩნდა შუშასავით მოწითალო მტვერი
 შაქარლუდან. ეს მტვერია — სთქვა იქ მეტმა წილმა —
 რომელიც, სიანს, დააყენა ხონგრმა, შარკოს შვილმა“.
 ვერც მოასწრეს მათ გახედვა ზევითა და ქვევით,
 რომ კაცებში უტურფესი ხონგრი, შუქთა მფრქვევი,
 ცხენთა შორის ულამაზეს ლურჯახედა მჯდარი,
 მოველინათ იქ გუგუნით, ზათქითა და ზარით.
 მან სასახლეს ჩრდილოეთით ჩაუარა ხელად,
 სამხრეთით — კი — მრავალ სოფელს, მიმოფენილს ველად.
 წინ მოჰქროდა მარტოდ მარტო ის, ფრინველის დარი,
 უკან, შორეს, დარჩენოდა მას ძლიერი ჯარი.
 ის ბრინჯაოს უზანგოებს სწრაფად აძრობს წაღებს,
 ჩამოდის და წინ უდგება ოქროს ბაირაღებს.
 ბოლოს ერთსა ბაირაღსა, ბუდეშიც რომ რჩება,
 შეუძლიან ერთი მზისა სრულად დაბნელება,
 ხოლო თუ კი ამ ბაირაღს ბუდე გადასძვრება,
 მაშინ უკვე შეიღსა მზესა შუქი ჩაუჭრება.
 გაეშურნენ ჯანგრის ბევრი მსახურების შვილნი,
 ერთმანეთში საჭიშპოდ და სამტროდ აღესილნი,
 და საჩქაროდ ლურჯას აღვირს წაატანეს ხელი
 და სამოცჯერ მოახვიეს ეს აღვირი გრძელი
 გრდემლისებრ უნაგირის ტახტას მშვენიერსა.
 გამოაძვრეს მყის ქვემოდან ბალიშს ვერცხლისფერსა
 ვერცხლისავე პალეანდი მათ ცხენის შესაკრავად,
 და ვიდრემდის ცხენს ჰბორკავდნენ, ცხენმა შესძლო თავად
 რვაათასჯერ ტლინკის აყრა, თანაც ჰყრიდა მტვერსა.
 გაშლილ ფაფრით ეთამაშა მთეარესა და მზესა;
 ქაჩაჩის თმით შეეცადა მიწა შერყია.
 ბრწყინავს ხონგრი ისე, თითქოს მოწითალო მზეა.
 მან ლამაზად გადიყარა კაბის სახელონი
 მხრებზე, ზერომ აეზიდნა, აღსაესენი ღონით.
 მუზარადი, რომ ეხურა მტკიცე გრდემლის დარად,
 მან მარჯვენა საფეთქლისკენ გადიწია წყნარად.
 ათი მისი მშვენიერი თითი თოვლის ფერი,
 ყველა რალაც თვისების და ძალის მქონე წვერით,

გამომწვევად შეიკუმშა, თითქოს შეხვდა მტერი. შარშან კობხად შეცვეცილსა, შესწორებულს წაღვედს, მშვენიერი ხანის კოლის მაკრატლის წვერს ჩვეულს, კრულ ჯავშანზე დაფენილ თმებს ფერი ედო შავი; მას კისერი შავგვრემანი, მზისგან დანაწევავი, სვეტად უჩნდა უხარმაზარ, ფართო ზურგის მალლა, სად შეეძლო ერთ აქლემსა თამაში და გავლა. მარგალიტის საყურენი ნათელ სარკის დარნი, ყვითელ ოქროს ყურსაკიდით, ბრწყინავდენ ვით ცვარნი, და ალურხით ეხებოდენ ყურის ფაფუკ ძირებს. აელვებდა თეთრად იგი სადაფივით კბილებს, — ერთი ვერსის მანძილზეც კი სჩანდა მათი შუქი. ჰქონდა ოდნავ მოხუტული მას თვალები მუქი; უბრწყინავდა მას ლაწვები ვით წითელი ლალი; თოვლზე თეთრი ჰქონდა შუბლი ფართო და მალალი. სვავის ნისკარტს წააგავდა მისი ბროლის ცხვირი. მხრები მისი, ძალ-ღონე რომ ჰქონდათ გასაკვირი, იმოდენი, რაც ექნება ოთხმოც არწივს ძალა, ოთხმოც საენის სიფართოზე მყისვე გაიშალა. სამოც საენს გასწვდებოდა მის ბარძაყთა განი და სამოცი ქაჯის ბარძაყთ ედრებოდენ ჯანით. ისე წერილი და ნარნარი იყო მისი წელი, რომ იმაზე ირხეოდა ზედატანი მთელი. „სჩანს ეს არის მზე წითელი მიწისა და ცისა და პატრონი მდინარისა შილა ზანდანისა“, — მიდგა კართან გოლიათი ზონგრი გაშლილ ვარდად და ბრვე მხრებზე ვადაიღო კარის თეთრი ფარდა. მან გვერდები შეუჭყლიტა სამოცდაათს რჩეულს, ათს ყველაზე უკეთესსა, ზალხში გამორეულს, თავთა ზემოთ გადაავლო თავის ლაჯრ დიდი და დიდებულ ბოდლო ნოინს წინ წარუდგა მშვიდი.

მოარგმნელი **კონსტანტინე პიპინაძე**.

დასხდენ ვეფხნი სუფრის ირგვლივ და დაიწყო ლხინი ჩამორიგდა სასმისები არზითა და ღვინით. ვეფხებს გარდა უცხო სუფრას მისხდომოდენ სხვანიც. თვითველი თვითონ ფლობდა თვითონ იყო ხანი. ნიაღვრულად იღვრებოდა სასმელები ტბილი, ყოველწუთში შემოჰქონდათ სულ სხვადასხვა ხილი, ბოლოს დათვრენ და სუყველას მოერია ძილი. ზოგი ურცხვად გაიშოტა იქვე სუფრის თავთან არეული ჭრძელი სუფრა ნაომარ ველს ვავდა.



მთვრალნი გაედნენ დახოცილებს, ძილს ჩაევდო ზავი,
 ზოგს სხვის თავზე ფეხი ედო, ზოგს მუცელზე თავსაჩინებელი
 ზოგ მძინარსაც მძინარისთვის მოეხვია მკლავი. **სინჯილი**
 ადგა ბოვდო, შორი გზისთვის მოემზადა მგზავრი,
 ჯერ ჩაიცვა ტანსაცმელი ატლასის და სტავრის,
 მერე ტყავი მოიხურა შესაფერი მთავრის,
 ცხენს მოახტა და უზანგში როგორც ფეხი შედგა,
 მსწრაფლ გაფრინდა რაში ცისკენ ღრუბლებს შეეხეთქა.
 კვლავ მიწაზე დადგა წამით, იგრძნო მხედრის ხელი
 და ქარივით გაეჭანა მოღერილი ყელით.
 თავქვე მიჰქრის ცხენოსანი, ვით შიქრიდეს წყალი,
 ხონგრიხანის სასახლესთან გაჩნდა არანხალი,
 ბოვდიხანმა ხონჯრიხანის კოშკს შეავლო თვალი,
 ზედ მიავდო არანხალი ისარივით მალი.
 — ხონგრო, შინ ხარ? — შეუძახებს დაბლით ბოვდოხანა,
 — შინ ვახლავარ. — მასპინძელი გადმოსძახებს ბანით.
 — მაშ მომიმნე, მე შორს მივალ, დამაყოვნებს ხანი,
 გაიგონე სიტყვა ჩემი და სურვილი სცანი:
 „მე არ ვიცი სად მოუსწრებს ჩემს თმებს თეთრი ჭირბლა,
 რომელ კლდეზე დაიქცევა ჩემი ცხელი სისხლი,
 სად წააქცევს ჩემი ყოფნის ტურტელს ბედის წიხლი.
 მე არ ვიცი სად გახმება ჩემთა მკლავთა ძვალი,
 რომელ ცისქვეშ დაბნელდება ცეცხლი ჩემი თვალის,
 რომელ მიწას შეერევა ქანგით ჩემი რვალი.
 მე არ ვიცი ჩემი სული რომელ ქვესკნელს ჩავა,
 თეთრი იყო ჩემი სული, ვაჰ თუ იქცეს შავად,
 შენ გაბარებ ჩემ ქვეყანას მტრისგან დასაცავად.
 ნართე, გქონდეს ჩემს მოსვლამდის ბუმბის ჩრდილო მხარე,
 მზე უჩემოთ კვლავ ამოვა, კვლავ ამოვა მთვარე,
 თქვენც უჩემოთ შინ ილხინეთ, მტერი სძლიეთ გარეთ“.
 ესა სთქვა და ცხენს შემოჰკრა, ცხენი გაღმა გახტა,
 ისევ მარტო გაემართა, თან არავინ ახლდა,
 კოშკის ბანზე ხონგრიხანი მიატოვა სახტად.
 გაჰქა ქარის უსწრაფესი ველარ მისწვდა თვალი,
 ეჭმებს და ველარ ჰპოვეს, დაეკარგათ კვალი.
 ხმა გაეარდა: ხონგორს დარჩა მხარე ჩრდილო ბუმბის
 მტერს სურვილი აეშალა შფოთისა და ჩხუბის,
 კვლავ მოუნდათ დაყენება ქვეყნად სისხლის გუბის.
 შულმუსები უხოცონი იყვნენ, როგორც ლანდი,
 მთავრად ჰყავდათ შარა გურგუ მრისხანე და მარდი,
 ავად გახდა შარა გურგუ ბუმბის ქვეყნის დარდით,
 შეიდ დღეს აღარც პური სჭამა, აღარც „მუსუნ“ — მწვადი.
 შარავურგუს მარხულობის ხმა გაერცელდა ჩქარა,
 უწმინდურთა დიდებულნი შეიყარნენ ჯარად,



დაავალეს ჯადოქრობით განთქმულ ხურდუნ შარას, ჰკითხოს გურგუს შესუნმწვადი რატომ შეიზარა. ხურდუნ შარა შარა გურგუს თავს დაუკრავს დაბლა: — გვითხარ იქნებ რამე გტყვივა, დაგედებით წამლად, შვიდი დღეა შურუნს არ სკამ წინ არ გიდგას ტაბლა". უპასუხებს შარა გურგუ: ვერ მოვხუტე თვალი, ტყვილეები როდი არი ჩემი დარდის ბრალი, შვიდი დღეა არ მასვენებს მძიმე საფიქრალი: ბუმბის მზრიდან მომივიდა, კაცი ამბის მთხრობლად, ჯანგარს თავის სამყოფელი დაუფდია ობლად, ვეფხის მისნი ვაფანტულან, არ დამდგარან სოფლად, ზონგრი ხანი დარჩენილა ბუმბის ქვეყნის მპყრობლად. შულმუსების დიდი ლაშქრით ძლიერით და მხნითა, ბუმბის ქვეყნის აოხრებას ვფიქრობ დიდი ხრიდან, დრო დაგვიდგა რომ დავესხათ ახლა ყოველ მზრიდან. შენ რას იტყვი, რომ დავეცეთ ზონგორს ჯარით დიდით, განათებულ ბუმბის მთაზე დავაყენოთ ბინდი, უზარმაზარ ბუმბის ზღვაზე გაედოთ მკედრების ხიდი. დავიკიროთ ზონგრი ხანი, ვეფხი აღისფერი, შვიდ ქვესკნელში ჩავიყვანოთ შულმუსების მტერი. სატანჯველად მიეფჩინოთ წითელი ზღვის ფსკერი. ხურდუნ შარამ მოიწონა შარა გურგუს აზრი: — ზონგრიხანის წითელ ძვლებზე ვლუწოთ შუბი მძლავრი, მაგრამ ვაპათუ კელავ მობრუნდეს ბოგდო ხანი მკაცრი! — დე მობრუნდეს, მეც აქა ვარ მისი მტერი ძველი, ყველა ქვესკნელს გზას ვაუხსნი, ყველა ვიცი ზვრელი, მის ხმაღს როდი გაუდრკება ჩემი ხმალი მჭრელი. „დიდი ლაშქრის“ მოსაწვევედ დილით დაპკრეს ბუკი, თვალს მოგჭრიდა ხმაღკაპარქის და შუბების შუქი, დიდი ჯარის სიმრავლისგან დადგა მტვერის ბუქი. „მცირე ლაშქრის“ მოსაწვევედ ჩამორეკეს ზარი, „მცირე“ ერქვა თორემ ისიც იყო დიდი ჯარი, შეიკრიბა უთვალავი როგორც დილის ცვარი „საშუალო ჯარიც“ იხმეს, მოიყარეს თავი, შეკრბა ჯარი უმძლავრესი გაქანებულ ზევის, შეკრბა ჯარი უხშირესი უღრანი ტყის შავის. ცხენები ნისლს აყენებდენ ნესტობის ორთქლით, ვით ჭინჭველას ვერ დაითვლი, ვერც ზღვის ქვიშას მოთვლი, აგრე დადგა გურგუს ჯარი უხშირესი ფოთლის. კაცის თვალი ვერ გასწვდება ცხენოსანთა სივრდეს, საძოვრებად არ ეყოფათ გალაღებულ კვიცებს, ხმელეთს გარდა თვითონ ზღვაც რომ საბალახოდ იქცეს შესასამელად არ ეყოფათ ზღვად, რომ იქცეს ხმელიც,



ლაგამს ვლევჯენ ულაყები, სისხლი უღულთ ცხელი,
 მოდის ჯარი უთვალავი ბინდზე უფრო ბნელი. **ქართული ენციკლოპედია**
 მოდიოდა გურჯს ჯარი მინდერებით და ყანით, **ზენაძე**
 გზას დასჭირდა გასასვლელად ერთობ დიდი ხანი,
 შუადღისას ხონგრიხანთან გაჩნდა მალე მსრბოლი:
 „შულმუსების ჯარი მოდის შეიდივე ზღვის ტოლი,
 ცავანს, ალტანს და მინგიანს აადინეს ბოლი“.
 აღაშფოთა ხონგრიხანი, აიტანა ბრაზმა,
 ჯარსა ჰკრეფს და ეშაადება რაზმეულებს რაზმავს,
 მთელი ქვეყნის მკედლებს უხმო მალემსრბოლმა ასმა,
 ბუკით ჰკრეფენ ყველა მკედელს, ღირსეულს და უღირსს,
 შეიკრიბენ სულ მკედლები, ქვეყნის ყველა კუთხის,
 შეჩვეული რკინის დნობას და ლითონის დუღილს.
 სალამომდის ააშენეს გალავეანი დიდი,
 მაღალია გადაფურნა გაძნელდება ჩიტის,
 გალავეანი რკინის არი, შავი როგორც ბინდი.
 ხონგრონ ბოგდოს დაკეტილი გაბსნა ზარდახანა,
 აღიჭურვა ხონგრიხანი, აღარ დაახანა.
 ნახა, თვალში მოუვიდა უზუნგხანის შეილდი,
 თავის დღეში არ ენახა შეილდი ეგზომ დიდი,
 მის მოლუნვას ვერ შესძლებდა ვეფხი ასჯერ შეიდი.
 ხონგროს შეილდის მოლუნვა სურს, რომ გაუბას ლარი,
 ცალი თავი ძირს დაუდო, ცალს დააწვა მხარით,
 შეილდი ისევ ისე დარჩა, რკინასავით მყარი.
 ამ დროს თითქო მზე ჩავიდა. ჩამობნულდა თალხად,
 შარა გურგუს შავი ჯარი, როგორც შავი ტალღა,
 შემოადგა დიდ გალავეანს, შემოარტყა ალყა.
 ვით ლაქაში თავდახრილი ჭიობში რომ ჰყვავის,
 ირხეოდა უთვალავი ბაირალის თავი.
 და ლაშქარი მოდიოდა მძიმე, როგორც ზევეი.
 ხონგროს მტრების დანახვაზე შემოენთო ალი.
 სიბრაზისგან დაბარბაცდა, როგორც ლენით მთვრალი,
 და ჯიუტ შეილდს მოეჭიდა უცნაურის ძალით.
 მოილუნა მაშინ შეილდი მაგარი და გრძელი,
 ზედ გასტიმა სამი ლარი, სამი ჰრელი გველი,
 კვლავ რამდენიც დაეტია ზედ ისარი მჭრელი
 დააწყო და უმაგრეს ლარს გამოსწია ხელი.
 ქეიბური მსწრაფლ გაფრინდა, როგორც მოციქული,
 ას სამოციის შუბლი გასჭრა, ას სამოციის გული,
 თითო სროლამ თითო წყება ჯარი მოსპო სრული.
 მტერს ზიანი მიაყენა გაუმრავლა ჭირი.
 ქარზე სწრაფი მიდიოდა და წვიმაზე ხშირი
 ხონგრიხანის ქეიბური მტერთა გულგამგმირი.
 ოცდაერთ დღეს ხონგრიხანი იდგა როგორც რკინა,

ცხარე ბრძოლა ახარებდა, ომი უჩნდა ლხინად. **ქართველი**
 მაგრამ ერთხელ ჩაუსაფრდა შორით ხურდუნმარს, **გზლიქოსიქა**
 თვალი ჰკიდა და ნიშანში ამოიღო ჩქარა,
 ტყელიად ზომ არ უხმობენ ხურდუნს ჯადოქარად.
 დაუმიზნა და მოხუჭა ოდნავ ცალი თვალი,
 ლარს მოზიდა, ლარი, როგორც ანთებული რვალი,
 ვახურდა და გადმოყარა ჯგუფად ნაკვერცხალი.
 ხონგორს გულში დაუმიზნა ვალაიანზე მიმდგარს,
 ფარი ველარ აუფარა გამოფრენილ ისარს,
 მკლავში მოხვდა მარჯვენაში, აცდა გულის ფიცარს.
 შედრკა ხონგრო, ველარ გზავნის ისარს ბლუჯა-ბლუჯად,
 — ჯანგარ სად ხარ? დაიგმინა და ჩამოჯდა მუნჯად.
 ხონგორის ურჩევს აგაშავდალ — წამით დასდე ზავი,
 თორემ სისხლი იმდენი გდის, შიგ ვასკურავს ნავი“
 შედგა ხონგრო, როგორც ხევში მომწყვდეული ზევი,
 და ქალთავან უტურფესმა შეუხვია მკლავი.

მთარგმნელი **ზრიგოლ აბაშიძე.**

ფრედერიკო ბარსია ლორკა

სისხლიანი ქოხორაკი

მოქმედება მდინარე

სურათი პირველი

ტყე. ღამე. დიდრონი ნესტიანი ხეები. ბნელა. ისმის არი ვიოლინო.
(შემოდის სამი შეშის მკრელი).

პირ. შეშ. მკრ. ნახეს?

მეორე შეშ. მკრელი. ვერა. ყველგან ეძებენ.

მეს. შეშ. მკრ. დაიჭერენ.

მეორე შეშ. მკრ. ჩუ!

მეს. შეშ. მკრ. რაო?

მეორე შეშ. მკრ. მგონი ყველა გზებით ერთად მოდიან.

პირ. შეშ. მკრ. როცა მთვარე ამოვა, მონახავენ.

მეორე შეშ. მკრ. დაანებე თავი.

პირ. შეშ. მკრ. ქვეყანა დიდია, ყველას ეყოფა ადგილი.

მეს. შეშ. მკრ. ალბათ, დახოცავენ.

მეორე შეშ. მკრ. გულს უნდა დაუჯერო, კარგი ჰქნეს, რომ გაიქცნენ.

პირ. შეშ. მკრ. ერთმანეთს ატყუებდნენ, სისხლმა კი თავისი გაიტანა.

მეს. შეშ. მკრ. სისხლი!

პირ. შეშ. მკრ. იქით უნდა გასწიო, სადაც სისხლს მიჰყვებარ.

მეორე შეშ. მკრ. მაგრამ თუ სისხლი გადმოედინა, მიწა შესვამს.

პირ. შეშ. მკრ. მერე რაო? სჯობს სისხლად დაიძალო და მოკვდე, ვიდრე დამძალი სისხლით იცოცხლო.

მეს. შეშ. მკრ. გაჩუმდი!

პირ. შეშ. მკრ. რა, გესმის რამე?

მეს. შეშ. მკრ. კრიკინების ხმა მესმის, ბაყაყებისა და ღამის გუშაგებისა.

პირ. შეშ. მკრ. ცხენის ხმა არ გესმის?

მეს. შეშ. მკრ. არა.

პირ. შეშ. მკრ. ეხლა, ალბათ, ბიჭი ეალერსება.

მეორე შეშ. მკრ. ერთმანეთისთვის იყენენ შექმნილები.

*) დასასრული. იხ. „მნათობი“ № 3.

მე ს. შე შ. მჭ რ. მიაგნებენ და დახოცავენ.

პ ი რ. შე შ. მჭ რ. მაგრამ ისინი სისხლს შეურევენ ერთმანეთს და ისე იქნებიან, როგორც ორი ცარიელი კოკა, როგორც ორი მწველი წყარო.

მე ო რ ე შე შ. მჭ რ. ცა მოიღრუბლა. იქნებ მთვარეც არ ამოვიდეს.

მე ს. შე შ. მჭ რ. საქმრო უმთვაროდაც მონახავს. დაეინახე, ისე მიპჭროდა, როგორც ვანრისხებული ვარსკვლავი. სახე ნაცარივით ვაჰფიტრებოდა. მასზე ეწერა მისი ოჯახის ხვედრი.

პ ი რ. შე შ. მჭ რ. ხვედრი! მოჰკლავენ შარახე.

მე ო რ ე შე შ. მჭ რ. დიახ.

მე ს. შე შ. მჭ რ. როგორ ფიჭრობ, დევნილები თავს დაადწევენ?

მე ო რ ე შე შ. მჭ რ. ძნელია. აი მიღზე ირგვლივ დანები და დამბარები.

მე ს. შე შ. მჭ რ. ვაჟს კარგი ცხენი ჰყავს.

მე ო რ ე შე შ. მჭ რ. მაგრამ თან ქალი ახლავს.

პ ი რ. შე შ. მჭ რ. ჩვენ უკვე ახლოსა ვართ.

მე ო რ ე შე შ. მჭ რ. ორმოც-ტოტიანი ხეა. ამას მალე მოვჭრით.

მე ს. შე შ. მჭ რ. მთვარე ამოდის, აეჩქარდეთ.

(მარცხნივ სინათლე გამოჩნდება).

პ ი რ. შე შ. მჭ რ. აგერ მთვარე ამოდის, გაბადრული.

მე ო რ ე შე შ. მჭ რ. სისხლიანი ყვავილით.

პ ი რ. შე შ. მჭ რ. მთვარევე, მარტოხელა ხარ
ამწვანებულ ფოთლებში!

მე ო რ ე შე შ. მჭ რ. ვერცხლად ბზინავს სარძლოს სახე.

მე ს. შე შ. მჭ რ. მთვარევე, მთვარევე, ავიხარ,

დაუტოვე ტრფობას ბინდი,

ბნელ ტოტებით გადეფარე!

პ ი რ. შე შ. მჭ რ. ნაღვლიანი მთვარე ხარ,

დაუტოვე ტრფობას ბინდი,

ბნელ ტოტებით გადეფარე!

(გადიან მარცხნით, იქით, სადაც სინათლე იყო. გამოჩნდება მთვარე ახალგაზრდა შეშის მჭრელის სახით. ძალიან ფერმკრთალია. სცენა განათებულია ძლიერი ცისფერი შუქით).

მ თ ვ ა რ ე: მრგვალი გედი ვარ მე მდინარეზე

და ჩაბნელებულ ტაძრების თვალი.

ფოთლებზე მცდარი თრთის განთიადი

და მე ვერავინ. დამემალება.

მანდ რომელი ხარ? ვინ ოხრავს მწარედ

ველად გადაშლილ ველურ ბარდებში?

მთვარემ ისროლა ცივი ხანჯალი

და ღრუბლიან ცას გადმოეკიდა;

ჩამოსხმული ვარ ცივი ტყვიისგან

და სისხლიანი ბოლმა მსურს გაეხდე.

ო, შემომიშვით, მთლად გავიციან

ამ კედლებზე და თხელ შუშის ბანზე.

გადმომიშაღეთ გული და კერა,



რომ მოვახერხო ოდნავ ვათბობა.
 ო, როგორ მცევა, ეს ჩემი ფერფლი
 მძინარე ლითონს დამგვანებია
 აელვარებულ გვირგვინს დაეძებს
 მთის მწვერვალზე და მძინარ ქუჩებში.
 მაგრამ ვაი, რომ თეთრი სხივები
 მთის გადათოვლივ მზარს ბეჭზე წვება
 და ვერ უნახავს თავშესაფარი
 ტბების გულცივ და ბოროტ წყაროზე.
 მაგრამ ამ ღამეს წითელი სისხლით
 ჩემი ღაწვები კვლავ აინთება
 და ვადიქცევა სისხლად ლერწამი
 მთიდან გაფრენილ ქარიშხალივით.
 დაე, არ ექნეთ აღარც ჩრდილი
 და არც ადგილი, რომ დაიშალონ!
 ო, როგორ მინდა, გულში ჩაეუძვრე,
 გავთბე როგორმე! მომეცით გული,
 დაე, გამათბოს და ვადიღვაროს
 მთის ფერდობზე და ჩემ მკერდიდან.
 ახლოს მიმიშვიტ, მიმიშვიტ ახლოს,
 მათთან მსურს ყოფნა.

(ტოტებს)

არ მინდა ჩრდილი,
 ჩემი სხივები ყველგან სწვდებიან,
 დაე, აენტოს ბნელ ხეებში იმათთან ალი
 და მთვარის შუქით აახმურონ შავი წყვედიადით
 რომ წითელ სისხლით კვლავ გამაძლონ
 და ამიწითლონ ჩემი ღაწვები,
 რომ ვადიქცეს სისხლად ლერწამი
 მთიდან გაფრენილ ქარიშხალივით.
 ვინ იმალები? თქვენ გეუბნებით.
 წადით, აქ ზომ ვერ დაიმალებით.
 ავაბრიალებ ეხლავე თქვენ ცხენს,
 მთელ აღმასების ციებ-ცხელებით!

შთვარე ხეებს უკან იმალება. სცენაზე დაბნელებდა. შემოდის ფეხშიშველა დედაბერი,
 გახვეული მუქ-მწვანე თხელ ტანისამოსში. ნაოჭებში სახე თითქმის არ უჩანს. ეს როლი არ
 არის მომქმედ პირთა შემადგენლობაში.

მათხოვარი: მთვარე მიდის, ისინი კი ახლოს არიან. აი აქ არის გზის და-
 სასრული. წყლის შხელილი და შავი ტევრის ბნელი ხმაური მოშაკედა-
 ვების კენესა-ყვირილს მიმოფანტავენ. დავიღალე ამ ხეტიალით, დაე,
 ახადონ სკივრებს თავი. მათი საწოლის ცივ იატაკზე გვამებს თეთრი,
 ძაფის საქსოვი მატყლი მოვლით. ვხედავ, ვხედავ, ყელის ნაცვლად, ღია
 ჭრილობას. ნეტავ დადუმდნენ ფრინველები ხეთა რტოებზე, კენესა-
 კანკალი აიკრიფონ და ვადაფრინდნენ ამ გარინდებულ შავ ტევრიდან

ან და დამარხონ თავიანთ რბილ სელში. (მოუთმენლად) მთევარე/სად არის? სად არის მთევარე?

ერკინულნი

(გამოჩნდება მთევარე, ისევ კაშკაშა ლურჯი სინათლეში)

მთევარე: ახლოვდებიან. ისინი შორით მოდიან, მეორენი კი — ნაპირ-ნაპირ. წავიდეთ, ქვეები გაუქნათო. შენ აქ რა გინდა?

მათხოვარი: არაფერი.

მთევარე: პაერი უფრო და უფრო გამკვიდრდა, როგორც სატევარი, ისე სკრის.

მათხოვარი: გაუქნათე ეილეთი და ლილები, მერე კი დანა თვითონ გაიგნებს გზას.

მთევარე: ო, ნეტავ დიდხანს გაუგრძელდეთ სიკვდილის ეამი, რომ წითელ-მა სისხლმა თავის წვრილი და ნაზი სტვენა ჩემს თეთრ თითებში წააწვეთოს.

აი, გახედეთ: დაფრფლილ ველში,

— ჩემი ფერფლია იქ, — იბადება მწვეავე სურვილი.

მალე იხილონ მხურვალე სისხლის

ათრთოლებული ნიაღვარი:

მათხოვარი: ლელეზე არ გადაუშვათ ისინი. ჩუმად!

მთევარე: მოდიან. (გადის, სცენაზე ბნელდება)

მათხოვარი: აჩქარდი! სინათლე მოუმატე! გესმის? ხელიდან არ გაგვეცა-ლონ.

(შემოდინს საქმრო და პირველი ყმაწვილი. მათხოვარი ჯდება, წამოსასხამში გაეხვევა).

საქმრო: აქეთ!

პირ. ყმაწ. ველარ მონახავ.

საქმრო: (მრისხანედ) არა, მოენახავ!

პირ. ყმაწ. ალბათ, სხვა ბილიკზე გადაუხვიეს.

საქმრო: არა, ეს არის ცხენის ხმა გავიგონე.

პირ. ყმაწ. შეიძლება სხვა ცხენი იყო.

საქმრო: (აღლევებული) ყური მიგდეთ! ქვეყნად ერთი ცხენია და სწორედ ის არის. გაიგეთ? რახან გამომყევი, იყურეთ!

პირ. ყმაწ. მე მინდოდა...

საქმრო: იყურეთ, მოენახავ! ხედავ ამ ხელს? ეს ჩემი ხელი როდია, — ჩემი ძმის ხელია, მამი-ჩემისა და ყველა იმათი, ვინც ჩვენს ოჯახში დაბოცეს. ისეთი ძალაა ჩემში, რომ შემიძლია ხე ამოვთხარო ძირ-ფესვიანად. ჩქარა წავიდეთ! ჩემიანების კბილები ისე მაგრა დამესო, რომ სუნთქვა მიჭირს.

მათხოვარი: (საწყლად) აი!

პირ. ყმაწ. გაიგონე?

საქმრო: შენ იქით წადი!

პირ. ყმაწ. ნადირობაა!

საქმრო: დიახ, ნადირობაა. ყველაზე საშინელი ამ ქვეყნად!

(ყმაწვილი გადის: საქმრო სწრაფად გაემართება. მარცხნივ, სადაც შეეხებება დედაბერს — სიკვდილს).



მათხოვარი: აი!

საქმრო: რაო?

მათხოვარი: მცხეა.

საქმრო: საით მიდიხარ?

მათხოვარი: (წუწუნით, როგორც მათხოვარი) იქით, შორს...

საქმრო: საიდან ხარ?

მათხოვარი: იქიდან, შორიდან.

საქმრო: ხომ არ დაგინახავს ვაფი და ჭალი ცხენზე?

მათხოვარი: (გამოფხიზლდა) მოიცა... (შესცქერის) ლამაზი ქაბუკი ხარ. მაგრამ დაძინებული უფრო ლამაზი იქნები

საქმრო: სთქვი, მიბასუბე, ხომ არ დაგინახავს?

მათხოვარი: მოიცა. რა ვანიერი მხარბუჭი გაქვს, რა კარგად მოისვენებდი, რომ დაწვებოდე. ფეხზე დგომა ხომ ვიჭირს, ტერფები ისეთი პატარები გაქვს...

საქმრო: (მხარში სტაცებს) მე გეკითხები, ხომ არ დაგინახავს? აქ არ ჩამოუვლიათ?

მათხოვარი: (მკაცრად) არ ჩამოუვლიათ, მაგრამ მთიდან კი ჩამოდიან. ვანა არ გესმის?

საქმრო: არა.

მათხოვარი: გზები იცი?

საქმრო: სულერთია, მაინც მივაგნებ!

მათხოვარი: თან გამოგყვები. ვიცნობ ამ ადგილებს.

საქმრო: (მოლთმენლად) აბა წავიდეთ! საით?

მათხოვარი: (სიხარულით) აქეთ!

(საქაროდ ვადიან. შორიდან ვიოლინოების დღეტი ისმის).

ბრუნდებიან შეშის მჭრელები მხარზე ნაჯახებით. ნელა მოდიან ტყეში).

პირ. შეშის მჭრ. აჰ, სიკვდილო! გამოდიხარ გადაშლილი დიდი რტოთი. მეორე შეშ. მჭრ. სისხლის ღვარს ნუ დააყენებ.

პირ. შეშ. მჭრ. სიკვდილო, მარტოხელა ხარ ჩამომკენარი გამხმარი ფოთლებით.

მეს. შეშ. მჭრ. ქორწილს თუ დააგვირგვინებ.

მეორე შეშ. მჭრ. დაუტოვე ნადვლიანს ტრფობა მწვანე შესაფარი.

(გადიან მუსიკით. გამოჩნდება ლეონარდო და სარძლო).

ლეონარდო: ჩემი!

სარძლო: აქედან მარტო ვივლი, შენ კი დაბრუნდი. გესმის, დაბრუნდი, მე ასე მსურს!

ლეონარდო: გაჩუმდი მეთქი!

სარძლო: გემუდარები, ბასრი კბილებით, მძლავრი მკლავებით, რითაც კი შესძლებ, ჩამომავლიჯო ამ ყელიდან მძიმე ჯაჭვების ავგული რკინა-დამტოვე მარტო ჩემ კუთხეში დაე, მარტო ვიყო. ჩემი სახლი, ჩემი მიწა. და თუ არ ვინდა, როგორც გველი გამსრისო ფეხით, ნაცადი თოფის ლულა მიანდე პატარძლის ხელებს, ამ საწყალ ხელებს. ო, რა ნაღველი და რა ცეცხლი ტრიალებს თავში, რა მჭრელი შუშით დაისერა ეს ჩემი ენა.

ლეონარდო: გადადგმულია უკვე ნაბიჯი, ველარ დავიხვეთ, რადი მდგომარეობის საცაა თავს დაგვესხმიან. გაგიტაცებ.

სარძლო: თანახმა ვარ, ძალა იხმარე.

ლეონარდო: ძალა ვიხმარო? როგორ, პირველმა ვინ გადალახა ჭისკრის ზღუდე? მითხარ, ვინ იყო?

სარძლო: მე ვიყავი.

ლეონარდო: ახალი ლაგამით ვინ მოთოკა ჩემი მერანი?

სარძლო: ეგეც მე ვიყავ, მართალია.

ლეონარდო: ვისმა ხელებმა შემომაკრა ფეხზე დეზები?

სარძლო: ჩემმა ხელებმა. შენია ჩემი ხელები. მაგრამ იცოდე, როს ვიკტორიან, გულით სწადიანთ.

დაარღვიონ ძარღვის ლაქვარდი,
და ამბოხებულ სისხლის ჯანყი დააშოშმინონ.

ო, შენ მიყვარხარ, მიყვარხარ, ჩემო,
მაგრამ მოშორდი! ნეტამც შემეძლოს

შენი მოკვლა, ნაზი იების

თბილ სუდარას შემოგახვევდი ახოვან ტანზე,

გამშორდი, წადი! ო, რა ნალველი და რა ცეცხლი ტრიალებს თავში!

ლეონარდო: რა მჭრელი უშუით დაისერა ეს ჩემი ენა. მინდოდა შენი დავიწყება, მაღალი კედლით, ქვეითკირის კედლით შემოვფარგლე მე ჩემი სისხლი. ხომ მართალია, ხომ შენც გახსოვს? როცა გხედავდი, შორიდან, როცა თვალს მოგკრავდი, მაშინ ამ თვალებს ვაბრალებდი სილით და ქვეშით. მაგრამ მშველოდა? როცა ცხენზე მივახტებოდი, მომაჭენებდა ჩემი ცხენი შენს ფანჯარასთან. ქინძისთავების მჭრელი ვერცხლით სისხლს ვანელებდი მწარე სიხმარში.

ჩემი სხეული მინდორ-ვენახის ბალახს ვადარე. არა, არა ვარ დამნაშავე, არა ვარ მეთქი! მიწაა მხოლოდ დამნაშავე და მაგ მკერდის და მძი-მე ნაწნავთა ნაზი სურნელი.

სარძლო: რა ყველაფერი აირია! არა, არ მინდა შენთან გავიყო სარეცელი და ტკბილი ლუკმა.

მაგრამ ვაი, რომ წამი არ არის,
რომ გული შენთან არ მოიწევდეს.

მე შენ მიტაცებ და მოგყვები.

შენ მეუბნები, დაგიბრუნე, და როგორც ნაფოტს
შენთან მაქროლებს ჭარიშხალი.

მე მივატოვე შენი გულისთვის მკაცრი ვაჯაკი
მთელი ოჯახით შუა ქორწილში.

ქორწინების თეთრი გვირგვინი
შუბლს კიდევ მიმკობს. შურს იძიებენ,

ვიცი, შენზე, იძიებენ შურს და ეს არ მინდა.

ო, მე არ მინდა, რომ ეს მოხდეს! გემუდარები,
მარტო დამტოვე, წადი, წადი, შენ თავს უშველე
შენ ველარავინ დაგიფარავს!



ლეონარდო: უკვე ხეებზე
დილის ჩიტები აჭიკჭიკდნენ. ჰალარა ღამე
სულს მალე დაღეეს. მოენახოთ ბინდი,
შენი აღერსი რომ შემეძლოს, და დამიჯერე,
არ შეშინიან არც ხალხისა, არც საწამლავის,
ჩვენ რომ გვესვრიან.

(ლეონარდო ენებოთ ეხვევა)

სარძლო: მე შენს ფეხებთან დავიძინებ, მე ვუღარაჯებ, ყველაფერს რაც
კი დაგვისწირება.

და ტანშიშველი მორჩილ ძალივით შემოგვეღებ.
(ძლიერად).

ასე არ არის? ო, შემოგცქერი,
და სილამაზე შენი მაგიებებს!

ლეონარდო: სინათლე მხოლოდ სინათლითაა, ცეცხლი ხომ მხოლოდ
ცეცხლს წარმოშობს, ნაპერწკლისაგან, რა გინდ პატარაც არ იყოს იგი,
იწვის ყოველი. გამომყევი!

(შითრევს).

სარძლო: საით მიგყევარ?

ლეონარდო: სადაც ვერაგინ ვერ მოგვაგნებს, თუნდაც გარსაც შემოგვებ-
ვიგნენ. შენი ყურებით თვალს დავიტკბობ.

სარძლო: (დაცინებით) თუნდაც მოგვაგნონ, არას ვჩივი. თუნდ ბაზარ-ბა-
ზარ შემომატარე, დაე, დამცინონ პატიოსანმა მანდილოსნებმა. დაე, მი-
ყუროს მთელმა ხალხმა, მე სისხლიანი ქორწილის ზეწარს მალლა, ვით
დროშას, ავაფრიალებ.

ლეონარდო: მეც დაგტოვებდი, რომ ვფიქრობდე ისე, ვით სხვები,
მაგრამ, ხომ ხედავ, მიდიხარ და უკან მოგყვები,
შენც, შენც გამომყევე, გადასწყვიტე,
არჩიე, სინჯე. ბასრი ლურსმებით მთვარემ დაბორკა შენი და ჩემი
თეძოები.

სარძლო: გესმის?

ლეონარდო: ფეხის ხმა.

სარძლო: გასწი, იჩქარე,
მე აქ მარტოკა უნდა მოკვდე!
წყალში ფეხს ჩაეყოფ,
ეკლები თავში ჩამესობა და ეს
ფოთლები დაიტირებენ ჩემში დაღუპულ
ქალისა და ქალწულის შავ ბედს...

ლეონარდო: გაჩუმდი! გესმის, აქ მოდიან.

სარძლო: წადი!

ლეონარდო: გაჩუმდი, გავვიგონებენ. წინ გასწიე, მეც თან მოგყვები!
(სარძლო ყოყმანობს).

სარძლო: არა, ორივე ერთად წავიდეთ.

ლეონარდო: როგორც გინდოდეს, და თუ ეხლა დაგვაშორეს,
მაშინ, იცოდე, მე მკვდარი ვარ.

ს ა რ ძ ლ ო: და მეც მკედარი ვარ.

(გადახვეული გადინ).

(გაშოდის მოვარგ. სცენა გაკაშვებულია სინათლით. ვიოლინოების ვაზაში ცხვრის ცხვრის გულს გამგზირაი ვვირილი. ვიოლინოები დადუმდებიან. მეორე ვვირილზე გამოჩნდება მათხოვარი. შუა სცენაზე გაჩერდება, ზურგით მაყურებლისაკენ, და წამოსასხმს გაშლის. უზარმაზარ ფრთაგაშლილ ფრინველს ჩამოჰგავს. მოვარგ შეჩერდება. დინჯად, სრულ სიჩუმეში დაეშვება ფარდა).

(ფ ა რ დ ა)

შპანასქმწლი სურათი

თეთრი ოთახი. აალები, სქელი კედლები. მარჯვნივ და მარცხნივ თეთრი საჯდომები. სიღრმეში დიდი ააღი და იმავე ფერის კედელი. თეთრი, კრიალა იატაკი. ეს უბრალო ოთახი მონუმენტალურ შთაბეჭდილებას ახდენს. არ არის ჩრდილი, არც რუხი-ფერი. არაფერი არა ჰქმნის პერსპექტივას).

(ორი ქალიშვილი მუქ-ლურჯ კაბებში ახვევენ წითელ მორგეს).

1-ლი ქალიშ. მორგეო მრგვალო, ჩემო მორგეო,
მოწყენილხარ ჩრდილივით!

მე-2 ქალიშ. ტანთსამოსზე თეთრი ვარდი
ბრწყინავს დილის ნამივით.

ოთხ საათზე იბადო,
ათზე გარდაიცვალო!
მატყლის ძაფით ხვეული
ჯაჭვი ხარ დახვეული,
დაფნასა და ყვავილთ შორის
მძიმე ხარ, ვით ზეავე თოვლი!

გოგონა: (მღერის)

მითხარ, იყავ ქორწილზე?

1-ლი ქალიშ. არა.

გოგონა: არც მე ვყოფილვარ.

იქ რა უნდა მომხდარიყო,

დიდ ვენახის ვაზებში?

იქ რა უნდა მომხდარიყო,

ზეთისხილის ბაღებში?

ნეტავი იქ რა მოხდა,

რომ არავინ ბრუნდება?

შენ იყავი ქორწილში?

მე-2 ქალიშ. ვითხარით, არ ვყოფილვარ.

გოგონა: ვწუხვარ, მეც არ ვყოფილვარ.

მე-2 ქალიშ. მორგეო მრგვალო, ჩემო მორგეო,
სიხარული რაა შენი?

1-ლი ქალიშ. აქ კრილობა არის სანთლის,
ხის ტოტებზე ნალველი.

დღე იძინო და ღამით



არ მოხუკო თვალები.

გოგონა: (კარებში)

დაიხლართა ძაფი
მკვრივ-კაეიან ქვებში,
მაგრამ ფერად მოლურჯო
გზას აძლევენ მთები.
მირბის, მიჰქრის, მარდად მირბის.
ჰა, კიდევაც მიირბინა,
მიიტანა დანა
და წაართვა პური. (გადის)

მე-2 ქალიშვ. მოზგვო, ჩემო მორგვო,
რაა სიტყვა შენი?

1-ლი ქალიშვ. საყვარელო უსიტყვო
და საქმრო სისხლიანი,
ტყის ნაპირას ორთავე
ენახე უსიცოცხლონი.

(დახვევა შესწავლიტეს უცქერიან მორგვტ).

გოგონა: (გამოჩნდება კარებში)

მორბის, მოჰქრის,
მარდად მორბის,
მოაღწია ჩვენამდის
სწრაფად ძაფმა მატყლის.
გესმის, ახლოვდება
ნაბიჯები ვილატის!
როგორ გაქვავებულან
შლამით ვადაფარული
ახალგაზრდა სხეული
მტერისა და მოყვარის. (გადის)

(შემოდან ლეონარდოს მწუხარე ცოლი და სიდედრი).

1-ლი ქალიშვ. ახლოვდებიან?

სიდედრი: (მკვახედ) არ ვიცი.

მე-2 ქალიშვ. რას გვიამბობთ ქორწილზე?

სიდედრი: (მშრალად) არაფერს.

ცოლი: უკან გაებრუნდები და შევიტყობ ყველაფერს.

სიდედრი: (მტკიცედ)

შენ წადი, შენ ჩემს სახლში
გამხნევედი, ამიერიდან მარტო დარჩები,
იცხოვრებ, იტირებ და დაბერდები.
დაიმახსოვრე: ამ სახლის კარებს
ალარ დავკეტავთ აწ არასოდეს.
მკვდარია იგი ან თუ ცოცხალი,
მაგრამ ამ ფანჯრებს
ჩვენ არ დავლურსმავთ:
დეე, ბალახთა სამწუხაროდ



წვიმებმა და ღამეებმა
ნაღვლიანი ღვარონ ცრემლი.

ცოლი: მაინც რა მოხდა?

ხიდდარი: ნუ გსურს გაგება. მხოლოდ

სუდარა გადააფარე შენს

დაღვრემილ და მშფოთვარე სახეს.

— შენი ბავშვები შენია...

არც ერთი სიტყვა ამაზედ მეტი.

მხოლოდ ფერფლისგან ჯვარს გამოკვეთილს

დასდებ ლოგინზე

მის სასთუმალთან.

მათხოვარი: (კარებთან) ქალიშვილებო!

მომეციტ ნაჭერი პურის.

გოგონა: გაგვეცალე

(ქალიშვილები გაუფიქრებლად).

მათხოვარი: რატომ?

გოგონა: შენ კენესი მეტად.

მე-2 ქალიშ. არ ვარგა ეგრე, ჩემო გოგონა.

მათხოვარი: ნეტავ მაგ თვალთა

შემეძლოს თხოვნა.

მე უკან მომდევს

უთვალაეი გუნდი ფრინველთა.

გინდა ფრინველი?

გოგონა: შენგან

შორს მინდა მე რომ გავიქცე.

მე-2 ქალიშ. (მათხოვარს)

ნუ გაჯავრდები.

1-ლი ქალიშ. შითხარ, ჩვენთან

მოდის მდინარით?

მათხოვარი: არა, სულ

სხვა გზით მოვემართები.

1-ლი ქალიშ. (კრძალვით)

ხომ შეიძლება მოგცე შეკითხვა?

მათხოვარი: ვნახე ისინი. იქ იქნებიან

ორთავე მალე, ვით ნიაღვარი.

დაჰკრა საათმა — ორნივე გაქვედნენ

ულრან ტყის პირას, დიდ ქეათა შორის.

ორ ვაჟკაცს სძინავს ტაიჭის ფერხთით,

ორნივე მკვდარია: ნარნარებს ღამე

ულამაზესი.

(აღტაცებით)

ორნივე მკვდარია.

დიახ, მკვდარია!

1-ლი ქალიშ. აბა დაჩუმდი,

ჩუმად, ბებერო.



მათხორეარი: ვხედავ:

თვალეები მათი წააგავს
 დამქნარსა ყვავილს,
 ყვავილს უსულოს: მათი
 კბილები თოვლივით თეთრი
 წააგავს ყინულს: ორნივე დაეცნენ,
 პატარძალი კი ბრუნდება უკან:
 სისხლში ამოსვრილ თმებით და კაბით
 ორი ვაჟკაცის უსულო გვამი
 გადაფარული არის ფარაჯით.
 მათ მოაღწიეს კიდევ სახლამდე.
 მოხდა ისე, როგორც უნდა მომხდარიყო
 ქუჭყიანი შლამი ადევს
 ეთეროვან ოქროს ყვავილს.

(გადის ქალიშვილები თავდახრილი ნეღ-ნელა გადიან სცენიდან).

1-ლი ქალიშ. ეთეროვან ოქროს ყვავილს.

მე-2 ქალიშ. ქუჭყიანი შლამი ადევს.

გოგონა: ისინი ორნივე მოჰყავთ მდინარით.

ნაზ ყვავილებზე დასვენებული

შავგრემანია ერთი მათგანი.

შეხეთ: მეორეც შავგრემანია.

თავს დასტრიალებს იმით ბულბული,

კენესის, დასტირის ოქროს ყვავილებს.

(გადის სცენა რამდენსამე ხანს ცარიელია. შემდეგ შემოდის დედა და მტირალი მეზობელი ქალი).

დედა: გეყოფა.

მეზ. ქალი: არ შემიძლია.

დედა: გეყოფა მეთქი. (კარებში) აქ არავინ არის? (მიიღებს ხელეებს შუბლზე) ჩემი ვაჟი მომცემდა პასუხს. მაგრამ ჩემი ვაჟი გამხმარი ტოტია, ხმაა, რომელიც მთის მწვერვალიდან ძლივს თუ ჩამოდის... (მეზობელ ქალს გაცოფებული) დაჩუმდები თუ არა? არ მინდა, რომ სტიროდნენ ამ სახლში. თქვენი ცრემლები თვალთაგან ჩამოდის, ჩემი ცრემლები კი, როდესაც მარტო დაერჩები ფეხთა ტერფიდან იფეთქებენ შადრევანივით და იქნებიან სისხლზე უფრო მფურვალე.

მეზ. ქალი: წამოდი ჩემთან, აქ ნუ დარჩები.

დედა: არა, აქ მინდა დაერჩე, გესმის აქ! დამშვიდდები. ყველანი დაიხოცნენ. შუალამისას დავიძინებ. დავიძინებ მაგრა და არ მექნება შიში არც დანისა, არც დამბაჩისა... სხვა დედები ფანჯარაში გადმოდგებიან, წვიმა დასერავს მათ სახეს, მაგრამ ისინი მაინც დაუწყებენ ცქერას და მოლოდინს თავიანთ ვაჟებს. მე კი არა. ჩემი ცივი ძილი სძილოს ძვლის მტრედად გადაიქცევა და რთვილის კამელიებით მოაფრქვევს საფლავს. არა, სასაფლაომ კი არა, მიწამ მიისაფრა ისინი და ტკბილ ნანინას უმღერის თავის რბილ სარეცელზე.

(შემოდის ქალი შავებში, გაივლის მარჯვნივ და მუხლს იდრეკს).

დედა: (მეზობელ ქალს) მოიშორე სახიდან ხელები. წინ საშინელი დღეებია. არაინ მინდა ვნახო. მიწა და მე. ჩემი გოდება და მე. ეს ოთხი კვირისაა მგ
ახ! ახ! (ჯდება ღონემიხილი).

მეზ. ქალი: თავი შეიბრალებ.

დედა: (თმას უკან გადაიყრის) მე უნდა ვიყო დამშვიდებული. მოვლენ მეზობლის ქალები, მე კი არ მინდა, მნახონ დაბნელებული, ისეთი გაქირვებული, რომელსაც არ შეუძლია ვაესაც ჩაეკონოს ტუჩებში.
(შემოდის პატარძალი. შავ წამოსახამში).

მეზ. ქალი: (პატარძლის დანახვაზე გაცოფებულია) სად მოხვალ?

სარძლო: აქ მოვედი.

დედა: (მეზობელს) ეს ვინ არის?

მეზ. ქალი: ვერა სცნობ?

დედა: იმიტომაც გეკითხები. მე ხომ არ უნდა ვიცნო ეგ, თორემ კბილებით ჩავწვდები ყელში. გველი! (მრისხანედ უახლოვდება პატარძალს, მაგრამ თავს იკავებს, მეზობელ ქალს) ხედავ? ეგ აქ სტირის, მე კი მშვიდად ვარ და ვერ ამომითხრია მისთვის თვალები. არ ვიცი, რა შემართება. განა მას არ უყვარდა ჩემი ვაჟი? ნაშუსი? სადაა მავის ნაშუსი?
(სცნობს პატარძალს, რომელიც ეცემა იატაკზე).

მეზ. ქალი: (სცდილობს გაზავებას) ღვთის გულისათვის!

სარძლო: (მეზობელ ქალს) დაანებე თავი! მე იმისათვის მოვედი, რომ მომკლას. დამმარხონ მათ გვერდით. (დედას) ხელებით კი არა, რკინისკაუჭით, წერაქვით, ჩაჭუჩით მცემე, სანამ ჩემი ძელები არ დაიმსხვრევიან. (მეზობელ ქალს) დაეხსენ. დეე, მან იცოდეს, რომ ქალწული ვარ, უმწიკვლო, რომ მე გავვიტყდები, მაგრამ საფლავში უმანკოდ ჩავალ. რომ არც ერთ მამაკაცს არ უგემნია ჩემი თეთრი მკერდის ტრფიალება.

დედა: დაჩუმდი, დაჩუმდი! რად მესაჭიროება ყოველივე ეს!

სარძლო: მე ვავიჭეცი სხვასთან. დიახ, ვავიჭეცი. (ნაღვლიანად) შენც, შენც ვაიჭეცი. საშინელ ცეცხლში ვიწვოდი. მთელი ჩემი სხეული წყლულებით და ჭრილობებითაა საესე. შენი ვაჟი კი ანკარა წყლის ნაკადი იყო ჩემთვის, — მე ველოდი მისგან ბავშვებს, მიწას, განსაკუთრებულ ძალას, მაგრამ მეორე იყო შავი მდინარე, ხის ტოტებით გადმოფარდული, რომელიც მალეღებდა ფოთლების შარა-შურით და ტალღების ყრუ გაუგუნით. და მე გავყევი შენს ვაჟს, გავყევი ცოვ ნაკადს. მეორე კი თავის თავზე მაწვდიდა ცნობებს, როგორც ფრინველთა გუნდი. ისინი მელობებოდნენ წინ და სიცივით უღენტავდნენ ჩემს ჭრილობებს. სიცივეს ჰგვრიდნენ საწყალ, გამხმარ ქალს, გოგონას არ მინდოდა, ვესმის? გამიგე! მე ვილტვოდი ჩენი ვაჟისაკენ, მე არ ვატყუებდი მას, მაგრამ მეორის ხელმა გამიტაცა, როგორც ტალღამ. ადრე თუ გვიან იგი მაინც გამიტაცებდა, თუნდაც დაბებრებულთაგან და შეილები შენი ვაჟისა ჩამჭიდებოდნენ თმის ნაწნავებში.

(შემოდის მეორე მეზობელი ქალი).

დედა: მე არა ვარ დამნაშავე, არც ეგა! (დაცინვით) მაშ ვინაა არის დამნაშავე? უსიცოცხლო, ღუნე, ძილ-დამფრთხალი ქალი, რომელიც თავზე

გვირგვინს იდგამს და ეკიდება სხვა ქალისაგან გამთბარ ლოგინის ნაპირს.

ერკინულში

ს ა რ ძ ლ ო: დაჩუმდი, დაჩუმდი! შური იძიე ჩემზე! მე აქამდეც ვაჩუქებ, როგორი ნაზი ყელი მაქვს შენთვის. ეგ უფრო ადვილი იქნება, ვიდრე გვირგვინის მოჭრა ბალში. არა, მე უმანკო ვარ, უმანკო, ვით ახლად მოხილი. და შემწვევს ძალა დაგამტკიცო ეს ყოველივე. დაანთე ცეცხლი, დავადოთ მას ხელები: შენ-შენი შევილისათვის, მე კი — ჩემი სხეულის უმანკოებისათვის. პირველი შენ ვერ გაუძლებ ცეცხლს.

(შემოდის კიდევ ერთი მეზობელი ქალი).

დ ე დ ა: რად მინდა ჩენი უმანკოება? რად მინდა შენი სიკვდილი? რად მინდა ყოველივე ეს? დალოცვილია ხორბალი, რადგან მის ქვეშ ჩემი ვაჭებია. დალოცვილია წვიმა, რადგან იგი ბანს გარდაცვალებულთ. დალოცვილია ღმერთი, რადგან იგი შეგვინდობს და მიგვიტყუებს ჩვენ.

(შემოდის კიდევ ერთი მეზობელი ქალი).

ს ა რ ძ ლ ო: მომეცი ნება, ვიტრო შენთან ერთად!

დ ე დ ა: იტირე, მხოლოდ კარებთან!

(შემოდის ვაგონა, სარძლო რჩება კარებთან. დედა სცენის შუაგულს).

ც ო ლ ი: (შემოდის და მიდის მარცხნივ)

იყო ეს უწინ კობტა მხედარი,
ახლა კი მხოლოდ თოვლის გუნდაა.
დაჯირითობდა ბაზარში, მთებში,
სცნობდა ალერსა ტურფა ქალების.
ახლა კი არის ხავსი წყვედიადის
და აგვირგვინებს ციესა სამარეს!

ს ა რ ძ ლ ო: ვით მზესუმზირა ილტვოდა იგი

მისთვის საყვარელ დედამიწისკენ
და გვაგონებდა კრიალსა სარკეს.
უკანასკნელად დაადონ ჯვარი
შენ მაგარ მკერდზე მწარე მცენარის.
დაე სუღარა გადაგეფაროს
აბრეშუმისა, კაშკაკა ფერის.
შენს დამშვიდებულ და ცივ მკლავებში
დაე უზომოდ იცრემლოს წყალმა.

ს ა რ ძ ლ ო: ოთხ ჭაბუკს ერთად, წელში მოხრილებს
მოაქვთ ცხედარნი ბექებ-დალლილებს.

ს ა რ ძ ლ ო: ჰაერით მოაქვთ ჩვენთან სიკვდილი
ოთხ ძლიერ ჭაბუკს, შეყვარებულებს.

დ ე დ ა: მეზობლებო.....

ვ ა გ ო ნ ა: (კარებში) აქეთ მოაქვთ.

დ ე დ ა: სულერთი არ არის, აი ჯვარი!

ს ა რ ძ ლ ო: დაე დაიცვას ყველანი ჯვარმა,
როგორც ცოცხალი, ისევე მკვდარიც.

დ ე დ ა: ბედით განწირული, იმ დაქცეულ ღღეს
აი ამ დანით, პატარა დანით



სამსა და პირველ საათებს შორის
 ბრგე, ახოვანი ორი ვაჟეკეცი
 ერთერთს შეაკვდა სიყვარულისთვის.
 ეს დაწყვედილი პატარა დანა
 ზელთ ვერ დაიჭერ, ისე მცირეა,
 თუმცა სიღრმეში უტიფრად, ბასრად
 სხეულს ერჭობა შეუბრალებლად.
 მხოლოდ აჩერებს თავის სირბილს
 იქ, სად ძიგძიგებს გადაზღვართული
 უჩინრად ძირი ჩვენი ძახილის.

ს ა რ ძ ლ ო: აი ამ დანით! წყეული დანა,
 ზელთ რომ ვერ იჭერ თავის სიმცირით,
 თევზს გაგონებდა მზიან ამინდში,
 უწყლოდ დაგდებულს მცხუნვარე ნაპირს.
 და თვალთმაქცობდა მხოლოდ იმისთვის,
 რომ დღეს განწირულს აეზედისაგან
 სამსა დღეს პირველ საათებს შორის
 ერთ-ერთი დაჰკლეს ამ მცირე დანით
 ორმა ამაყმა, ძლიერმა ვაჟმა.
 განისვენებენ ახლა უძრავად
 და მათ ბაგებზე ყვითლობს სიკვდილი.

(სტირიან მუხლმოდრეკილი მუზობლის ქალები)

(ფ ა რ დ ა)

მთარგმნელები: ნ. შიჭაშა და ს. ზელიძე.

შალვა რადიანი

ლენინი ქართულ პოეზიაში

ლენინის შესახებ ძალიან ბევრი მხატვრული ნაწარმოებია დაწერილი. ლენინის შესახებ არსებობს უამრავი ლექსი, სიმღერა, პოემა და მოთხრობა სხვადასხვა ხალხის ენებზე. იშვიათია ისეთი საბჭოთა პოეტი, რომელსაც არ ეცადოს ლენინის გენიალური სახის ასახვა თავის შემოქმედებაში.

დიდ ლენინისადმი მიძღვნილი მხატვრული ნაწარმოებნი განუწყვეტლივ მრავლდებიან. ახალი და ახალი შემოქმედებითი ძალები ცდილობენ მძაფრი და მდიდარი მხატვრული ფერებით გამოახატონ თავიანთი სიყვარული ხალხისათვის ბედნიერებისა და თავისუფლების მომტანისადმი, როგორც ამოუწურავია ხალხის სიყვარული ლენინისადმი, მის საქმისადმი, ისევე ამოუწურავია სიმღერები, პოეტური თქმები ლენინის შესახებ. ლენინი უდიდესი შემოქმედებითი იმპულსის მიმცემია ყოველი ჭეშმარიტი პოეტისათვის, ბელეტრისტიკისა, მხატვრისა და სხვათათვის.

ქართულ საბჭოთა მწერლობაში მთელი სიძლიერით იჩინა თავი დიდმა სიყვარულმა და ერთგულებამ, რომლითაც გამსჭვალულია ჩვენი ხალხი გმირული ბოლშევიკური პარტიისა და მისი ბელადების ლენინისა და სტალინისადმი. საბჭოთა მწერლებისათვის ეს არის არა მარტო ლიტერატურული თემა, არამედ განსაკუთრებული, უდიადესი ცოცხალი განცდა, რომლის სრულყოფილად გამოსახვისათვის იბრძვიან ისინი. ერთი თემის გარშემო გაერთიანებული ეს ნაწარმოებები მრავალფეროვანია როგორც შინაარსის, ისე ფარისა და ფორმის მხრით.

ქართველი პოეტები და პროზაიკოსები დიდხანია გამოეხმაურნენ ამ ძვირფას და მიშზიდველ თემას. მათ თავიანთ ნაწარმოებებში გამოახატეს განუსაზღვრელი სიყვარული ლენინისადმი. დიდ ლენინს მიუძღვნეს თავიანთი შესანიშნავი ნაწარმოებები პოეტებმა: გ. ტაბიძემ, ა. აბაშელმა, ა. მაშაშვილმა, ს. ჩიჭოვანმა, გ. ლეონიძემ, ს. შანშიაშვილმა, ი. ვაკელომა, ი. მოსაშვილმა, ი. აბაშიძემ, კ. კალაძემ, ა. გომიაშვილმა ს. ეულმა, ვ. გაფრინდაშვილმა, გ. ჭიჩიშვილმა, დ. გაჩეჩილაძემ, გ. კაჭახიძემ, კ. ნადირაძემ, ი. ლისაშვილმა, ე. ყურულმა, კ. ბობოხიძემ, ი. ხოშტარიამ და სხვებმა. პოეტებს კარგად ახსოვთ ის ბრწყინვალე დახასიათება ლენინისა, რომელიც მოგვცა დიდმა სტალინმა თავის ისტორიულ სიტყვაში, როცა მოუწოდა ხალხის რჩეულებს, „რომ ისინი იყვნენ ისეთივე ნათელი და გამორკვეული მოღვაწეები, როგორც

ლენინი; რომ ისინი იყვნენ ისეთივე უშიშარნი ბრძოლაში და შეუპოვლებელნი ხალხის მტრების მიმართ, როგორც იყო ლენინი; რომ ისინი იყვნენ თავისუფალნი ყოველგვარი პანიკისაგან, პანიკის ყოველგვარი ნასახისაგან, როგორც საჭმე გართულებას იწყებს და პორიზონტზე ისახება რაიმე საფრთხე, რომ ისინი იყვნენ ისევე თავისუფალნი პანიკის ყოველგვარი ნასახისაგან, როგორც თავისუფალი იყო ლენინი; რომ ისინი იყვნენ ისევე ბრძენნი და აუჩქარებელნი რთული საკითხების გადაჭრს დროს, სადაც საჭიროა ყოველმხრივი ორიენტაცია და ყველა პლიუსისა და მინუსის ყოველმხრივი გათვალისწინება, როგორც იყო ლენინი; რომ ისინი იყვნენ ისევე მართალნი და პატიოსანნი, როგორც იყო ლენინი, რომ მათ ისევე უცვარდეთ თავისი ხალხი, როგორც უცვარდა იგი ლენინს“.

უპირველესი გრძნობა, რომელიც შეღავნდება პოეტებში ლენინის სახელის ხსენებაზე, არის გრძნობა უღრმესი სიყვარულისა მისდამი, გრძნობა უდიდესი მადლობისა იმ ბედნიერებისათვის, რომელიც მან ჩვენს ხალხს მოუტანა.

გრძნობის სიძლიერით და პოეტური მღელვარებით გამოხატავს ამ განწყობილებას პოეტი ა. მაშაფელი. ლენინი მშრომელთა საქმის ჩაუქრობელი მზეა, იგი მსოფლიო აზრების მფლობელია, რომელიც ხალხს უშიშარ შედგარ ბრძოლას ასწავლიდა ყოველთვის. ლენინი მშრომელი მასების ბელადია, რომლის სიტყვებიც უხვია რუსეთის პურის მარცვალევით:

„ლენინ! ჩვენს საქმეში ხარ ჩაუქრობელი,
ზღვა თევლებს მზესავით სხივები უსვრიათ,
თავი ხომ მსოფლიო აზრების მფლობელი
ღრმა, უზარმაზარი მიწის გლობუსია...“

მუდამ და უშიშარ ბრძოლას გეასწავლიდი,
მშრომელთა მასების ხარ დიდი ბელადი,
უხვია რუსეთის პურის მარცვალევით
ამ შენი სიტყვები ველიდან ველამდი!“

ჩვენს ქვეყანაში ლენინი ცხოვრობს ყოველ ახალ მოვლენაში, სოციალისტური მშენებლობის ყოველ ბრწყინვალე საქმეში. ლენინის ცხოვრება მშრომელი ხალხის ბრძოლისა და გამარჯვების ისტორიაა.

გ. კაკაბიძე თავის ლექსში ამბობს, რომ ლენინის სახელი მუდამ გვაქეზებს გამირობისათვის, ლენინმა მისცა ადამიანებს მზით მოფენილი სილაღე:

„იგი კვლავ არის ქვეყნად დიდებით
ბრძოლებისა და სიბრძნის ქარიშხლად.“

ღვივის ჩვენს გულში, ვით აღტაცება,
და მამობრივი თვალით დაგვექერის.
შრომის სამშობლოს მტრებზე გამწყურალი
ზრდის და ამაგრებს შრომის უფლებას,
დიდი წარსულის ბრძოლებს გეასწავლის
და მომავალზე გვესაუბრება.
მტრების ქარავმა ბევრი ამოხსნა,
ბუნაგიანად სპობს მოღალატეს.
იგი აჩქარებს თუჯის ჩამოსხმას
და უხვ მოსავალს მინდვრად დალადებს.



ქართველნი
ბიზლიჩოსეცა

ჩვენი ბაღების ნამიც უკია,
მარად მზეა და მარად მღელვარე:
ყველგან ამ ბრძენის დიდი შუქია,
სადაც სტალინის სიბრძნე ელვარებს*.

ლენინის სახელი, როგორც ს. ეული ამბობს, „ვით მზე, ყველგან სწვდება, ანათებს“.

„ყოველ წელიწადს
სიყვარულით
ვუქმნით სიმღერას
მის მზიურ სახელს,
ყველგან ნაქებს
ყველგან სანატრელს!
ყოველ წელიწადს
მისგან ვისმენთ
მოწოდების ხმას,
მისი სახელი,
ვით მზე, ყველგან
სწვდება, ანათებს!
ლენინის დროშას
ჩვენ არ დაგზრით
დროშას ცეცხლის ფერს!“

უაღრესად თავისებურია ს. შანშიაშვილის ლექსი „დედისერთა ვაჟიკა ლენინთან“. ლექსს ეპიგრაფად წამძღვარებული აქვს დამახასიათებელი სტრიქონები დედის წერილიდან: „შვილო! ეგების გაიგო ჩემი ვაჟიკას ამბავი. შენ ყველა გიცნობს, ხმა მიაწვდინე, ომიდან შინ აღარ დაბრუნებულა. ცხრა წლის წინად მივიღე წერილი, რაღაც სამოქალაქო ომში ვიბრძვიო. შემდეგ აღარაფერი ვიცო. მკედარია თუ ცოცხალი? მე კი სულ შვილის მოლოდინში ვარ. დამწყდა თვალები, გამიგე, ავრემც შერჩები ქვეყანას“. მოხუცი მიმჯდარა ბუხრის ახლო კუთხეში, ჩასთვლემს, ისევ გაიღვიძებს და ღამეს თეთრად ათენებს. მას გულისყური ერთ რამეზე აქვს მიპყრობილი: ფიქრობს ვაჟიკას დაბრუნებაზე. მოხუცს ესიზმრება შვილის დაბრუნება:

„როს მოხუცი ბუხრის წინ
შვილს სიხმარში ზედავდა,
იმ დროს მისი ვაჟიკა
მტერს ბრძოლაში ჰკვეთავდა!
ის იბრძოდა წითლებთან,
წითელ დროშას იცავდა.
ჯარისკაცი რუსეთში
ლენინს გაჰყვა მტკიცედა!“

ბოლშევიკური პარტიის უკვდავი საქმის, მშრომელი ხალხის ბედნიერებისათვის ბრძოლის სადარაჯოზე დაეცა დედისერთა ვაჟიკა. ამ ლექსში პოეტს მშვენივრად აქვს გამოხატული რევოლუციური შეგნების ზრდა მშრომელ მასებში, მისთვის ბრძოლისა და თავდადების იდეა.

ლენინის დროშით, სტალინის ხელმძღვანელობით დედამიწის ერთადერთი მკვლევარად ნაწილზე შეიცვალა ცხოვრება, გახდა იგი თავისუფალი და საბჭოთაო ხალხისათვის ანუ, როგორც ს. ჩიქოვანი ამბობს,

„მოდის ცხოვრება
და მშრომელი მიწის იბეებს,
გაეშალეთ შრომა
და გაიხსნა ქვეყნის ცისკარი“.

ლენინის ღრმა აზრია ჩაქსოვილი ჩვენი ქვეყნის ყოველ მიღწევაში, ყოველ საქმეში. კომუნისმის მშენებლობის ყველა ფრონტზე წინ მიგვიძღვის ლენინის უკვდავი სახე. ამ ფაქტს მკვეთრად აღნიშნავს ე. კალაძე, როდესაც ამბობს:

„ეს კაცი ეხლა, — ყველა უბრალო ნივთში თუ არი,
რომელიც ჩვენგან
ოქტომბრის შემდეგ გაკეთებულა...“

ჩვენ ლენინს ვხედავთ, —
ლენინი ეხლა მშენებელია!
გასაბჭოებულ მდინარეებზე რკინას ალაგებს...
მეც, მეგობრებო, ათასებს შორს ამის მიუქმელი ვარ:
ერთი მებრძოლი და მოქალაქე“.

უნაზესი ლირიკული გზნებით ლაპარაკობს თავის ლექსში ე. ვაფორინდა-შვილი ლენინის ნათელი სახისა და საქმის შესახებ:

„ეს შემოქმედი, მაღალი შუბლი,
დაგრაგნილ წარბთა ოჭროს აფრებით
ამობს სტიქიას, შემოსილს ღრუბლით,
და ანადგურებს მტრებს გამძაფრებით.
ვულში ჩაევიარ მისი ხატება,
მას სათუთ გრძობით ეხვევა ხალხი.
ეს არის ძალთა გამოცხადება
და სიყვარულის უღვევი ტალღა.
მე დღეს ვიგონებ ლენინის სახეს...
გრავინავს ფინეთის სადგურზე მსხნელად:
ის — სანატრელი — მუშებმა ნახეს
და გაჰყენენ თავის ჰეშმარტ ბელად“.

ლენინის საქმეს განავრცობს მის მიერ შექმნილი პარტია. „არ დავიხრებით არსად ლაჩრულად“, რადგან ბოლშევიკურ პარტიას ხელმძღვანელობს ლენინის თანამებრძოლი, მისი საქმის ერთგული განმგრძობი — დიდი სტალინი. „ლენინისა და სტალინის სახელები წარმოშობენ ნათელ იმედებს მსოფლიოს ყველა კუთხეში და ჰქუხან, როგორც მოწოდება მშვიდობიანობისა და ხალხთა ბედნიერებისათვის ბრძოლისაკენ კაპიტალიზმისაგან სრული განთავისუფლებისათვის ბრძოლისაკენ“ (ე. მოლოტოვი). ამხანაგი სტალინი — ეს არის ლენინი დღეს. სწორედ ამის შესახებ ლაპარაკობს ა. აბაშელი თავის ლექსში:

„რადგან აქა გყავს,
ჩვენს გმირულ დროშას
ვინც შენი სახე შეუნარჩუნა,
ვინც სიხარულით გული აგვივსო
და დგას კლდესავით უძლეე ტიტანად.“



ქართველთა
წიგნიერებისა

შენი მიზანი, სამარადისო,
მალალ მწვერვალზე ვინც აიტანა,
ჩვენ მას შევცქერით, ჩვენ მას მივყევებით, —
ელავს ფოლადის მჭრელი მახვილი.
მის ხმაში გვესმის შენი სიტყვები
და მის ძახილში — შენი ძახილი.

და შენი სახე, მშრომელთ ლაშქარის
გულის ძგერასთან განუყოფელი,
მუდამ წინ გვიძღვის, მუდამ აქ არის,
ასე ძვირფასი და ახლომდელი.“

ამასვე /ლაპარაკობს გ. ლენინიძე. დიდ ლენინის ისტორიული ფიცი მისცა
დიდმა სტალინმა. ეს ფიცი დღეს შესრულებულია:

„შენმა ხომალდმა ლელვაში
სტალინის მკლავით გასცურა!
შენ ფიცი მოგცა სტალინმა
სიმტკიცით დაგიდასტურა!

ერთობის დასადარელო,
ერთ უკვდავების დიდებაე. —
თქვენმა სიშუქემ ანათა
სამშობლოს დახშობინდება!

ჯერ არ ჰქონია სიმაგრე
ხალხს,
თქვენებრ აუღებელი.
მზე და სიცოცხლე მარადის
იქნება
თქვენი მზღებელი“.

ქართველი საბჭოთა მწერლები კარგად გრძნობენ, რომ მწერლის გაბედული შესვლა ახალ, განახლებულ ცხოვრებაში წამყვან როლს ასრულებს ჩვენი ლიტერატურის საერთო განვითარებაში იმისი გაღრმავების აზრით და სოციალისტური რეალიზმის მეთოდის დაუფლების მიმართულებით. მხოლოდ სოციალისტური სინამდვილის მოვლენებიდან გამომდინარე და ამ მოვლენების მხატვრულ სახეებში მოკვებით შექმნის მწერალი ახალ თვისებას და ხარისხს ხელოვნებაში, გაამდიდრებს მას მხატვრული აზრით. აქ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ჩვენი მწერლების მუშაობას სახელოვანი ბოლშევიკური პარტიის და მისი დიდი ბელადების ლენინისა და სტალინის გენიალურ სახეთა მხატვრულ ჩვენებაში. ეს მეტად შესანიშნავი და საპასუხისმგებლო თემა ქართველ მწერალთა წინაშე უდიდეს შემოქმედებითს ამოცანას აყენებს. ამ თემაზე დაწერილი ნაწარმოებები გადამწყვეტ როლს ასრულებენ საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში.

ჩვენი ხალხი მოელის პოეტებისაგან კიდევ ახალ, შესანიშნავ ლირიკულ ნაწარმოებებს და ფართო ეპიკურ ტილოებს ლენინის შესახებ, რომლებიც ღრმად და ბრწყინვალედ დაგვიხატავენ კაცობრიობის დიდი გენიის სახესა და საქმეს.

ლმვან ასათიანი

სმოკრება აკაკი წერეთლისა

თავი მათე

გამბრძლება*)

პეტერბურგში სამოციანი წლების დამდეგს ოცდაათამდე ქართველი სტუდენტი სწავლობდა. დანარჩენი მოსწავლე ქართველი ახალგაზრდობა, რიცხვით მცირე, გაბნეული იყო რუსეთის სხვა საუნივერსიტეტო ქალაქებში. მართალია, თითო-ორი ქართველ ყმაწვილ კაცს უწინაც მიუღია უმაღლესი განათლება რუსეთში, მაგრამ აკაკის უნდა დავეთანხმოთ, როდესაც იგი შენიშნავს ერთადგილას: „თუ მართლა ერთი მერცხალი გაზაფხულს ვერ მოიყვანს, — სტუდენტობაც ქართველებში იმ დროიდან (ე. ი. სამოციან წლებიდან — ლ. ა.) იწყება“. მართლაც, ამ დროს მოხდა ქართველი ახალგაზრდობის პირველი მასობრივი გამზავრება რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში და ამ მხრივ ეს პერიოდი ყველაზე აღრინდელი ხანაა, ანუ, როგორც ნიკო ნიკოლაძე უწოდებს მას, „პატრიარქალური დრო ჩვენი ქართველი სტუდენტობისა“.

აკაკი რომ ჩავიდა პეტერბურგს, იმ დროს უნივერსიტეტში უკვე სწავლობდნენ და უფროს ფაკულტეტის სტუდენტად ითვლებოდნენ ილია ქავეკავაძე, ნიკო ლოლობერიძე, ბესარიონ ლოლობერიძე და სხვები. აკაკისა და კირილე ლორთქიფანიძის ჩასვლის მერე, ორი წლის შემდეგ, ქართველ-სტუდენტთა დასს მიემატნენ კიდევ ნიკო ნიკოლაძე და გიორგი წერეთელი.

ქართველი სტუდენტების მეთაურად და ხელმძღვანელად ილია ქავეკავაძე ითვლებოდა, ხოლო მისი „სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, — სწერს ნიკო ნიკოლაძე, — 1861 წლის ზაფხულს (სწორედ ჩემი წასვლის წინ), უდავო გავლენა მოიპოვა ნიკო ლოლობერიძემ, რომელიც იმ შემოდგომაზე ისტორიულ-ფილოლოგიურ ფაკულტეტს ასრულებდა და იერონიმე სავონაროლაზე საკანდიდატო დისერტაციის მზადებაში იყო.“¹⁾

ილია ქავეკავაძეს უდავო ავტორიტეტი ჰქონდა ამ დროს მოპოვებული ქართველ სტუდენტობაში. ყველა ახალი წამოწყება, როგორც, მაგალითად, სათვისტომოს დაარსება, ურთიერთ დამხმარე სალაროს დაფუძნება, ბიბლიოთეკის ორგანიზაცია, სჯა-ბაასი საერთო პოლიტიკურ და ლიტერატურულ საკითხებზე, — ეწყობოდა უმეტეს ნაწილად მისი ინიციატივითა და მეთაურობით. მოწინავე ნაწილი ქართველი სტუდენტობისა, უმკველად განიცდიდა იმ დროს პროგრესიულ-განმათავისუფლებელი იდეების გავლენას. ნუ დაგვავიწყდება, რომ ეს იყო სამოციანი წლების დასაწყისი, როდესაც რუსეთი რეფორმების

*) იხ. „მნათობი № 3.

¹⁾ „რჩეული ნაწერები“, ტ. I, გვ. 94.



წინ დიდ მოძრაობაში იყო მოსული. ერთის შხრივ, გლეხურ აჯანყებათა ცეცხლი სულ უფრო და უფრო ფართოდ ედებოდა ქვეყანას, ეფერებოდა ქრისტიანთა ინტელიგენციასი მკვიდრად იკიდებდა ფეხს რევოლუციურ მოქმედებათა ტიული იდეები, რომლის ცენტრს წარმოადგენდა ჩერნიშევსკის, დობროლუბოვისა და ნეკრასოვის ჟურნალი „სოვერმენიკი“. ამ ჟურნალის ვატაცებელი მკითხველები იყვნენ, სხვათა შორის, მოწინავე ქართველი სტუდენტებიც. ქართველი ახალგაზრდები ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს და მათი მსჯელობის საგანს ამ დროს არა იშვიათად წარმოადგენდა პოლიტიკური და სოციალური საკითხები, მომავალი მოქმედებისა და მოღვაწეობის გეგმები თავისი ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ. ნ. ნიკოლაძე სწერს ერთ ადგილას: „ჩვენს ახალგაზრდობაში, რომელიც უნივერსიტეტში ჩემ დროს სწავლობდა, ხშირად ყოფილა მოლაპარაკება საზოგადო საქმეზე და შრომაზე, ხშირად შემოტანილა აზრი შეერთებაზე და შეერთებულ მოქმედებაზე“. ამ ახალგაზრდობას „აგონდებოდა, რომ ერთი თვის სავალზე, მთებს გადაღმა, სამშობლოში ცხოვრობს მისი ხალხი, რომ ამ ხალხს ცხოვრება უჭირს მის სამშობლოში, მის საკუთარ მიმართულებას ბევრი მტერი და მუხანათი ჰყავს, რომ ამ მტერს და მუხანათს იმან ოდესმე ანგარიში უნდა გაუწმინდოს.“¹⁾

ილია ქავჭავაძის სიყრმისა და სტუდენტობის მეგობარი კობტა აბხაზიც ადასტურებს პეტერბურგის მოწინავე ქართველ ახალგაზრდობის ამ სამზადისს მომავალი მოღვაწეობისათვის: „ჩვენ, სტუდენტები, — სწერს იგი, — ხშირად ვიკრიბებოდით და ვბასობდით, როგორც საზოგადო კითხვებზე, აგრეთვე ჩვენს დაბეჩავებულს სამშობლოს მომავალზედ. ვკითხულობდით ხშირად ქართულ წიგნებსო“²⁾...

აკაკი თავის დაუმთავრებელ რომანში „იმერლები“, რომელიც ცოტა გვიანდელ პერიოდს ეკუთვნის (1875 წ.), მეტად დამახასიათებელ ეპიზოდებს გვიხატავს პეტერბურგის ქართველ სტუდენტების ცხოვრებიდან და, სხვათა შორის, მათ შეკრებებსაც. ერთ-ერთ ასეთ შეკრებაზე ახლად ქურსდამთავრებული სტუდენტი შემდეგი გამოსათხოვარი სიტყვით მიმართავს ახალგაზრდა სტუდენტებს: „უმაწვილებო, თვითუღმა ჩვენგანმა კარგად იცის, თუ რას ემსგავსება დღეს ჩვენი სამშობლო. ის ემსგავსება ერთს დიდსა და ბნელს აკლამას, სადაც ძველი აზრების კაცნი დაბოდილობენ... ჩვენ უნდა დღეს ჩავიტანოთ იმ სიბნელეში ანთებული ლამპარი. უეჭველია, ძველი აზრების კაცნი... ეცდებიან, რომ ხელიდამ გამოგვიქრონ ის ლამპარი და ჩვენც გადავგვირონ... მაგრამ ნუ შევშინდებით. მართალია, ძველი კაცები მიჩვეულნი არიან და არ გამოვლენ ამ სიბნელიდამ, მაგრამ ჩვენ უნდა ვიქონიოთ სახეში მათი შვილები და ისინი გამოვიყვანოთ სინათლეში. ვიწყით სიმართლით მოძღვრება ახალგაზრდებისა და ეს იქნება ჩვენი კეთილი შრომა. ჩვენ უნდა წინდაწინ გადავიწყვიტოთ და მოვიშხალოთ ჩვენი თავი სამსხვერპლოდ!.. ვიყოთ მსხვერპლი ჩვენის სამშობლოს კეთილდღეობისა, ვიღვაწოთ მამულის გულისათვის...“³⁾ ასეთი იყო განწყობილება და სულისკვეთება მესამოცე წლების ქართველ სტუდენტთა მოწინავე ნაწილისა. რასაკვირველია, ისინი ამ შხრივ ემსგავსებოდნენ იმ დროინდელ პრო-

¹⁾ „რჩული ნაწერები“, ტ. II, გვ. 66, 68.

²⁾ „ლიტერატურული მემკვიდრეობა“, № 1, 1935 წ., გვ. 564.

³⁾ „დროება“, 1875 წ., № 23.

გრესიულად მოაზროვნე რუს და პოლონელ სტუდენტებს, რომლებიც აქააკარადვე ამზადებდნენ თავის თავს სამშობლოსა და ზალხის ინტერესებისათვის სამოღვაწეოდ.

აი, ასეთი იდეური განწყობილება სუფევდა პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტობაში იმ დროს როდესაც მათთან თავისი უმცროსი ძმა მიიყვანა „კანკოელმა“ იასონ წერეთელმა. აკაკი თავიდანვე მოხვდა ქართველ ახალგაზრდობის იმ თვალსაჩინო წრეში, რომელსაც მეთაურობდა მასზე ორი წლით ადრე ჩასული სტუდენტი ილია ჭავჭავაძე.

ცხადია, ამ ყმაწვილკაცებთან დაახლოვებამ, მათი მიზნებისა და მისწრაფებების უშუალო გაცნობამ, პირადმა ურთიერთობამ და ზშირმა შეხვედრამ ილიასთან, რომლის ლექსებსაც იგი უკვე მანამდე იცნობდა, უდიდესი გავლენა მოახდინეს აკაკიზე. თავის „თავგადასავალში“ პოეტი, იგონებს რა ამ ღირსშესანიშნავ ხანას თავისი ცხოვრებისას, სწერს: „მაშინდელი სტუდენტობა სულ სხვანაირი იყო საზოგადოდ და ქართველებსაც, მათთან ერთად, სხვა ფერი ედვა... მეც მათთან სტუმრობამ მალე გადამიგდო გულიდან სამხედრო სურვილები და ძალაუფებურად მათ წრეში ამოვყავი თავი“.

ამიერიდან აკაკი თავს ანებებს ქაბუჯურ რომანტიზმით ნაგებ ოცნებას და მტკიცე გადაწყვეტილებას ადგება — შევიდეს უნივერსიტეტში და მიიღოს უმაღლესი განათლება.

იგი ირჩევს თავისი მოწოდებისა და მომავალი მოღვაწეობისათვის შესაფერ დარგსაც: ეს არის აღმოსავლური ენების ფაკულტეტი, სადაც მას შეუძლია შეისწავლოს, მშობლიური და რუსული მწერლობისა და ისტორიის გარდა, აგრეთვე ევროპიული და აღმოსავლური ლიტერატურაც...



ქართველ სტუდენტებთან პირველივე შეხვედრების დროს უნდა მომხდარიყოს ახალგაზრდა აკაკისა და მასზე სამი წლით უფროსი ილია ჭავჭავაძის გაცნობა და დაახლოვებაც. ყოვლად შეუძლებელია, რომ ქართული ლიტერატურისა და კულტურული ცხოვრების ისეთ მეთვალყურეს, როგორიც ილია იყო, ყურადღება არ მიექცია 1859 წლის „ცისკარის“ იანვრისა და მარტის ნომრებში „წ“-ს ფსევდონიმით დაბეჭდილ ლექსებისათვის: „ჩემს ვენერას“ და „პ. წ“-ს. ამ უკანასკნელზე მით უმეტეს უნდა შეეჩერებინა თავისი გულისყური ილიას, რომ ამ ლექსის გვერდით იყო დაბეჭდილი ჟურნალში თვით მისი ლექსიც „მეც შავს თვალებს“. პირველ შემთხვევისთანავე ორ ახალგაზრდა პოეტს არ შეეძლო ურთიერთისათვის არ გაცნობით თავიანთი შემოქმედების ნიმუშები და არ გაეზიარებინათ თავიანთი ქაბუჯური მისწრაფებანი და გულის ნადები. იმ ქართველ სტუდენტებში, რომელთაც სამოციან წლების დამდეგს, აკაკის სიტყვით, „სხვა ფერი ედვათ“ და გავლენა მოახდინეს აკაკიზე, უწინარეს ყოვლისა ნაგულისხმევი უნდა იქნას ილია ჭავჭავაძე. ილიას უექველი ავტორიტეტი მთელ ქართველ სტუდენტობაში, დიდი ნაკითხობა და სახელი ნიჭიერი პოეტისა, რომლის ნაწერებიც უკვე მესამე წელიწადი იბეჭდებოდა „ცისკარში“, ამასთანავე ერთად პირადი ბუნებრივი თვისებები — ძლიერი პრაქტიკული გონება და რეალურ სინამდვილისათვის ალღოს აღების უნარი, — ყოველივე ეს, მხედველო-

ზიდან არ უნდა გავუშვათ იმ დროს, როდესაც დავეფიქრდებით საქონზე, თუ რომელ ქართველ სტუდენტს შეეძლო მაშინ ჰაბუკ აკაკიზე განსაკუთრებული გავლენის მოპოება, ვის შეეძლო ახალგაზრდა პოეტის კეთილშობილური მაგრამ ამასთანავე ერთად ფუყე, უნიადაგო ოცნებათა გაბათილება; ეს უნდა იყოს კარიერაზე მისი გულუბრყვილო იმედების გაქარწყლება! აკაკი ერთ თავის საინტერესო ლექსში თავისი ცხოვრების ამ გარდამწყვეტ მომენტს შემდეგნაირად გვიხატავს:

„... მაგრამ რომ ჩაველ პეტერბურგს,
იქ სტუდენტობა დამიხვდა,
დამიჯდა მათი ნარჩევი...
წინაგანზრახვა წამიხდა.

მაშინ დავდექი სხვა აზრზე,
გამომეცვალა მე გული:
მიგხვდი, რომ მხოლოდ მე მგოსნად
ვიყავი დაბადებული.

და ხელი მივყავ მწერლობას,
ის მიჩნდა ნეტარებადა,
და მას შევიწირე ყოველი,
რაც მქონდა და რაც მეზადა“...

3.

პეტერბურგში ქართველი სტუდენტობის უმეტესობა ვასილის კუნძულზე ცხოვრობდა. იქ ჰქონდა ბინა ილია ჭავჭავაძეს. იქით მიაშურა პეტერბურგში პირველად ჩასულმა ჰაბუკმა ნიკო ნიკოლაძემაც. „ზომ ძლიერ უნდა გაველახეთ მთელი ერთი თვის ტროიკით მეზაერობას? — სწერს იგი თავის „სტუდენტობის პირველ დროში“, — მოსვენება ზომ ძლიერ უნდა გვჭირვებოდა იმ დილას, როცა პეტერბურგში ჩავედით? რა ბრძანებაა! პირის დაბანა რას ჰქვია, ისიც ძლივს მოვასწარით. ჩამოვხტით თუ არა, იმ წამსვე დამტვერიანებული და წელ-მოწყვეტილები ვასილის კუნძულისაკენ გავექანეთ. სული როდი გვითმენდა: იქ იდგა ჩვენი სტუდენტობა, იქ ჩვენც გველოდა გასტუდენტება!“¹⁾

აკაკიც თავის დაუმთავრებელ რომანში „იმერლები“, რომელიც უეჭველად ავტობიოგრაფიულ მასალაზეა აგებული, სწორედ ამ უბანზე მიგვითითებს, როგორც ქართველ სტუდენტთა სამყოფელ ადგილზე: „პეტერბურგში, ვასილის კუნძულზედ, ერთი დიდი სახლი დგას, რომელშიაც ორიათას მცხოვრებლამდი თავსდება და მათს რიცხვში ასამდე მაინც, თუ არ მეტი, სტუდენტები იქნებიან, რადგან მათთვის ეს სახლი სამარჯოა, როგორც უნივერსიტეტთან სიახლოვეით, ისე ოთახების სიაფითაც“, ვკითხულობთ ერთ თავში.²⁾

ვასილის კუნძული პეტერბურგელ სტუდენტების „ლათინურ კვარტალს“ წარმოადგენდა. ალბათ, აქ გაიჩინა თავისი პირველი ბინა ცხრამეტი წლის აკაკიმაც.

1) „რჩეული ნაწერები“, ტ. I, გვ. 35.

2) „დროება“, 1875 წ., № 16.

ჯერჯერობით ძალიან ცოტა დოკუმენტი მოგვეპოება აქაის პეტერბურგში ცხოვრების ამ პირველი პერიოდის შესახებ. დამხმარე მასალას ამ შემთხვევაში წარმოადგენს მოკლე ცნობები თვით აქაის „თავგადასჯელობაში“ და აგრეთვე შესანიშნავი მოგონებები სტუდენტობის ხანისა, რომელსაც დასტურება ნიკო ნიკოლაძემ. ამ მასალების მიხედვით შეგვიძლია დაახლოებით წარმოვადგინო ვიქონიოთ ქართველ სტუდენტთა ცხოვრებაზე, მათ შორის არსებულ ურთიერთობასა და განმტკიცებულ ზნე-ჩვევებზე. ეს მასალები ერთგვარ ნათელს მოჰყვენენ აქაის ცხოვრებასაც ამ დროს.

ქართველი სტუდენტები მეტწილად ძალიან ღარიბად ცხოვრობდნენ. მათ ეჭირათ იაფ-ფასიანი ოთახები მეოთხე-მეხუთე სართულებში, ბინადრობდნენ ხელმოკლე მოხელეების ოჯახებში, სადილობდნენ ან თავიანთ დიასახლისებთან, ან იაფ-ფასიან „კუხმისტერსკებში“. თუ როგორ ცხოვრობდნენ ქართველი სტუდენტები, ამის წარმოსადგენად საკმარისია გავეცნოთ აქაი ვერეთლის ახლო მეგობრის კირილე ლორთქიფანიძის ბინის აღწერილობას, რომელსაც იძლევა ნიკ. ნიკოლაძე თავის მოგონებაში. „იმავე დილას ბერიშვილიან (კირ. ლორთქიფანიძეა ნაგულისხმევი. — ლ. ა.) დავსახლდი, — სწერს ნ. ნიკოლაძე, — ერთ პატარა ოთახში, რომლის მარტახელა ფანჯარა უზარმაზარი სახლის ვიწრო და შშორიან ეზოში გადიოდა. გამოკეთეს ლოგინი, ბერიშვილის ლოგინის პირდაპირ. მარტო პატარა სტოლი ეტეოდა ამ ორ ლოგინს შუა, ფანჯრის წინ. ორიოდ სკამი და პირისსაბანი ტაშტი შეადგენდა დანარჩენ ჩვენს ნიჟარობას“. ნ. ნიკოლაძე მეორე ქართველი სტუდენტის, დავით ნიკოლაძის ბინასაც აკვიწრს. ვინაიდან ეს ბინა უფრო დამახასიათებელია, მოგვყავს მისი აღწერილობაც: „შორს იდგა ჩვენგან ის დალოცვილი, — ეკატერინეს კანალზე, უშველბეელი ბინძური სახლის მეოთხე თუ მეხუთე ეტაჟში, ერთი ნაშტეცა ოთახი ეჭირაენა, რომელშიაც ის და ორი სხვა პოლშელი სტუდენტი ერთად იდგენ. რაც ჯერ ქართველების ოთახში არ მენახა, ის აქ დამხვდა, მათი ოთახი სწორეთ იმ სტუდენტურ ოთახს ჰგავდა, როგორც რომანებში სწერენ ხოლმე სტუდენტების ყოფა-ცხოვრებას. ყელ-ჩამომტვრეულ ბოთლში სანთელი ერქო, — ეს გახლდა შანდალი. სტოლზე და ფანჯრებზე უთავბოლოთ დაგდებული წიგნების ფურცლებს შუა თამბაქო და მონაწივეი პაპიროსები ეყარა. იატაკზე ალაგ-ალაგ წიგნი ევდო, სხვაგან — ნაწერი ქაღალდი, კუთხეში — დაგლეჯილი ჩექმები, ჩუსტებად გადაჭკეული კალოშები და სხვა ამგვარი ხორაგი. ლოგინი მთელი ერთი თვე არავის გაესწორებია. ზედ საბნობას პალტო და შინელი შევბოდა. არც ბალიშის პირის, არც ზეწურის ხსენება არსად იყო. მუთაქის მაგიერათ ქვეშ წიგნები ეწყო, და ერთ საწოლს რომ ფეხი მოტეხოდა, ფეხის მაგიერ იმის ქვეშ წიგნები დაეღაგებიათ. ერთი თითის სისქე მტვერი ედო ყველაფერს, რაც კი იმ ოთახში მოიძიებოდა. სტოლზე უთავბოლოთ ეყარა წიგნები, შავი პურის მონაქერი, ძველ ქაღალდში გახვეული მარლი, კუპატი, თამბაქოში არეული შაქარი, ჩაისი ჭიჭა, რძის ბოთლი და სხვა და სხვა.

თვითონ ოთახიც ამ მორთულობას შეეფერებოდა. დაბალ კედლებს ერთობ ვიწრო და დაბალი ფანჯრები ჰქონდათ დატანებული. ზედ დაკრული შპალერი ალაგ-ალაგ აფხრეწილი და გამცვლარი იყო. დროთა ვითარებისაგან ქერს იმგვარი სიყვითლე დატყობოდა, როგორიც ერთობ მოხუცებული კაცის ქალარა

თმას ჰფერავს, შმორის სუნი და ნოტიობა კედლებსაც შეთვისებოდა, ჭერსაც და იატაკსაც. სამი კაცი ეტეოდა ამ ერთ ციდა ოთახში¹⁾...

ეხლა საინტერესოა ქართველ სტუდენტთა ყოფა-ცხოვრებასა. მანუკიანე ქუჩის წარმოსადგენად ვავეცნოთ მათ სასაბუღალტროსა. „სადილობის“ ტრასა შობალოვდა, — სწერს ნ. ნიკოლაძე თავის მოგონებაში, — წავედით საქმელათ. შემეყვანეს რალაც ბნელ და ნოტიო ოთახში, სადაც შუაგულ გრძელი სუფრა იყო გაშლილი, და მის გარშემო ოციოდე ყმაწვილი კაცი ისხდა. ჩვენი ქართველი სტუდენტობა თითქმის ერთიანად აქ იყო თავმოყრილი. დავსხედით, ამხსნეს, აქ სადილი ხუთ შაურათ ღირსო, ან თვეში შვიდ მანეთადო. კარგი იყო სადილი თუ ცუდი, — ამას ვინ სდევდა, ვინ კითხულობდა!.. ვაძეხებით კი და, იმ ორი თავით, რომელიც მოგვერთოვა... ჩემდა თავად უფრო სმენად ვიყავი ვადაქცეული, ვინემ ჭამათ. მართლაც, ყურადღების ღირსი იყო მაშინდელი გაკერა-გაშოკერული ლაპარაკი. ზოგი ტანსაცმელზე და თერძზე მუსაიფობდა, ზოგი შინიდან ფულის ლოდინზე, ზოგი სოფლად სავაზაფხულო ვასვლაზე, ზოგი ახალ-ვათავებულ ეგზამენებზე. ყბედობა იყო, რალა, უთავბოლო, უშიზნო²⁾ა.

მაგრამ სტუდენტების ამ ღარიბული ტრაპეზის დროს ყოველთვის უშიზნო და უთავბოლო ყბედობას როდი ჰქონდა ადგილი. ხშირად სტუდენტებს შორის აქ ცხარე დებატებიც გამართულა, გაუთავებელი დისკუსიები. ამ თეორიულ შეხლა-შემოხლის დროს სტუდენტებთან ერთად დროგამოშვებით იქ მოსადილე პროფესორებსაც კი მიუღიათ მონაწილეობა.

ილია ქავეკავაძის ბიოგრაფი ვრ. ყიფშიძე გადმოგვცემს ერთს ანეგდოტურ ამბავს, რომელიც პოეტს თავის სტუდენტობის დროს შემთხვევია. „ერთხელო, — უთქვამს ილიას, — ერთს იაფ კუხმისტერსკში ვსადილობთ ახალი ქართველი სტუდენტები, ვასილიევის კუნძულზედ, იქავ უნივერსიტეტის ახლოს და რალაც იურიდიულ საგანზედ ჩამოგვიყარდა ბაასი. როგორც მოგვხსენებათ ახალგაზრდობის საქმე, ბაასი ცხარე და მწვავე კამათად გადაგვექცა. კამათში ჩამოგვერია ერთი ახალგაზრდა რუსიკა, რომელიც იმავე საერთო მაგიდას უჯდა და სადილობდა. იმასაც მაშინვე პირში ვეცით, ცხარედ შევეკამათეთ და არა დაუთმეთ-რა, თუმცა მეტად გარკვევითა და სადად განმარტა საკამათო საგანი. მეორე დღეს — შევხედოთ და ის კაცი კათედრაზედ-კია გამოქიმული უნივერსიტეტში და ლექციასა კითხულობს. აუდიტორია გაქედილია სტუდენტობითა. ვეკითხეთ მისი ვინაობა და პირ-კატა კი გვეცა, როცა გვითხრეს, სპასოვიჩია, პროფესორი, დიდი მცოდნე იურისპრუდენციისაო“...³⁾

ასეთი იყო, საერთო ხაზებში ის გარემო, რომელშიაც უხდებოდათ ცხოვრება პეტერბურგის ქართველ სტუდენტობას. ამ გარემოში და პირობებში დაიწყო ცხოვრება ახალგაზრდა აკაკიმაც.



გადაწყვეტილება მტკიცედ იქნა მიღებული: აკაკი შემოდგომიდან სტუდენტი უნდა გახდეს, პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტი. მაგრამ უნი-

1) „ჩრეული ნაწერები“, ტ. I, გვ. 44—45.

2) იქვე, გვ. 41.

3) ვრ. ყიფშიძე — „ილ. ქავეკავაძის ბიოგრაფია“. ი. ჭ-ს თხზ., მ. გედევანიშვილის გამოც., გვ. XXIV.

ვერსიტეტში შესასვლელად საჭირო იყო გამოცდების ჩაბარება რამდენიმე საგანში: რუსულ მწერლობაში, ლათინურში, საღმრთო წერილში, ფიზიკა და ფრანგულ ენაში. საგნები საკმაო იყო, დრო კი ბევრი აღარც რჩებოდა. კენი-ვერსიტეტში მისაღები გამოცდები აგვისტოსთვის იყო დანიშნული.

ზაფხულის ცხელი დღეები იწყებოდა. პეტერბურგის სტუდენტობამ ახლო-შახლო აგარაკებში დაიწყო ვახიზენა. უმეტეს ნაწილად პავლოვსკში. ეს აგარაკი ჩვეულებრივი საზაფხულო სამყოფელი იყო ქართველი სტუდენტებისა. ილია ქავეკვაძის მეგობარი კობტა აბხაზი სწერს: „ზაფხულობით ჩვენი ქართველი სტუდენტობა პავლოვსკში ატარებდა დროს, და ჩვენც, მე და ილია, ზაფხულობით იქ ვიმყოფებოდით ხოლმე“¹⁾. მაგრამ 1859 წლის ზაფხული ილიას აღარ გაუტარებია პავლოვსკში. მისში მთელი თვე, განსაკუთრებით უკანასკნელ რიცხვებში, ის ავად იყო — სისხლს იღებდა გულიდან. ამიტომ ექიმის რჩევით, საზაფხულოდ ის სამშობლოში გამოემგზავრა სამკურნალოდ და დასასვენებლად. ეს უნდა მომხდარიყო იენისის გასულს ან იელისის დასაწყისში. ილიას და აკაკის პირველი გაცნობაც სწორედ ამ იენისის თვის მეორე ნახევარს უნდა მიეკუთვნებოთ. როგორც დედისადმი მიწერილი ბარათიდან სჩანს, აკაკიც სხვა ამხანაგებთან ერთად, პავლოვსკში გადაბარგებულა, რომ იქ გაეტარებინა თავისი პირველი „რუსული ზაფხული“. პავლოვსკში წასვლის წინ აკაკიმ კრასნოე სელო მოიარა და ინახულა იქ ბანაკად მდგომი უფროსი ძმა.

ამ პერიოდს ეკუთვნის აკაკის ერთი აღრინდელი წერილთაგანი, რომელიც შესანიშნავს დოკუმენტს წარმოადგენს ჩვენი ახალგაზრდა პოეტის იმ დროინდელი ცხოვრებისა და შეხედულებების გასაცნობად. აი ეს ბარათიც:

„უსაყვარლესო ბატონო

დედა!

თქვენს მშვიდობით სუფევას ღს ესთხოვ. ჩუენ მშვიდობით ვახლავართ ორნივე ღსა თქუენის ლოცვით. ილიკო კრასნი სელოში არის ლაგირად. გუშინ ვიყავ იმასთან და ჩუენ კი პეტერბურლიდგან სიცხეების გამო პავლოვსკში ვადმოვედით. ჩემს ამბავს ყოველისფერს დაწერილობით გეტყვისთ ნიკო ლოლობერიძე და ამ წიგნსაც ის მოგიტანსთ, თუ ჯერ არ წასულხართ საჩხერეს. თქუენი წიგნი, რა წამოვსულვარ, ჯერ არ მომსვლია. იმედი მაქვს, რომ მშვიდობით ბრძანდებით, მაგრამ მინც საშინელება ყოფილა წიგნის დაგვიანება. ტყვილათ გამტყუნებდით თქუენ. მე რომ ორის მეტი ვერ მოგწეროთ თვეში, მომეტევება ბევრი საქმეების გამო და მე ერთი ვარ, თქუენ კი ოთხი, თვეში თითო წიგნის მეტი არ შეგხვდებოდათ. მე უწინაც მოგწერეთ, უნივერსიტეტში შევდივართქო, იქ მინდა ვისწავლო სტა საგნებს გარდა უფრო ბეჯითად: ქართული, თათრული, სომხური, და თურქული, რადგან ესენი ერთმანეთს არ გამოორდებიან. ფრანციკულს კი შინ ვისწავლიდი, მაგრამ ოცდაათი თუმანი არ ეყოფა უჩიტელს და მე ხუთას-ექვსასი მანეთი უმისოთაც გაქირვებით მაცხოვრებს, როდესაც უარს ვყოფ: ტიატრს, კამედიას და ამისთანაებს. რა უყოთ, ამით ყოლიფერს მოესწრება კაცი და სწავლას კი

¹⁾ „ლიტ. მემკვიდრ.“, 1935 წ., გვ. 564.

ველარ. მადეღან რომ აქ წამოვიდეს კაცი და ვერა ისწავლოს-რა, ცოდვა არ არის? სწავლა იმას არა პქვიან, ორიოდე ტყიბინი ისწავლეს კაცმა, — არა, სწავლა სულ სხვა არის. დიდად ვსწუხვარ, მან იცხქამდეწიქსწიქსა, მაგრამ ესეც მანუგეშებს, რომ ვხედავ ისეთი დრო მოდის, რომ საჭირო არ არის კაცს დარჩეს მამისაგან სიმდიდრე და ამისთანეები, და არც ჩინი შეადგენს ბედნიერებას და თუ შეადგენდა აქამდის, ის დრო მალე წაბრძანდება. მხოლოდ საჭირო ყოფილა კაცისათვის ერთი მხოლოდ სწავლა, სწავლა ნამდვილი, რომელიც კაცს დაუახლოებს ღმერთს, აყენებს კეთილს ხასიათზედ და აცნობებს, თუ რა დანიშნულებით არის კაცი შექმნილი. მაშ ამას რალა სიმდიდრე და ხარისხი აჯობებს, თქუტნეცი იფიქრეთ? ამ ოთხს წელიწადს მე გავატარებ მღვთით კეთილად, მხოლოდ თქმნი მშვიდობა თუ მესმა, მეტი ბედნიერება საჭირო არა იქნება-რა. მაგრამ ის კი შემაწუხებს, რომ წარმოვიდგენ ხოლმე თქუტნის უბრალოთ წუწუნს. თქუტნი შვილებზედ ზრუნვა სამაგალითოდ დაიწყო და გათავდება სამაგალითოდ, ხომ თქუტნი ბრალი არ იქნება, თუ არ მოხდება.

მონა შვილი აკაკი

მამა ბატონს მოწყალეს ხელეზ უანბორებ, აგრევე ანას, მატას დაეკოცნი. ¹⁾

როგორც ამ წერილიდან დაინახავს მკითხველი, თავისი განზრახვა უნივერსიტეტში შესვლისა აკაკის ჯერ კიდევ ადრე უცნობებია მშობლებისათვის. მას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი უნივერსიტეტში ისწავლოს „ქართული, თათრული, სომხური და თურქული“. და ამისათვის, როგორც სჩანს, ძალიან ბეჯით სამზადის ეწევა გამოცდების ჩასაბარებლად. მას ამ დროს „ბევრი საქმეები“ აქვს და თვეში ორი წერილის გაგზავნის მეტს ველარ ახერხებს სამშობლოში, — „არა სცალია“; ფრანგული ენის შესასწავლად მას სურვილი აქვს აიყვანოს კერძო მასწავლებელიც. ფულის ნაკლებობა რომ არ უშლიდეს ხელს... იგი გატაცებულია სწავლის უსაზღვრო წყურვილით. მისი აზრით, თეატრებსა და გართობას ყოველთვის მოესწრება ადამიანი, ხოლო სწავლას კი ველარ. მაგრამ ყველაზე შესანიშნავია ჭაბუკის წერილში ის ადგილი, სადაც იგი გამოსთქვამს თავის შეხედულებას, ნაკარნახევს დროის მოთხოვნილებით, ამ მოთხოვნილებათა გონების სასწორზე აწონ-დაწონვით, მათი დაკვირვებულის განსჯითა და შეფასებით. „ვხედავ, ისეთი დრო მოდის, — სწერს იგი, — რომ საჭირო არ არის კაცს დარჩეს მამისაგან სიმდიდრე და ამისთანეები, და არც ჩინი შეადგენს ბედნიერებას, და თუ შეადგენდა აქამდის, ის დრო მალე წაბრძანდება. მხოლოდ საჭირო ყოფილა კაცისათვის ერთი მხოლოდ სწავლა, სწავლა ნამდვილი“-ო.

პავლოვსკში აკაკიმ, ალბათ, ერთი თვე ან არა უმეტეს თვენახევრისა დაპყო და ივლისის მეორე ნახევარში უკვე პეტერბურგს დაუბრუნდა. ყოველ შემთხვევაში 20 მკათათვეს იგი უკვე პეტერბურგშია, რადგან ამ თარიღითა და ადგილით არის აღნიშნული მისი: ლექსი „საიდუმლო ბარათი“. იმავე დღეებს

¹⁾ ქუთაისის მუზეუმი. კორ. ლორთქიფანიძის არქივი, აკაკის წერ. № 13.

ეკუთვნის მისი ლექსი „ცოდვილის სინანული“. ერთ ბარათში, აკაკი ხერხობით სწერდა თავის დედას: „საიდუმლო ბარათი რომ დავსწერე, უნებნა: მემეზინდა და სინანულის ლოცვაც თან მივაყოლე“-ო. იელისმეცხეა და კეტიკობით, ორივე ზემოხსენებულ ლექსზე ადრეც, — დაწერილი ერთი მეტად საგულისხმო ნაწარმოები ჭაბუკი აკაკისა, სახელდობრ „ქართლის სალამი“. ეს ლექსი ყველაზე ადრეც დაიბეჭდა „ციკერის“ იმავე 1859 წლის დეკემბრის ნომერში.

„ქართლის სალამი“ მეტად დამახასიათებელ ნაწარმოებს წარმოადგენს ახალგაზრდა აკაკისათვის. იგი ნათელს ჰქვენს იმ სულიერ განცდებს, რომლებმაც შეიპყრეს პოეტის შინაგანი არსება მას შემდეგ, რაც მან თავისი სამშობლო ქვეყანა მიატოვა. მისი სევდა უცხოეთში, მისი ოცნება მშობელი ქვეყნის მომავლისათვის, მისი ექვემი და იმედები, — ყოველივე ნაგრძნობ-ნაფიქრი, — კარგად მოსჩანს ამ ლექსში. პირადი პესიმისტური განწყობილება და პატრიოტული ოპტიმიზმი საოცარ შეთავსებას პოულობენ ამ ლირიკულ ნაწარმოებში. სხვადასხვა მოსაზრების გამო, რომლის გამოფერას ქვემოთ შევეცდებით, აკაკის ეს ლექსი არასოდეს აღარ შეუტანია თავის თხზულებათა კრებულში და იგი თითქმის დავიწყებულია ამჟამად. ამიტომ საჭიროდ ვთვლით მოვიყვანოთ მისი ტექსტი მთლიანად.

ქართლის სალამი

შორის ქუცყნიდგან, მოშორებულსა,
სამშობლო ჩემო! გიგზავნი გულსა,
შენს ერთგულს მონას, მსხვერპლადცა მზასა,
შენთვის ოხერისგან დაწულულებულსა.
მშვიდობა შენთან! სამშობლო მზარე!
ერთს დროს ჩემთ სევდათ შეიავარე,
რა რომ მოგშორდი, სევდამ ევლავ მძლია
და სიხარული მანდვე დაეჰყარე.
ეა თუ დავყარე უკუნისამდე!
ველარ გიხილო სანამ ესუნთქამდე?
უნდ უნუგეგომ კეჟანს გმონო
და ჯაჰვ ჩაბებული მას უნდა ეყავდე.
ასე ამ ქუცყნად გამიჭრეს ბედი,
ველარ გიხილო სამშობლო მეტი!
ჩემი სურვილი, მხურვალე გრძნობა
ამო იქმნეს, აღწევდეს იმედი!
უნდ სიკედილამდის ვეგდო ამ მზარეს,
სევდისა მსხვერპლად ცრემლს ვლერდიე მწარეს,
სად ვერ ესტერეტ ვარსკვლავს, მთვარე მჭრალია,
დღეს ბნელი ჰვარავს მის არე-მარეს?
წყულო გრძნობაჲ! მყოფ უიმედოს!
არ მრწამს, სამშობლომ გამომიშეტოს!
ველარ ეიჩივლო? წყლული ვერ ეჭურნო?
მაშინ ჩემს გულსა ცეცხლი მოედოს!
არა! ეგონებ კი მეღირსოს ნახვა?
ნახვა! რა ნახვა? ის იქნება სხტა!
რომ მის გემებსა დააქანებდეს
კასპიისაცა და ექვსინის ზღრტა!
აღსდევ სამშობლო! ბევრი გეძინა!



ვინც კტალში გდევდენ, გაგისწრეს წინა!
 შენის ბუნების მეჭონი, მითხარ,
 რამ დავაღონა? რამ შევაშინა?
 აღსდგე მამაკად და გაიმაბოთე,
 თუ რომ იშრომებ, გზები გაქვს ფართი!
 ცეცხლის გემები, რკინისა გზები
 და ტელეგრაფი თამამად მართე!
 როგორც შეფერის შენსა ბუნებას,
 ისე აძლევდე შრომასა ნებას,
 ხარბის თვალითა შიიტაცებდე
 და აერცვლებდე მანდ განათლებას.
 ჰხედავ რუსეთსა? რუსეთს შენს მსხნელსა?
 ვით ზრუნავს შენთვის, გიმართავს ხელსა?
 ეცადე ნაცვალს, და მოთმინებას
 შენ ნუ აკმარებ მას ცარიელსა.

როგორც ზემოთ ვთქვით, ეს ლექსი აკაკის აღარ შეუტანია ცალკე კრებულებში. მაინც რა წუნი დასდო პოეტმა ამ თავის ადრინდელ ლექსს? ცხადია, ამას თავისი მიზეზები ჰქონდა. უპირველეს ყოვლისა, „ქართლის სალამი“ კიდევ ატარებდა არქაიზმის ძლიერ ბეჭედს, როგორც შესრულების საერთო სტილით, ისე ორთოგრაფიის თვალსაზრისით. მაგრამ ამას კიდევ მოვევებოდა, რომ ლექსში არ სკარბობდეს რიტორიკის ელემენტი, რაც მკვეთრად ეწინააღმდეგება აკაკის ლირიკულ ამღერებას მის შემდეგ-დროინდელ ნაწარმოებებში. მაგრამ მთავარი მიზეზი აკაკის მიერ ამ ნაწარმოების „დავიწყებისა“ უნდა ვეძებოთ მაინც ლექსის უკანასკნელ ოთხ სტრიქონში, სადაც მეფის რუსეთი გამოყვანილია საქართველოს მხსნელად, მისთვის მზრუნველად, ხელის გამმართველად, სადაც პოეტი ურჩევს სამშობლო ქვეყანას სამაგიერო მიუზღოს თავის მხსნელსა და მფარველს, არ აკმაროს მას ცარიელი მოთმინება! ეს ტაეპი სასტიკ წინააღმდეგობას და კონტრასტს წარმოადგენს იმ პოლიტიკურ განწყობილებიას, რომლითაც გამსჭვალული იყო უკვე იმ ხანებში ახალგაზრდა აკაკი და რომლის მკვეთრი გამოხატულებაც ჩვენ ვნახეთ მის ალეგორიულ ლექსში „ნავი“, „ციცკის“ სექტემბრის ნომერში რომ დაიბეჭდა იმავე წელს.

როგორც ვიცით, ეს უკანასკნელი ლექსი, უურნალის რედაქტორმა ივ. კერესელიძემ, ავტორის დაუკითხავად, შეასწორა, გადააკეთა და ამით პოეტის დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. ერთ თავის წერილში, რომელსაც ქვემოთ ვრცლად მოვიყვანთ, აკაკი სწერდა დედას: „მე და კერესელიძე როგორღაც ვერ მოვეწყვეთ. ლექსები წამიხდინა, თავისებურად გადააკეთა და... სექტემბერს აქეთ აღარაფერს უგზავნი... აღარც გაუგზავნი აწ“. როგორც ვხედავთ, თავისი პოლიტიკური ლოიალობის გამო თუ ცენზურული მოსაზრებებით, ივ. კერესელიძე ძალიან უცერემონიოდ ეპყრობოდა ახალგაზრდა პოეტის ლექსებს და შეჰქონდა შიგ შესწორებები და დამატებანი. ეს გარემოება ნებას ვეძლევის დავეჭვდეთ იმაში, რომ „ქართლის სალამის“ ბოლო ტაეპი აკაკის ეკუთვნოდეს. ძალიან დასაშვებად მიგვაჩნია, რომ იგი ნახელავია თვით ივანე კერესელიძისა, — ისეთივე უნიჭო პოეტის, რაზომ მშიშრა რედაქტორიც ის იყო.

„ს ა ი დ უ მ ლ ო ბ ა რ ა თ ი“ პირველი ნაწარმოები იყო აკაკისა, „ციცკარში“ მისი სახელისა და გვარის მოწერით რომ გამოქვეყნდა (1860 იანვრის ნომერში). მანამდე, როგორც ვიცით, იგი ინიციალებს აწერდა ფსევდონიმად.

ამავე დროს ეს იყო პირველი ლექსი, რომელმაც მკითხველთან ნათქვამი ყურადღება მიიპყრო და ერთბაშად პოპულარული გახდა სასრულად. მისი ახალგაზრდა ავტორის სახელი, პოპულიარული და ამავე დროს სადიკუსიო. ეს პატარა ლირიკული ლექსი ერთი იმ პირველ მერცხალთაგანი იყო, რომელმაც იწინასწარმეტყველა დასაწყისი ახალი ეტაპისა, მთელი შემობრუნებისა ქართულ პოეზიაში, რომელიც ჩქარა დაიწყო კიდევ. მაგრამ ამ ლექსის შესახებ ჩვენ გვინდა ვილაპარაკოთ ცოტა ქვემოთ უფრო ვრცლად, აქ მეტად აღარ შეგჩერდებით.

როგორ ჩაიარა უნივერსიტეტში მისაღებმა გამოცდებმა, ჩვენ არ ვიცით. ჯერჯერობით არავითარი დოკუმენტი ჩვენს ხელთ არ არის, რომ გავაშუქოთ აკაკის სტუდენტობის ეს დასაწყისი პერიოდი. არის მხოლოდ ერთი გაკვრითი ცნობა, რომელიც ეკუთვნის ნიკო ნიკოლაძეს. თავის „სამოციანი წლების მოგონებაში“ იგი სწერს: „...უნივერსიტეტში შესასვლელად, რაკი ლათინური არ მესწავლა, საჭირო იყო დამატებითი გამოცდის ჩაბარება, ხოლო წინა წელს (ე. ი. 1859 წ. — ლ. ა.) ასეთ გამოცდებზე დამარცხდნენ ჩემზე გულმოდგინე და ნიჭიერი ყმაწვილები, მაგალითად, ბრწყინვალე პოეტი აკაკი წერეთელი“... როგორც სჩანს, აკაკის ვერ მოუსწრია გამოცდებისათვის სათანადოდ მომზადება, იგი ჩაჭრილა თუ რამდენიმე საგანში არა („გამოცდებზე“—ო, სწერს ნ. ნიკოლაძე), ყოველ შემთხვევაში ერთ საგანში უეჭველად.

ოქტომბრის დამდეგს პეტერბურგში სტუდენტებმა მიიღეს „ციცკარის“ ახალი ნომერი (სექტემბრის წიგნი), სადაც დაბეჭდილი იყო აკაკის ლექსი „ნაღი“, შეკვეცილი და შეკეთებულ-შეცვლილი რედაქტორის მიერ. ლექსს დაკარგული ჰქონდა ავტორის მიერ მიცემული მკვეთრი თაზოზიციური პოლიტიკური შინაარსი. ამ გარემოებას აკაკი მეტად აღუშფოთებია და ეტყობა საყვედურიც მიუწერია ივანე კერესელიძისათვის. ესა სჩანს ამ უკანასკნელის საბოლოო წერილიდან, რომელიც მან აკაკის გაუგზავნა რამდენიმე თვის შემდეგ „ხაიდუმლო ბარათის“ გამო: „იმერლობას ნუ გამოიჩენ და ნუ გაფხუკიანდები“—ო, — სწერდა რედაქტორი ახალგაზრდა პოეტს. როგორც ეტყობა, „ნაღის“ დამახინჯებისათვის აკაკი მართლაც ძალიან „გაფხუკიანებულა“, მაგრამ რაღას გააწყობდა!

იმ ხანებს ეკუთვნის ილიას ცნობილი ხუმრობა ქართულ ჟურნალზე: „ჩვენ იმ ციცკარი ჯოჯოხეთის კარია და არა ცისაო“. საერთოდ პეტერბურგელ სტუდენტობაში ამ დროს უკვე არსებობდა გარკვეული უკმაყოფილება ივანე კერესელიძის ორგანიოთი. ეს უკმაყოფილება ჯერ მხოლოდ მწიფდებოდა, ღრმავდებოდა, ჯერ კიდევ არ იყო საქვეყნოდ აღიარებული, საჯაროდ გამოთქმული. ჯერ კიდევ არ იყო მიტანილი მედგარი იერიში ახალი თაობისა იმ ძველი გალაკენის წინააღმდეგ, რომლის იქითაც მეთოდურებად ჩარაზმულიყვენ ძველი მწერლობის, ძველი ტრადიციების, ძველი აზროვნების გამოშატველი თაობის წარმომადგენლები. ეს დიდი უკმაყოფილება მხოლოდ ერთი წლის შემდეგ ჩამოაყალიბა ილია ჭავჭავაძემ გარკვეულ თეზისებად თავის ცნობილ წერილში და ამით დასაწყისი მისცა ისტორიულ პოლემიკას „მამათა და შვილთა“ შორის.

*) „ჩვეული ნაწერები“, ტ. I, გვ. 90.



აკაკიმ გაჯავრებულ გუნებაზე გადასწყვიტა, აღარაფერად დაეგვიყენა ივ. კერესელიძისათვის. მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ „ცისკრის“ რედაქტორის კომუნიკაციის ძალიან აფასებდა ახალგაზრდა პოეტის ნიჭს, ეტყობა, ბოდიშებით თავი ბოლებზრებია და პირობა მიუცია, რომ ამიერიდან მასთან შეუთანხმებლად არავითარ ცვლილებას აღარ შეიტანდა მის ლექსებში. აკაკისაც დაუჯერებია ივ. კერესელიძის სიტყვებისათვის და კიდევ გაუგზავნია ამის შემდეგ ლექსები. „ორი ლექსი კი გამომტყუა ეხლაც, — სწერდა იგი დედას რამდენიმე თვის შემდეგ, — საუცხოვო იყო: „მოხუცის ტირილი“ და მეორე „შამილის სიზმარი“, არ ვიცი, რათ არ დაბეჭდა, მგონია შეშინდა, ცოტა თავისუფლად იყო დაწერილი ამ ეხლანდელ „ამაო ძებნის“ არ იყოს, აპრილში რომ დაიბეჭდა“¹.

მართლაც, აკაკი ჩქარა დარწმუნდა, რომ ივანე კერესელიძე გაუსწორებელი რედაქტორი იყო. თავის პირობას ლექსების გადუკეთებლობის შესახებ იგი სიამოვნებით ასრულებდა მხოლოდ იმ ნაწარმოებთა მიმართ, რომლებიც შინაარსით ძალიან დაცვილებული იყვნენ თანადროულ პოლიტიკურ ვითარებას. ხოლო პოლიტიკური ხასიათის ლექსებს ხშირად სრულიადაც არ ბეჭდავდა, როგორც, მაგალითად, არ დაბეჭდა „შამილის სიზმარი“, თუმცა აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ამ შემთხვევაში შეიძლება უფრო მეტი ბრალი ედებოდეს ცენზურას და არა „ცისკრის“ მშვიდობა რედაქტორს.

„შამილის სიზმარი“ დაწერილია 1859 წლის შემოდგომაზე ან ზამთარში (ყოველ შემთხვევაში არა უგვიანეს 1860 წ. იანვრისა.)² როგორც ვიცით, 1859 წლის 25 აგვისტოს მოხდა გუნების კაპიტულაცია და დალისტნის არწივის შამილის შეპყრობა ბარიატინსკის მიერ. სექტემბერში მოხუცი იმამი ჩამოიყვანეს რუსეთის სატახტო ქალაქში. ეს ამბავი დიდი სენსაცია იყო არა მარტო რუსეთის, არამედ მთელი ევროპისათვისაც, გრივოლ ორბელიანი, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში ებრძოდა შამილს, ამ დროს პეტერბურგში იმყოფებოდა. იგი სწერდა იმ ხანებში დიმიტრი ჯორჯაძეს: „დიდი ამბავი იყო პეტერბურგში შამილის შეპყრობამდე და დალისტნის დამორჩილებაზედ... რუსეთი დიდათ ჰხარობს და დიდად აქებს კნიაზს ბარიატინსკისა. ნევსკის პროსპექტის შალაზეინები აივსნენ პორტრეტებითა ბარიატინსკისა და შამილისა“. გრივოლ ორბელიანს პირადი შეხვედრა და საუბარიც ჰქონია დალისტნის გმირთან. „შამილა გავიცან პეტერბურგში, — სწერდა იმავე წერილში „იარალის“ ავტორი, — კარგი დარბაისელი კაცი ყოფილა... დიდის სიმწარით მიამბო, რომ მიღალატეს ყოველთა მათ, ვინცა იყუნენ დაახლოვებულნი ჩემთან და ვინცა ჩემს მფარველობას ქვეშე და ჩემის მოწყალებით მსცხოვრებდნენ! იმათვე ამიკლეს სრულებით, ასე რომ ეს თეთრი ჩოხა ბარიატინსკიმ მიწყალობაო, და ამგვარი მრავალი მელაპარაკა.“³

კავკასიის სისხლიანი ეპოპეის დამთავრებას ჩერნიშევსკის ჟურნალმა „სოვრემენნიკმა“ 1859 წლის ნოემბრის ნომერში დიდი სტატია მიუძღვნა. იგი ხელმოუწერელი იყო და ეკუთვნოდა ნ. დობროლოუბოვის კალამს. სტატიის სათაური იყო: „კავკასიაში ჩვენი უკანასკნელი გმირობის მნიშვნელობისათვის“.

¹) ნაწარმოები ინახება საქ. მუზეუმში დაცულ აკაკის თარიღდაუდგენელ ავტოგრაფებში. იხ. ხელნაწ. № 1489.

²) გრ. ორბელიანის წერილიდან დიმიტრი ჯორჯაძისადმი — 1859 წლ. 31 ოქტომბერს. იხ. გრ. ორბელიანის „წერილები“, ავ. გაწერელის რედ. ტ. II, გვ. 277 — 278.

შინაარსი ამ სტატიისა ერთგვარ საბრალმდებლო ოქმს წარმოადგენდა რუსეთის ჯარის სარდლებისა და სასტიკი ადმინისტრატორების მუშაობის უწყვეტობაზე ათეული წლების მანძილზე ცეცხლითა და მახვილით ანადგურებდნენ თავისუფლებისათვის მებრძოლ კავკასიის ხალხებს. „რუსები მუდამ იმხედრებდნენ თავის წინააღმდეგ მთიელ მოსახლეობას“—ო. — სწერდა ნ. დობროლუბოვი თავის სტატიაში. ავტორს მოჰყავდა თვით ოფიციალური ცნობები იმ ძალადობისა და ბარბაროსული შევიწროვების შესახებ, რომელსაც ადგილობრივი მკვიდრნი განიცდიდნენ მეფის ჯარის ვერავი მეთაურებისა და გათახსირებული მოხელეების მხრივ. სტატიის ავტორი პირდაპირ მიუთითებდა კავკასიის მთიელთა მუდმივი მღელვარებისა და შეუპოვარი ბრძოლის მიზეზებზე. იგი სწერდა: „ინდოეთში, ალჟირში, ლომბარდიაში, — ყველგან, სადაც უცხოელების ადმინისტრაცია თავის თავს აყენებს უპატიოსნო დამოკიდებულებაში ხალხის მიმართ, ყველგან იწყება მღელვარება, — უნაყოფო, გიჟური მაგრამ მაინც დამლუბველი ქვეყნისათვის“... მისი აზრით, არა რელიგიური ფანატიზმი, არა მიურიდიზმი იყო მიზეზი მთიელთა შეუპოვარი წინააღმდეგობისა, არამედ თვით დამპყრობელთა სისასტიკე, მათი ადმინისტრაციის ბოროტმოქმედებანი და ძარცვა-გლეჯა. ამიტომ მწარე ირონიად ისმოდა დობროლუბოვის მიერ სტატიის სათაურში ნახმარი სიტყვები: „ჩვენი უკანასკნელი გმობა“—ო.

„შამილის სიზმარი“ აკაკის დაწერილი აქვს უკანასკნელ პოლიტიკურ ამბებთან დაკავშირებით და, როგორც სჩანს, ნ. დობროლუბოვის ანონიმური სტატიის არა ნაკლები გავლენითაც. ნ. დობროლუბოვი თავის წერილს იწყებს შენიშვნით, რომ ამ ბოლო დროს ძალიან გაზშირდა აღფრთოვანებული ლაპარაკი და სტატიები კავკასიის და შამილის შესახებო. ამ ხმამაღალი, აღტაცებული და ხანგრძლივი მითქმა-მოთქმის დროს ზედმეტი არ იქნება რამდენიმე მორიდებული შენიშვნაც გავაყვითოთ. ეს მით უმეტეს მივიჩნიეთ საჭიროდ, რომ საერთო აღტაცებული ხმაურის დროს ხშირად მომავალი ძალიან მოშინილავად ეჩვენება ზოგიერთებსო. ამბობენ, კავკასიაში ომი გათავდაო, მაგრამ ამ სიტყვებს, — სწერს ნ. დობროლუბოვი, — ძალიან ფართო და საბოლოო შნიშვნელობა არ უნდა მიეცესო... საერთოდ ფარული აზრი ნ. დობროლუბოვის წერილისა იმაში მდგომარეობდა, რომ მკითხველი დარწმუნებულიყო ერთ რამეში: სანამ არსებობს რუსეთის თვითმპყრობელობა, რომელიც ძალიან ეწვეა მთიელთა მიმართ, მანამდე კავკასიის დაწყნარება წარმოუდგენელია, რადგან თანამედროვე წყობილება რუსეთისა თვით წარმოადგენს იმ წყაროს, რომელიც ჰკვებავს კავკასიის ხალხების სიმულელილს რუსეთისადმიო.

თუ დავუკვირდებით აკაკის ლექსს, შევამჩნევთ, რომ იგივე აზრი კავკასიის ქედმოუხრებლობის შესახებ შეადგენს ნაწარმოების მთავარ ლეიტმოტივს. მოხუცი შამილის სიზმარში გამოხატულია თავისუფლების მოყვარულ მთიელთა ოცნება რევანშზე, მათი იმედები მომავალი ბრძოლებისა და გამარჯვების შესახებ.

ვინაიდან აკაკის ქაბუკობის დროინდელი ეს ლექსი არაოდეს აღარ გამოქვეყნებულა, ზედმეტი არ იქნება, გავეცნოთ მის ტექსტს იმ ავტოგრაფის მიხედვით, რომელიც სამწუხაროდ, ბოლონაკლულად შენახულია საქართველოს მუზეუმში.

შამილის სიზმარი



შუალამეა. გავსილი მთვარე
 დედამიწაზე სხივებს უხეად ჰფენს:
 მთები, ტყეები, კლდე და მდინარე,
 ყველა მდუმარებს და გრძნობით ისმენს:
 ვით განსვენების ანგელოსნი ცით
 გადმოეფინენ გუნდად ხმელეთად,
 თვისის ნეტარის და მსუბუქის ფრთით
 და მყუდროებას ჰგალობენ ერთხმად.
 მაგრამ აკაკიშა ეს მყუდროება
 ცით მოვლენილი არ ეყურება
 გაურჩეველი აქვს მას დროება
 მხოლოდ სხვა რამეს ემსახურება.
 იმას ჰსურს სისხლი, ომი ფიცხელი
 მისთვის საღმრთო ხმას რათა ჰგალობენ
 სისხლს სთხოვენ მთები, კლდეები, ველი
 და მდინარენიც მას ჰღრიალებენ.
 მხეტია ღრიალი, ფრინველთ ჩივილი
 ქართა ქრიალი, ზეგათა გრიალი
 ამას ნიშნავენ: „გმწყურთან სისხლი
 და თერგისაცა ეს არს ღრიალი.
 მათს სურვილის აღმსრულებელი
 მშუბარის სახით, დაფიქრებული
 ქვაზე ზის „ყურნის“ მადიდებელი
 და მურიდნი ჰყავს შემოკრებული.
 ზოგს დახმობია გულ-მკერდზე სისხლი
 მისგან მოკლულის ჩხუბში გაურის,
 ზოგს ჩასწუწურებს ისევ ახალი
 უმზერს კმაყოფით, უჭერტს, უხარის.
 ანაბებს ჰიმაში: მართლმორწმუნენო!
 ჩენი გაიციხვა მაჰმადს არა ჰსურს,
 დროა გამზნედეთ ერთგულნო ძენო —
 და თავს ნუ მიესცემთ მონად გაიურს!
 ხომ გახსოვსთ ჩემი დარღოში ომი
 და სხვანი კიდევ ბევრგან მრავალი?
 მე არ გვეგონოთ ცრუმორწმინის მდომი,
 მოწმედ მეყოფა მიწა და ქვეანი!
 დრო გადავიდა! მოგხუცდი ჰალა!
 მაჰმადო! ვატყობ ღონე მაკლდება,
 მაგრამ დღეს ჩემში ახლდება ძალა
 და დამკნარ ძარღვში სისხლი სდლდება.
 მართლმორწმუნენო: ჰა, წაიფანეთ
 უკანასკნელად მსურს ეცადო ბედი.
 წინ წავიძღვებათ კაზი-მაჰომეტ,
 მაგაზე დამჩა მხოლოდ იმედი.
 თქვენ მიაშურეთ მარცხენა მხარეს,
 სადაც განაგებს თვითონ კნიაზი! 1)
 მაჰმადის ძალით ნახავს სიმწარეს
 და თქვენც თაყვანს გცემთ მაშინ (...)?

1) იგულისხმება თავადი ბარიატინსკი.

2) ზელნაწერს ყური აქვს მოხეული, ამიტომ აკლია ერთი სიტყვა.

და სიბერის ეამს ამ შიშველს ხრბლით
 მარჯვე[ენ]ა მხარეს მე შევექრები:
 დღეს უნდა გავსძღე გაულის სისხლით
 მით მწვეფარე სისხლს მივეყურებები".
 შეიქმნა ომი მეტად ფიცხელი,
 საზარელი და ცუდ-სანახავი,
 ლეკებმა სისხლით შეღებეს ხელი,
 გელს ეფინება რუსების თავი.
 ომიც ვათავდა, და კმაყოფილმა
 ყურანს შესწირა გმირმა ნამაზი
 და იმავე დროს იმისმა შვილმა
 ტყვედ მოუყვანა თვითონ კნიაზი.
 მან ძვირფასი ტყვე წარჩინებული
 მის წინ მისული რომ დინახა,
 მსწრაფლ აუღელდა მრისხანე გული
 [თავი]!) მოსტყროთ!.. ჯიარს მიიძახა.



ასეთია აკაკის „შამილის სიზმარი“. ასე მხურვალედ გამოეხმაურა ახალ-გაზრდა პოეტი თავისი დროის დიდ პოლიტიკურ მოვლენას. მისი სიმპატია, ცხადია, მთლიანად შამილისა და მისი თანამებრძოლების მხარეზეა. ეს სიმპატია იმდენად აშკარა იყო, როგორც ცენზურის, ისე ივ. კერესელიძისათვის, რომ ცხადია, ლექსი დაკავებულ იქნა და არ დაიბეჭდა. აკაკი თვითონ აღიარებდა, რომ მისი დროისთვის ეს ლექსი „ცოტა თავისუფლად“ იყო დაწერილი. ოღონდაც! იმ ქვაზი-პატრიოტული ღრვიანცელის და თავებრუდახვევის დროს ეს ლექსი „ცოტა თავისუფლად“ კი არა, ძალიან გაბედულადაც იყო დაწერილი. იგი წარმოადგენდა ნაციონალურ-განმანათავისუფლებელი ბრძოლის თამამ აპოლოგიას.

საინტერესოა ვიკითხოთ, თუ რა ხასიათის ფაქტები და მოვლენები აღვივებდნენ ახალგაზრდა აკაკის ცნობიერებაში იმ დროს ნაციონალურ-განმანათავისუფლებელი მოძრაობის იდეებს? ამაზე პასუხს თვითონ პოეტი იძლევა ერთ ადგილას თავის მოგონებებში. „იმ დროს, ე. ი. მესამოცე წლებში, — სწერს აკაკი, — იტალია და უნგრეთი სცდილობენ განათავისუფლებას და ებრძოდნენ ავსტრიას. გარიბალდი, მაძინი და კოშუტი გაუბნათ ყველა შეგნებულ მამულიშვილებს იდეალად“—ო.

ცხადია, გარიბალდისა და მისი თანამებრძოლების თავდადებული გმირობა დამონებული სამშობლოს გასანათავისუფლებლად თავის გამოძახილს ჰპოვებდა პეტერბურგის ქართველ სტუდენტობაში. ეს გამოძახილი ისმის ილიას და აკაკის სტუდენტობის დროინდელ ლექსებშიაც.

აკაკი შამილისა და მისი მიუჩინების სახეში სრულიად ბუნებრივად ხედავდა გარიბალდისა და მისი თავგანწირულ წითელხალათიანების ანალოგიას.



თუ რა მრავალფეროვანი და ამავე დროს საოცრად არათანმიმდევრული იყო ახალგაზრდა აკაკის პოეტური თემატიკა, ეს სჩანს იმ ნაწარმოებებიდან,

*) აქაც ხელნაწერს უფრო მოხეული აქვს, აკლია ერთი სიტყვა, ვფიქრობთ უნდა იყოს „თავი“.

რომლებიც მან დასწერა იმ შემოდგომაზე და ზამთარში. მათ შორის სენს ყუ-
რადლებას იპყრობს ორი: „მეუღდაბნოე“ და კომედია „ძველი ამხანაგები“.

„მეუღდაბნოე“ 1859 წლის ნოემბერშია დაწერილი. ამ ნაწარმოებში აკაკი წერეთელი თავისი იდეით და შინაარსით ერთგვარ სენტიმენტალურ რელიგიურ ხა-
სიათს ატარებს და სრულებით არ არის დამახასიათებელი აკაკის იმ დროინდე-
ლი შემოქმედებისათვის. ეტყობა, ახალგაზრდა აკაკის უცდია ერთგვარი
ფილოსოფიური სიღრმე მიეცა ნაწარმოებისათვის, მაგრამ ვერ შორევია. ნაწარ-
მოებში აღწერილია ერთი მეუღდაბნოე ბერის ცხოვრება. იმ ქვეყნიური სიყვარ-
ულით აღძრული, იგი განშორდა სოფლის „ამაოებას“ და ლოცვებში ატარებს
თავის დროს. ერთხელ ღამით მის ესტუმრება ვიღაცა ახალგაზრდა კაცი. ისიც
მოშორებია ამ ქვეყნიურ ცხოვრებას, მაგრამ მისი ლტოლვის მიზეზი სხვა
არის: ახალგაზრდა კაცი, როგორც ირკვევა, უიღბლო სიყვარულის გამო გან-
დგომია უღდაბნოდ:

„შევა შენსავით მოვშორდი სოფელს,
მაგრამ ლტოლვის გზა სხვადასხვა არის:
შენ ნაცვლად ელი იქ სასუფეველს,
და ჩემი გული მას ვერ შეხარის!“

საუბრის დროს ყმაწვილი კაცი უამბობს მეუღდაბნოეს თავისი მშობლების
სამწუხარო ისტორიას: მამა მისი თურმე „სოფელს განშორებია“ და უგზო-
უკვალოდ დაკარგულა, ქმრის ჯავრს დედაც გადააყვოლია, დახოცილან აგრეთ-
ვე მისი და და ძმა. ამ ამბავში მეუღდაბნოე გამოიყენებს საკუთარი ოჯახის
თავდადასავალს, ჭაბუკშიაც თავის ვაჟს შეიცნობს. მაგრამ გვიანლაა. ახალ-
გაზრდა კაცი, უიღბლო სიყვარულით უდროოდ დამკანარ-დასნეულბული,
მოკვდება. შეძრწუნებული მოხუცი ცრემლებს აფრქვევს შეილის გვამზე და
ევედრება ზეცას, მასაც გარდმოუვლინოს სიკვდილი. ზეციერი შეისმენს მის
ლოცვას, და მოხუცი დააკვდება შეილის ცივ სხეულს.

ასეთია მარტივი შინაარსი ლექსისა. როგორც ვთქვით, ახალგაზრდა აკაკის
აქ თემა არა აქვს აწეული ფილოსოფიური განხილვების მაღალ დონემდე.
თავისი პერსონაჟებით როგორღაც ეს ნაწარმოები მოგვაგონებს ილია ქავეჭა-
ვაძის შესანიშნავ პოემას „განდევილს“, რომელიც პოეტმა თავისი შემოქმედე-
ბის სიმწიფის ხანაში დასწერა, 80-იანი წლების დამდეგს. მაგრამ „განდევილ-
თან“ შედარებით ლექსი „მეუღდაბნოე“, რასაკვირველია, მეტად გულუბრყვი-
ლო და პრიმიტიულ ნაწარმოებს წარმოადგენს. იგი დაიბეჭდა „ცისკრის“ 1859
წლის ნოემბრის ნომერში და ამის შემდეგ აკაკის იგი აღარც შეუტანია არც
ერთ თავის კრებულში.

უფრო მნიშვნელოვანია და დამახასიათებელი აკაკის იმდროინდელი
შემოქმედებისათვის ერთ-შემოქმედებია კომედია „ძველი ამხანაგები“, რომე-
ლიც მას დეკემბრის შუა რიცხვებში დაუწერია.

„ძველი ამხანაგები“-ც აკაკის იმ ადრინდელ ნაწარმოებთა
რიცხვს ეკუთვნის, რომლებიც ჯერ კიდევ ვერ არიან საცნობით გამართულნი
პოეტურად, მაგრამ, მიუხედავად ამისა, დიდს ინტერესს შეიცავენ, როგორც
გამომხატველნი ახალგაზრდა მგოსნის გარკვეული შეხედულებებისა ცხოვრე-
ბაზე, ახალ ვითარებაზე, ახალ ურთიერთობაზე.

კომედიის მთავარი მომქმედი პირია რუსეთიდან სამშობლოში დაბრუნებული კანდიდატი (უნივერსიტეტ-დამთავრებული), ნიკო კვახაძე. იგი რამდენიმე წელიწადია, რაც არ ყოფილა თავის ქვეყანაში. ჩამოსვლის შემდეგ მასთან სანახავად მიეშურებიან მისი ყოფილი გიმნაზიის ამხანაგები, რომელთაც სხვადასხვა კარიერა აუარჩევიათ ცხოვრებაში. მათთან საუბარში და აგრეთვე დიალოგში მამასთან მკითხველი არკვევს ნიკოს შეხედულებებს და ცხოვრების პრინციპებს.

„ახლა სულ სხვა დრო არის, წავიდა ის დროება, სხვა ხასიათი მოვიდა და სხვა საჭიროება“, —

ასე უპასუხებს იგი მამას საყვედურზე, რომ ახალგაზრდა თაობა აღარ წააგავს ძველს არც ფიზიკურად, არც თავისი სულიერი თვისებებით.

ნიკოს ამხანაგებში ზოგს პოლიციის მოხელის ადგილი უშოვია, ზოგი აფიცრად გამწესებულა, ზოგი სასამართლოში შესულა მწერლად, ზოგსაც ოჯახში დაჩრენა და მამულის მოვლა-პატრონობა მიუჩნევია სახელმწიფო სამსახურზე უმჯობესად. ყველა ძალიან კმაყოფილია თავისი ბედით. ნიკო ხედავს მათს უმწრობას, გამოუსადეგრობას ქვეყნისათვის და მწუხარებით ამბობს თავისთვის:

„ეი, საწყალო მამულო! რა შეილება გგზრდებათ, სხვისას ვერას სწავლობენ, თავისიც ავიწყდებათ! გიმნაზიის ათაგებენ მეტისმეტის დაკვებით, თუ არ დროშეთ, ორ ბიჯსაც არ გაივლიან ფეხით. ზოგსა ყურში ურკვეია კალაში გამოჭრილი, ზოგნი მამის დანარჩენს სამკვიდროს აყვლიან, და დეზების გულსთვის დრაგუნებში მიდიან, ზოგთა პოლიციაში თავი მოსწონთ კვარტლობით, იბერებიან, ჰკრეფენ ფულებს უსამართლობით, ამ გვარად თავის ძმებსა აღუჩნდებიან მტერად და ამისთანა ყოფით თავს რიცხვენ ბედნიერად!“

ნიკოს არც თანამედროვე ახალგაზრდა ქალები მოსწონს. მამა წინადადებას აძლევს, „განათლებული“ ქალი შეირთოს. ამაზე კანდიდატი შეილი უპასუხებს:

„რას ეძახით, მითხარი, კარგათ განათლებულსა? პოპოლუსტა რომ იციან, ვერ ანბობენ ჭართულსა, თავ-მოხდილნი, მკერდ-შიშველნი ბალებში რომ დაბტაიან, ჭართველს აღარა გვანან, — მოდაო, იძახიან?“

ნიკო კატეგორიულად წინააღმდეგია სახელმწიფო სამსახურისა, ჩინოვნიკობისა. ამ მხრივ დამახასიათებელია მისი დიალოგი მამასთან. „შვილო, რისთვის არ გინდა, მითხარ, მდივან-ბეგობა?“ — ეკითხება მამა. შეილი უპასუხებს:

„ბატონო, შინ ყოფა სჯობს, მე ეს პურიც მეყოფა, განა კარგი იქნება, მკრთამობა დავიწყო, საწყალოთ გლეხ-კაცთ ტყავი ვაძრო, ვატრო და ვაწუხო?“

ასეთია ოპოზიციურად განწყობილი ახალგაზრდა კაცის შეხედულებანი. ნიკო იმ ჭართველი ახალთაობის წარმომადგენელია, რომელსაც, ცხადია, ძველი



პატრიარქალური ცხოვრება არ მოსწონს, მაგრამ რომელიც ახალმა მკაცრმა ციის ზერელე გადმოღების მტერიც არის. ცხადია, ქაბუჯ ავგუოს მძევრ ტახტზე დაედა და სქემატურად მოხაზული ტიპი ახალი თაობისა თავისი შეხედულებებით ვაცილებით მაღლა სდგას გიორგი ერისთავის ქარაფშუტა ივანეებსა და ბეგლარებზე — 40—50-იანი წლების ქართველი ინტელიგენციის ახალი თაობის წარმომადგენლებზე. მაგრამ, მეორეს მხრივ, ნიკო შინც არ არის სამოციანი წლების „თერგდალეულთა“ მსოფლმხედველობის გამომზატველი ტიპი. მისი უარყოფილობა ჯერ კიდევ ნევატიური ხასიათისაა, მას ჯერ კიდევ არა აქვს ჩამოყალიბებული თავისი პოზიტიური მსოფლმხედველობა, ჯერ კიდევ არა აქვს გამოუმუშავებული ის პოლიტიკური და სოციალური პრინციპები, რომლებით შეიარაღებულენამც გადმოლახეს მესამოცე წლებში პეტერბურგელმა სტუდენტებმა თერგის შფოთიანი წყალი. ეს პრინციპები პირველი სიმკვეთრით და ფართო მოცულობით გამომზატა ილია ქავჭავაძემ თავის „აჩრდილსა“ და „მგზავრის წერილებში“.

„აჩრდილის“ პირველი ვარიანტი ილიას უკვე დამთავრებული ჰქონდა იმ დროს, როდესაც აკაკი პეტერბურგს ჩავიდა. საფიქრებელია, რომ იგი უკვე ხელნაწერში გაიცნო აკაკიმ, ჯერ კიდევ მანამდე, სანამ პოემის ერთი თავი „არაგვის“ სახელწოდებით დაიბეჭდებოდა „ცისკრის“ 1859 წლის ოქტომბრის ნომერში. აკაკის პოეტურ შემოქმედებაში „აჩრდილს“ და კერძოდ ლექსს „არაგვს“ თავისი რეზონანსიც ჰქონდა. ამის შედეგი იყო ლექსი „ამაო ძებნა“, რომელიც რამდენიმე თვის შემდეგ „ცისკარშივე“ დაიბეჭდა. მაგრამ ამის შესახებ ცოტა ქვემოთ ვილაპარაკებთ. ახლა კი შევეხებით აკაკის პირად ცხოვრებას იმ ხანებში.

აკაკი, როგორც ვთქვით, აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტზე შევიდა, სომხურ-ქართულ კათედრაზე. იგი დიდის ხალისით შეუდგა მეცადინეობას. გულმოდგინედ ესწრებოდა ლექციებს, სწავლობდა ენებს. როდესაც უფულობის გამო მასწავლებელი ვერ აიყვანა, მან წიგნები შეიძინა და თავისით დაიწყო ფრანგული ენის შესწავლა. ამავე დროს, როგორც ზემოთ დავინახეთ, ენერგიულ შემოქმედებით მუშაობასაც ეწეოდა. ერთ ლექსში იგი სწერს ამ ხანების შესახებ:

„ვეწავებოდი ლექციებს,
ვეტრფოდი პოეზიასა,
და ბურუსიან დღეებშიც
წარმოვიდგენდი მზიანსა“...

ამ ხანებში აკაკი უკვე განიცდის ძლიერს უფულობას. თავის წერილებში დედისადმი იგი ხშირად უჩივის ამ გარემოებას. მისი ეს ადგილები ძალიან მოგვაგონებენ, ილია ქავჭავაძის წერილებს ნათესავეებისადმი. ილიაც ძალიან გაჭირვებას და ხელმოკლეობას განიცდიდა სტუდენტობის წლებში. „ეს პეტერბურგი, — სწერს იგი ერთ ბარათში, — საშინელი, უდიდესი ქალაქია, ბევრი მზიარულება, ბევრი შექცევაა, მაგრამ ჩემთვის სულ ფუჭია, მისთვის რომ მე ყოველ ეამს და ყოველ წუთს ჯიბესთან მწყრალოდ ვარ. და აბა, ამ ჯიბის მწყრალობით ფეხსაც ვერ გადასდგამს კაცი“. იმავე გაჭირვებას უჩივის იგი მეორე წერილში „ჩემ ჯიბეში ნეტავი ჩამოგახებდა, რა ამბავია. რუსეთელ თავ-

ვებს ისეთი ჯირითი გააქვთ, რომ მეტი არ შეიძლება. ღმერთმა მანეთებს წამოაპკრავენ ფეხს, შენ ნუ მოუკვდე ჩემს თავს.

ანალოგიურ საჩივართან გვაქვს საქმე აკაკის წერილებშიც. მისი ცხოვრების გასაცნობად ამ დროს, საჭიროა გადავიკითხოთ ერთი ბარათი, პეტერბურგიდან გამოგზავნილი დედის სახელზე. ბარათი დაწერილია 1859 წლის 31 დეკემბერს, სწორედ ახალწლის წინა დღეს:

„უსაყვარლესო ბატონო
დედა!

დღესასწაულის მოლოცვით ხელებს გიანბორებთ და თქვენს მშვიდობას ღმერთსა ვსთხოვ. დიდათ გამადლობთ, ასი მანეთი მომსვლია, ანუ უკეთ ვსთქუთ მოუვიდათ მოვალეებს. სწორედ გული დამწყდა, ნეტა ჯერ არ მოსულიყო, ხვალ ახალწელიწადია და მე ის ფულები სხუას მივეცი მე კი ერთი კაპეიკი აღარ მიძევს ჯიბეში, მაგრამ რა ვუყო. თუ კი სხუა არ მაწლებს, ჩემთვის რა საჭიროა ფულები. მართალია ვისაც ფული აქვს, ისინი იხალისებენ, მაგრამ ერთი და იგივეა, არაფერი გამოდის იქიდან და ტყუილი ხარჯი ჰქუის სისუსტე გახლავსთ. წიგნები მიგვიანდებაო, სწუხართ და რა ვქნათ, ხანდისხან მისთანა შემთხვევა გამოგვივლის, რომ ერთი გროში არ არის და რით გამოგვზავნოთ? და კიდევ ილიკოს ნაწერი არ იყო, ყოველთვის ერთად როგორ შეგვიძლია მოწერა, თვეში ერთხელ ძლივს ვნახავთ ხოლმე, შორს კი არ არის, რკინის გზით ნახევარი საათის სავალია, მაგრამ მისვლა მოსვლა ხუთი მანეთი გვიჯდება. ეხლა კი გადმოყავსთყე სანათლილებოთ. ილიკოს ეგება მალაც მოუხდეს მალე მოსვლა; მაგრამ მე მიტრამ მიხარია, რომ თათრის კანკოები ივლიან ჩემთან და თათრულში ძალიან გავეჩვევი. ფრანციზულს ვსწავლობ ჩემით, წიგნებით. ზაქარიას წიგნი არ მომსვლია, რომ მოგეწერათ. ანნა, ან მატა რას გვიწყობა, წიგნს რომ არა გეწერენ. ორი იუნკერი მეძებდნენ თურმე დღეს, მასპინძელმა მითხრა და როგორც შეეიტყვე, ცვეტკოვის შეილები ყოფილან, ძალიან შეამება შათი ნახვა. ცვეტკოვი თურმე აქ არის და მე არ მინახავს, არ მქონია დრო. ილიკო აქ იყო დღეს და ერთი წუთი სადილათ ძლივს მოვატადე, ქაჯივით გადავარდა ისევე. მთის საქმე როგორ არის ჩემს შემდეგ რათ არ მოგეწერეთ. რომ აუტყდებით კაცს მადედგან, წიგნი გწერეთ გწერეთ ყველას, სვიმონს მარშლის შეილს, წიგნი მოგეწერე და საცინლათ ამიგლო, სულ თითებს ვიკვნეტ ეხლა, რათ შევირცხვინე თავი? თუმცა მაგისთანებს არ გავედევ, მაგრამ სწორეთ გული დამწყდა. რათ ვწერდი, თუ ვიფი არ ვიყავი. ბებია ბატონი და ბიძა ბატონი მომიკითხეთ.

რძალუა სალომეს და მამიდა ნინოს მეტი არავინ კადრულობდა ჩემ ნათესაობას, სანამღი მანდ ვიყავი. ეხლა რძალუამც ხელი ამძლო და დამრჩა აქაც ნათესავად ისევ მამიდა. მაგათ მეტმა ერთი წიგნი არავინ მომწერა, არც კი გავხსენებ ბივართ მაგრამ მე მაინც ვიცი, როგორ უნდა რძალუას სიყვარული და ვთხოვთ სალომეს განუტხადოთ ჩემ მაგიერ მოკითხვა.

სანდრო დამიკოცნეთ. ის კი კარგი არის, იმედი მაქვს. ჯერ მარტო წერეთელიც რა არის ან ერის-თავი და ორივე ერთად, რასკვირველია, რაში იქნება?

ხუმრობას გარდა დედა! მომწერე როგორ სწავლობს, ან ეგ და ან გრეგოლი. იმედი კი მაქვს, რომ კარგათ.

საქართველო
საქართველო

მონა შვილი აკაკი

1859-სა წელსა 31 დეკემბერს

აკაკის ამ წერილის შინაარსი რომ უფრო ნათელი იყოს, საჭიროდ მგეაჩნია ზოგიერთი იქ მოხსენებული პირის შესახებ აქვე მივცეთ მოკლე განმარტება. ანნა და მატა, როგორც მკითხველმა იცის, აკაკის დები არიან. ცვეტკოვი მღვდელი იყო ქართულ გრენადერთა პოლკისა, სადაც აკაკის უფროსი ძმა დავითი მსახურობდა ოფიცრად. მასა, და მის შვილებს როსტომის ოჯახთან, როგორც სჩანს, კარგი ნაცნობობა ჰქონიათ, აკაკიც ამიტომ სწერს ცვეტკოვის შვილებზე: „ძალიან მიამება მათი ნახვა“—ო. მთის საქმე როგორ არისო, — ეკითხება დედას აკაკი. მამამისს სხვიტორის მახლობლად კვერეთის მთის ნაწილი ეკუთვნოდა. ამ თავის მამულს იგი ნაწილ-ნაწილ ჰყიდდა და აგირავებდა, რომ შვილებისთვის სარჩენად ეგზავნა. ამიტომაც არის დაინტერესებული აკაკი მთის საქმით. დანარჩენი პირები, რომლებსაც პოეტი იხსენიებს წერილში, მისი მახლობელი ნათესავები არიან.

ეს წერილი ერთგვარი მიჯნაა აკაკის მიერ პეტერბურგში გატარებული პირველი წლისა. ეს წელი როგორც დავინახეთ უნაყოფოთ არ დაკარგულა მისთვის. როგორც სტუდენტი, იგი სიბეჯითეს იჩენს როგორც პოეტი—იგი ინტენსიურ შემოქმედებითს მუშაობას ეწევა.

თავი მეოთხეტი

1860 წელი ახალგაზრდა აკაკის ცხოვრებაში ღირსშესანიშნავი მოვლენებით აღიბეჭდა.

ჯერ კიდევ წლის დასაწყისში, „ციცკრის“ იანვრის ნომერში გამოქვეყნდა მისი ლექსი „საიდუმლო ბარათი“. ამ ლექსის შესახებ აკაკი შენიშნავდა ერთ ადგილას: „ეს ლექსია, რომელიც პირველად დაიბეჭდა ჩემი სახელით და გვარით. მანამდე კი უსახელოდ ვბეჭდავდი. ვერც ამ ლექსზე ვბეჭდავდი ჩემი ვინაობის გამოცხადებას, მაგრამ ჩემდა შეუტყობლად მოხდა. დაიბეჭდა „ციცკრის“ რედაქტორს და თავისთავად მოეწერა ჩემი სახელი და გვარი“.

ივანე კერესელიძეს ამის გამო საბოდიშო წერილი გაუგზავნია აკაკისათვის პეტერბურგში. „ჩემ თავგადასავალში“ აკაკი გვაცნობს ი. კერესელიძის წერილის შინაარსსაც. იმ ხანებში, — სწერს პოეტი, — ჩემგან პირადად უცნობ, „ციცკრის“ რედაქტორისაგან მივიღე შემდეგი წერილი:

„ძმო აკაკი წერეთელო! იმერლობას ნუ გამოიჩენ და ნუ გაფხუკიანდები, რომ შენი სამაგალითო ლექსი „საიდუმლო ბარათი“ დაბეჭდე და უშენოდ შენი სახელი და გვარი მოვაწერე და არა მარტო უმნიშვნელო ორი ასო. აი, რა იყო მიზეზი: „ჩვენი პლატონი¹⁾, ფილოსოფოსი, ასწავლის ბარათინსკის²⁾

¹⁾ პლანტონ იოსელიანზეა ლაპარაკი.

²⁾ მეფის ნაცვალთა კავკასიაში, თავად ვორონცოვის შემდეგ, 1856 — 62 წ. წ.

ქართულს, იმას უჩვენებია შენი ლექსი მისთვის და დიდად მოსწონებოდა; დამიბარა მე და, როდესაც გაიგო ჩემგან შენი ვინაობა, მიბრუნდა და მისი სახელი და გვარიც მოაწერეო. მეც რაღა გზა მქონდა?! მაინც რა არის ეგ იმერული სიფრთხილე, რომ შენს ლექსებს სახელს არ აწერ? ყველას ძალიან მოსწონს შენი ლექსები, განსაკუთრებით ქალებს. იმდერთან კიდევცა. აბა შენ იცი, თუ მომეშველები მალე-მალე. შენი ივანე“.

ასეთი შინაარსისა იყო „ციხისკრის“ რედაქტორის წერილი. „ამგვარ წერილს, — დასძენს აკაკი, — დღეს სულ სხვა გვარ გავიგებდნი, მაგრამ მაშინ კი დავიჯერე და დიდი გავლენაც იქონია ჩემზე, მით უფრო, რომ, პროფესორმა დ. ჩუბინაშვილმა¹⁾ რომ წაიკითხა ჩემი სახელი, რომელსაც მანამდის არ ვამხელდი, მიმიხმო სახლში და კვერი დაჰკრა კერესელიძის სიტყვებს“. როგორც ივანე კერესელიძის წერილმა, ისე ქართულ ენის პროფესორის დავით ჩუბინაშვილის ქებამ ძალიან აღადგროვანა ახალგაზრდა პოეტი. „ეს ყველაფერი მართალი იყო თუ არა, არ ვიცი, — შენიშნავდა იგი ივ. კერესელიძის წერილის შესახებ, — ეგებ რედაქტორმა, როგორც ყმაწვილის გულგასაკეთებლად, ისე მოაწერა, მაგრამ მე კი დავიჯერე და დიდათაც მეფონა, რომ ყურადღებასაც მამცევენ მეთქი“.

„საიდუმლო ბარათმა“ დიდი გამოხმაურება გამოიწვია ქართველ მკითხველ საზოგადოებაში. იმ ხანებშივე ამ ლექსის გამო აკაკიმ პეტერბურგში ორი სხვა წერილიც მიიღო. ერთი მათგანი ეკუთვნოდა ანჩისბატის დეკანოზს ეფრემს, რომელიც იმ დროს ცენზორის მოვალეობას ასრულებდა. აი რასა სწერდა, სხვათა შორის, ეს დეკანოზი ახალგაზრდა პოეტს: „გილოცავ მეშაირობას და თანვე გთხოვ, მამაშვილობას, ამისთანა ლექსებს მდაბიო ენით ნუ სწერ! დარბაისლური ენა ეკირება და შენ კი რაღაც სოფლიურ ენითა სწერ. და ეს მით უფრო საშიშია, რომ შენი ლექსი ყველას გულში ხვდება. გამოსვლისთანავე სასიძღვრო ლექსად გადაიქცა. განსაკუთრებით ქალები იმდერთან და ვაი თუ შავ შენ ვნას მიეჩვიონ და გადიგდონ გულიდან ძველი დარბაისლური ქართული.“

ამის შემდეგ აკაკიმ კიდევ მიიღო წერილი ერთი თავისი უცნობი მკითხველისაგან. წერილი ეკუთვნოდა ვინმე თავად ირაკლი ლორთქიფანიძეს. „ისიც მაქებდა და მთხოვდა ძველი ენითა სწერეო“, — შენიშნავს აკაკი, „ამ წერილებმა, ცოტა არ იყოს, გამაყოფინეს. ცხრამეტი წლის ახალგაზრდას სულსა და გულს მიტკობდა უფრო ის, რომ „ქალები იმდერთან“ და მეც გადავსწყვიტე, რომ თავი დავუდღვა მწერლობას, მაგრამ სახალხო ენით და არა დარბაისლურად ვსწერო.“²⁾

ასეთი რეზონანსი ჰქონდა აკაკის შესანიშნავ ლექსს „საიდუმლო ბარათს“, რომელიც მართლაც წარმოადგენს არა მარტო ქართული, არამედ მსოფლიო ლირიკული პოეზიის ერთს პატარა შედეგს.

¹⁾ დ. ჩუბინაშვილი (1814—1891)—პირველი ქართველი, რომელიც პროფესორად აირჩიეს პეტერბურგის უნივერსიტეტში. 1844 წლიდან ქართული ენის დოცენტად დამტკიცეს, 1859 წ.—პროფესორად. განაგებდა ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრას.

²⁾ აკაკი — „ჩემი ნაწერები“, პირე. წიგნი, 1912 წ. გვ. 64 — 65.



ოთხმოცი წელიწადია ამ ლექსს იმღერის საქართველოს ახალგაზრდობა, როგორც მიჯნურობის პირველ სიმღერას, იგი სუნთქავს მუცელს მძიმად, სიახლით, იმ მომხიბლავი სურნელებით, რომელიც ახლავს ყოველ ახალ გაზაფხულს, მწვანით მოსილ მდელოს, მინდვრის ყვავილებს. იგი საესეა გულწრფელობით, უდიდესი ლირიზმით, ინტიმობით, ამღერების უშუალოებით.

„საიდუმლო ბარათო!
გითხრეს „ექმენ მარადო
სიხარულის მიწიწივედ
და სევდისა ფარადო“.

მისთვის გადებ უბეში,
გალბობ ცრემლის გუბეში,
ამისრულო, რაც გითხრეს,
თუ ხარ ჩემი ნუგეში!

გერა მზედავ მდღმარეს,
ცრემლებს რომ ვღვრი მდღმარეს?
რად არ მტყუვი მის ამბავს,
ნუგეშს არ მცემ მწუხარეს?“

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ამ ლექსმა პირველი პოპულიარობა მოუპოვა საზოგადოებაში მის ახალგაზრდა ავტორს. ამავე დროს იგი პოლემიკური ხასიათის შენიშვნების ობიექტად გადაიქცა. ძველი არქაული სტილის, ეგრეთწოდებული დარბაისლური ენის მომხრენი ქართულ ლიტერატურაში კარგად მიხვდნენ იმ პრინციპულ სიახლეს, რომელსაც ეს ლექსი ატარებდა. იგი დაწერილი იყო მარტივ, ხალხურ კილოზე, იმ სალაპარაკო, ცოცხალ ენაზე, რომლითაც ხალხი საუბრობდა, რომელზედაც იქმნებოდნენ ხალხური პოეზიის ნიმუშები, რომელიც იხმარებოდა კერძო მიმოწერაში, მეურამ იღვენებოდა ოფიციალურ ლიტერატურიდან. ძველი თაობისა და ძველი მწიგნობრობის წარმომადგენლებმა, ამ შემთხვევაში ანჩისხატის დეკანოზისა და ვინმე თავადი ლორთქიფანიძის სახით, დაიწყეს „საიდუმლო ბარათის“ ენა, და სერიოზულად შეშფოთდნენ: „ვაი თუ მაგ შენ ენას მიეჩვიენ და გადივდონ ძველი დარბაისლური ქართული,“ — სწერდნენ ესენი ახალგაზრდა პოეტს და „მამაშვილურად“ ურჩევდნენ ძველის ენით წერას. ეს იყო პირველი შეშფოთება ძველი მწიგნობრებისა. პირველი მომასწავებელი ნიშანი იმ მწვევე ბრძოლის მოახლოებისა, რომელიც ჩქარა უნდა დაწყებულიყო მათსა და ახალ თაობას შორის. ერთი წლის შემდეგ ეს გადამწყვეტი ბრძოლა ძველ თაობას მართლაც აუტეხა ილია ჭავჭავაძემ და მასთან ერთად მთელმა პლეიადამ „თერგდალეულ“ ახალგაზრდობისამ. უკვე ამ პირველ ბრძოლებში თავის სხვა ამხანაგებთან ერთად აქტიური მონაწილეობა მიიღო აკაკიმაც.



ამ ხანებში მოხდა ერთი უაღრესად მნიშვნელოვანი ფაქტი ჩვენი ახალგაზრდა პოეტის ცხოვრებაში. ეს იყო მისი პირველი შეხვედრა უკრაინის დიდ მგოსან ტარას შევჩენკოსთან.

ტარას შევჩენკო სულ ორი წლის განთავისუფლებული იყო. ჩოგვებმა ტარასკის სიმაგრიდან, სადაც იგი იძულებით ასრულებდა ჯარისკაცებას, მშვიდად გააშვებინეს. განთავისუფლების შემდეგ მან მხოლოდ ერთხელ მოასწრო თავისი საყვარელი უკრაინის ნახვა, მაგრამ იქიდანაც განდევნილ იქნა უნდარაგების მიერ, ამასთან აკრძალული ჰქონდა უკან დაბრუნება. ცხოვრობდა მუდმივად პეტერბურგში, სადაც ახლა ურთიერთობა ჰქონდა რუსეთის იმ დროინდელ მოწინავე საზოგადოებასთან, კერძოდ ნ. ჩერნიშევსკისთან და რევოლუციონურ-დემოკრატიული ინტელიგენციის ცენტრთან, რომელიც შემოკრებილი იყო უფრო ახალ „სოვერემენიკის“ გარშემო.

ტ. შევჩენკო ხშირი სტუმარი იყო იმ დროს თავისი ძველი მეგობრის, რუსული ისტორიის პროფესორ ნ. კოსტომაროვისა, რომლის ოჯახში იგი პირველად გაეცნო ნ. ჩერნიშევსკის. ახალგაზრდა აკაკი ამ ხანებში უკვე დაახლოებით იცნობდა თავის პროფესორ ნ. კოსტომაროვს და დაიარებოდა ხოლმე მასთან ბინაზე.

სწორედ აქ მოხდა მისი შეხვედრაც დიდ უკრაინის კობზართან, შეხვედრა, რომელმაც წარუშლელი კვალი დასტოვა მის გულში და დიდი გავლენა იქონია მისი მსოფლმხედველობის საბოლოო გარკვევის, მისი პოლიტიკური შეხედულებების განმტკიცების და შემოქმედებითი განვითარების საქმეში.

ეს შეხვედრა შემდეგში არა ერთხელ გაუხსენებია აკაკის. მან სპეციალური წერილიც კი უძღვნა ამ შეხვედრის ისტორიას და გამოაქვეყნა იგი ტ. შევჩენკოს გარდაცვალების 50 წლისთავეზე, 1911 წ.

ახალგაზრდა ქართველი პოეტის შეხვედრა უკრაინის ხალხის ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის უდიდეს წარმომადგენელთან და გენიალურ პოეტთან უაღრესად დიდმნიშვნელოვან ისტორიულ ფაქტს წარმოადგენს ქართველი და უკრაინელი ხალხების კულტურულ-პოლიტიკურ ურთიერთობაში. ამიტომ ჩვენ გვინდა მთლიანად აღვადგინოთ ამ შეხვედრის ამბავი, ისე, როგორც ამას გადმოგვცემს თავის მოგონებაში ჩვენი პოეტი.

„ტარას გრიგოლის ძე შევჩენკო,—სწერს აკაკი,—მე ვნახე მხოლოდ ერთხელ ჩემს სიცოცხლეში,—რუსული ისტორიის პროფესორ ნიკოლოზ ივანეს ძე კოსტომაროვისას. უნდა ვაღვიარო, ჩემი პირველი შთაბეჭდილება მისთვის სასარგებლო არ იყო: ჩემს ქაბუჯურ ოცნებაში იგი შეხატებოდა ბუმბურაზად, რომელსაც თავს ედგა დიდების შარავანდედი. სინამდვილეში კი ჩემს წინ იდგა ჩვეულებრივი სათნო მოხუცი, უფრო ქანც-გამოლეული, ვიდრე იდეური მეტროპოლი.

მასპინძელმა შეამჩნია ჩემი დარცხვენა, გაისწორა სათვალე და დამიწყო შეკითხვები, რომლებზედაც მე არა ერთხელ შემხვედრია პასუხის გაცემა.

— თქვენ, ქართველები, მართლმადიდებელი ქრისტიანები ხართ? მკითხა მან მოულოდნელად.

— დიახ, რასაკვირველია! ვუპასუხე მე.

— რა დროიდან?

— როცა პირველ საუკუნეში პონტოსის ნაპირებს ეწვია ანდრია პირველწოდებული თავის თანამგზავრ სიმონ კანანელთან ერთად (რომელიც დამარხუ-



ლია ჩვენში, ადხაზეთში), მაშინ მოციქულმა ბევრი ქართველთაგანს მარაქცია ქრისტიანობაზე დასავლეთ საქართველოში. ხოლო მეოთხე საუკუნეში მისი საქართველომ აღიარა ქრისტიანობა, როგორც იმერეთსა ისე ამერეთში, — დასავლეთმა და აღმოსავლეთმა ნაწილმა საქართველოსამ ქრისტიანობა მოციქულთა სწორის წმინდა ნინოს ხელით მიიღო.

— ყოველივე ეს თქვენ ზეპირგადმოცემით იცით თუ არსებობს აგრეთვე წერილობითი ცნობებიც?

— რასაკვირველია, წერილობითი!..

— მაშასადამე, თქვენ დამწერლობაცა გაქვთ? — ჩაერია უცებ საუბარში შეჭენკო, — რომელ საუკუნეიდან?

— ზეპირ გადმოცემებში, თქმულებებსა და ზღაპრებში ჩვენ გვაქვს მითითება, რომ მისი დასაწყისი ეკუთვნის წინა-ქრისტიანულ პერიოდს, ხოლო უძველესი საბუთები კი ამის შესახებ მოგვეპოვება მე-5 საუკუნიდან. ჩვენს დრომდე შენახულან მანუსკრიპტები, გუჯარები და ისტორიული თხზულებანი.

— მეთორმეტე საუკუნეში, თამარ მეფის დროს, თქვენი ლიტერატურა სრულს აყვავებას განიცდიდა? იკითხა ისევე კოსტომაროვმა.

— წინათაც ჰყვავოდა, მაგრამ მაშინ გამოჩნდნენ სახელოვანი წინასწარმეტყველები, მოსე ხონელის მსგავსნი და მსოფლიო პოეტები: რუსთაველი, შავთელი, ჩახრუხა და სხვები.

— მაშ რატომ არაეინ არადერი არ იცის ყოველივე ამის შესახებ? — ჩაერია ისევე შეჭენკო.

— მაჰმადიანობასთან მარადეამული ომიანობის წყალობით ქართველები კარჩაკეტილ ცხოვრებას ეწეოდენ და იდეური მუშაობა მუდამ ფარულად მიმდინარეობდა.

— მაგრამ ეხლა ხომ უკვე ნახევარი საუკუნეა, რაც თქვენ დამშვიდდით რუსეთის ხელში? ჰო-და რის გამო არის, რომ თქვენ, თანამედროვე ქართველები, გაჩუმებულნი ხართ? ან იქნებ თქვენ უკვე აღარ გაინტერესებთ თქვენი წარსული?

— ამას ბევრი მიზეზები აქვს, მაგრამ... ნება მიბოძეთ, მათ შესახებ ვაჩუქმდე.

— აა... ვასაგებია... ვასაგებია...

— შე მაინც სულ იმაზე ვფიქრობ, — დაიწყო ისევე კოსტომაროვმა, — რომ ამ სამეფომ, ყოველი მხრით მაჰმადიანობით გარშემოზღუდულმა, როგორ მოახერხა, როგორც თავისი არსებობის, ისე თავისი მართლმადიდებლობის შენარჩუნება?..

— ქართველებმა, განასახიერეს რა თავისი ეროვნული მეობა სარწმუნოებაში, რამდენიმე საუკუნის მანძილზე აწარმოეს თავდაცვითი ბრძოლა, მოწამებრივი გამირობით მოიტანეს მართლმადიდებლობა მე-19 საუკუნემდე და ჩააბარეს იგი რუსეთის უძლიერეს საბრძანებელს წმინდა საბით და სამეფოსთან ერთად.

— როგორ, სამეფოსთან ერთად? — მკითხა შეჭენკომ.

— ქართველთა მეფემ, ხალხის სახელით, კონტრაქტი დასდო რუსებთან სუვერენობის შესახებ.

— არა, არა! მე მაინტერესებს რელიგიური მხარე. თქვენ სთქვენი, რომ მე-19 საუკუნემდე სარწმუნოება თქვენ მოიტანეთ წმინდა სახეზე, რა ჩვენსავე ეს?

— ყოველგვარი მწველებლობისა და ცრუმორწმუნოების გარეშე.

— რელიგია ცრუმორწმუნოების გარეშე? თქვენ არ გწამდათ უწმინდური ძალები და არ იბრძოდით მათ წინააღმდეგ?

— ვიბრძოდით, მაგრამ არა ისე, როგორც სხვა ქრისტიანულ სახელმწიფოებში, სადაც მივინვარებდა ინკვიზიცია და სადაც კუდიანობაში ბრალდებულებს ათასობით სწევადნენ. ჩვენ თავს ვიცავდით მხოლოდ პირველის დაწერით.

— შეიძლება ამის შესახებ სდუმან გადმოცემები?

— ყოველ შემთხვევაში, ამის შესახებ ჩვენ არაფერს გვეუბნებიან არც კანონმდებლობა, არც ისტორია.

— როგორ? თქვენ წერილობითი კანონებიც გქონდათ? და არა მხოლოდ ადამები?

— რასაკვირველია, გქონდა: მეფე ვიორგი ბრწყინვალესი, აღბულა ათაბაგის, ვახტანგ მეფისა და სხვ. და მათ მიხედვით სწუდებოდა საქმეები.

ამ ცნობამ ძალიან გააკვირვა შევჩენკო, ის უფრო ახლოს მომიჯდა, ლაპარაკის ხალისი მოემატა და დამიწყო გამოკითხვა ბევრი რამის შესახებ.

— რა ბევრი რამა აქვს საერთო ამ ხალხს ჩვენს ხალხთან! — შენიშნა მან. შევჩენკომ ამოიოხრა და დაიწყო ლაპარაკი უკრაინაზე, უნიაზე და სხვ. ლაპარაკობდა სვედიანი კილოთი, მაგრამ გამოცოცხლებული, და მე ველარ ცნობადი მასში წინანდელ მოხუცს.

ჩვენი საუბარი გაგრძელდა ლამის სამ საათამდე. ჩვენ გავშორდით როგორც მეგობრები და პირობა დავდევით, რომ უფრო ხშირად შევხვედროდით ერთმანეთს. მაგრამ, ვაი, რომ ჩემს ბედნიერებას აღარ ეღიბა განზორციელება: მე ტიფით გავხდი ავად და სამ თვეს ვიწეკი ლოგინში... მას შემდეგ მე აღარ მომცემია შემთხვევა მასთან შეხვედრისა.

მხოლოდ ეს პირველი და უკანასკნელი შეხვედრა დამრჩა ნათელ მოგონებად მთელი ჩემი სიცოცხლის მანძილზე. ვაღვიარებ, რომ მე პირველად მისი სიტყვებიდან ვაგვიე, თუ როგორ უნდა სამშობლოსა და საყუთარი ხალხის სიყვარული“.

ასეთია აკაკის მოგონება მისი პირველი შეხვედრის შესახებ ტ. შევჩენკოსთან. ცხადია, სასტიკი ცენზურის პირობებში მას არ შეეძლო დაწერილებით ვადმოეცა შინაარსი მთელი საუბრისა. იგი იძულებული იყო მხოლოდ ქარაგმულად ელაპარაკნა. მაგრამ ძნელი არ არის მიხვედრა, თუ რაზე უნდა ემუხაიფნა ტ. შევჩენკოს ასე დიდხანს ახალგაზრდა ქართველ პოეტთან და მგზნებარე პატრიოტთან, ადამიანთან, რომელიც მოსული იყო იმ შორეულ მხარიდან, რომელსაც უკრაინელმა მგოსანმა თავის „კავკასში“ მიუძღვნა უკვდავი სტრიქონები:

„მთების იქით მთები, შებურვილი ნისლით,
მუხარებით სავსე და მორწყული სისხლით...
ბველთაგანვე პრომეთოსს იქ არწივი სძიმენის,
გულს უკორტნის, მოთქრიალებს ნაკადული სისხლის“...

1) აკაკი წერეთელი — „ჩემი მოგონებანი შევჩენკოზე“ (რუსულად). გაზ. „ხეკავაზი“, 1911 წლ., 26 თებერვ., № 45.

ცხადია, თემა მათი ხანგრძლივი საუბარისა შეეხებოდა უმთავრესად იმ ხალხების პოლიტიკურ ვითარებას, რომლებსაც, ტ. შევჩენკოს სიტყვით, „ბევრი რამა ჰქონდათ საერთო“, ე. ი. უკრაინასა და საქართველოს, და აქვეყნებდა ახალგაზრდა თაობის საზოგადოებრივ მოვალეობას თავისი ხალხის სახელის დარგში აკაკი ამ დროს, როგორც სჩანს, საუცხოვოდ იცნობდა უკრაინის ხალხის სახელოვან მგოსნის შემოქმედებას. აკაკის პირად ბიბლიოთეკაში, რომელიც დაცულია მის სახლში, სოფ. სხვიტორში, დღემდე ინახება „კობზარის“ გაყვითლებული ტომი, გამოცემული 1860 წელს.

ორმოცდაათობმეტი წლის განმავლობაში, სიკვდილამდე, აკაკი არ იშორებდა ამ წიგნს და ინახავდა მას სხვა რუსი და ევროპელი კლასიკოსების წიგნებთან ერთად. „კობზარის“ ავტორი აკაკის მიაჩნდა უდიდეს პოეტად, რომელიც შთაგონებას აძლევდა თავის ხალხს სოციალური და ნაციონალური თავისუფლებისათვის შეუპოვარ ბრძოლაში. ახალგაზრდა აკაკის შემოქმედებითს განვითარებაზე უეჭველს გავლენას ახდენდნენ სამოციანი წლების დიდი რევოლუციურ-დემოკრატიული მოღვაწენი, რომლებთანაც ასე ახლოს იდგა ტ. შევჩენკო. 1859-60 წ. წლების მიჯნაზე დაწერილი, როგორც ვიცით, აკაკის „შამილის სიზმარი“, რომელიც თავისი განწყობილებითა და იდეური შინაარსით, სხვათა შორის, ძალიან ენათესავება ტ. შევჩენკოს სახელგანთქმულ პოემას „კავკასიას“.

მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე აკაკი უაღრესად დიდი პატივისმცემელი იყო ტ. შევჩენკოს პოეტური შემოქმედებისა და მისი საზოგადოებრივ ღვაწლისა უკრაინის ხალხის პოლიტიკური და კულტურული აღორძინების საქმეში. ეს თავისი ღრმა პატივისცემა აკაკიმ შემდეგში ბევრჯერ გამოხატა აშკარად და დემონსტრირებულად, ცარიზმის მოხელეებისა და ენდარმებისაგან მოურიდებლად, რითაც ბევრად შეუწყო ხელი ქართველ და უკრაინელ ხალხებს შორის კულტურული თანამშრომლობის გაღვივებასა და პოლიტიკურ დაახლოვებას. მაგრამ ამის შესახებ ჩვენ კიდევ გვექნება უფრო დაწერილებითი საუბარი თავის ადგილას. ახლა კი დავეუბრუნდეთ ისევ სტუდენტ აკაკის ცხოვრების აღწერას.

ხემათ ჩვენ ვახსენეთ აკაკის პირადი ბიბლიოთეკა, რომელიც მის ოთახშია დაცული, სოფელ სხვიტორში.

ეს ბიბლიოთეკა ერთგვარ საშუალებას გვაძლევს წარმოვდგინო ვიჭონიოთ იმის შესახებ, თუ რა წიგნებს, რა ხასიათის ლიტერატურას კითხულობდა აკაკი თავისი სტუდენტობის ხანაში. როგორც ირკვევა, ამ დროს, გარდა გულმოდგინე აკადემიური მეცადინეობისა, აკაკი ინტენსიურად მუშაობდა თავისი ცოდნისა და კულტურის ამოღებაზე; ფართო გონებრივ გათვითცნობიერებაზე გარეშე წიგნების საშუალებით.

თუ გადავსინჯავთ აკაკის ბიბლიოთეკაში იმ წიგნებს, რომლებიც მისი სტუდენტობის პერიოდში, ან იმაზე ადრე არიან გამოცემულნი, დავინახავთ, რომ ახალგაზრდა პოეტს იმ ხანებში ბევრი დრო და ენერჯია მოუწოდებია

როგორც რუსული და მსოფლიო მხატვრული მწერლობის შესასწავლად, ისე საზოგადოებრივ-პოლიტიკური ხასიათის ლიტერატურის შესათვისებლად.

აკაკის ბიბლიოთეკაში დაცულ თხზულებათა ავტორებიდნენ: დავით აღმაშენებელმა ზოგიერთებს. ესენი არიან: ბელინსკი, პისარევი, პისემსკი, ტრეტიაკოვსკი, მუშკინი, შეჩენკო, კოლცოვი, მარლინსკი, პლეშჩევი, მეი, ფეტი, მირზა ფატალი ახუნდოვი, ჰომეროსი, პლუტარხი, რასინი, მოლიერი, შექსპირი, ალ. დიუმა, ვ. ჰიუგო, ჰეინე, ბერნე, ევგ. სიუ, ფ. კუპერი, გუცკოვი და სხვ. არის ცალკეული გამოკვლევებიც. მაგალითად, პერვინსის „შექსპირი“, ცებრიკოვის „შელი“, პოლევოის „ნაპოლეონის ცხოვრება“ და სხვა. აქვე ვხვდებით კარლ ფოტის „ფიზიოლოგიურ წერილებს“, ვირხოვის, კლოდ ბერნარისა, მოლენოტის და სხვათა თხზულებებს.

თუ გავიხსენებთ იმასაც, რომ ქართველი სტუდენტობა იმ ხანებში მეტად დიდის ინტერესით კითხულობდა ფურნალ „სოფრემენიკის“ ნომრებს, სრული წარმოდგენა შეგვიძლია შევადგინოთ იმ მრავალფეროვანი ლიტერატურის შესახებ, რომლებსაც თავის სტუდენტობის ხანაში ითვისებდა და სწავლობდა ახალგაზრდა აკაკი.

მაგრამ, როგორც სჩანს, მართა უცხოეთისა და რუსული მწერლობის გაცნობით არ ამოიწურებოდა იმ დროს აკაკის ინტერესები. იგი დიდის გულმოდგინებით კითხულობდა ძველი ქართული კლასიკური მწერლობის ნიმუშებსაც. ბედნიერმა შემთხვევამ მას, ისე, როგორც ილია ჭავჭავაძეს და სხვა მაშინდელ მოწინავე ქართველ სტუდენტებს, საშუალება მისცათ უცხო ქვეყანაში უფრო მეტად გაეღრმავებინათ თავიანთი ცოდნა მშობლიური კულტურის დიდი მემკვიდრეობის დარგში. საქმე იმაშია, რომ ქართველმა სტუდენტებამ სწორედ იმ ხანებში საუცხოო საჩუქარი მიიღო: ეს იყო გარდაცვლილი სალომე ბატონიშვილის ბიბლიოთეკა, რომელიც პროფ. დავ. ჩუბინაშვილმა თავის ახალგაზრდა თანამემამულეებს გადასცა. მეტად საგულისხმოა ის ხელწერილი, რომელიც მიუციათ პროფესორისათვის ქართველ სტუდენტებს წიგნების ჩაბარების შესახებ. ეს ხელწერილი გვამცნობს, ერთის მხრივ, ბიბლიოთეკის შემადგენლობას, ხოლო მეორეს მხრივ — პერსონალურად გვისახელებს იმ დროს პეტერბურგში მყოფ ქართველ მოსწავლე ახალგაზრდობას.

„ქართველნი სტუდენტნი, — ვკითხულობთ ამ დოკუმენტში, — გაძლევთ თქვენ, უ. პროფესორს დავით ჩუბინოვს, ამა პირობის წერილსა, რომელ მივიღეთ თქვენგან, ნაჩუქარი განსვენებულის მეფის ასულის სალომესაგან, შემდგომნი ქართულნი წიგნები:

1) ქილილა და დამანა, 2) სამართალი ვახტანგისა, 3) საქართველოს ისტორია, ვახუშტისა, 4) ღრამატკია ანტონი კათალიკოზისა, 5) ღრამატკია გაიოზისა, 6) საქართველოს ცხოვრება, ვახტანგ ბატონიშვილისა, 7) რიტორიკა მიხიტარისა, 8) ცხენის კარაბადინი, 9) კატელორია ანტონი კათალიკოზისა, 10) ქართლის ცხოვრება, პაპუნა ორბელიანისა და სენია ჩხეიძისა, 11) ყარამანიანი, 12) განმარტება აპოკალიფსისა, 13) ვეფხისტყაოსანი, დაბეჭდილი ვახტანგ მეფისაგან, 14) სიბრძნე სიცოცხლის ზღაპარი, 15) სახარება, მხედრულად დაბეჭდილი, 16) გურამიანი, 17) ლექსიკონი, საბა ორბელიანისა, 18) ვახტანგ მეფის სრული სამართალი, 19) ასტრონომია, ვახტანგ მეფისაგან ნათარგმნი, 20) სპარსული სახარება, ქართული ასოებით დაწერილი, 21) ველიზარიანი, 22) ვახტანგ

მეფის ლექსები, 23) მოგზაურობა ტიმოთესი, 24) მარკ-ავრელიანი, 25) კოუსულ-ქართული ლექსიკონი, 26) საქრისტიანო სწავლა გაიოზისა, 27) მღვთვრება დიდის კონსტანტინე მეფისა და სხვადასხვა სიტყვები, 28) მარკ-ავრელიანის კვიდი ვასილისა, 29) მახმადიანთა სიტყვისგება, 30) შობის ვალობა, დაბეჭდილი, 31) საღღესასწაულო, 32) ჟამნი, 33) დავითნი, 34) საღმრთო ყურთხევა, 35) პარაკლიტონი, 36) ვარლამის სიტყვები, 37) საღმრთო მსახურება, 38) სამოციქულო.

და ეს შემოხსენებული წიგნები სასარგებლოდ ჩვენდა ბიბლიოთეკაში დარჩებიან დაუკარგავად, რაზედაც ხელს ვაწერთ:

დავით ბაქრაძე, ალექსანდრე აბხაზი, პავლე თუმანიშვილი, ნიკოლოზ ლოლობერიძე, ლუარსაბ მაღალაშვილი, ესტატე მაღალაშვილი, გრიგოლ მაღალაშვილი, მიხეილ ღამაზაშვილი, ნიკოლოზ ალექსიშვილი-მესხი, კონსტანტინე მეფისაშვილი, ივანე ისარლიშვილი, დავით ლოლობერიძე, მიხეილ ანდრონიკაშვილი, ილია ქავკავაძე, პეტრე ალხაზიშვილი, ნიკოლოზ ჯაბადარი, ბასილ სავანელი, ბასილ თუმანიშვილი, კირილე ლორთქიფანიძე, გრიგოლ ჯავახიშვილი, სიმონ აბაშიძე, ალოიზ მიზანდარი, აკაკი წერეთელი, მიხეილ ტერდავითოვი, ილიკო სერებრიაკოვი.“¹

ასეთ წიგნებს შეიცავდა სალომე ბატონიშვილის მიერ ქართველ სტუდენტებისათვის ნაანდერძევი ბიბლიოთეკა. ილია ქავკავაძის ბიოგრაფების ცნობით, იგი ძალიან ბევრ ქართულ წიგნს კითხულობდა პეტერბურგში. იგივე უნდა ითქვას აკაკის შესახებ. კონტა აფხაზი თავის მოგონებაში სწერს: „ჩვენ, სტუდენტები, ხშირად ვიკრიბებოდით... ვკითხულობდით ხშირად ქართულ წიგნებს.“²)

იმავე ხანებს ეკუთვნის აკაკის გაცნობა ჩერნიშევსკის სახელგანთქმულ ტრაქტატთან „Эстетические отношения искусства к действительности“, რომელმაც, თუ მხედველობაში მივიღებთ ჩვენი პოეტის თეორიულ შეხედულებებს ლიტერატურისა და ხელოვნების დანიშნულებაზე, აგრეთვე მის მთელ შემდგომ მხატვრულ შემოქმედებას, უდიდესი გავლენა იქონია მისი ესთეტიური პრინციპების ჩამოყალიბებასა და განმტკიცებაზე.

აკაკი მეტად დიდი ყურადღებით აღევნებდა თვალყურს მესამოცე წლების რევოლუციურ-დემოკრატიული ინტელიგენციის ლიტერატურულ მოღვაწეობას. „ჩემს თავგადასავალში“, იქ, სადაც პოეტი აგვიწერს სტუდენტობის ხანას, იგი ეხება აგრეთვე რაზნოჩინური ინტელიგენციის დავას ლიბერალურ და რეაქციულ თავადაზნაურობასთან თეორიულ-ლიტერატურული საკითხების ირგვლივ. და ჩვენ ვხედავთ, რომ ახალგაზრდა აკაკის იმთავითვე გარკვეული პოზიცია დაუკავებია ამ დავაში და მისი სიმპატიები სწორედ იმათ მხარზე ყოფილა,

¹) А. Цагарели—„Сведения о памяти. груз. письм.“, т. I вып. 3, стр. 186-187.

ეს უთარილო დოკუმენტი რომ უსათოდ 1860 წელს ეკუთვნის და არა გვიანდელ ხანას, სწამს იქიდან, რომ ზედ სხვა სტუდენტებთან ერთად ხელი არ უწერიათ არც ნიკოლაძეს, არც დავით აბდუშელიშვილს და არც გიორგი მესხს (სერგეის ძმას), რომლებიც 1861 წლის მაისში ჩაივლინნ პეტერბურგს უნივერსიტეტში შესასვლელად. ამავე დროს იგი არც 1859 წელს შეიძლება მივაკუთვნოთ, რადგან ხელის მომწერთა შორის არის კირილე ლორთქიფანიძე — ის მხოლოდ 1860 წელს ესტუმრა პირველად პეტერბურგს.

²) „ლიტერატ. შემკვიდრობა“, ტ. I, გვ. 564.

ვინც ლიტერატურის დანიშნულებას საზოგადოებრივი სარგებლობის თვალსაზრისით აფასებდა, ვინც ხელოვნების უწმინდეს ამოცანას მხოლოდ ქველურ სამსახურში, სოციალური სინამდვილის გარდაქმნაში ხედავდა. ესენი იყვნენ მწიგნობრები, რაზნოინური თაობის წარმომადგენლები, მესამოცე წლების რევოლუციონურ-დემოკრატიული ინტელიგენციის ბელადები, ჩერნიშევსკი და დობროლუბოვი.

აკაკი თავის „თავდასაყვალში“ ასახელებს მთელ რიგ პუბლიცისტებსა და მწერლებს, რომელთა ნაწარმოებსაც იგი ამ დროს, როგორც სჩანს, კარგად იცნობდა. ესენი არიან: ნ. ჩერნიშევსკი, პისარევი, ზაიცევი, ივ. ტურგენევი, ალ. ტოლსტოი.

ამგვარად, ჩვენ ვხედავთ, რომ ახალგაზრდა აკაკი თავის სტუდენტობისას მარტო აკადემიური მეცადინეობის ვიწრო ნაჟუჭში არ ყოფილა ჩაეკტილი. მას ფართო პოლიტიკური და ლიტერატურული ინტერესები ამოძრავებდა, იგი აქტიურად ადევნებდა თვალყურს როგორც რუსეთის პოლიტიკურ და სოციალურ ვითარებას, ისე იმ დიდ მოძრაობას, რომელიც იმ დროს აფორიაქებდა ევროპის დასავლეთსაც.

ასეთსავე ღრმა დაინტერესებას იჩენდა იგი რუსეთის თანადროული ლიტერატურული ცხოვრებისადმიც. აკაკი იმ დროს გულმოდგინედ ეცნობა აგრეთვე მშობლიურ და მსოფლიო კლასიკოსთა ნაწარმოებს, და მისი სტუდენტური ოთახის მყუდროებას, რუსთაველის შაირებთან ერთად, ზნორად არღვევენ რეჩიტატივით ნათქვამი ჰომეროსის უკვდავი ჰეგზამეტრები.



იმ გაზაფხულზე აკაკიმ მიიღო „ცისკარის“ მორიგი ნომერი, აპრილის წიგნი, სადაც დაბეჭდილი იყო მისი ლექსი „ამაო ძებნა“, ეს ლექსი ერთგვარ გამომხატურებას წარმოადგენს ილია ქავჭავაძის „აჩრდილისას“, რომელიც, როგორც სჩანს, აკაკის ხელნაწერშივე გააქნო ავტორმა. როგორც ვიცით, ილიას თავისი პოემის პირველი ვარიანტი დამთავრებული ჰქონდა ჯერ კიდევ 1859 წლის იანვარში. ამ ნაწარმოებით მან ძირითადში გამოხატა თავისი სოციალური და პოლიტიკური შეხედულებანი, თავისი რწმენა და ოცნება, ფიქრები და გრძნობები, რომლებიც უკანასკნელი წლების მანძილზე ჰქონდა მას გულით განცდილი და გონებაში გამოწვრთობილი. „აჩრდილიდან“ ილიამ მხოლოდ ერთი თავის დაბეჭდვა მოახერხა „ცისკარში“ (1859 წლის ოქტომბრის ნომერში), მხოლოდ იმ ნაწილისა, რომელიც ასე თუ ისე მისაღები იყო ცენზურისათვის. ეს იყო ლექსი, რომელიც იწყებოდა სტრიქონით: „ჩვენო არაგვო რა რიგ მიყვარხარ“ აკაკის „ამაო ძებნა“ რომ ერთგვარ რეზონანსს წარმოადგენს ილიას „აჩრდილისას“, ამას ადასტურებს, ჯერ ერთი, კირილე ლორთქიფანიძე, რომელიც თავის შენიშვნაში — „ცნობა კრებულ“ ჩონგურის „შესახებ“ სწერს: აკაკის ნაწარმოები „ქავჭავაძის არაგვის გამო არის დაწერილი“.¹) მეორეს მხრივ, აკაკის ლექსის ანალიზი გვარწმუნებს, რომ იგი სწორედ ილიას პოემით და კერძოდ „ცისკარში“ გამოქვეყნებული ნაწყვეტით არის შთაგონებული.

¹) იხ. სერ. გორგაძის მიერ შედგენილი „აკაკის ბიბლიოგრაფია“. საჭ. მუზეუმის პალეოგრაფ. განყოფილება. ზელნაწ. № 1466.

როგორც ვიცით, ილიას „აზრდილში“ ასახულია იმდროინდელი საქართველოს სოციალური და პოლიტიკური ვითარების მეტად მძიმე და უსიხარულო სურათი. „ჩემი ხალხი, აწ დავრდომილიო“—ამბობს ილია მისი „აზრდილში“—„როგორც ქართველი „საყუთარის მამულს, როგორც მტერი ჰგმობს“, იგი გულის ტკივილით აღნიშნავს, რომ აღარ არის „მამულისთვისა მტკიცე ერთობა“, რაც შეეხება ქართველი საზოგადოების ცხოვრებას, „ისე ფუჭია იგი ცხოვრება, უფერულია და ცარიელი“. ძველი გმირული სული დაკარგულა და დღევანდელი ქართველები „დაეანგებულ ბორკილზედ სცვლიან თავის მამულის თავისუფლებას“... „წამხდარა ყველა, ის ღონე და ის ძლიერება, მტერადა შექმნილა ახოვანი იგი ცხოვრება“.

ილია ეროვნულ დაბეჭავებასთან ერთად თავის პოემის პირველსავე ვარიანტში მკვეთრად გამოხატავდა ქართველი ხალხის მძიმე სოციალურ ჩაგვრას, მის მონურ მდგომარეობას მებატონის უღლის ქვეშ. მიუხედავად ასეთი უნდუგეშო სურათისა, პოემა, როგორც ვიცით, გამსჭვალულია ოპტიმისტური გრძნობით. ერთ თავში ილია სწერდა:

„ნუ შიშობ, ველო! შენს მშვენიერ ხალხს
წარუღუნ წელნი ძილის ეამისა,
ხალხი აღინთებს კიდევ თვის ვარსკვლავს,
სისხლი მამათა დაიხსნის შეილსა!
წარუღუნ ეს წელნი ძილის ეამისა
და გაბრწყინდება მზე მომავლისა!..“

პოემის იმ ნაწილებში, რომელიც დაიბეჭდა „ცისკარში“ განსაკუთრებულის სიმბაფრით არის მოცემული განცდა თანამედროვე საქართველოს დაცემისა. ახალგაზრდა პოეტი მიმართავს არაგვს, რომლის კიდებზედაც, მისი სიტყვით, ერთ დროს საქართველოს ძველი დიდება აყვავებულა:

„შენ ზვირთებ შორის ჩემი ქვეყნისა
გრძელი მოთხრობა დამარხულია,
და წმინდა სისხლი ქართველებისა
შენს კიდებზე გადასხმულია...
... გულზელ დაკრფილ, შენსა მღვრიე წყალს
რამდენჯერ ტანჯვით ვადევნებდი თვალს!
რას ეძებდი მე?.. ჩემ ქვეყნის წარსულს,
შენ წინ დაღუბულს ჩემ ძველსა მამულს,
და მარტო სისხლი ჩემს თვალს დაღაღულს
აძლედა ხოლმე გულსაკვდავ პასუხს!“

ასეთი იყო ეს ნაწილები ილიას პოემიდან. აკაკის „ამაო ძებნა“ წარმოადგენს ერთგვარ პოლემიკურ გამოხმაურებას ამ ლექსისას. ახალგაზრდა აკაკი თავის ნაწარმოებს იწყებს მისის ღამის პეიზაჟის აღწერით. ღამე თავდება და იწყება განთიადი. ცისკრის ვარსკვლავი უკვე კაშკაშებს, დილის ნიავმა დაპქროლა და მოპფინა ქვეყანას სურნელება.

„მამალთ ხმა-მალლა იწყეს ყვირილი,
მუშებს აუწყეს მით გათენება“.

თუ დავუკვირდებით ლექსის ამ დასაწყისს ნაწილს, ძნელი არ იქნება მიხედრა იმისა, რომ ამ მისის განთიადში პოეტი გვიხატავს ერთგვარ „პოლიტი-
10. „მნათობი“ № 4.

ყურ“ პეიზაჟს, ალევგორიულ სურათს თანადროული ეპოქის გამოღვივებულ საზოგადოებრივი ცხოვრებისას, რომელმაც ღრმა ძილისაგან გამომდინარე გამოიფინა და ნეტარებით მოელის დილის მზის ბრწყინვალე სხივებს. მაგრამ „ბუნების“ ამ გამოღვივების ეპოს ჩვენი პოეტი ამჩნევს საკვირველსა და თან სამწუხარო სურათს:

„მაგრამ რას ვხედავ! აჰა ქაბუჯი,
რომელიც შენ ყურს სულაც არ გიგდებს,
კენესის და ოხრავს, სტირს უზადრუკი
და წარსულს დროებს ოცნებით ეძებაჲ.
შთა-კლდით შეზღავის, ჩასძახის ჭვესკენელს,
წყალსა მიპყვიროს მსწრაფლ-მიმავალსა,
მაგრამ ვერ ჰპოებს ნეტვეის მცემელს
და უპრავდება წყლული საწყალსა!“

ვინ არის ეს მტირალი ქაბუჯი? ცხადია, აქ აკაკის ნაგულისხმევი ჰყავს „არდილის“ ახალგაზრდა ავტორი ილია, რომელსაც:

„შთანი და კლდენი სისხლს უჩვენებენ,
ჭვესკენელი საფლავს და ძვლებს გამშვართა,
რომელნიც ანდერძს მოგვაგონებენ
მსხვერპლად შეწირულთ ჩვენთ წინაპართა.

საზარელ, უბო ამა პასუხით
საბრალოს გულში სისხლი სდღღდება,
და მდინარესვე მტირალისა ხმით
წარსულის აშხავს ის ევედრება.

მაგრამ მდინარე აქაფებული
ქვე მიაქანებს ას-წლოვანთ ხეთა,
მალ-მალ ტალღით სცემს განრისხებული
და მსურს გაღვლეჯა კლდოვანთ კიდეთა,

რომ მსწრაფლ მორეცხოს მან სისხლი ძველი,
მის კიდებზედ გადათხეული,
მაგრამ კიდეთა შეუკრეს ხელი
და მის გამოა აღელვებული“...

არავის განრისხებულ და მსწრაფლ დინებაში აკაკის ასახული აქვს ახალი ცხოვრების აზვითება, ახალი საზოგადოებრივი ძალების გამოღვივება, რომელსაც სურს „მორეცხოს სისხლი ძველი“, და ფართო გზა მოაპოვოს ახალი ყოფისათვის, უკეთესი მომავლისათვის. მაშასადამე, აკაკის ღრმა რწმენით, მტირალი ქაბუჯის ცქერა უკან, სამუდამოდ დაკარგული, წარსული დროებისაკენ, და ოხერა-კენესა, სრულიად არ შეეფერება ახალი ეპოქის განთიადს, ახალი დროის ვითარებას, რომელიც ბობოქარი არაგვივით მრისხანედ ებთქება ნაპირებს და გზას იკვლევს მზიური მყოფადისაკენ. პირიქით, მისი ვალია თავისი აღმადრენა და მომავლის იმედები შეუწონოს ამ მშფოთვარე მდინარეს, რომელსაც ობიექტურმა პირობებმა — „კლდოვანმა კიდებმა“ შეუკრეს ხელი და თავისუფალი დენის საშუალებას არ აძლევენ.

ასეთი ხასიათის არის ახალგაზრდა აკაკის ლექსი „ამოა ძებნა“. ცხადია, იგი გამოხატავდა მოწინავე ქართველი სტუდენტობის, მოწინავე საქართველოს ოპ-



ტიმისტურ განწყობილებასა და იდეებს იმ ხანებში. იგი გამოხატავდა აგრეთვე თვით ილიას რწმენასა და იდეალებსაც, ვინაიდან საბოლოოდ ანუ პოემა „აჩრდილი“, თუ ერთის მხრივ, შემზარავი იერემიადა იყო საყვარელი სამშობლოს „მიფარებულ დიდებაზედ“, მეორეს მხრივ, იგი წარმოადგენდა ახალი საქართველოს სოციალური და ნაციონალური თავისუფლების მაუწყებელ პოეტურ დეკლარაციას, — აკი სწერდა კიდევ ილია თავისი „აჩრდილის“ პირველი ვარიანტის ეპოლოგში, „ქართველთაღმი“ მიმართვაში:

„და პნელ ლამეში — ჩვენ დამსნელს ვარსკვლავს
ჩვენ მამულზედა ვხედავდი შემდგარს“

იგივე აზრი მას უფრო მკვეთრად ჰქონდა გატარებული ამაზე ადრე დაწერილ „ქართელის დტდაში“:

„მის ნულარ ვსტირით, რაც დამარბულა,
რაც უწყალოს დროთ ხელით დანთქმულა,
მოვიკლათ წარსულ დროებზე დარდი...
ჩვენ უნდა ვსდითთ ვხლა სხვა ვარსკვლავს,
ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი,
ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს!“

ყოველ შემთხვევაში აკაკის „ამაო ძებნა“ მეტად საინტერესო და საგულისხმო პოეტურ დოკუმენტს წარმოადგენს მისი შემოქმედების დასახასიათებლად იმ პერიოდში.

ამასთანავე იგი გვიჩვენებს, რომ ილია და აკაკი ახალგაზრდობიდანვე გულმოდგინეთ ადევნებდნენ თვალყურს ურთიერთის შემოქმედებას.

ამას ადასტურებს თუნდ ის ფაქტიც, რომ ერთი დაუმთავრებელი კრიტიკული წერილის კონსპექტში, რომელიც 1862 წელს ეკუთვნის, ილიას აღნიშნული აქვს აკაკის ლექსები, დაბეჭდილი „ცისკრის“ 1859-60 წ. წ. ნომრებში: „პ. წ.“ და ზემოდგანხილული „ამაო ძებნა“. ორივე ლექსზე ილიას მოწერილი აქვს თავისი ლაკონიური შენიშვნა: „კარგია!“

აკაკის ეს პირველი ლექსი, მიძღვნილი ჰაბუკ ილიასადმი, რომელიც არაგვის შფოთიანი ტალღების ქუხილში ეძებდა საქართველოს წარსული ცხოვრების გამოძახილს, გამსჭვალული იყო გულწრფელი სიყვარულისა და პატივისცემის გრძნობით თავისი დიდი თანამებრძოლისადმი.

მაშინ აკაკი ვერ წარმოიდგენდა, რომ ამ გრძნობას ნახევარი საუკუნის შემდეგ შეერეოდა ცრემლი და მწარე ნალღელი. მაგრამ ეს მოხდა. ამ ნალღელით იყო მოწამლული უკანასკნელი ლექსი, რომელიც მოხუცმა აკაკიმ მიუძღვნა იმავე არაგვის ნაპირას, წიწამურის მტერიან შარავზაზე დაცემულ ილიას უსულო გვამს.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ბიოგრაფიული ნაბროშვილი

პანტელეიმონ ჩხიკვაძე

ჯერ კიდევ ახალგაზრდა, ოცდაჩვიდმეტი წლის ასაკში გარდაიცვალა ნიჭიერი მწერალი, საუკეთესო ბელეტრისტი პანტელეიმონ ჩხიკვაძე. ხანგრძლივმა და მძიმე ავადმყოფობამ უკანასკნელი წლების განმავლობაში იგი მოსტენა და დააუძლურა, მაგრამ, ამან მისი მგზნებარე შემოქმედებითი ფანტაზია ვერ შეასუსტა. იგი რაღაც ვაჟაკური სიმშვიდით, რაღაც სტოიკური სიმშნევით განაგრძობდა ნაყოფიერ ლიტერატურულ მუშაობას. მას დაუმთავრებელი ღარჩა ორი რომანი და ვინ იცის, კიდევ რამდენი შემოქმედებითი განზრახვა ჩაიტანა საფლავში ამ ადამიანმა, რომელმაც მთელი თავისი ხანმოკლე სპეტაკი სიცოცხლე მშობლიური ლიტერატურის აყვავების საქმეს შესწირა.

მისი გული სავეს იყო საბჭოთა ხალხისადმი, ჩვენი სამშობლოსადმი დიდი სიყვარულით. ეს იყო მძლავრი იმპულსი მისი შემოქმედებისა. ამ სიყვარულის სხივებით გულგამთბარი და გაძლიერებული მწერალი თავისი წიგნებით მოუთხრობდა მკითხველს ჩვენი ქვეყნის წარსულსა და აწყმოზე, ჩვენი ეპოქის ადამიანებზე, მოუთხრობდა წარმტაცად, დამაინტერესებლად, ამალეღვებლად. ამ წიგნებმა მისი სახელი სამუდამოდ გადაარჩინეს დავიწყებას.

მის სახელს კარგად იცნობს ფართო მკითხველთა წრე. მას კარგად იცნობს მთელი საქართველო. გატაცებით კითხულობდნენ მის წიგნებს და შემდეგშიაც ასევე დიდის ინტერესით წაიკითხავენ, რადგან ამ წიგნებში სჩანს ფხიზელი რეალისტის თვალით დანახული ცხოვრება, ამ წიგნებში აღბეჭდილია მხურვალე ადამიანური გრძნობები, რომელნიც მკითხველში ყოველთვის პპოვებენ გამოხმაურებას. მის რომანებსა და მოთხრობებში ცოცხალი ცხოვრების სუნთქვა ისმის, მის ნაწერში სჩანს არაჩვეულებრივად რთული და არაჩვეულებრივად სადა სიშართლე ცხოვრებისა, მის წიგნებში მუდამ სცემს და ფეთქავს მღიმაღე ჯანსაღი ცხოვრების მაჯა, თუმცა მწერლის გული ჩაიფერფლა და სამუდამოდ დადუმდა.

მისი ბიოგრაფია ჩვეულებრივი ბიოგრაფიაა ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდა ადამიანისა, რომელსაც მხოლოდ სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ მიეცა სწავლის, შემოქმედებითი მუშაობის ფართო და განუსაზღვრელი შესაძლებლობა. პანტელეიმონ ჩხიკვაძე დაიბადა 1903 წელს, 30 მაისს, ღარიბი გურული გლეხის ოჯახში. პირველდაწყებითი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ის სწავლობდა ჩოხატაურის გიმნაზიაში. 1922 წელს დაამთავრა საშუალო სასწავლებელი და თბილისში წამოვიდა. 1923 წელს ჩხიკვაძე შევიდა ბოლშევიკური პარტიის რიგებში. მუშაობდა რა თბილისში, ჩხიკვაძე იმავე დროს მკიდროდ იყო დაკავშირებული თავის მშობლიურ კუთხესთან — გურიასთან.

როცა 1924 წელს ქართველი ხალხის საზიზღარმა გამცემლებმა და მოღალატეებმა მენშევიკებმა აფისტოს ავანტიურა მოაწყეს, პანტელეიმონმა პ. ჭროს გურიაში იყო. ჩხიკვაძე იარაღით ხელში იდგა საბჭოთა ქვეყნის დამცველთა რიგებში და ებრძოდა მშრომელთა მოსისხლე მტრებს.

გურიიდან დაბრუნების შემდეგ ჩხიკვაძე პირველ ხანს მუშაობდა თბილისის საბჭოში ადმინისტრაციულ და არჩევითს თანამდებობაზე. ხოლო 1925 წელს პ. ჩხიკვაძემ დაიწყო თანამშრომლობა გაზეთ „კომუნისტა“ და ჟურნალ „მინიანი“¹, რომლებშიაც იგი ბეჭდავდა ნარკვევებსა და ლექსებს. 1929 წელს ჟურნალ პროლეტარულ მწერლობაში² დაიბეჭდა პ. ჩხიკვაძის პირველი სერიოზული მხატვრული ნამუშევარი, მოთხრობა „დაბადებიდან გათენებამდე“. ამ წლიდან იგი ჩადგა პროფესიულ მწერალთა რიგებში. იმავე დროს თავისი თეორიული და ლიტერატურული კვალიფიკაციის ასამაღლებლად ჩხიკვაძე შევიდა ასპირანტად მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ენისა და ლიტერატურის სექციასში.

1930 წლიდან ჟურნალებში და ცალკე წიგნებად იბეჭდება პ. ჩხიკვაძის შემდეგი მხატვრული ნაწარმოებები: „სართულები“ (1930 წ.), „ამხანაგი ბუთხუში“, „რომანტიული ამბავი“ (1931 წ.), „მინდრის კვირეული“ (1932 წ.), რომანი „ნაბიჯები“ (1933 წ.), ისტორიული რომანი „მურზაყან დაღეშქელიანი“ (1934 წ.). 1937 — 39 წლებში ჩხიკვაძე მუშაობს რომანზე „ახალი ხმელეთი“, რომლის თემა კოლხიდის მშენებლობა და რომლის პირველი ნაწილი უკვე გამოქვეყნდა 1939 წლის ჟურნალ „მნათობის“ პირველ ეჭვს ნომერში. ზემოთაჩნათვლილ ნაწარმოებებიდან ზოგიერთი თარგმნილი და გამოცემულია რუსულ, სომხურ, უკრაინულ და ოსურ ენებზე.

პ. ჩხიკვაძე მთელი რიგი წლების მანძილზე იყო საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის პრეზიდიუმისა და სამდიენოს წევრი და „მნათობის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი. საერთოდ, იგი აქტიურ მონაწილეობას იღებდა მწერალთა კავშირის საზოგადოებრივ და შემოქმედებითს ცხოვრებაში.

პ. ჩხიკვაძე ერთი იმათგანი იყო, ვინც ჰქმნის ახალ საბჭოთა ლიტერატურას და თავისი შემოქმედებითი შრომით ხელს უწყობს სოციალისტური რეალიზმის მწერლობის წარმატებას. თავისი სამწერლო მოღვაწეობის პირველ წლებიდანვე ჩხიკვაძის ყურადღების ცენტრში თანამედროვე ცხოვრების თემა იდგა. მის წიგნებში ხორცს ისხამდა სოციალური ცხოვრების ცოცხალი მასალა.

„სართულების“ ფურცლებზე მწერალმა გადაშალა სურათები ახალი, სოციალისტური ქალაქის ცხოვრებისა. აქ მან გვიჩვენა ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასის გმირული ენტუზიაზმი, გვიჩვენა პირველი სტალინური ხუთწლიდის ადამიანები, რომელნიც დაუღალავად ზრუნავენ ჩვენი ქვეყნის სოციალისტურ გარდაქმნაზე, იყენებენ რა შრომის ახალ ფორმებს — აშენებენ ახალ გიგანტებს, ჰქმნიან ახალ ცხოვრებას და შეუბრალებლად ებრძვიან და ანადგურებენ ყოველივე იმას, რაც ახალ ცხოვრებას წინ ეღობება და ხელს უშლის. „სართულებში“ პ. ჩხიკვაძემ ამხილა მშენებლობის ცალკეულ უბნებზე შეპარული მანებლების ბნელი საქმენი, გვიჩვენა მთელი ხალხის აღშფოთება ამ მანებლების წინააღმდეგ.

საერთოდ „სართულები“ თემატიური თვალსაზრისით საკმაოდ მარჯვე წინ-გადადგმული ნაბიჯი იყო. ის გზასა ჰკაფავდა ქართულ პროზაში ახალ

თემატიკისაკენ. ეს ნაწარმოები ერთგვარი ცდა იყო, რომელიც გარდა იმისა, რომ ნაწარმოების ცხოვრების სურათებს შეიცავდა, ეხებოდა, უკვე ამჟამინდელი ქოლოგიურ სამყაროს, გვიჩვენებდა იმ ახალ გრძნობებსაც, რომლებიც საბჭოთა ადამიანის გულში იფურჩქნებოდა.

„ამხანაგი ბუთბუზი“ სოციალისტური ქარხნის ცხოვრებას და შრომის ახალ კულტურას ეხებოდა. ამ მოთხრობაში ნაპოვნია და გარკვეული საზოგადოებრივი ცხოვრებისა და ინტიმიური ყოფის ურთიერთ შეხვედრის ურთიერთ შემოჭმელების მომენტები. მწერალმა სცადა მთლიანობაში დაენახა ქვეყანა. ამ ნაწარმოების მთავარი ღირსება ის არის, რომ მასში ავტორი ცდილობს ვადაშეწყვიტო ბრძოლა გამოცხადოს კაპიტალიზმის ნაშთებს ადამიანის შეგნებაში. მოთხრობაში ნაჩვენებია ახალგაზრდა მუშა, რომელიც თავისი ცოლის, ბურჟუაზიული რწმენით გამსჭვალული და ფუჭსავატი ქალის, ზეგავლენის ქვეშ ექცევა, გადაგვარების გზაზე დგება, გულს იცრუებს ქარხანაში მუშაობაზე. აქედან ცხადია, რომ ამხანაგები ჰგმობენ მას. შემდეგში, ამხანაგებისვე ზეგავლენით, ბუთბუზი გამოსწორების გზაზე დგება.

ამავე თემას — კაპიტალიზმის ნაშთების დაძლევის ადამიანის შეგნებაში — ერთხელ კიდევ დაუბრუნდა მწერალი თავის მოთხრობაში „ახალი ცხოვრებისაკენ“ (1936 წ.). ხსენებულ მოთხრობაში ასახულია ის საყოველთაო სახალხო სიხარული, ის უდიდესი შრომითი აღმავლობა და ენტლუზიზმი, რომელიც გამოიწვია ჩვენს ქვეყანაში სტალინური კონსტიტუციის მიღებამ.

განსაკუთრებით საყურადღებო და მნიშვნელოვანია ჩიკვაძის ვრცელი რომანი „ნაბიჯები“. ეს არის ისტორიული რომანი 1905 წლის რევოლუციის ქარიშხლიანი დღეების შესახებ. ჩვენს ლიტერატურაში ეს უჩვეულო თემა როდია, მაგრამ ჩიკვაძემ მინც შესძლო, ორიგინალობა შეენარჩუნებინა და ხალხის განთავისუფლებისათვის ბრძოლის დიდი ეპოპეის ცალკე ეპიზოდები საუცხოო მხატვრულ სახეებში ეჩვენებინა. „ნაბიჯების“ მთავარი გმირები რევოლუციის საქმის ბოლომდე ერთგული ადამიანები არიან. მხატვრული ლიტერატურა პირველ რიგში უნდა იცავდეს ისტორიულ სიმართლეს. ჩიკვაძის რომანიც სწორედ ამ მხრივ არის შესანიშნავი: ის კვალდაკვალ მისდევს ისტორიის კანონზომიერ ვითარებას და რეალისტური სისრულით ხატავს პირველი რევოლუციით გაღვიძებულ საქართველოს.

„ნაბიჯებში“ მოვლენები და ადამიანები ნაჩვენებია არიან განვითარების პროცესში. აქ ზელშესახებად ვგრძნობთ, როგორ ფართოვდება რევოლუცია, როგორ იზრდებიან რევოლუციის მებრძოლები. რომანში აღებული თემა ფრიად რთულია, ამიტომ ახასიათებს ამ ნაწარმოებს ფართო სუფეტი და ტიპების მრავალფეროვანი გაღერვა. მწერალმა რომანში გვიჩვენა ხასიათების ევოლუცია, რომელიც ორგანიული, ბუნებრივი კავშირით მჭიდროდ დაუკავშირა საზოგადოებრივ გარემოს აღწერას. რომანში თითქმის ყველა სოციალური წრისა და ყველა კლასის წარმომადგენლები არიან გამოყვანილი. პირველ რიგში რომანში ჩვენს ყურადღებას იქცევენ ადამიანები მუშათა კლასიდან და მშრომელი გლეხობიდან. როცა მწერალი ბეგლარ ძიგუსას ან დათიკო შევარდნაძეს გვიხატავს, რომ ცოცხლად ვგრძნობთ იმ რევოლუციური ენტლუზიზმის, იმ გატაცების ძალას, რომელიც აღვიძებს აზრს, იძლევა პერსპექტივას და სძლევს ყოველგვარ დაბრკოლებას.

პირველი რევოლუციის პერიოდში მშრომელმა გლეხობამ თავისი საუკეთესო შეილები დარაზმა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ გამართულ ბრძოლაში. სოფელმა მებრძოლებად წამოაყენა გამჭირები გონების უმცირესობის მოყვარული, ამაყი სულის ადამიანები. მებრძოლის ეს გაუტეხელი ბუნება გვიჩვენა ჩვენმა მწერალმა თავისი რომანის მთავარი გმირის ბეგლარის სახით. ეს არის წარბშეუხრელი ვაჟაკი, მტკიცედ შეიარაღებული იდეურად და დაჯილდოვებული ყველა იმ საუკეთესო თვისებით, იმ სულიერი კეთილშობილებით, რომელსაც ჩვენი ხალხი საუკუნეების განმავლობაში პატივსაცემდა და ყველაზე მეტად აფასებდა. ბეგლარის სრული წინააღმდეგობაა მისივე უმცროსი ძმა—ძიკი. თუ ბეგლარის მოქალაქეობრივი ღირსება და მორალური სამყარო წმინდაა და მაღალი, სამაგიეროდ ძიკისათვის დამახასიათებელია უიდეოება, დაბნეულობა, მტაცებლური ანგარება, შური სხვა ადამიანთა მიმართ, თვალთმაქცობა, გულგრილობა მახლობელთა ტანჯვისა და გაპირვებისადმი. უმცროსი ძმა სულ-მდაბალია და მოღალატე. ამ ნიადაგზე რომანში გადაშლილია მძაფრი კონფლიქტი ძმებს შორის და ეს კონფლიქტი ტრაგიკულ სიმაღლემდე აყვანილი. ძმები პირველად ერთად გაექცნენ სოციალურ უსამართლობას, მათ ტყვეს შეაფარეს თავი, მაგრამ უმცროსი ძმა ჩქარა ექცევა მტრების ზეგავლენის ქვეშ და დაღატობს ბეგლარს. დაძაბულად აქვს მწერალს გადმოცემული ის მომენტი, როცა ძმები ერთმანეთს შორდებიან. ბეგლარს აღარ შეუძლიან გაჩერება ადამიანთან, რომელიც პირადულს საზოგადოებრივზე მაღლა აყენებს, რომელიც მეზობლის ჭონების დასაკუთრებაზე და თვითმპყრობელობის სამსახურში წარჩინებაზე ოცნებობს.

ავტორი გვიჩვენებს, როგორ ფართოდ ვრცელდებოდა რევოლუციური მოძრაობის იდეა ხალხის შგნებაში. მშრომელები ნათლად ხედავდნენ, რომ ქვეყნის ბუნების სიუხვეს, წილსა და ტყვეს დაპატრონებოდნენ მტაცებელი გაბატონებული კლასები, რომელნიც თავიანთ სიმდიდრეს ხალხის ექსპლოატაციისა და აშკარა ძარცვის გზით იძენდნენ.

აი ერთი ადგილი რომანიდან: საუბრობენ ინგლისელი კაპიტალისტების მიერ ტყის დასამუშავებლად დაქირავებული მეგრელები და გურულები;

„ივსება სანაპიროები ჭათქათი ხის მორებით. მუშები ნატვრის თვალით შესცქერიან უზარმაზარ ქორთუხებს.

— ჩვენი ქვეყნის სიმდიდრე ჩვენ ვერ მოგვიხმარია და ვილაც ინგლისელი უნდა დააძღეს ზურგზე.

— მეტს არ ვინატრებდი და ასეთი ნაძვი რომ მქონოდა ათი-თორმეტი ძირი, სიღარიბიდან გამოკვრებოდი. საყავრე ნაძვია, ხომ უყურებ, როგორი სწორი ძაფები აქვს, მონარშულივით იხდება.

— მე ორი ძირიც მეყოფოდა. ოდას გაეწყობდი, ერთ ბედელ ყავარსაც ვავხდიდი და ამ გაზაფხულზე სახარჯოთ ვიკმარებდი.

— არა, ცხვირ წინ ამოდენა ტყე იყოს და წკნელის მოჭრის უფლება არა გქონდეს, ეს არის სამართალი?

— ნუ სწუხარ, იავგორ, ჩქარა ეს ტყეები სულ სახალხო გახდება“...

ეს იმედის ნაპერწკალი უკეთეს მომავალზე ნელნელა ღვივდება მშრომელთა გულში. ამასთან ერთად, რაც უფრო ძლიერდებიან რევოლუციური ორგანიზაციები, მით უფრო მაღლდება ხალხის თვითშეგნება. ლომისკარელის ხა-

ტის დაკარგვის ეპიზოდზე ავტორი საუცხოოდ გვიჩვენებს, რაფორ განმტკიცდა გლახობაში ის რწმენა, რომ სარწმუნოება თავიდან ბოლომდე სიყვალბეა და იარაღია გაბატონებული კლასების ხელში უუფლებოთა და ექსპლოატირებულთა დასაჩაგრავად.

ბეგლარსა და მის თანამებრძოლებს თავიანთი დაუღალავე მუშაობით უფრო ნათელ გზაზე გამოჰყავთ ხალხი და აჩვენებენ მას, რომ ხსნის ერთად-ერთი გზა ბრძოლაა. ცხრაას ხუთი წლის ეს დიდი ბრძოლა უკვე დაწყებული იყო. ჩხიკვაძის რომანში ამ ბრძოლის არა ერთი ეფექტიური სურათია გადაშლილი.

ბეგლარის შემდეგ რევოლუციის მებრძოლთა შორის რომანში ყველაზე უფრო კოლორიტულ ფიგურად მოსჩანს შევარდნაძე. ეს არის რევოლუციის უშიშარი ჯარისკაცი, თამამი და გამბედავი. თითქოს ცოცხლად დგება ჩვენს თვალწინ რომანის ფურცლებიდან მისი ახოვანი ფიგურა, ჩვენ თითქოს გვესმის მისი მრგვინავი ხმა, რისხვის დამცემი მტრისათვის და ალერსიანი ყველა იმისთვის, ვისაც ტანჯავდა და აწამებდა ძველი ქვეყანა. შევარდნაძე ხალხური ეპოსის გოლიათია. ჩხიკვაძის რომანში არის ხალხურ ეპოსთან მონათესავე ჰეროიკული ტენდენცია. ამას თვით ცხოვრების სიმართლე მოითხოვდა. როცა შევარდნაძე შერვაშიძის სახლში ქეიფზე შედის, იარაღს აიხსნის და დიასახლისს ჩააბარებს, როცა ის დატყვევებულ გრომოვს ელდანაცემ გენერლებს წაარუდგენს და როცა ის ტყეში თავს ესხმის ყაზახთა რაზმებს — ამაში არის რაღაც მამაცთა სიგიჟე და თავგანწირულება.

აქ ჩვენს თვალწინ სდგება შთამომავალი ხალხური ეპოსის იმ გმირებისა, რომელნიც, დარწმუნებულნი თავიანთი თავის სიძლიერეში, არავითარი დაბრკოლების წინაშე არ ჩერდებოდნენ. შევარდნაძე პორტრეტია ცხრაასხუთი წლის რევოლუციის სახელოვანი პარტიზანისა. ის მარჯვე მსროლელია და იმავე დროს მტკიცე ერთგული ყველა ვაჟკაცური ტრადიციისა. „ასეთი ხალხი განლაგართ ვეროლები, — ამბობს ის. — სტუმართმოყვარენიც არიან, მაგრამ თავმოყვარეობაზე ფეხს თუ დაადგამთ, ვაჟკაცობასაც ადვილად დაგიმტკიცებენ.“ მწერალი შესანიშნავად იცნობდა ჩვენი ხალხის ყოფა-ცხოვრებას. მის სიამაყეს და სულიერ სიდიადეს ის მთელი სიღრმით გამოხატავდა. ეს საერთო ძლიერი სული ხალხისა სჩანს ამ რომანში. იგი თითქო თავს დასტრიალებს ყველა საუკეთესო გმირს და ამხნეებს, მძიმე წუთებში იმედს აძლევს, აძლევს ძალას გადაიტანოს ყოველგვარი განსაცდელი და მაინც ქედმოუხრელი დარჩეს. თვითონ შევარდნაძის ბუნებას საუცხოოდ ახასიათებს ერთი ეპიზოდი. ნახევრად სერიოზულად და ნახევრად ზუმრობით შევარდნაძე რევოლუციური წრის წევრთა შორის ჰყვება თავის გენეალოგიას, გაიხსენებს თავის პაპას შევარდნას, რომელიც გაუტყებელი კაცი იყო და ერისთავს არ ემორჩილებოდა, ღალას არ აძლედა, რის გამო ამ უკანასკნელს ახრბდა; და შევარდნაძე განაგრძობს:

— „ერთ მშვენიერ დღეს შევარდნა თურმე ქვეითად მოდის ნაგომრის ქალებში. გზაზე ცხენით მომავალი ერისთავი შეხვედრია. ერისთავს ყალიონი გაუწყვია, მაგრამ ცეცხლი არ ჰქონია და გაწყობილი ყალიონი ხელში შერჩენია. შევარდნა მოაბოლებს თურმე მოგრძო თხილავანის ტარით მორთულ ყალიონს და მგზავრულს მოლიდინებს.

— ყაზახო! ცეცხლი მომაწოდე! — შეუძახა თურმე ერისთავმა.

შევარდენას ყალიონი მიუწოდებია ერისთავისათვის, ვაჟკაცური სალაში მიუღია და ცოტა მოშორებით დამდგარა.

ერისთავს ყალიონი გაუჩაღებია, შევარდენას ყალიონი ტალახში გაბაღვლია, ცხენიზა მათრახი შემოუკრავს და ის იყო ცხენი გაფრენას აპირებდა თურმე, შევარდენამ იძრო ქამრიდან მოთელილი დამბაჩა და შესაზარი ხმით შეჰკივლა ერისთავს: „თუ ცოლშვილი არ მოგებზრებია, ძირს ჩამოგბი და ყალიონი ხელში მომაწოდე, შე პირუტყვეო, მამაძაღლო“. ერისთავს ცხენი შეუყენებია. შიშით კანკალი ავარდნია, ძირს ჩამომბტარა. ყალიონი ტალახიდან ამოუღია, აბრეშუმის აბალოხის კალთაზე გაუწმენდია და შევარდენასათვის გაუწოდებია, თანაც დაუტანებია: „მოთხარი, რა გვარიხარ, შენთვის აზნაურობა ალაღია, თუ დღემდი არა ხარ აზნაურიო“.

— აზნაური არა ვარ, მაგრამ თავად-აზნაურობის ზაფრა ვარო, — უპასუხა თურმე შევარდენამა“.

თავის წინაპართა კვალზე მიდის შევარდნაძეც. ეს არის საუცხოვოდ დახატული სახე გაუტეხელი, ჭედმოუხზრელი ქართველი ხალხისა, ამ ტიპის ასახვეით ჩხიკვაძემ გამოხატა ქართველი ხალხის ვაჟკაცური ბუნება, რომელიც საუკუნეების განმავლობაში მგზნებარე რომანტიული პათოსით იბრძოდა თავისუფლებისათვის.

„ნაბიჯებში“ ავტორმა გვიჩვენა მშვენიერი სახე აბლაგაზრდა რევოლუციონერი ქალისა, — ჩვენ ვგულისხმობთ ბეგლარის სატოფოს, ნათელას. ისიც ისევე ანთებულა და გატაცებული ბრძოლის წყურვილით, როგორც მისი თანამებრძოლნი. თქვენ გზიბლავთ მისი გამბედაობა და მისი ბუნების შინაგანი სიწმინდე. მას არ აშინებს რეაქციის გააფთრებული თარეში, საშინელი და ველური რეპრესიები. რევოლუციის ისტორიამ მრავლად შემოინახა ასეთი ქალის სახე. ისინი ვაჟკაცურად ედგნენ ქმრებს, ძმებსა და მამებს მხარში, მათთან ერთად იბრძოდნენ ბარიკადებზე და მათთან ერთად იმარჯვებდნენ ან იღუპებოდნენ ტყვეების წვიმასა და ქარიშხალში. ნათელა თავის ბედს თვითმპყრობლობის მიერ დევნილ კაცს უკავშირებს, ხალხისთვის ბრძოლა და ხალხის სიყვარული ისეა მის არსებაში გაერთიანებული, რომ აღარ იცის, სად იწყება ერთი და სად თავდება მეორე. მას შემდეგ, რაც შავრაზმელებმა გადასწყვეს გურია, ბეგლარი არაღეგალური რევოლუციური მუშაობისათვის სამეგრელოში მიდის. ბეგლარმა იცის, რომ მას მშვიდი ცხოვრება არ უწყურია, და მიუხედავად იმისა, რომ მას სიცოცხლეზე მეტად უყვარს ეს ქალი, მაინც ენანება ის, არ უნდა, რომ თავის მომავალი ზიფათიანი და განსაცდელით სავსე ცხოვრების თანამგზავრად აქციოს იგი. ბეგლარი ცდილობს დაარწმუნოს ნათელა, რომ ისინი იძულებული არიან დაშორდნენ ერთიმეორეს. ნათელას კი ამის გაგონებაც არ უნდა, მისი მისწრაფება მხოლოდ ისაა, მუდამ ბეგლართან იყოს, მის ქირი და ლხინი გაიზიაროს. ბოლოს ბეგლარიც თანახმაა, თან წაიყვანს ნათელას:

„— ვიცხოვრებთ, ნათელა, ფიჭვი ნუ გაქვს, ვიცხოვრებთ, — გამოაშვავა ბოლოს ბეგლარმა და მის გვერდით მჯდომ ნათელას მხრებზე ხელი დაჰკრა, — ვიცხოვრებთ, მაგრამ ცხოვრება რომ გაგვიძნელდეს, აღარ ინანო...“

— არაფერსაც არ ვინანებ. სადაც შენ, მეც იქა. ციხეში ჩავსვამენ და მეც იქ დავჯდები, გადავასახლებენ, თან წამოგყვები“.

ქალთა ტიპებიდან რომანში ერთი მთავარი ადგილი უჭირავს დედის სახეს. აქაც იგივე მტკიცე ხასიათია დაბატული. ეს არის გულმარცხი, მკვრივი, რომელიც მთელი არსებით თავისუფლებისათვის საბრძოლველად აჯანყებული ხალხის მხარეზეა. ის პრინციპულია და თანმიმდევარი. უსაზღვროა მისი სიყვარული შეილისადმი, მაგრამ როცა გაიგებს რომ მისმა უფროსმა შეილმა ბრძოლაში სიმბდალე გამოიჩინა, მეფის მოხელეებს შეურაცხა და ხალხის ინტერესებს უღალატა, მოხუცი დედა ამ შეილის სიყვარულს გულიდან ამოირეცხავს. ძიკი, როცა იგი ბეგლარს მოშორდება, სახლში ბრუნდება, მაგრამ დედა მას სახლიდან აძევებს. აღარ გიბილოს ჩემმა თვალებმა, — აღელვებული მიმართავს ის ძიკს. — დაჯარგე ქმარი, დაჯარგე საუკეთესო შეილი ბეგლარი! შენ რა შევქვად გიფიციბ — მნდალს, მშიშარას, მოღალატეს!

ძიკის თავზარი დაეცა. არ მოელოდა დედის გულის ასე გაქვავებას. მას ვერ წარმოედგინა, თუ მშობლის გული გავარდნილი შეილის შინ დაბრუნებას უსაზღვრო სიხარულით არ დაუხვდებოდა.

„ნაბიჯებში“ მკვეთრად და მკაფიოდ არიან ნაჩვენები გაბატონებული კლასების წარმომადგენლები. ესაა ხროვა მძარცველებისა, რომელთაც აუტანელ სილატაკემდე მიჰყავთ ხალხი. მათ თვალში ადამიანს ყოველგვარი ფასი აქვს დაკარგული, მათი სიმდიდრე და კეთილდღეობა დანაშაულზე, სისხლზე და ცრემლზეა აშენებული. მათი ჩიქვიდან აღსანიშნავია ინგლისელი მილიონერი ჯონ ელიოტი, რომელიც საქართველოში გადმოხვეწილა ახალ სიმდიდრეთა მოსახვეჭად და ხალხის გასაძარცვად. მას რწმუნებულად ჰყავს გაიძვერა ქიშვარდი შერვაშიძე, რომელსაც წმინდა ამ ქვეყნად არაფერი არ გააჩნია და რომელიც ყველას ატყუებს — ინგლისელ კაპიტალისტსაც და გურულ მუშებსაც. ამავე ბანაკს ეკუთვნიან ბოჭალის მურთაზ ჩიჩია, ოფიცერი ვრომოვი და სხვები, რომელნიც მკაფიოდ არიან გამოკვეთილნი ჩხიკვაძის რომანში.

ამ რომანში ჩხიკვაძემ გამოხატა პირველი რევოლუციის დროის სოციალურ-პოლიტიკური მლელეარება, გვიჩვენა როგორ მზადდებოდა პოლიტიკურად და ფსიქოლოგიურად ეს რევოლუცია, გვიჩვენა მასში მონაწილე ხალხის ფართო ფენები, მაგრამ გვიჩვენა ყოველივე ეს ისე, რომ ამ საერთო საზოგადოებრივი პროცესების ასახვის დროს რომანში არ დაჩრდილულან ცალკეულ ადამიანთა, რევოლუციის მებრძოლთა ინდივიდუალური სახეები. რეალობის მახვილად შეგრძნობა და ამ შეგრძნობის მძაფრად გამოთქმისა და გადმოცემის უნარი, რომლითაც უხვად იყო დაჯილდოვებული მწერალი, მთელი სისრულით სჩანს ამ რომანში. „ნაბიჯებს“ საპატიო ადგილი უჭირავს იმ ნაწარმოებთა ციკლში, რომელნიც ჩენი ხალხის რევოლუციური ბრძოლის ისტორიას ეხებოან.

რაღაც დაუძლეველი მისწრაფება ჰქონდა ჩხიკვაძეს გმირული, ძლიერი, ვაჟკაცური ადამიანებისადმი. მის შეგნებაში ღრმად ჰქონდა ფესვები გადმული გმირობისა და ვაჟკაცობის პოეზიას. სწორეთ ამ მისწრაფებამ დააწერინა მას ისტორიული რომანი „მურზაყან დადუშქელიანი“. გატაცებით ხატავს მწერალი ახოვან ვაჟკაცს, რომელიც მოსწყვეტია თავის მთებს და, როგორც არწივი ყაფაზაში, უხერხულად გრძნობს თავს ევრონცოვის, გაგარინისა და მათი მსგავსი მსხვილი მოხელეებისა და კარიერისტების წრეში. ამ რომანში მწერალმა ასახა მეტბრამეტე საუკუნის არისტოკრატია, ევრონცოვის მაკიაველური

პოლიტიკა, მეორეს მხრივ კი — მშრომელი გლეხობის ტანჯვით აღსაყენებელი ცხოვრება.

პ. ჩხიკვაძე, როგორც რეალისტი მწერალი, სწევდებოდა სოციალისტების სილომეს, მან იცოდა ძლიერი ვნებების, სულიერი ენტუზიაზმის მძაფრი გამოხატვა. იმავე დროს პანტელეიმონ ჩხიკვაძე ყოფის შესანიშნავი მხატვარი იყო. „ახალ ხმელეთში“ მან რეალისტური სიზუსტით გადმოგვცა გლეხიკაცის ყოფა, გვიჩვენა მეგრული ფაცხა თავისი განიერი შუაეცხლით, თავისი ბინადრებით, გვიჩვენა ძველი კოლხიდა თავისი სტიქიური უბედურებებით. მწერალმა ველარ მოასწრო რომანის მეორე ნაწილის დამთავრება და ახალი ხმელეთის დაბადების ჩვენება, მაგრამ ნაწარმოების გამოქვეყნებულ ნაწილში მაინც მოსჩანან ის შინაგანი და უძლეველი ძალები, რომელნიც მტკიცე არიან დარაზმული და თავიანთი დაუღალავი მუშაობით ახალ ქვეყანას ჰქმნიან.

„ახალი ხმელეთი“ ხელოვნების ჩინებული ნაწარმოებია სწორედ იმიტომ, რომ მასში სტქედს ადამიანისადმი სიყვარული. რომანში ასახულია სოფლის ცხოვრების ის პერიოდი, როცა საკოლმეურნეო მოძრაობა ახლად იწყებოდა, როცა ეს მოძრაობა პირველ, გაბედულ ნაბიჯებსა სდგამდა. რომანში ვგრძნობთ, თუ რა მახლობელი და მშობლიური სითბო იგრძნეს ლატაკმა გლეხებმა, როცა მათ პირველად გაიგონეს კოლმეურნეობის სახელი, როცა პირველად გაითვალისწინეს ის ნათელი და წარმტაცი პერსპექტივა, რომელსაც განახლებული ცხოვრება, ბედნიერი და საამური ყოფა მოჰქონდა. „ახალ ხმელეთში“ შეგრძნობილი და ასახულია ის ფსიქოლოგიური დღეილი, რომელმაც უმკვიდრესი და დაურღვეველი საფუძველი შეუმზადა საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვებას.

უბრძოლველად როდი გაიმარჯვა საკოლმეურნეო წყობილებამ. „ახალ ხმელეთში“ ნაჩვენებია ის კლასობრივი ბრძოლა, რომელიც უხდებოდა მშრომელ გლეხობას კულაკობის წინააღმდეგ. მწერალი რომანის პერსონაჟის უტუ ბურულაეას სახით გვიჩვენებს კულაკის დასრულებულ ტიპს. გვიჩვენებს მთელ ვერაგობას, ბნელ ინსტიტუტებს, კულაკის დამახასიათებელ ნიშნებს. ბურულაეას ფრთები შეუფეცეს, ის მაინც ცდილობს, რაც შეიძლება ფართოდ და შორს გაქიმოს თავის ბადე. ეს არის ეშმაკი, ცბიერი და ვერაგი მტერი, რომელმაც კარგად იცის, როდის არის საჭირო ფარისევლური ლაქუცი და როდის ტყვია. როცა ბრძოლა მწვავედება, ასპიტი უცებ აჩენს თავის ნამდვილ სახეს და იარაღით იწყებს ბრძოლას. პანტელეიმონ ჩხიკვაძე თავისი ნაწარმოებებით ჩვენს თვალწინ აცოცხლებს სოფლის ცხოვრების უკვე განვლილ პერიოდს, იმ პერიოდს, როცა განწირული ექსპლოატირული კლასის, კულაკობის წარმომადგენლებმა დაიწყეს მიწაში ჩამარბული მათხურებისა და შაშხანების ამოღება და წმენდა, რომ შებრძოლებოდნენ ახალი ცხოვრების მშენებლებს. მაგრამ მტრების ცდა ამაო იყო. მშრომელების სიმტკიცემ, ხალხის სიყვარულმა და ერთგულებამ ბოლშევიკური პარტიისადმი, ხალხის მისწრაფებამ საკოლმეურნეო ცხოვრებისაკენ თავისი გაიტანა — კულაკობა, როგორც კლასი, გაცამტვერებულ იქნა.

ამ დიდი სოციალური პროცესების ფონზე გვიხატავს მწერალი თავისი რომანის პერსონაჟებს. მათგან მთავარია ლარიბი მეშეშე იორდანე ლეჰინაეა. რომანის ამ ცენტრალური ფიგურის სახით მოცემულია ტიპი პატროსანი მშრო-

მელისა, რომელმაც რევოლუციური ნათლობა პირველი რევოლუციის პერიოდში მიიღო. ძველი ცხოვრების პირობებში, ლატაკმა კაცმა ათასგვარი ვაჭირებდა განიცადა. მისმა ოჯახმა თავის ზურგზე გადაიტანა ძველი კოლხიდის ყველა საშინელება. სიკვდილი და შიმშილი ხშირი სტუმრები იყვნენ იორდანეს ოჯახში, მაგრამ ის მაინც არ შეურიგდა ბედს, არ გატყდა, არ მოუხარა ქედი უბედურებას. ის ჩასტყვროდა მიწას და იმ მომავლის იმედით ცხოვრობდა, რომელიც ხალხის ბრძოლის შედეგად უნდა დამკვიდრებულიყო, ცხოვრობდა იმ მომავლის იმედით, როცა ეს მიწაც, ეს ტყეც და წიაღიც ხალხის კუთვნილებად იქცეოდა.

და აი მოხდა რევოლუცია, რომელმაც ხალხს დიდი ხნის ნანატრი თავისუფლება გაუთენა. იორდანეც თავისი გაუტეხელი ბუნებით ებმება ახალი ცხოვრების ფერხულში, თავს აღწევს კულაკური კაბალისაგან.

ჩიკვაძის რომანი ხსნის და თვალ წინ გვიშლის თანამედროვე საბჭოთა ადამიანის ხასიათს მის წარსულსა და აწმყოში. „ახალი ხმელეთის“ გმირები, ახალი ადამიანები ძველთან გააფთრებულ ბრძოლაში იბადებიან, იწრთობიან და ვაჟკაცდებიან.

მოთხრობა „სწორუბოვარში“ მწერალმა ასახა დიდი სტალინის რევოლუციური მოღვაწეობის ბათუმის პერიოდის შესანიშნავი ეპიზოდები. იქ მწერალი გვიჩვენებს, როგორ ზრდიდა და აწრთობდა ახალგაზრდა სტალინი მუშათა რიგებს, როგორ რაზმავდა მათ თვითმპყრობელობისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ საბრძოლველად.

პანტელეიმონ ჩიკვაძემ თავისი სამწერლო მოღვაწეობის განმავლობაში მტკიცედ შეითვისა თბრობის რეალისტური სტილი. ის სწერდა სადა, ნათელი, უპრეტენზიო ენით. დინჯად, როგორც დაკვირვებული მკვლევარი, იკვლევდა და სხნიდა მოვლენათა შინაგან ვითარებას. მას არ უყვარდა არც მოულოდნელი იაფფასიანი ეფექტები, არ იტაცებდნენ არც ეგზოტიკა, არც ყალბი ხმის აწევა. სწორედ ამ სისადავეში იყო მისი შემოქმედებითი ძლიერება.

უძროვოდ დადუმდა მისი ხმა ქართულ მწერლობაში. მისი ნაყოფიერი და გამრჯე კალამი არა ერთსა და ორს ამალღვლებელ ნაწარმოებს მისცემდა საბჭოთა მკითხველს, მაგრამ ისიც, რის დაწერაც პ. ჩიკვაძემ მოასწრო, საკმაოა იმისათვის, რომ მისი სახელი დაუფიქსარი დარჩეს ქართული საბჭოთა მწერლობის ისტორიაში.

კონსტანტინე ზიჰინაძე — ლექსები, პოემები.

თბილისი. შაჰარატი, 1939 წ. გვ. 132. ფასი ყველა 7 მან. 20 კაპ.

კონსტანტინე ზიჰინაძემ პოეტური მოღვაწეობა დაიწყო სოციალისტური რევოლუციის წინა პერიოდში, მაგრამ მისი შემოქმედებითი ინდივიდუალობისათვის დამახასიათებელი ლექსები და პოემები დაიწერა საბჭოთა ეპოქაში. ჩვენი რევოლუციის წლებში ჩამოყალიბდა იგი ახალი ქართული ლექსის ერთ-ერთი თვალსაჩინო ოსტატიად, რომელიც, გარდა ორიგინალური პოეტური შემოქმედებისა, აქტიურ და ნაყოფიერ მუშაობას ეწევა როგორც შოაფლო პოეზიის არა ერთი შედეგის მთარგმნელი ქართულ ენაზე, როგორც ქართული მწერლობის ესტორიის პირველხარისხოვანი პრობლემების მკვლევარი.

ახლახან „ფედერაციის“ მიერ გამოცემული წიგნი კონსტანტინე ზიჰინაძის რჩეული ლექსების და პოემებისათვის მთლიან წარმოდგენას გვაძლევს პოეტის შემოქმედებითი ცხოვრების ოცნლოვანი გზის შესახებ. საშუალება გვძლევს საესეხით გავიფიქროსწინათ პოეტის შემოქმედებითი თავისებურებანი: მისი, თემებისა და იდეების სამყარო, მისი მხატვრული აზროვნების, სინამდვილესთან შემოქმედებითი ურთიერთობის თვისება, მისი პოეტური ხატვის სტილი და მანერა.

პოეტი აღზრდილია ლექსის მოდერნისტულ კულტურაზე, იგი მამაფრად განიცდის ფორმას და გულმოდგინედ ამუშავებს პოეტური ქმნილების ყოველ დეტალს. მისი ყოველი ლექსი კომპოზიციურად დასრულებულია და შეიცავს მტკიცე შინაგან ლოგიურობას და მთლიანობას. მისი პოეტური მსოფლშეგრძნობა ერთგვარი „ფილოსოფიური სიმშვიდით“ ხასიათდება. პოეტს აქვს პრეტენზია — დაინახოს ყოველ მოვლენაში მისი ღრმად სპეციფიური, ორგანული ბუნება, მარადიული და კოსმიური მასშტაბებით. სტერეოტებს გარემოცვას და საგნებს ამუშავებს საკუთარი აზრობრივი განზოგადებით.

ბუნების სტაქია და ისტორიის სიღრმე წარმოადგენს კონსტანტინე ზიჰინაძის პოეტური შთაგონების უპირველეს სათავეებს. მის იტატებზე ბუნების გრანდიოზული მოვლენები, მისი ხელუხლებელი სიდიადე, ადამიანის მიერ დაუძლეველი ტიტანური ძალები, პირველყოფილი და შეუვალი მონუმენტალობა.

სარეცენზიო წიგნის პირველივე ლექსი — „კავკასიონი“ ამგვარი ასპექტით დახატული სურათით იხსნება:

„შტყუდებია ცას ტიტანიეთი
და გლუტერების გასარეულ ფარებს
უზარმაზარი მკერდის განივი
მედგრაღ ახვედრებს მზესა და ქარებს.
გაჯიუტებულ ჯშუბ სახეებით
იკლანებიან ღრუბლები ტანზე;
წვერწაგრესილი ნაძვის ხეები
გადატეხილი გაწვილიან განზე.“

(„კავკასიონი“)

ბუნების ასეთ მონუმენტალურ მოვლენათა წიაღში პოეტი შედის თითქოს განტიერთული ქვეყნიურ, ადამიანურ, სოციალურ განცდებისა, გრძობებისა და იდეებისაგან. იგი თავდავიწყებულად არის გატაცებული ამ პირველყოფილი უშუალოებით და შთაგონებულად ხატავს მძაფრი საღებავებით შეზავებულ პანტივისტურ სურათებს:

„თითქოს წამდგარა საქიდაოდ ჭედის წინ ქედო,
ჩრდილში მიძვრება ძირს რიონი, როგორც დრაკონი.

კლდეზე სხივები კანკალებენ, — და ბარაკონი
 თუთრად ქათქათებს, ვით ჯეჯილში ჩამჯდარი გედი*.

(„ბარაკონი“).

ქვეყნის
 მწიგნობართა
 კავშირი

ყველაზე დამახასიათებელი ამ მხრივ არის კ. ჭიჭინაძის პოემა „რიონის აპოლოგია“. იგი დიდი პოეტური ძალის მხატვრული ნაწარმოებია, სადაც ყველაზე მკაფიოდ გამოვლინებულია ავტორის შემოქმედებითი ბუნების მთელი სიტყვიერება. ღრმა ექსპრესიით აღწერს პოეტი მდინარის ადიდებული მოვარდნის, უცნაური გაავდრების პირქუში სტიქიის სურათს:

„დაბლა მოიწევს ცა მექარით და დაფეთებით;
 მძლავრი გუგუნით ახმურდენ ტრატები მუხის;
 ძირს დაცემის დროს ფრთებსა შლიან წვიმის წვეთები,
 როგორც ურცხვი წიწილები გიგანტურ კრუხის.
 დაფარაყრილი ღელეები ჩადგენ კვალებში,
 მაგრამ ასცილდენ კალაპოტებს და, ვით ლომები,
 სამედისწერო გაქანებით და ნახტომებით,
 თავბრუდასხმული გადაშვეენ ბნელ ნაპრალებში“.

(„რიონის აპოლოგია“)

ამ პოეტური სახეები, მეტაფორები, ლექსიკური მასალა, თვით რიტმიული ჭოვილი ერთს მოლიანობაშია მოქცეული და თვალწინ გვესახება ღრმა დინამიკით აღბეჭდილი პანორამა ბუნების ძალთა აჯანყებისა. მაგრამ პოეტის შიერ დიდის სიმამართი და სიციხველით დაბატული ბუნების სურათები თითქმის არასოდეს არ უკავშირდებიან იდამიანურ განწყობილებებს, რაიმე სოციალურ განცდებს და იდეებს. ამიტომ ისინი განუყენებულს, თავისთავადს, ესთეტიკურ ღირებულებებს თუ შეიცავენ მხოლოდ, რომლებიც მოკლებულნი არიან რაიმე საზოგადოებრივ აქტუალობას. ასეთი სურათები შეიძლება გვანცვიფრებდნენ და გვაწმენებდნენ პოეტის შემოქმედებითს პოეტინკაში, მაგრამ ნაკლებად გვაღელვებენ და გვაღიქრებენ. მათი ემოციური ზემოქმედების ძალა მხოლოდ ლექსის ოსტატობრივი ხარისხით განისაზღვრება.

თუ ბუნების სურათების ხატვისას პოეტი ერთგვარად განუყენებელია ადამიანურ, სოციალურ იდეებისა და პრობლემებისაგან, ისტორიულ თემებზე შემოქმედებითს მუშაობისას იგი უმრავლეს შემთხვევაში გვაძლევს არა თანამედროვე ადამიანის დამოკიდებულებას წარსულისადმი, არამედ წარსულის წიაღში რაღაც მარადიულის, ლოვეურის, უცვლელისა და გარდაუვალის ძიებას.

თვით პოეტის ისტორიული თვალთახედვა შეიძლება დახასიათდეს იმ სიტყვებით, რომლებითაც იგი ვაჟაძის წყაროს მიმართავს:

„უშურ დაბინდულ თვალთა კრიალით
 საუკუნეთა უჩინარ ხაყვებს
 და გეზმანება სინესტით სახვ
 ღარსის ზეობა და დარიალი.
 მოგონებათა აკლდამა ცივი,
 ცივი ოცნება და ერუანტელი...
 საღლაც კანკალებს კიდევ კანდელი
 და სამაჯურზე ციმციმებს მძივი.“

კრებულის ერთ-ერთ საუკეთესო ლექსში — „თმოგვის ციხე“ პოეტი ადიდებს თავის ჭკვიანს სახელოვან გმირულ წარსულს და თმოგვის დიდებულ ნაგებობაში თავისი მშობელი ხალხის გაუტეხელი მებრძოლი ნებისყოფის განსახიერებას ხედავს:

„ახე იდექი, ბრგე ციხადელი
 გამბედაობის და სიჭველისა;
 მტერს არ დაუთმე კუთხე ნათელი,
 მხარე მშობელი რუსთაველისა.
 ზვერი კი იყო მომდგარი მტერი,
 გადმოხვეწილი ბნელი ბრბოებით
 იღებებოდა შეწამულ ფერით
 შერი კედლების ციციბოებით.“

(„თმოგვის ციხე“)



თავისი ხალხის შორეული წარსულის ღრმა განცდის და ამ წარსულთან არგანიული ნათესაობის გრძნობას გამოხატავს პოეტი ლექსში „პრინსტორია“. აქ ყველაზე მეტად არის გამოვლინებული პოეტის კონცეპტია წარსულის მიმართ: მარადიურობა, მარადიურობის ხილვა შორეულ ეპოქათა წიაღში, თითქოს პოეტი თვითონ სცხოვრობდა პრინსტორიულ წინაპრებთან ერთად:

„ვიგონებ ამბავს, დაფიწყების კართან მიწურვილს:
მეც იქ ვიყავი თმბგავისლი გრიგალის ნაცრით—
მე სიზმარიეთი მაგონდება უდაბნო მკაცრი,
ჩემი აქლემი, ჩემი ცხვრები და ღრმა მიწური“.

და პოეტს სჯერა, რომ იმ ძაღლის ყფა, რომელიც მას ოთხბათისის წლის წინად ჰყოლია, ახლაც კიდევ „მარადისობის უფსკრულებში მიეჭანება“. ეს „მარადისობის უფსკრულებში“ წარმოადგენს კ. კიკინაძის თვალთახედვის საფუძველს ისტორიული თემების პოეტურ დამუშავებისას.

კონსტანტინე კიკინაძის შემოქმედებითი თვალთახედვა ხშირად მოკლებულია დროის და სივრცის ლოკალს. მრავალი მისი ლექსი და პოემა არ არის აღბეჭდილი ჩვენი დროის ადამიანების განცდებით და იდეებით. მაგალითად, მისი პოემა „მოგზაურობა ანთებით“, მისი ლექსები „მთა“, „ორბი“, „მერცხლები“ და სხვ. თარიღების მიუწერლად ძნელი გამოსაცნობია, თუ რომელ ეპოქაში და რა სულიერ გარემოებაში იწერებოდნენ ისინი ასეთი განყენებულობა ჩვენი დროის მულეგარე პრობლემატუკასთან, ჩვენი დიდი სინამდვილის კონკრეტულ მოვლენებისაგან წარმოადგენს კონსტანტინე კიკინაძის შემოქმედებითი პოზიციის მთავარს ნაკლსა და სისუსტეს.

რა თქმა უნდა, ეს აბსოლუტურად როდი შეეხება მის ყოველ ლექსს. მაგალითად, მისი ლექსის „კავკასიონის“ უკანასკნელ სტრიქონებში გვესმის დიდი სტალინისადმი მიძღვნილი პიში. მისი ერთ-ერთი შესანიშნავი ლექსი „ილიასადმი“ მთავრდება ჩვენი სოციალისტური დღევანდულობის წრფედი აპოლოგიით.

„გაასყეცხულ ძაღლონეს იყრებს
ახლა მღვიმარი შენი მამული.
ნეტავ იცოდე — შენსა და მის მტრებს
რა ბედი ეგვოთ, რა წიწამური!“
(„ილიასადმი“)

თავისი პოემის „შუა აზიის“ ფინალში პოეტი გვაძლევს ხალხთა გენიალური ბელადის, დიდი სტალინის მონუმენტალურ პოეტურ სახეს, ხოლო ლექსში „თმოგვის ციხე“ პოეტი ჩვენი დროების ბრწყინვალეზე ლაპარაკობს

„ბევრი გინახავს ომი და ზავი,
ხარ ვალმოხდილი დიდბანია,
და ჩვენს ბრწყინვალე ე-მამდე თავი
დაუნგრეველად მოგიტანია.“

მვგრამ თანამედროვეობის განცდით, ჩვენი ეპოქის იდეებით აღბეჭდილი ასეთი მკაფიო მოტივები იშვიათად გაისმის კონსტანტინე კიკინაძის პოეზიაში.

ჩვენი დიდი სოციალისტური თანამედროვეობის თემატუკის შემოქმედებითი დაუფლების პირველი სერიოზული ეტაპი კ. კიკინაძემ მოგვცა პოემაში „აზია“. აქ ავტორმა მრავალი ცხოველი პეიზაჟი და მკაფიოდ კოლორიტული ყოფა-ცხოვრებითი სურათი დახატა. მვგრამ აშკარად უნდა ითქვას, რომ ამ ნაწარმოებში პოეტის ეკსოტური შთაბეჭდილებანი და წარსულის მოგონებანი ჩრდილავენ განახლებული შუა აზიის ხალხების დღევანდელი აღორძინებულ სურათებს. ეს უკანასკნელი მეტად მკრთალად მოსმამს პოემაში, რომელიც ცალკეული ლირიკული ფრანგმენტების ნაკრები უფროა, ვიდრე მთლიანი ეპიური კმნილება.

ამ ნაწარმოების მთავარ სისუსტეს წარმოადგენს, ერთის მხრივ, გადაჭარბებული შეგულობითობა, ხოლო მეორეს მხრივ — ზოგიერთ შემთხვევაში უშინიშნელო დეტალების აღწერალობაში პედანტური თანმიმდევრობა და ემპირიზმი. მაგალითად, რა ღირებულებას შეე-

ცავს, რა იდეურ და ესტიმურ ინტერესს წარმოადგენს ავტორის მიერ აღწერილი სურათი, როდესაც ოჯახში დაბრუნებული მამა ცოლსა და ბავშვებს ნაეჭვს ურიგებს და:

„მყის პირისკენ გააჭანებს
ერთი თავის სარგოს,
მეორე კი დაიტრებს
დაწუნებულ ნაწილს,
მამას უნდა, რომ სიამე
ყველას გულში დარგოს
და ამშვიდებს მკორეოდნის
მიმატებით ყმაწვილს.“

ქვემოთაა
ხეხლიწონება

რა მოგვეცა ამ სურათით პოეტმა შუა აზრის ხალხის ცხოვრების თავისებურების დასახასიათებლად? ცხადია, არაფერი. ან რა აზრობრივი ღირებულება აქვს პოეტის ვრცელ გართიმულ მსჯელობას ძალღის მომაცდევობის შესახებ?

„იკუნცულებ, იჭაქვანებ
შენ დღისით და ღამით.
გხედება ბევრი პურის ლექმა,
გამოხრული ძვალი;
ბოლოს სადმე ბოსტნის კვალში
ჩაკვდები და ამით.
მოგხედება საწუთროს წინ
უცნაური ვალი.
ერთხანს კიდევ ეშვებანი
პაწაწიან ცხოველს
დაკრეჭილის კბილებით და
ზეაშვერილ ფეხით,
ვიდრემდისინ დედამიწა
შენს ელემენტს ყოველს
არ მიიღებს უკანავე
დაშლითა და ტეხით.“

ძალღისადმი მიმართულ ამ სტრიქონებში არაფერი არ არის საყურადღებო და ორიგინალური არც აზრობრივად, არც ესთეტიკურის თვალსაზრისით.

ჩვენი გმირული სინამდვილის თემებთან და იღვებთან შემოქმედებითი დაკავშირების თვალსაზრისით ყველაზე მნიშვნელოვან ნაწარმოებს ამ კრებულში წარმოადგენს პოემა „მარინა რასკოვა“. აქ პოეტმა პირველად დასახა თავისი შთაგონების საგნად სამჭოთა ხალხის საუკეთესო შეილთა გმირული საქმე, მათი პატრიოტული თავდადება და რაინდული გაჭანება.

პოეტმა უნდა გააღრმავოს და გააფართოს პოემაში აღებული შემოქმედებითი გეზი ჩვენი სინამდვილის თემებისა და პრობლემებისაკენ. თავი უნდა დააღწიოს განყენებულობას და იდეურ ინდეფერენტობას პოეზიაში. თავისი უტყველად ძლიერი პოეტური შესაძლებლობანი კ. კიკინაძემ უნდა გამოიყენოს ჩვენი დიადი დროებისათვის აქტუალური თემებისა და იდეების პოეტური განსახიერებისათვის.

რაც უფრო მაღე და ღრმად გარდაქმნის ამ მიმართულებით თავის შემოქმედებითს მესაობას კ. კიკინაძე, მით უკეთესი იქნება ჩვენი პოეზიისათვის და თვით პოეტისათვის.

ბესო ჟღერტა

საქართველოს
საბჭოთა
წიგნობის
სამსახური
თბილისი

შინაარსი



ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი (მოკლე ბიოგრაფია)	83-95
ალიო მაშაშვილი — ვლადიმერ მაიაკოვსკი	29

მხატვრული ლიტერატურა

ვ. მაიაკოვსკი — რედინგის ციხის ბალადა (თარგმანი დავით გაჩეჩილაძისა)	35
ალექსანდრე ქუთათელი — შავი შაში ჩიოდა. ზედაზენზე. გმირის დაბადება (ლექსები)	50
დემნა შენგელაია — ცისკარი (რომანი. დასასრული)	53
გიორგი კალანდაძე — სამი ლექსი	80
გრიგოლ ცეცხლაძე — სიკეთის კვალი (ლექსი)	82
ჯანგარი (ყალმუხური ეპოსი. თარგმანი კარლო კალაძის, კონსტანტინე ჭიჭინაძის და გრიგოლ აბაშიძისა)	84

უცხოეთის ლიტერატურა

ფრედერიკო გარსია ლორკა — სისხლიანი ქორწილი (დასასრული. თარგმანი ნ. მიქაევასი და ს. კელიძისა)	97
--	----

კრიტიკა და ლიტერატურის ისტორია

შალვა რადიანი — ლენინი ქართულ პოეზიაში	111
ლევან ასათიანი — ცხოვრება აკაკი წერეთლისა (გაგრძელება)	116
გიორგი ნატროშვილი — პანტელეიმონ ჩხიკვაძე	148

ბიბლიოგრაფია

ბესო ფლენტი — კონსტანტინე ჭიჭინაძე — ლექსები და პოემები	157
---	-----

გადიერა წარმოებას 4/IV-40 წ. ხელმოწ. დასაბუქდად 21/V-40 წ. მთავლიტის რწმუნებული № 1568. შეკვ. № 731. ტარ. 6000.

სახელგამის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, უორესინ ქ. № 5.

10-575
წიანი 2 826. ლა 50 კაპ.



ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ХУДОЖЕСТВЕННО-
ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛ

„**შ ნ ა ტ ბ ი**“

ГОСИЗДАТ ГРУЗИИ